

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ნინო გურგენიძე

ოიკონიმია როგორც ტოპონიმის სახეობა და მისი
სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი ფრანგულ და
ქართულ ენებში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან ჯაში

ბათუმი-2013

შინაარსი

შესავალი -----4

თავი I. ონომასტიკური უნივერსალიების ექსტრალინგვისტური ასპექტები	
1.1. ონომასტიკის ისტორიის კვლევის საკითხები-----	11
1.2. საკუთარ სახელთა ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებანი; საკუთარი სახელის ცნება ლინგვისტიკაში-----	13
1.3. საკუთარი და საზოგადო სახელები-----	16
1.4. საკუთარი სახელის მნიშვნელობის პრობლემა-----	20
1.5. ონომასტიკის ტიპები და მათი დეფინიცია-----	25
1.6. ონომასტიკური უნივერსალიების არსი და მათი კლასიფიკაცია-----	30
1.7. ლიტერატურული ონომასტიკა-----	35
დასკვნები I თავის მიხედვით-----	38
თავი II. ტოპონიმის ძირითადი სახეები და მისი კლასიფიკაცია	
2.1. ტოპონიმის მეცნიერებაა გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ -----	39
2.2. ტოპონიმური კვლევის ობიექტი-----	43
2.3. ტოპონიმების სემანტიკის ფუნქციური ასპექტი-----	46
2.4. ტოპონიმის ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხები-----	48
2.5. კულტურის ასახვა ტოპონიმებში-----	53
დასკვნები II თავის მიხედვით-----	63
თავი III. ოიკონიმების კულტურული სემანტიკის სპეციფიკა	
3.1. ოიკონიმების კვლევა სოციალურ-ისტორიული კონოტაციის თვალსაზრისით-----	64
3.2. ოიკონიმების ეტიმოლოგია და ოიკონიმთა ტიპების კვლევა ფრანგულ ენაში-----	66
3.3. ოიკონიმების ეტიმოლოგია და ოიკონიმთა ტიპების კვლევა ქართულ ენაში-----	76
3.4. რელიგიური ოიკონიმების ეტიმოლოგიური და სტრუქტურული ანალიზი ფრანგულ ენაში-----	86
3.5. რელიგიური ოიკონიმების ეტიმოლოგიური და სტრუქტურული ანალიზი ქართულ ენაში-----	93

დასკვნები III თავის მიხედვით-----	100
თავი IV. ლიტერატურული ოიკონიმები	
4.1. ლიტერატურული ონიმები როგორც ოიკონიმთა გამომხატველობითი სახესხვაობა-----	101
4.2. საბავშვო ლიტერატურაში გამოყენებული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა ფსიქოლინგვისტურ ჭრილში-----	105
4.3. «ცრუ» ოიკონიმები და მათი ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში-----	109
4.4. ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულებში-----	117
დასკვნები IV თავის მიხედვით-----	126
თავი V. ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებათა კვლევა ფრანგულ და ქართულ ენაში	
5.1. ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი-----	127
5.2. ოიკონიმების სტრუქტურული მოდელები ფრანგულ ენაში-----	128
5.3. ოიკონიმების სემანტიკური მოდელები ფრანგულ ენაში-----	134
5.4. ოიკონიმების სტრუქტურული მოდელები ქართულ ენაში-----	141
5.5. ოიკონიმების სემანტიკური მოდელები ქართულ ენაში-----	149
დასკვნები V თავის მიხედვით-----	154
დასკვნა -----	157
ბიბლიოგრაფია -----	164

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში „ოიკონიმთა როგორც ტოპონიმის სახესხვაობა და მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ფრანგულ და ქართულ ენებში“, ეძღვნება ქალაქების აღმნიშვნელი სახელების კვლევას ფრანგულ და ქართულ ენებში, ასევე გეოგრაფიულ ნომინაციათა ჩამოყალიბებას და განვითარებას კომუნიკაციასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

ადგილმდებარეობის სახელწოდებათა ერთობლიობას შეისწავლის ონომასტიკის მიმართულება, რომელიც ტოპონიმის სახელწოდებითაა ცნობილი. ის აღწერს თითოეული ონიმის წარმოშობას და მათ დამოკიდებულებას სასაუბრო ენასთან ან გამქრალ ენასთან.

ჩვენი კვლევის ობიექტი ოიკონიმებია (ოიკონიმია ბერძნული სიტყვაა οἰκισμός, რომელიც „საცხოვრისის“, „ქალაქის“ სახელს ნიშნავს). ევროპაში მოღვაწე თანამედროვე ლინგვისტები ხშირად მას პირდაპირ მოიხსენიებენ როგორც „ქალაქის ადმინიშენელი სახელი“. უფრო ხშირად კი მის სანაცვლოდ „ტოპონიმის“ იყენებენ (topos - ადგილი, onyma - სახელი), მასში ზოგადად ყველა გეოგრაფიული ონიმია გაერთიანებული. ლინგვისტები ტოპონიმის „ადრესატულ“ ერთმნიშვნელოვნებას განიხილავენ, რომელსაც ფართოდ იყენებს სხვადასხვა მეცნიერება: გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ეკონომიკური ისტორია, ფოლკლორისტიკა. ხშირად ტოპონიმები წერილობით ძეგლებზე უფრო ძველია, ამ შემთხვევაში ტოპონიმის ისტორიული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, არქეოლოგიის კვლევის საგანია (დლონტი, 1988:235).

ოიკონიმები გარკვეულ ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების დასახლების დროს ყალიბდება, რომლებსაც სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული, რელიგიურ-კულტურული მოვლენები განაპირობებს, შემდეგ კი, ეპოქალურ ცვლილებასთან ერთად, დიაქრონულად იცვლება ან ინარჩუნებს პირველად სახეს. ოიკონიმია იმ ენობრივ ერთეულთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა არსებობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სოციალური მეცნიერებისათვის.

ოიკონიმები ენათმეცნიერების, კერძოდ კი ონომასტიკის ბირთვის წარმოადგენს. მათი მეცნიერული კვლევა და ტოპონიმის სიღრმისეული ანალიზი სხვადასხვა პრიზმაში გვიჩვენებს აღნიშნულ სეგმენტებს. ესენია: ონიმის ლექსიკური მნიშვნელობა, სახელდების ეტიმოლოგია, სტრუქტურული აგებულება, ნომინაციათა სინტაგმატური და პარადიგმატური მიმართებები. ოიკონიმების კავშირი სხვადასხვა დისციპლინებთან (დოზა, 2003:76).

ამგვარად, ოიკონიმების როგორც ტოპონიმის სახეობის შესწავლა, ლინგვისტურ მიმართებებს, პრობლემის ექსტრალინგვისტურ და

ფსიქოლინგვისტურ, სემასიოლოგიურ და შეპირისპირებით კვლევებს ექვემდებარება.

მრავალმხრივია ოიკონიმთა კვლევის სფერო. მათი როლისა და ფუნქციის განსაზღვრა თეონიმებში, ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და მხატვრულ ლიტერატურაში აფართოებს და უფრო დიდ ინტერესს მატებს კვლევას. ზოგადად, სოსიურისეული თვალსაზრისით აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის არსებული მიმართება პირობითია, მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ონიმების კოგნიტიური (შემეცნებითი) აღქმა და პრაგმატიკული (ემოციური, აფექტური) მნიშვნელობები ლიტერატურულ შემოქმედებაში.

კვლევის მიზანია:

- ოიკონიმების, ზოგადად ტოპონიმების კვლევის მეცნიერული განსაზღვრებებისა და კონცეფციების განზოგადება.
- ონომასტიკური უნივერსალების არსის, მისი ექსტრალინგვისტური ასპექტებისა და კლასიფიკაციის გამოყოფა.
- ენის სისტემაში ოიკონიმების ძირითადი სახეების მეცნიერული ტიპებისა და მათი ინტერდისციპლინარული კვლევის პრობლემების განსაზღვრა.
- ოიკონიმების სპეციფიკისა და თავისებურებების, მათი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების დადგენა ლინგვოკულტურულ ასპექტში.
- ფრანგულ და ქართულ ენებში ოიკონიმების სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების დადგენა.
- ტოპონიმიკური ერთეულების თავისებურებების დადგენა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ლინგვოკულტურული თვალსაზრისით.
- ტოპონიმიკური ერთეულების თავისებურებების დადგენა მხატვრულ ლიტერატურაში.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ წინამდებარე ნაშრომი პირველი ნაშრომია ფრანგულ და ქართულ ოიკონიმთა შეპირისპირებითი კვლევის თვალსაზრისით. გამოვყოფთ იმ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რაც სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების შედარება-შეპირისპირების დროს იკვეთება. ახალი

ფორმით წარმოვაჩინოთ ოიკონიმების თავისებურებებს, განვიხილავთ მის ფუნქციებს მხატვრულ ლიტერატურაში. ესთეტიკური ონიმა (ლექსემა რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში გამოიყენება) განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს, ის არა მხოლოდ ადრესატულ მდებარეობას აღნიშნავს, არამედ შექმნილია ნაწარმოების კოგნიტურობისა და მხატვრული შემოქმედებისათვის. ოიკონიმები გამოყენებულია როგორც ილუზიისა და წარმოსახვის მრავალსახეობა, როგორც აზრის გადმოცემის ერთ-ერთი მხატვრული ხერხი. ზოგადად, ოიკონიმები განპირობებულია ტერიტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული მოვლენებით, მაგრამ ამ შემთხვევაში, ონიმის „მნიშვნელობა“ და „შინაარსი“ ტერიტორიის „სამყაროს“, წარმოსახვასა და სახელდებას განაპირობებს.

ნაშრომის აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების შესწავლას თითოეულ ენაში მრავალი თეორიული და პრაქტიკული გამოკვლევა ეძღვნება, აღნიშნული მოვლენის კვლევა ენათმეცნიერებაში მაინც არ არის ამოწურული. ამიტომ ყოველი ახალი ნაშრომი, რომელიც ამ კვლევის შედეგის სრულყოფისაკენაა მიმართული, აქტუალურია.

თემა აქტუალურია, რადგანაც ის ახდენს საკითხის განხილვას ინტერდისციპლინარულ დონეზე. ტოპონიმის კვლევის სფერო იმდენად მრავალფეროვანია, რომ საშუალება გვძლევს ეს ენობრივი მოვლენა სხვადასხვა ჭრილში განვიხილოთ. დავადგინოთ მისი მიმართება სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, როგორებიცაა: გეოგრაფია, გეოლოგია, ბიოლოგია და ასტროლოგია, ფსიქოლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან მიმართებით.

ონომასტიკის საკითხების კვლევას ყურადღება ისეთმა ცნობილმა ლინგვისტებმა მიაპყრეს როგორებიც იყვნენ ო.ვენსანი, ს.ჟანფრონი, მ. ურბანი, პ.რუსე, ჟ.რემუანი, პ.გლუზი, გ. კოვალოვი, ა.სადოხინი, ვ. ბონდალეტოვი, ვ.ბოლოტოვი, ა.ერმაჩენკო, ვ.ნიკონოვი, ა. სუპერანსკაია, ჟ.ფავიერი, ა.დოზა. მათ კარგად აქვთ აღწერილი ონომასტიკის მიმართულებების კულტურულ-ისტორიული კომპონენტები და მათი ფუნქციური მიდგომა.

ფრანგული ენის ოიკონიმთა ეტიმოლოგიური კვლევის შესახებ ემპირიულ მასალად გამოყენებული გვაქვს სხვადასხვა ავტორთა (შ.როსტენგი, გ.დესლანდი, მ.ურბანი, მ.შარბონი, რ.ლეპელი, მ.ოჟე, ჟ.კოსტი, გ.რადე, ბ.ტანგი) რედაქტორობით შედგენილი ფრანგული ენის განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონები. განვიხილეთ დაახლოებით ოიკონიმების 500-მდე ერთეული, რომელთა ანალიზის საფუძველზეც სადისერტაციო ნაშრომში შესაბამისი შედეგები მივიღეთ.

გეოგრაფიული სახელწოდების საინტერესო განმარტებებს იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი/ზაგრატიონი თავის ნაშრომში: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ერის ეთნოგრაფიულ კვლევაში. ქართულ ენაში, ოიკონიმთა ეტიმოლოგიური აღწერისას ვყვრდნობით განმარტებით ლექსიკონებს (ქ.ძოწენიძე, მ.ფასმერი, გ.რეხვიაშვილი, გ.ბედოშვილი).

„ცრუ“ ოიკონიმების კვლევისას, ემპირიულ მასალად გამოვიყენეთ ქართველ (გ.დოჩანაშვილი, ნ.ლომოური ჯ. ქარჩხაძე,) და ფრანგ (ე. ვერნი, ჟ. ვერნი) მწერალთა ლიტერატურული ნაწარმოებები. აგრეთვე ლექსიკონები, რომელთა შორისაც გამოირჩევა: პ.ბილისა და ლ. ჟარეტის ლექსიკონი: „**Dictionnaire des noms de lieux de la France**“.

კვლევის მეთოდოლოგია. მეცნიერული კვლევა ეყრდნობა შედარებით-შეპირისპირებით მეთოდებს, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და ოიკონიმების მეცნიერული ანალიზის მეთოდს, რომელიც უაღრესად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება ხუთი თავისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისგან, რომელიც 180 ერთეულითაა წარმოდგენილი. ნაშრომი მოიცავს 174 ნაბეჭდ გვერდს.

თეორიული მნიშვნელობა. ნაშრომში შეპირისპირებული სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ლექსიკოლოგიაში, დიალექტოლოგიაში, ეტიმოლოგიაში და ლინგვისტურ გეოგრაფიაში. ოიკონიმების სემანტიკური თავისებურებები და წარმოშობის გზები მხატვრულ ლიტერატურაში, სტილისტური ზემოქმედების საფუძველს წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა

მხატვრულ-სტილისტურ ხერხად ჩაითვალოს, და საინტერესო გახდეს ლიტერატურათმცოდნეობის დარგისთვის.

პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომში განხილული მასალები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ:

- ლიტერატურული შემოქმედების ანალიზისა და კვლევის დროს, როგორც მხატვრულ-სტილისტური ხერხი.
- პრაქტიკული ან თეორიული კურსის სალექციო მასალა, ტექსტის ინტერპრეტაციაში, ლექსიკოლოგიასა და შეპირისპირებით ლინგვისტიკაში.
- ისტორიულ-გეოგრაფიული მეცნიერებისათვის როგორც ემპირიული მასალა.

დისერტაციის პირველ თავში განვიხილეთ ონომასტიკა როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ნომინაციათა ინტერდისციპლინარულ ჭრილში.

თანამედროვე ონომასტიკა ენათმეცნიერების კომპლექსურ დისციპლინას წარმოადგენს. მისი შესწავლა საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიულ მოვლენათა ქრონოლოგია საკუთარ სახელებზე დაყრდნობით.

ონომასტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა საკუთარი სახელების ენობრივი თავისებურებების კვლევა, მათი ჩამოყალიბებისა და სახეცვლილებების ვარიანტთა დადგენა მოცემული ენობრივი სისტემისა და ონიმათა შესაძლებლობების გათვალისწინებით, რის საფუძველზეც განვიხილეთ განსხვავებები, რაც საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის არსებობს. გამოვყავით და განვაზოგადეთ ონომასტიკაში არსებული მეცნიერული ასპექტები, კლასიფიკაციის ტიპები. თითოეული კვლევის შედეგად დავადგინეთ ონიმების როლი კომუნიკაციაში, ლიტერატურასა და სხვადასხვა დისციპლინებთან მიმართებაში.

დისერტაციის მეორე თავში განვიხილეთ ტოპონიმის როგორც მეცნიერება გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ. გავმიჯნეთ ტოპონიმის ძირითადი სახეები და შევიმუშავეთ მათი კლასიფიკაცია. დავახასიათეთ ტოპონიმის სისტემის პარამეტრებად მიჩნეული სხვადასხვა ნიშან-თვისებები და ის ელემენტები, რომლებიც ერთმანეთთან რეფერენტული, ეტიმოლოგიური, სტრუქტურული და

სემანტიკური ნიშნებითაა დაკავშირებული. განვაზოგადეთ სხვადასხვა მეცნიერების მიერ შემოთავაზებული დეფინიციები. დავახასიათეთ ტოპონიმების ლექსიკური მნიშვნელობის მრავალპლანიანობა და გადმოვეცით ტოპონიმთა კლასიფიკაცია დასახელებული ობიექტების ბუნების მიხედვით. განვსაზღვრეთ ტოპონიმის მნიშვნელობა ყოველდღიურ კომუნიკაციაში.

დისერტაციის მესამე თავში განვიხილეთ ოიკონიმია როგორც ონომასტიკის შემადგენელი ნაწილი, მისი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ეტაპები, რომელიც ხელს უწყობს ლინგვისტური გეოგრაფიის ჩამოყალიბებას. განვსაზღვრეთ ოიკონიმების ეტიმოლოგია მათი ნომინაციის მოტივაციის თვალსაზრისით და გამოვყავით ორი ტიპი: 1)საკუთრივ გეოგრაფიული და ანთროპოტოპონიმოლოგიური ნომინაციები; 2)ისტორიულ საწყისებსა და ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით შექმნილი სახელდებები. განვიხილეთ ოიკონიმთა ეტიმონების დიფერენციაციის საფუძველზე გამოვყავით ოიკონიმების სხვადასხვა ტიპები. განვსაზღვრეთ თეონიმისა და ტერიტორიის გეოგრაფიული ნომინაციის ურთიერთმიმართების მნიშვნელობა ოიკონიმის ჩამოყალიბების პროცესში.

დისერტაციის მეოთხე თავში განვიხილეთ ლიტერატურული ონიმები როგორც ოიკონიმთა გამომხატველობითი სახესხვაობა, რომელსაც ავტორი საკუთარი კალმისა და სტილის გადმოსაცემად იყენებს. სახელდების კვლევის შედეგად გამოვყავით ლიტერატურული ოიკონიმების სხვადასხვა ტიპი. განვიხილეთ ზღაპრებსა და მწერალთა ლიტერატურულ შემოქმედებაში გამოყენებული ირეალური - „ცრუ“ ოიკონიმები, რომლებიც ლიტერატურულ ნაწარმოებში ღრმა და მისტიკურ შეგრძნებებს იწვევს, რომელთა აღქმაც მკითხველთა ინდივიდუალურ წარმოსახვაზე დამოკიდებულია. აგრეთვე განვაზოგადეთ ოიკონიმების როლი ფრაზეოლოგიურ ერთეულში, რომლებიც არა მხოლოდ ტერიტორიულ მდებარეობას, არამედ მოცემული ტერიტორიის შესახებ მნიშვნელოვან, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

დისერტაციის მეხუთე თავში განვიხილეთ ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები ფრანგულსა და ქართულ ენებში. გავმიჯნეთ სიტყვათმერწყმითი (არტიკლითა და სხვადასხვა წინადადების წევრთა

თანამონაცვლეობით) და დერევაციული (აფიქსებით წარმოებული) ფორმით მიღებული ონიმები. შეპირისპირების ფონზე დავადგინეთ, ფრანგულ და ქართულ ენებში არსებულ ტოპოერთელთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი. განვსაზღვრეთ ოიკონიმების როლი როგორც კომუნიკაციაში ასევე ლიტერატურაში.

თავი I. ონომასტიკური უნივერსალების ექსტრალინგვისტური ასპექტები

1.1 . ონომასტიკის ისტორიის კვლევის საკითხები

ონომასტიკური მეცნიერება ზოგადი შეხედულებებითა და თეორიული პრინციპებით თანამედროვე ლინგვისტიკაში უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს. ონომასტიკური ველის კვლევა დაკავშირებულია სახელდებასთან/ნომინაციასთან.

ნომინაციის თეორია პირველ რიგში აზროვნების ცნებითი ფორმების თანაფარდობას უკავშირდება, იმის მიხედვით, თუ როგორ იქმნება, ყალიბდება და ნაწილდება ობიექტური რეალობის ცალკეული ფრაგმენტების სახელწოდებები.

ნომინაციის დროს, საგნისა თუ მოვლენის გამორჩევა ამა თუ იმ ნიშნით ხდება და სწორედ, ეს ნიშანია სახელდების საფუძველი. ეს საგნის « შინაგანი ფორმა », ხოლო თავად სახელის შერქმევა ენის ლექსიკურ-გრამატიკული სელექციით განისაზღვრება. შინაგანი ფორმა აისახება ლექსიკურ ერთეულზე, ანუ ხდება საგნის სახელდება (გამყრელიძე, 2008:354).

სიტყვებს, რომლებიც ზოგადიდან კონკრეტულ საგნებს, პიროვნებებს ან ტერიტორიებს განასხვავებს, საკუთარი სახელი ჰქვია. ლინგვისტიკაში არსებულ სხვადასხვა სახელთა კატეგორიებიდან გამოიყოფა საკუთარი სახელი. ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ ონიმებს-სახელებს, რომლებიც ნომინირებულია ადამიანის მიერ (ლიტერატურაში) ან მისი ნომინაცია განპირობებულია არსებული ისტორიული მოვლენების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, რელიგიური ზეგავლენის, კულტურისა თუ ეთნოსის მიერ, რომელსაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება - ონომასტიკა შეისწავლის. „ონომასტიკა“ ბერძნული სიტყვაა ὀνομαστική და „სახელების /სახელწოდების ხელოვნებას“ შეისწავლის. ონომასტიკა სხვა მეცნიერებთან შედარებით, ახალი ლინგვისტური დისციპლინაა, რომელმაც მეცნიერული სტატუსი XX საუკუნის 30-იან წლებში მიიღო, თანამედროვე ონომასტიკა, თავისი მრავალფუნქციური მეთოდებით ენათმეცნიერების კომპლექსურ დისციპლინას წარმოადგენს (ნიკონოვი, 1968:90).

ვ. ბონდალეტოვი აღნიშნავს: „ონომასტიკური მასალა ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ნებისმიერ მაღალ განვითარებულ ენაში და ის უდავოდ ყველა მეცნიერის კვლევის ობიექტია“ (ბონდალეტოვი, 1983:82). ონომასტიკა სხვადასხვა დისციპლინათშორისი კოგნიტიური ველია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს გეოგრაფიასთან, ისტორიასთან, რელიგიასთან, ეკონომიკასთან, ეთნოლოგიასა და სხვა დისციპლინებთან. ნებისმიერი კულტურული, ისტორიული თუ ბუნებრივი ცვლილებები ნომინაციაზე აისახება, რომელიც ლექსემათა მოდიფიცირებას განაპირობებს, ამიტომაც, ონომასტიკური კვლევა საშუალებას იძლევა ამოვიცნოთ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ისტორიულ-გეოგრაფიულ მოვლენათა ქრონოლოგია. ონომასტიკა ინდივიდუალური საგნის სახელდებას განაპირობებს (ნიკონოვი, 1969:71).

ნიშანში მოცემულია აზრობრივი ღერძი როგორც სემანტიკური კორელატი, რომელიც ინდივიდუალურად გამოხატავს კონკრეტულ საგანს (ერმაჩენკო, 1970:7; ბოლოტოვი, 1971:11; გრიდინა, 1971:23). რაც შეეხება ეთნოსს, იგი წარმოუდგენელია ტერიტორიების გარეშე. თითოეული ჯგუფი (ეთნოსი) გარკვეულ ტერიტორიაზე ვითარდებოდა, ტერიტორიის არსებობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნებისმიერი ეთნოსის წარმოქმნისათვის. ტერიტორიები, ხალხთა საბინადრო ადგილები, ხშირად იცვლებოდა, ფართოვდებოდა ან მცირდებოდა, რაც ზეგავლენას ახდენდა ნომინაციათა ცვლილებებზე.

ამა თუ იმ ხალხის განსახლებისას, მისი ცალკეული ჯგუფები, ტერიტორიულად ეთიშებოდა ერთმანეთს, რაც ჩვეულებრივ ახალი ეთნოსის ჩამოყალიბებას იწვევდა. ეთნოსთა ერთ-ერთი გამმიჯვნილი უმნიშვნელოვანესი ნიშანია ტერიტორიის სახელდება. მეცნიერთა მოსაზრებებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რელიგიურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით პირველი სახელწოდებები გააჩნდათ ღვთაებებს, წმინდანებს, ცხოველებსა და ტერიტორიებს, რომლებიც უხსოვარ დროს არსებობდა და იმ დროისათვის ონომასტიკური სფერო მხოლოდ ამ არსებული ნომინაციებით შემოიფარგლებოდა (ნოვიკოვი, 1969:45). შემდგომ სხვადასხვა საჭიროებამ, ადამიანთა გონებრივი არეალის განვითარებამ, ტერიტორიების გაფართოებამ, ადამიანთა ნომინაციურმა განსხვავებამ, საგნების დიფერენციაციამ, სოციალურმა მდგომარეობამ, პოლიტიკურმა ცვლილებებმა ამა თუ იმ ფაქტისა თუ საგნის ნომინაციის მრავალსახეობა წარმოშვა, რამაც ონომასტიკური სფეროს/მეცნიერების გაფართოება გამოიწვია.

თავდაპირველი ონომასტიკური სფერო ერების მიგრაციის, იმდროისათვის არსებული მწირი კულტურათმორისი კავშირების, დიალექტიზმების, პირველყოფილთა მდებარეობის, სახელდებების კვლევას მოიცავდა, მაგრამ თანამედროვე ონომასტიკა კომპლექსურ ლინგვისტურ მეცნიერებას წარმოადგენს თავისი სპეციფიკური მეთოდებით, ზოგადთეორიული თვალთახედვითა და მულტიდისციპლინარული ასპექტებით, რომელთა არსებობა და განვითარება დიდ როლს ასრულებს სოციალურ საზოგადოებაში. რაც უფრო ღრმად ჩავწვდებით, თუ რას წარმოადგენს ონომასტიკური სფერო როგორც მეცნიერება, როგორია მისი ტიპები

და სპეციფიკა როგორ ფუნქციონირებს იგი, მით უკეთ შევიცნობთ მის აუცილებლობასა და როლს, მატერიალურ სამყაროსა და ზოგად ენობრივ სისტემაში.

1.2. საკუთარ სახელთა ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებანი; საკუთარი სახელის ცნება ლინგვისტიკაში

ნებისმიერ ენაში საზოგადო სახელებთან ერთად არსებობს საკუთარი სახელები, რომლებიც ცალკეული საგნების დასახელებისათვის გამოიყენება და მათ სხვა საგნებისაგან განასხვავებს. როგორც უკვე ვახსენეთ, ლინგვისტურ მეცნიერებას, რომელიც საკუთარ სახელებს ყველა მიმართულებით იკვლევს ონომასტიკა ჰქვია.

ონომასტიკის საინტერესო განმარტებას ა. სუპერანსაკაია გვთავაზობს: „ტერმინ ონომასტიკას ორი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ის აღნიშნავს საკუთარი სახელების შესახებ კომპლექსურ მეცნიერებას; მეორე, თავად საკუთარ სახელებს ონიმებსაც უწოდებენ“ (სუპერანსაკაია, 1975:5). ამგვარად, ონომასტიკა როგორც ლინგვისტური მეცნიერება საკუთარი სახელების არსს, მათ ფუნქციურ სპეციფიკას იკვლევს. ის ასევე იკვლევს საკუთარი სახელების წარმოქმნისა და განვითარების პრობლემებს, მის კავშირს ენის სხვადასხვა დონეებთან, თავად ონომასტიკის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასთან და ასევე მის კავშირს სხვა მეცნიერებებთან (კორტუნოვა, 2009: 90).

ონომასტიკა წარმოიქმნა როგორც გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც აინტერესებს ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურათმცოდნეობას. მოგვიანებით, როდესაც ონომასტიკით თავად ლინგვისტები დაინტერესდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოიყენეს სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, ონომასტიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბდა (კუნაკუჟინა, 2003:27).

ონომასტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა საკუთარი სახელების ენობრივი თავისებურებების კვლევა, რომელთა ჩამოყალიბება ხდება ერთი მხრივ, მოცემული ენის სისტემური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მეორე მხრივ, მოცემულ

ონიმთა სისტემის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით (ბლანარი, 1980:14).

ლინგვისტებს განსხვავებული აზრი გააჩნიათ იმაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საკუთარ სახელად, რითი განსხვავდება საკუთარი სახელი საზოგადოსაგან, აქვს თუ არა საკუთარ სახელს მნიშვნელობა და სხვა მრავალი საკითხი, რომელიც საკუთარ სახელებთანაა დაკავშირებული.

ჩვენს დისერტაციაში საკუთარ სახელს ვუწოდებთ სიტყვას ან სიტყვათშეერთებას, რომელიც მოცემული საგნის სხვა საგნებისაგან გამოსაყოფად და იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება (პოდოლსკაია, 1988:91; გარდინე, 1954: 640). მოცემულ განმარტებაში საკუთარი სახელების ორი ძირითადი ფუნქცია გამოიყოფა. თუმცა, სანამ საკუთარი სახელების სპეციფიკასა და თავისებურებებს განვიხილავთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ როგორც საზოგადო, ისე საკუთარი არსებითი სახელი ენის სისტემაში მთელ რიგ საერთო ფუნქციებს ასრულებს, რომლებიც ნომინაციის ყველა ერთეულს ახასიათებს. სახელები, სიტყვებს როგორც რომელიმე ეთნოსის ან მისი ენის საკუთრებას ახასიათებენ, ანუ ეთნოენობრივ ფუნქციას ასრულებენ; ეს ენობრივი ნიშნებია როგორც ვირტუალური ნიშანი ენის სისტემაში და როგორც აქტუალური ნიშანი მეტყველებაში; როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელები ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ. სახელები კონოტაციურ-ექსპრესიული ფუნქციის რეალიზებას ახდენენ, რომლის მოწოდებაც გამოხატოს ადამიანის დამოკიდებულება აღნიშნულ მოვლენასთან. საკუთარ არსებით სახელს ზოგად კატეგორიული თვისებების გარდა სპეციფიკური თვისებებიც გააჩნია, რომელიც მხოლოდ მოცემული ენობრივი ნომინაციის კატეგორიას ახასიათებს. ასეთი სახის ონიმას სპეციფიკურ ფუნქციებს განეკუთვნება: რეგისტრაციულ-სოციალური, მაინდენტიფიცირებელი, სამისამართე (კორტუნოვა, 2004: 90-96).

ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ენაში ონიმების ძირითადი ფუნქცია ნომინაციური ფუნქციაა. საკუთარი სახელები გვეხმარებიან განვასხვავოთ საგნები, გამოვიცნოთ ინდივიდები მათი თვისობრივი დახასიათების გარეშე.

ე. როზენის აზრით ონიმების მთავარი საწყისი ფუნქცია კონკრეტული საგნის დასახელებაა. სწორედ ამით, კარდინალურად განსხვავდება ამ ტიპის ლექსიკა

აპელაციებისაგან, რომლებიც არა ცალკეულ საგნებს, არამედ მოცემული კატეგორიის ყველა საგანს აღნიშნავს. ბევრი უცხოელი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საკუთარ სახელს იდენტიფიცირების ფუნქცია გააჩნია. დ.ერმოლოვიჩის აზრით, საკუთარი სახელები ინდივიდუალური ნომინაციის ფუნქციას ასრულებენ, ხოლო საზოგადო სახელებს მაკლასიფიცირებელი ნომინაციის ფუნქცია აქვთ.

საკუთარი არსებითი სახელები ანსხვავებენ პირველადი და მეორადი ნომინაციის ფუნქციებს. პირველადი ნომინაციის ფუნქციის დროს, საკუთარი არსებითი სახელი იმ საგანზე მიუთითებს, რომელსაც ეს სახელი ჰქვია, ხოლო მეორადი ნომინაციის დროს ხდება სახელდების სხვა საგანზე გადატანა. მოცემულ საგანს სხვა საგნის თვისებებს მიაწერენ. მეორადი ნომინაციის დროს, შესაძლებელია საკუთარი სახელების საზოგადო სახელების კატეგორიაში გადაყვანა (ერმოლოვიჩი, 2001: 9).

მეტყველებაში, ენის მატარებლებს, ერთგვარი თავისუფლება აქვთ ნომინაციური ერთეულების გამოყენების თვალსაზრისით. მათ შეიძლება ადამიანის სახელები დაარქვან ძაღლებს, კატებს, ტაიფუნებს, გემებს და ა.შ. (ერმოლოვიჩი, 2001;10).

1.3. საკუთარი და საზოგადო სახელები

ლინგვისტიკაში, რომელიც ენისა და მეტყველების დიალექტიკურ ურთიერთქმედებას იკვლევს, დამკვიდრდა აზრი, რომ ენის ლექსიკო-სემანტიკურ სისტემაში ორი ურთიერთასპირისპირო ენობრივი ნომინაციის კატეგორია არსებობს: აპელაციური და ონომასტიკური (კურილოვიჩი, 1955:251-252).

ონიმების თავისებურებების გათვალისწინებით, განვიხილოთ ის ზოგადი ხასიათის განსხვავებები, რაც საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის არსებობს. საკუთარი სახელები საზოგადო სახელებს უპირისპიდება, როგორც თავიანთი მნიშვნელობით, ასევე ფუნქციონირების სფეროთი და მოცულობით. ნებისმიერ ენის სისტემაში მათ პერიფერიული მდგომარეობა უკავიათ (უფიმცევა, 1977:42).

საკუთარ სახელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენაში. ლექსიკური თვალსაზრისით, მას ახასიათებს ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, გრამატიკული, სიტყვათწარმოებითი და სტილისტური თავისებურებები, რითაც ის საზოგადო სახელისაგან განსხვავდება. საკუთარი სახელი საზოგადო სახელისაგან მასში შემცველი ინფორმაციითა და ასევე ლექსიკური პარადიგმების სპეციფიკითაც განსხვავდება (ბელიაევი, 2001:33). საკუთარ სახელებს ენათშორისი თავისებურებაც გააჩნია. მათი თარგმნა ერთი ენიდან მეორეზე სავალდებულო არაა (მურიასოვი,1983:4).

უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ, რომ თუკი რომელიმე საგანი საზოგადო სახელითაა გამოხატული, სავალდებულო არაა, რომ მას საკუთარი სახელი ჰქონდეს, მაშინ, როცა საკუთარი სახელის არსებობა საგანთან მიმართებაში გულისხმობს ასევე საზოგადო სახელის არსებობასაც. საკუთარი და საზოგადო სახელების განმასხვავებელი ნიშნებია:

1. საკუთარი სახელის სემანტიკური თავისებურება, ძირითადი თავისებურებაა, რომელიც სხვა ლინგვისტურ თავისებურებებს უზრუნველყოფს (მურიასოვი, 1983:5). ა.რეფორმატსკი ფიქრობს, რომ ძირითადი განსხვავება საზოგადო და საკუთარ სახელებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო სახელები მაქსიმალურად გასაგებია, ხოლო საკუთარი სახელები კი მაქსიმალურად ნომინაციურია (რეფორმატსკი, 1964:9). ა. ერემიას აზრით, განსხვავება საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის იმაშია, რომ საზოგადო სახელებს მნიშვნელობა კონტექსტის მიღმაც აქვთ, მაშინ, როცა საკუთარი სახელების უმეტესს ნაწილს მნიშვნელობა მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში აქვთ (ერემია, 1990: 6). საკუთარი სახელების ეს თავისებურება ყველაზე მეტად სადავოა.

2. საკუთარი სახელი „სემანტიკურად რედუცირებულია“ და არ უკავშირდება ცნებას. საზოგადო და საკუთარ სახელებს გააჩნია ლექსიკური აბსტრაქციის განსხვავებული ხარისხი. ო. ახმანოვა ფიქრობს, რომ საკუთარ სახელს არ გააჩნია სიგნიფიკაციური ფუნქცია და წარმოადგენს „უბრალო ნიშანს, რომელიც ნაცნობ საგანზე, მოვლენაზე, სიტუაციაზე და ა.შ. მიუთითებს“(ახმანოვა, 1948:8). მის აზრს იზიარებს ა.რეფორმატსკი, თუმცა ზოგიერთი ლინგვისტი ფიქრობს, რომ საკუთარ სახელსაც

გააჩნია განზოგადების უნარი (სუპერანსკაია, 1964:9). ლ.ბულახოვსკის აზრით, საკუთარ სახელებს საზოგადო სახელებთან შედარებით ნაკლებად აქვთ განზოგადების უნარი, თუმცა ონიმების მიერ სახელების განზოგადება იმ მიზნით ხდება, რომ ამა თუ იმ ცნების კონკრეტულ სფეროზე მიუთითონ (ბულახოვსკი,1953:17).

საზოგადო სახელი საგანს სწორედ ცნების მეშვეობით უკავშირდება, ხოლო ონიმა აღსანიშნ საგანს პირდაპირ, ცნების გარეშე უკავშირდება (სუპერანსკაია, 1973: 122-137). საკუთარი სახელის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო ნიშანია ზემოქმედება მოახდინოს გრძნობაზე, ნება-სურვილზე, ადამიანის სულის ნებისმიერ ირაციონალურ უნარზე (ლოსევი, 1993: 815).

3. საკუთარი სახელების თავისებურება ორთოგრაფიაში იჩენს თავს. ესაა: დიდი ასოთი ჩაწერა. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ფრანგულ ენაში: **Bordeaux, Toulouse**.

4. საკუთარ სახელებს გრამატიკული თავისებურება აქვს, რაც ონიმებთან არტიკლის გამოყენებაში ვლინდება. მართალია, ზოგადად, საკუთარი სახელები არტიკლს არ მოითხოვენ, ამიტომ, გრამატიკაში გამონაკლისის ფორმულირება გვჭირდება არტიკლთან მიმართებაში. შეიძლება ონიმამ არტიკლი დაირთოს თუკი ის საზოგადო სახელის მნიშვნელობით გამოიყენება, ანდა ოიკონიმების შემთხვევაში ერთ მთლიანობად აღიქმება. მაგალითად: **Le Mans, Le Havre**. ფრანგულში შეიძლება ქალაქის აღმნიშვნელ საკუთარ სახელთან გამოვიყენოთ არტიკლი. მაგალითად: „ **Le Paris du XX^e siècle ressemble bien peu au Paris d'il y a cent ans**“. საკუთარ არსებით სახელებს სხვა თავისებურებაც გააჩნია, მათ მრავლობითი რიცხვი არა აქვთ (კორტუნოვა, 2004:96). ფრანგულ ენაში გამონაკლისს წარმოადგენს სამეფო დინასტიის აღმნიშვნელი გვარები. მაგალითად: **Les Bourbons, les Césars**.

5. საზოგადო სახელების ფონემური შედგენილობა უფრო მკვეთრია და მკაცრი, ვიდრე საკუთარი სახელების. საზოგადო სახელები ერთმანეთისაგან შეიძლება ერთი ფონემით განსხვავდებოდეს. მაგალითად: **vice, vide, bon, bol**. საზოგადო სახელების ფონემური შედგენილობა ასეთი მყარი რომ არ იყოს, გამწვანდებოდა საზოგადო სახელების ცნებებთან კავშირის რეალიზაცია. სრულიად განსხვავებულია სიტუაცია საკუთარ სახელებთან. მათ არა აქვთ მჭიდრო კავშირი ცნებასთან, სხვადასხვა

ობიექტთან და სუბიექტთან, ამიტომ ისინი შეიძლება ვარირებდეს ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და ასევე ლექსიკურად.

6. საკუთარი სახელის სიტყვათწარმოებითი სპეციფიკა გულისხმობს ჟღერადობის უფრო ფართო დიაპაზონსა და შედარებით უფრო ნაკლებად მკაცრ მორფოლოგიურ ჩარჩოებს. საკუთარი სახელები საზოგადო სახელებისათვის დამახასიათებელ კანონონზომიერებას ემორჩილებიან. ვინაიდან ნებისმიერ ენაში საკუთარი სახელების წარმოქმნის წყაროს არეალი გაცილებით ფართოა საზოგადო სახელების წარმოქმნის წყაროს არეალთან შედარებით, ბუნებრივია, რომ მათში გამოხატულ ენობრივ მოვლენათა არეალიც ფართო უნდა იყოს (სუპერანსკაია, 1969: 205).

7. საზოგადო სახელით გამოხატული საგანი განუსაზღვრელი და შეუზღუდავია. საკუთარი სახელით გამოხატული საგანი განსაზღვრულია და მკვეთრად გამიჯნული სხვებისაგან. თავად მრავალჯერ გამოყენებული ფართოდ გავრცელებული საკუთარი სახელები, რომლებიც სხვა ადამიანების აღსანიშნავად გამოიყენება, ყოველთვის ინდივიდუალურად გამოიყენება. საკუთარი სახელების გამოყენების ეს ინდივიდუალურობა და დასახელებული პირის მკვეთრად განსაზღვრული ბუნება ხელს უწყობს საკუთარი სახელების სხვა სიტყვებისაგან გამოყოფასა და კლასებში მათ გაერთიანებას (სუპერანსკაია, 1973:71).

8. საზოგადო სახელისაგან საკუთარი სახელი უნივერსალური გამოყენების ტენდენციით განსხვავდება. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას ჩვენ ვცდილობთ, სხვა საზოგადო სახელები გამოვიყენოთ, მაშინ, როცა იმავე საკუთარ სახელს ვიყენებთ, როცა ჩვენს ნაცნობს მივმართავთ, იმის მიუხედავად თუ რა ენაზე ვსაუბროთ. ამგვარად, საკუთარი სახელები საყრდენი ხდება ენათაშორისი კომუნიკაციის დროს და ასევე უცხოური ენების შესწავლისას და ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას. ისინი ენათაშორისი, კულტურათაშორისი ხიდის ფუნქციას ასრულებენ (ერმოლოვიჩი, 2001:3).

საკუთარი სახელები, საერთაშორისო ლექსიკას წარმოადგენს, რომელსაც უნარი აქვს ერთი ენიდან მეორე ენაში, ერთი დიალექტიდან მეორეში ისე გადავიდეს, რომ არ შეიცვალოს გარეგნული გაფორმება, რითაც ისინი საწყისს ენაში ფუნქციონირებენ. ნასესხები სიტყვა უცხოურ ენაში ამ ენის წესებსა და ნორმებს ეგუება და შემდეგ

ფორმდება ფონოლოგიურად და მორფოლოგიურად. ასე ხდება ის სრულუფლებიან სიტყვად, რითაც მკვეთრად განსხვავდება საზოგადო სახელისაგან. ის, რომ ონიმები საერთაშორისო ლექსიკას განეკუთვნება, სესხების ფაქტით აიხსნება (მათი თარგმნა იშვიათად ხდება ერთი ენიდან მეორეზე) (სუპერანსკაია, 1973: 3).

ტექსტის ლინგვისტური ტრანსფორმაციისას (თარგმანი) და დენოტატის ექსტრალინგვისტური ტრანსფორმაციისას ონიმას, ყველაზე მაღალი ხარისხის მდგრადობა ახასიათებს (გემის სახელი მისი გარემონტების შემდეგაც უცვლელი რჩება, ასაკის მიუხედავად ადამიანის სახელი მაინც უცვლელია) (სტაროსტინი, 1978: 27-28).

ენათმეცნიერები იმაზე მიუთითებენ, რომ საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის საფეხურებრივი დამოკიდებულებაა და შეუძლებელია ამ კლასებს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება. ყველა საკუთარი სახელი როდი შეიძლება ერთნაირად დავუპირისპიროთ საზოგადო სახელს, რადგანაც მათ შორის არსებობს ურთიერთგადასვლის განსაზღვრული გრადაციები. მათ შორის მჭიდრო ნათესაური კავშირი ვლინდება არა მარტო მათი ურთიერთგადასვლით, არამედ მათი აზრობრივი სტრუქტურების ერთობლიობით. ურთიერთგადასვლის უნარი მთელი რიგი მიზეზებით აიხსნება:

- 1) ყველა საკუთარი სახელი საზოგადო სახელისაგან წარმოიქმნა;
- 2) სემანტიკური თვალსაზრისით, საკუთარი სახელი არ წარმოქმნის კომპაქტურ და ჰომოგენურ ლექსიკურ კლასს. საკუთარი სახელების შიგნით მოცემულია კატეგორიები, რომელთაც „სახელდების“ განსხვავებული ხარისხი აქვთ.
- 3) ეს გადასვლები დაკავშირებულია სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლასთან, უსულო არსებითი სახელების სულიერზე გადატანასთან, სიტყვათა ახალი მნიშვნელობის წარმოქმნასა და მათ ომონიმებად დაყოფასთან. დისკუსია ამასთან დაკავშირებით ახლაც გრძელდება (ბულახსკი, 1953: 102; რეფორმატსკი, 1967: 64; ტოპოროვი, 1962: 7; კორტუნოვი, 2004: 95).

1.4. საკუთარი სახელის მნიშვნელობის პრობლემა

ლინგვისტიკაში საუბრობენ სიტყვის სამ მნიშვნელობაზე: ლექსიკური, გრამატიკული, ემოციურ-ექსპრესიული (შარაშოვა, 1968:9). საკუთარი სახელის ლექსიკური (ონომასტიკური) მნიშვნელობის ლინგვისტური თეორიის შემუშავება მე-20-ე საუკუნეში დაიწყო ო.იასპერსენის, ლ. შჩერბას, ე.კურილოვიჩისა და სხვათა ნაშრომებში. სიტყვის თანამედროვე თეორიის თანახმად, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა მისი შინაარსია, რომელიც გონებაში აისახება და მის წარმოდგენაში რაიმე საგანს, მოვლენას, პროცესს და სხვ. უკავშირდება. სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში სემანტიკური თვალსაზრისით დენოტაციური და სიგნიფიკაციური ასპექტები გამოიყოფა (ლელი, 1990:262). სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისათვის მნიშვნელოვანია მისი ცნებასთან კავშირი და ამ კავშირის მეშვეობით სინამდვილის საგნებთან კავშირი. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ საზოგადო სახელები ცნებებს უკავშირდება, რაც საკუთარ სახელებს არ გააჩნია. სხვები კი ფიქრობენ, რომ საკუთარი სახელის მნიშვნელობას დიაქრონულად უნდა მივუდგეთ, რადგანაც გენეტიკურად ისინი საზოგადო სახელები იყო, მათ გადატანითი, კონოტაციური მნიშვნელობების განვითარების უნარი აქვთ, რითაც შეუძლიათ საზოგადო სახელის კატეგორიაში გადავიდნენ (ერმოლოვიჩი, 2001: 11).

საკუთარი სახელის სემანტიკის ასეთმა სირთულემ საკითხისადმი სხვადასხვა მიდგომის წარმოქმნით, ონიმას ურთიერთგამომრიცხავი კონცეფციები წარმოშვა. ზოგი ავტორი ირწმუნება, რომ საკუთარ სახელებს მნიშვნელობა არა აქვთ, ზოგს მათი მნიშვნელობა არასრულფასოვნად მიაჩნია და მას ინფორმაციულ პლანში მოიაზრებს, არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ საკუთარ სახელებს უფრო შინაარსობრივი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე საზოგადო სახელებს. ამგვარად, საკუთარი სახელების მნიშვნელობის შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი კონცეფცია არსებობს: სემანტიკურობისა და ანტისემანტიკურობის კონცეფციები.

1. ანტისემანტიკურობის კონცეფციის თანახმად, საკუთარ სახელებს არ გააჩნია მნიშვნელობები. ესენია: იარლიყები, ეტიკეტები, „ჰიპერტროფირებული ნომინაციის

მქონე სიტყვები“ (ო. ახმანოვა, ა. მარტი, ა. რეფორმატსკი, ა. უფიმცევა და სხვ.). ეს თეორია გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი სიტყვის მნიშვნელობაში ცნებასთან კავშირს ვიგულისხმებთ. არ არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც არაფერს აღნიშნავენ. საკუთარი სახელებისადმი ასეთი მიდგომა, მათი სემანტიკის განსაკუთრებულ ბუნებას, ნაციონალურ-ენობრივ სპეციფიკასა და კულტურულ-ისტორიულ ინფორმაციას არ ითვალისწინებს, რომელიც ამ კლასს საფუძვლად უდევს როგორც ნებისმიერი ენის ლექსიკო-სემანტიკური სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი (ბელიაევი, 2001:22). ამ კონცეფციაში იგნორირებულია ის ფაქტი, რომ დასახელებული საგანი, ყოველთვის იმავე სახეობის საგნებთან და ასევე მსგავსი ან განსხვავებული საგნების სხვა ტიპებთანაა დაკავშირებული. სწორედ აქ ვლინდება მოაზროვნე ადამიანის შემეცნებითი საქმიანობა და რეალური კუმულაციური (დაგროვირებითი) ფუნქცია (ლეონოვიჩი, 2004:192). ბევრი მეცნიერი ონიმას კონტექსტის გარეშე, ცოცხალი მეტყველებიდან მოწყვეტით განიხილავს. ისინი ამას იმით ხსნიან, რომ სახელის მიერ დასახელებული საგნების მახასიათებელ ნიშნებთან კავშირი თანდათანობით ქრება, იწყება სახელადი სისტემების მოძველება (ტროსტი, 1958: 868).

2. სემანტიკურობის კონცეფციაში, საკუთარ სახელებს მნიშვნელობა უფრო მეტი ხარისხით გააჩნია, ვიდრე საზოგადოს (ა. მარტინე, ა. დოზა, ო. ისეპერსენი, ე. კურილოვიჩი, პ. სიბლოტი, ა. სუპერანსკაია, ლ. შჩერბა და სხვ.)

ა. სუპერანსკაია აღნიშნავს, რომ საკუთარი სახელში ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური პლანების ურთიერთშეხება ხდება. მისი მნიშვნელობა საკმაოდ კომპლექსურია, რომელშიც სიტყვის მონაცემები დასახელებული საგნის მონაცემებშია გადახლართული (სუპერანსკაია 1989:7). სიტყვის მნიშვნელობის ლინგვისტური მხარე სახელდების განსაკუთრებულ მოტივებს გულისხმობს: ენაში სიტყვის არსებობის სპეციფიკას, ასევე მის აღქმას, სიტყვის ისტორიას, მისი ფუძის ეტიმოლოგიას. საკუთარი სახელის მნიშვნელობის ექტრალინგვისტური ასპექტი როგორც საზოგადოებაში სახელის არსებობის განსაკუთრებულ პირობებს, ასევე კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებს, ობიექტის და მისი სახელის პოპულარობის ხარისხს გულისხმობს. ო. იასპერსენის აზრით, საკუთარი სახელები ნიშან-თვისებათა

ყველაზე მეტ კონოტაციას ახდენენ, რადგანაც უნარი აქვთ კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული სხვადასხვა ასოციაციები გამოიწვიონ (იასპერსენი, 1958:71). ვ.ბლანარი ფიქრობს, რომ ონიმას მნიშვნელობა მის ონომასტიკურ მნიშვნელობაშია (ბლანარი, 1971: 51).

ამგვარად, მოცემულ კონცეფციაში ენობრივი მნიშვნელობა დენოტატის შესახებ ენციკლოპედიურ ინფორმაციას ერევა. ნ. ტოლსტოი წერდა: „საკუთარი სახელი შეიცავს ისეთ ინფორმაციას (შინაარსს), რომელიც ყველასათვის ერთნაირი როდია, რომელიც არ უნდა შეგვეშალოს სემანტიკურ მნიშვნელობაში (ტოლსტოი 1970: 200). ენაში საკუთარი სახელები ზოგად ცნებებს გამოხატავენ, მეტყველებაში კი, კონკრეტულს. ენაში საკუთარი სახელების ზოგადი მნიშვნელობა ფუნქციურად განპირობებული ონომასტიკური მნიშვნელობაა, რომელიც ზოგად ცნებას, საკუთარი სახელების განსაზღვრულ კატეგორიას ახასიათებს. მეტყველებაში კი, საკუთარ სახელებს ერთეული ცნება მიესადაგება, რომელსაც საფუძვლად კონკრეტულ დენოტატთან კავშირი უდევს (შჩეტინინი, 1961:10). საკუთარ სახელში ერთეული მნიშვნელობაა მთავარი, თუმცა ის ასევე ზოგად მნიშვნელობასაც აღნიშნავს. მაგალითად: „პარიზი“, მითითებულია კონკრეტული სახელი, მაგრამ ის გულისხმობს ასევე ზოგად ცნებებს: ქალაქი, დასახლებული პუნქტი.

საკუთარი სახელების ენციკლოპედიური მნიშვნელობა, რომელიც დროისა და ადგილის შეზღუდულ ფაქტორებს შეიცავს, შედგება ზოგადისა და ინდივიდუალური მნიშვნელობებისაგან. ზოგადი მნიშვნელობა იმაზე მიუთითებს, რომ სიტყვა განსაზღვრულ ონომასტიკურ ველს განეკუთვნება, ინდივიდუალური კი დენოტატს ონომასტიკური ველის შიგნით გამოყოფს. საკუთარი სახელების ზოგიერთი კატეგორიისათვის შეიძლება სოციალური ველი გამოვეყნოთ. ესენია: პიროვნების აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც განისაზღვრება დროით, პროფესიით, ადგილმდებარეობით, ემოციური შეფერილობით, სტილისტური მიმართებით. ზოგადი მნიშვნელობა ობიექტურია, ხოლო ინდივიდუალური-სუბიექტური, რადგანაც ის კომუნიკაციის პროცესში ინდივიდის სოციალურ მდგომარეობაზე, მის სიმპათიაზე, გემოვნებასა და თვით ხასიათზეა დამოკიდებული (ბელიაევი, 2001:57).

ჩვენი აზრით, საკუთარ სახელს მნიშვნელობა როგორც ენაში, ისე მეტყველებაში გააჩნია. ასეთი მიდგომა სარწმუნოა, რადგანაც ის ენისა და მეტყველების დონეზე ითვალისწინებს ერთი მხრივ, საკუთარი სახელების სემანტიკაში, ზოგადისა და ცალკეულის, კონკრეტულისა და აბსტრაქტულის, სოციალურისა და ინდივიდუალურის დიალექტიკურ კავშირს, მეორე მხრივ, დენოტაციურის, სიგნიფიკაციურისა და კონოტაციური შინაარსის არაერთგვაროვნებას საკუთარი სახელების განსხვავებული თემატური კატეგორიების სემანტიკაში (ზახაროვა 2004: 7). ამ დროს გამოიყოფა საკუთარი სახელების სხვადასხვა დონეები, მაგალითად, ონიმას კულტურულ-ისტორიული სემანტიკის დონე, სოციალური და რეალურ-ენციკლოპედიური ხასიათის ეგრეთ წოდებული „ფონური ცოდნა“ (ფონიაკოვა,1990:23).

ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნები:

1) ყველა საკუთარ სახელს საგნობრიობის მნიშვნელობა გააჩნია; 2) ონიმთა უმრავლესობა საგნების რაღაც კლასს აღნიშნავს, რომელთა შორის ერთი საგანი განსაკუთრებული ნიშნებით გამოიყოფა. ეს საგნები დაკავშირებულია ცნებებთან „ადამიანი“, „ტერიტორიული ობიექტი“ და ა.შ.. 3) საკუთარი სახელები ინფორმაციას გადმოსცემენ საგანსა და მის თვისებებზე, რომლებიც ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებში ვარირებს.

ამგვარად, საკუთარი სახელის მნიშვნელობაში უნდა გამოვყოთ სულ ცოტა ოთხი კომპონენტი: ყოფაცხოვრებითი, მაკლასიფიცირებელი, ინდივიდუალობის, მახასიათებელი. ყოფაცხოვრებითი კომპონენტი მიუთითებს დენოტატის არსებობასა და საგნობრიობაზე. მაკლასიფიცირებელი კომპონენტი მიუთითებს იმაზე, რომ საგანი მიეკუთვნება გარკვეულ კლასს (სახელის დენოტატს). მაგალითად: ანთროპონიმების დენოტატები ადამიანებია, ტოპონიმების დენოტატები კი, კონტინენტები, ოკეანეები, ზღვები, ქვეყნები, ქალაქები, ქუჩები და ა.შ. ინდივიდუალობის კომპონენტი მიუთითებს მოცემული სახელის იმ განსაკუთრებულ დანიშნულებაზე, რითაც მოცემული ზოგადი დენოტატის ფარგლებში სპეციალური რეფერენტის სახელდება ხდება. მაგალითად: „ქალაქი, რომლის არსებობის შესახებ ინფორმაცია გადმოვეცით, იწოდება „ტულუზად“.

მახასიათებელი კომპონენტი მიუთითებს რეფერენტის თვისებების ერთობლიობაზე, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მოსაუბრეები მიხვდნენ თუ ვისზეა ან რაზეა საუბარი. მაგალითად: „ტულუზა“ შეკვეცილი ინფორმაციაა: „ეს ქალაქი მდებარეობს სამხრეთ საფრანგეთში“.

საკითხი საკუთარი სახელის მნიშვნელობის შესახებ თეორიულ ინტერესს იწვევს. ის ძალზე აქტუალურია კულტურათაშორისი და ენათაშორისი კონტაქტების დონეზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი სახელები ადვილად გადაკვეთენ ენათაშორის ბარიერებს, თუმცა საკუთარ გარეგნულ ფორმას მშობლიური ენის მიღმა გამოყენების შემთხვევაშიც ინარჩუნებენ. საკუთარი მნიშვნელობის შენარჩუნების გარეშე, საკუთარი სახელები ვერ შეძლებენ ფუნქციონირებას სხვა ენობრივ გარემოში; სწორედ ამ დროს თავს იჩენს გაუგებრობა, ტექსტების არასწორი აღქმა. ამ დროს, მნიშვნელოვანი როლი მთარგმნელებმა და უცხოური ენის პედაგოგებმა უნდა ითამაშონ, მშობლიურ ენასთან შეპირისპირებით.

საკუთარი სახელის მნიშვნელობა სწორად რომ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ თუ რას ან ვის აღნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიკაცია არ იქნება ზუსტი და სრულყოფილი. ასე მაგალითად: ცალკე აღებული სიტყვა „ლონდონი“, აღნიშნავს ქალაქს, მწერალს, შეიძლება ნიშნავდეს ასევე მაღაზიას ან სასტუმროს. იმისათვის რომ გასაგები გახდეს მოცემული საკუთარი სახელი, მას კონტექსტი ესაჭიროება ან კიდევ თავად ობიექტის პირდაპირი მითითება: სასტუმრო „ლონდონი“.

მხატვრულ-ლიტერატურულ კონტექსტში მოხვედრისას, საკუთარი სახელი დამატებით ინფორმაციას იძენს, რის შედეგადაც ჩნდება ეგრეთ წოდებული „მოსაუბრე“ სახელები. „მოსაუბრეა“ სახელი, როდესაც მისი ეტიმოლოგიის გაცოცხლება, შიდა ფორმის ხელახალი რეალიზება ხდება. მაგალითად: **Mademoiselle Nitouche-toucher** ნიშნავს „ხელის ხლებას“. საკუთარი სახელების გამჭვირვალე ეტიმოლოგია კონტექსტში ავტორის წყალობით რეალიზდება. მას უჩნდება სურვილი გააძლიეროს ონიმაში ერთი ელემენტი, რაც საკუთარი სახელის როგორც მაღალეფექტურ სტილისტურ ხერხად გამოყენების საშუალებას იძლევა (ანდრეევა, 1965:4).

1.5. ონომასტიკის ტიპები და მათი დეფინიცია

ა. სუპერანსკაიამ ონომასტიკური მასალის კლასიფიკაციის ტიპები შემოგვთავაზა, რომლებიც სრულიად ამომწურავია. საკუთარი სახელების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1) დასახელებულ ობიექტთან კავშირით (ანტროპონიმები, ტოპონიმები, ზოონიმები, ფიტონიმები და ა.შ.); 2) ონიმას წარმოქმნის ხერხით (ხელოვნური და ბუნებრივი); 3) ობიექტის სიდიდის, ადამიანის ცხოვრებაში და ობიექტების და მათი სახელწოდებების ცნობით (მიკრო, მაკრო); 4) ნომინაციის სტრუქტურით (მარტივი, ნაწარმოები, რთული და ა.შ.); 5) ნომინაციის ქრონოლოგიით (ქრონოლოგიური ასპექტი საკუთარი სახელების ყველა კატეგორიას ახასიათებს. ამ დროს თითოეული ეპოქა თავის ტიპურ მოდელსა და მორფო-დანამატს გვაძლევს); 6) მოტივაციითა და მასთან დაკავშირებული ეტიმოლოგიით (მოტივირებული/არამოტივირებული); 7) საკუთარ სახელებთან დაკავშირებული ცნებების მოცულობით; 8) ენისა და მეტყველების დიქტომიური კავშირით (ოკაზიონალური, უზუალური); 9) საკუთარი სახელების სტილისტიკისა და ესთეტიკით (საზეიმო, რელიგიური, კულტთან დაკავშირებული, საკრალური, საერო, ოფიციალური და არაოფიციალური, მეიორაციული, პეიორაციული, მემორიალური და ბანალური).

ყველა ზემოხსენებული ნიშან-თვისება ნებისმიერ სახელს გააჩნია და ამიტომ, შეიძლება მათ მახასიათებლებად გამოვიყენოთ. ზოგიერთი მათგანისათვის შეიძლება ერთი ტიპის მახასიათებელი იყოს აქტუალური, მეორისათვის მეორე. აღნიშნული მახასიათებლები მრავალფეროვანია. ზოგი ლინგვისტური ხასიათისაა, ზოგი ლოგიკური, ისტორიული, სოციალური თუ ფსქიოლოგიური, მაგრამ ყველა მათგანი თავის ასახვას ონომასტიკაში პოულობს. ა. სუპერენსაკაია აღნიშნავს, რომ მასალისადმი მიდგომა, კვლევა და ასევე მოცულობა განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, თუ რომელ განსაზღვრულ ენას, ტერიტორიას, ქრონოლოგიურ მონაკვეთს და ა.შ. მიეკუთვნება სახელწოდება (სუპერენსაკაია, 1973: 159). მოცემული კვლევისათვის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ის კლასიფიკაცია, რომელიც დასახელებული ობიექტების ბუნებასთანაა დაკავშირებული.

მოცემული კვლევა ეძღვნება ონომასტიკური ლექსიკის კვლევის ერთ-ერთ ასპექტს-ტოპონიმებს. ტოპონიმები სიტყვებია და მათ გააჩნია ყველა ის პარადიგმატული და სინტაგმატური კატეგორიები, რომლებიც აქვთ ზოგადად ენაში სიტყვებს. ტოპონიმები შედის იმ თავისებური ლექსიკონის შემადგენლობაში, რომელსაც „საკუთარი სახელები“ ჰქვია. ტოპონიმის როგორც ონომასტიკის შემადგენელი ნაწილის განხილვა საყოველთაოდაა აღიარებული და არავინ არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ტოპონიმის თეორია ონომასტიკის თეორიისაგან განუყოფელია. ისიც აშკარაა, რომ ტოპონიმები საკუთარი სახელების უბრალო სახესხვაობა კი არაა, არამედ, თავისებური ტიპის საკუთარი სახელებია (ლეონოვიჩი, 2004:16). საკუთარი სახელების კლასში მათი გამოყოფა ხდება განსაკუთრებული ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური პირობებით.

ყოველი მეცნიერება განსახილველი ობიექტის, ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა სისტემაა. ონომასტიკური კვლევა სხვადასხვა ასპექტში ხდება. ონომასტიკას სხვადასხვა მეცნიერთა თეორიებზე დაყრდნობით ვიკვლევთ. ესენია: მ.კრესპო, პ.სპორი, შ.როსტენგი, ა.ვენსანი. მათ გამოყვეს ონომასტიკის შემდეგი ტიპები:

- **აღწერითი ონომასტიკა** მოიცავს, ზოგად ფილოლოგიურ და ლინგვისტურ ანალიზს. იკვლევს სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლებული ერების ენობრივ და კულტურათშორის ურთიერთობებს. სწორედ მარტივი ინდივიდუალიზაციის განმსაზღვრელი ონიმა ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე ადგენს სახელდების ენობრივ სტრუქტურის კავშირს დიალექტებთან. აღწერითი ონომასტიკა განიხილავს როგორც სინქრონულ, ასევე დიაქრონულ ონიმებს.

- **თეორიული ონომასტიკა** (მენიერ-კრესპო, 1998:67) მოიცავს ონომასტიკური სისტემის ფუნქციონირების საერთო პრინციპებსა და კანონებს. არკვევს, თუ როგორ მოხდა სახელდების ჩამოყალიბება, მოხდა თუ არა ცვლილება ეპოქალურ განვითარებასთან მიმართებით.

- **სახელდების ონომასტიკა** არკვევს სიტყვის სახელდების საბაზს, მიზეზს, თუ რომელმა ისტორიულმა ფაქტმა, გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ, ან კიდევ

რელიგიურმა რიტუალმა შეუწყო ხელი სახელდებას. მას პირობითად, შესაძლებელია ეტიმოლოგიური ონომასტიკა ვუწოდოთ.

- **მხატვრულ ნაწარმოებთა ონომასტიკა ანუ ესთეტიკური ონომასტიკა** გულისხმობს კულტურულ ასპექტს, ხელოვნებაში არსებულ სახელდებებს. ნებისმიერი ტიპის სახელს, რომელიც მოცემულია ნაწარმოებში, განსაზღვრავს პერსონაჟს (ესმერალდა, კვაზიმოდო), ისტორიულ ფაქტს (კრწანისის ბრძოლა, დიდგორის ბრძოლა), თუ ქალაქის სახელწოდებას (თბილისი, პარიზი).

- **ისტორიული ონომასტიკა** გულისხმობს ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებულ ისტორიულ სახელებს, მითებსა და ბრძოლებზე, ისტორიულ ფაქტსა და გმირებზე დაყრდნობით წარმოებულ სახელებს. კავშირს სიტყვათწარმოებასა და ისტორიას შორის.

- **ეთნიკური ონომასტიკა** გულისხმობს ეთნიკური დაჯგუფებებისა და ეროვნების წარმოშობა-განვითარებას. ის უფრო ახლოსაა აღწერით ონომასტიკასთან, იკვლევს ტომთა მიგრაციასა და კულტურათშორის ურთიერთობებს. დღესდღეობით ონომასტიკა განიხილება არა მარტო როგორც ლექსიკოლოგიის ნაწილი, არამედ როგორც უკვე ვახსენეთ მას მჭიდრო კავშირი აქვს სხვადასხვა მეცნიერებასთან (ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, ეთნოგრაფია, მითოლოგია) და მისი კვლევა მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს.

ონიმების წარმოშობასა და ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სხვადასხვა ასპექტების განვითარება და ურთიერთმიმართება. ამრიგად კვლევის შემდეგ ონომასტიკაში გამოიყოფა შემდეგი მეცნიერული ასპექტები: ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული და კულტუროლოგიური (სპორი, 1979:45).

ონომასტიკაში **ლექსიკოლოგიური** ასპექტი მიუთითებს, თუ რომელი ენის ლექსემისაგანაა წარმოქმნილი სახელდება. **ლექსიკოგრაფიული** ასპექტი მიმართულია განსაზღვროს ლექსიკურ ერთეულთა ნაერთი, რომლისგანაც მომდინარეობს სახელი. დაადგინოს პირველადია ნომინაცია თუ ნაწარმოებია ლექსემათა შერწყმით.

ფსიქოლოგიური ასპექტი ნომინანტის მსოფლმხედველობას, აზროვნების სპექტრს გამოხატავს. აღნიშნავს, თუ რა ფსიქოლოგიური ფაქტორის ზეგავლენის ქვეშ ხდება ნომინაცია. სახელდება განიხილება ფსიქოლინგვისტურ ჭრილში. ეს ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი მახასიათებელია.

ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტი იმაში ვლინდება, თუ რამდენადაა დამოკიდებული ლექსმათა წარმოშობა ისტორიულ ფაქტებზე, ბუნებრივ მოვლენებსა და გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე.

კულტუროლოგიური ასპექტი ითვალისწინებს ეროვნულ, ეთნიკურ და კულტურულ ფონს, რომლის საფუძველზეც ვითარდება ტოპონიმისა და ტოპოერთული. თითოეული ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ონომასტიკის განვითარებაში. ამრიგად, ონომასტიკა ლინგვისტიკის განსაკუთრებული დარგია, რომელიც მჭიდრო კავშირშია ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. თითოეული დისციპლინის დახმარებით ვლინდება სახელდებული ობიექტის სტრუქტურა, სემანტიკური ველი და ეტიმოლოგია.

სახელდების პროცესის კვლევა სხვადასხვა მეთოდებით ხდება, საბოლოოდ კომპლექსური მუშაობა სასურველ შედეგს იძლევა. რაც შეეხება ონომასტიკური მეცნიერების კვლევას ფრანგულ და ქართულ ენებში, იგი აქტუალურია როგორც ფრანგი, ისევე ქართველი ენათმეცნიერებისათვის, რომლებიც აღწერით და თეორიულ ონომასტიკაზე დაყრდნობით ონიმების სტრუქტურულ-სემანტიკურ, თუ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობებს იკვლევენ, რაც ხელს უწყობს ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგების ღრმად შესწავლას. ის მნიშვნელოვანია ასევე ისტორიკოსებისათვის, გეოგრაფებისათვის, რომელთა კვლევის საგნის ერთ-ერთი შემსწავლელი წყარო ისტორიული ან ეთნიკური ონომასტიკაა.

ყველაზე დიდ მნიშვნელობას თანამედროვე ენათმეცნიერებაში მხატვრული ონომასტიკა იკავებს, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტები თუ ლიტერატურათმცოდნეები მოიხსენიებენ როგორც **ესთეტიკურ** ონომასტიკას. ეს მხატვრული შემოქმედების სიმრავლემ და მრავალფეროვნებამ განაპირობა. თითოეული მწერალი ახალი მიმდინარეობით, ჟანრითა და სტილისტური ხერხით შემოდის ლიტერატურულ სივრცეში, რაც ხელს უწყობს მის დამკვიდრებას.

სხვადასხვა ონომასტიკური მიმდინარეობები, თავისი მრავალმნიშვნელოვანი ონომასტიკური ლექსიკით დიდ როლს ასრულებს მხატვრული ნაწარმოების შექმნასა და ავტორის ჩანაფიქრის მიზნობრივ განხორციელებაში. ავტორი ქმნის პერსონაჟს, ტერიტორიას, ფაქტს, საგნებს, რაც ეფექტურს ხდის შემოქმედებას და მათებს კოგნიტიურობას, მეტაფორულ თვისებებს (გალპერინი, 2002:76).

ონომასტიკური ონიმები ასოციაციურ ფონს ქმნიან, რომლებიც შემოქმედის მთავარ აზრს გამოხატავენ. საკუთარი სახელები ლიტერატურას ყოველთვის თავისებურ სახასიათო კოლორიტს უქმნის, ხშირ შემთხვევაში სწორედ ლიტერატურაში არსებული სახელებით გადმოსცემს ავტორი საკუთარ სათქმელს - იყენებს როგორც ლიტერატურულ ხერხს, რაც ნაწარმოებს ექსპრესიულობას მატებს. შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური ონომასტიკა ერთ-ერთი გასაღებია ლიტერატურაში, რომელიც მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს.

მხატვრულ ნაწარმოებში სემანტიკასა და სიმბოლიკას ონომასტიკური ონიმები განაპირობებს, რომელსაც მწერალი სხვადასხვა სახით გადმოგვცემს - (პერსონაჟი, ტერიტორიული სახელდება, საგნის ნომინაცია).

ესთეტიკური ონომასტიკა ავტორისეულ მსოფლმხედველობის ბაზაზე ყალიბდება. ნაწარმოებში ავტორი ხშირად გადმოგვცემს გარემოებას, პერსონაჟებს, სამყაროს, რომელიც ზოგჯერ არარსებულია, ზოგჯერ არსებული, მაგრამ მიუღებელი და ყოველივე ამას კოდირებული ონიმებით აღნიშნავს, რომელსაც გადატანითი, კოგნიტიური მნიშვნელობა გააჩნია, თითოეული ონიმა ონომასტიკური უნივერსალია, გააჩნია თუ რომელი კუთხით განვიხილავთ, მისი უნივერსალური არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ნაწარმოების ზეგავლენა, პროტოტიპის ცნება, განწყობის შექმნა, იდეალურის ფენომენი ლიტერატურული ონომასტიკის ერთეულზეა დამოკიდებული (ზინინი, 1960:89/98).

1.6. ონომასტიკური უნივერსალიების არსი და მათი კლასიფიკაცია

დისკურსის დროს სახელდება ვიყენებთ, რომლითაც ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ ამა თუ იმ საგანს, პიროვნებებს, ფაქტებს, ტერიტორიებს, ხოლო

ეტიმოლოგიური კვლევა მათი წარმოშობისა და ეპოქალური ცვლილებების შესახებ გვაძლევს მასალას.

ექსტრალინგვისტურ ასპექტში განხილული საკუთარი სახელები ონომასტიკურ უნივერსალებს წარმოადგენს (ტანგი, 1973:214/226). ონომასტიკური უნივერსალები ონიმების საერთო სემიოტიკურ მახასიათებლებს იკვლევს. ყოველ ენაში ენობრივი კანონები გამოიყოფა, რომლებიც გამოხატვის თვალსაზრისით ადამიანსა და საგანს შორის უნივერსალურ მიმართებაზე მიუთითებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი სახელები ლექსიკის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს, რომლებიც ნებისმიერ მომხდარ ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტს ასახავენ და მკვეთრად რეაგირებენ, ითავისებენ ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებს. ამიტომაც ექსტრალინგვისტური ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ონომასტიკური კვლევის დროს. ონიმების უნივერსალები აღწერს წარსულს და აწმყოს გარემოებებს, რაც ისტორიას, ცივილიზაციას ქმნის. ეს თვისება დამახასიათებელია ყველა ენისათვის, რაც უზრუნველყოფს კულტურული „საგანძურის“ გადაცემას (ბატონიშვილი, 1973:16).

ონომასტიკური ერთეულების კვლევა ექსტრალინგვისტურ ასპექტში, საფუძვლიან ინფორმაციას იძლევა ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, კულტურული თვალსაზრისით. ლინგვისტიკაში კი ლექსიკის კონსერვატიულ ნაწილს წარმოადგენს. ექსტრალინგვისტიკა ენათმეცნიერების ნაწილია, რომელიც შეისწავლის ეთნიკური, სოციალური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების ზეგავლენას ენის განვითარებაზე. ონიმის მიმართება სხვა მეცნიერებებთან, ერთობლივად სახელდების ღირებულებას განსაზღვრავს, შესაძლებელია ონიმა უცვლელი იყოს, მაგრამ სხვადასხვა დისციპლინებთან მიმართებაში შეიძლება სხვა პარალელური მნიშვნელობები შეიძინოს და მას უკვე სხვა ღირებულება ექმნება.

ფერდინანდ დე სოსიურის თანახმად: „ნიშნის ღირებულებაა ის, რაც მას სხვა ნიშნისაგან განასხვავებს“ (სოსიური, 1967:33), ამრიგად, ოიკონიმები განსხვავდება იმ მრავალმნიშვნელოვანი ნიშნებით, რომლებიც ერთი ლექსემის სხვადასხვა კუთხით კვლევის საშუალებას იძლევა. მაგალითად: « **Jeanne d'Arc née à**

Domrémy. Après avoir été reçu par Charles VII à Chinon, elle prit la tête d'une petite armées pour repousser les Anglais hors du pays. Dès qu'elle eut délivré Orléans, les Français reprirent confiance et remportèrent de nombreuses victoires... » (Ruggieri,2011:40)-ქანა დარკი დომრემიში დაიბადა. მას შემდეგ, რაც შარლ VII ორლენელი ქალწული შინონში მიიღო, ის ჯარს სათავეში ჩაუდგა, რათა ქვეყნიდან ინგლისელები გაედევნა. როგორც კი ორლენი გაათავისუფლა, ფრანგები მის მიმართ ნდობით განეწყვენ და საფრანგეთს მრავალი გამარჯვება მოუტანეს.

მოცემულ კონტექსტში ჩამოთვლილია გეოგრაფიული მდებარეობა (**Orléans, Domrémy**), საკუთარი სახელები (**Jeanne d'Arc, Charles VII**), რაც არსებულ ეპოქაში მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს უკავშირდება. ონიმები მოხსენებული რომ არ იყოს ამა თუ იმ ინფორმაციაში, არც ერთი ისტორიული მოლენა დღემდე არ იქნებოდა შემონახული. სახელდებები ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზაში ფუნდამენტურ ფენას წარმოადგენს.

ფრანგულ ენაშიც ვხვდებით იმავე ტიპის ანთროპოპონიმიკურ უნივერსალიებს როგორებიცაა: **Louis XIII** (Les Orléans), **Philippe VI** (Les Valois), **Charlemagne** (Les Carolingiens), **Chlovis** (Les Mérovingiens). ნებისმიერი ისტორიული ფაქტი საკუთარი სახელის გარეშე ისტორიულ ქაოსს წარმოადგენს, რომლის განსაზღვრებაც შეუძლებელია. ბასიანის ბრძოლა 1203 წ, თურქ-სელჯუკთა გალაშქრებაა ქართველი მეომრების წინააღმდეგ. ბასიანი, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაა ქ. არზრუმთან. მოცემულ ისტორიულ ფაქტში, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ონომასტიკურ ონიმას. საკუთარი სახელების გარეშე ნებისმიერი ისტორიული ფაქტის გადმოცემა გაუგებარი და ამოუცნობი იქნება. აღმნიშვნელი - სიტყვა „**ბასიანი**“ ერთდროულად რამდენიმე ტიპის ონფორმაციას გადმოგვცემს. თუ შევხედავთ მას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბრძოლას საქართველოში, სახელდება გადმოგვცემს ისტორიული სახის ინფორმაციას, თუ კი მდებარეობას განვიხილავთ, ნომინაცია გვაწვდის გეოგრაფიული შინაარსის ინფორმაციას და მიგვითითებს, ძველი ძლიერი საქართველოს ტერიტორიულ სიდიდეზე, რომ ადრე, აღნიშნული ტერიტორია, საქართველოს ეკუთვნოდა.

ზოგადად, ონომასტიკური ერთეულები (სახელები) ლექსიკის ბირთვია, არა მხოლოდ ლინგვისტური თვალთახედვით, არამედ ენაში არსებული მრავალმნიშვნელოვნებით, რომლებიც ექსტრალინგვისტურ ასპექტში განიხილება. ნებისმიერი ენის ლექსიკოლოგიაში არსებობს აღმნიშვნელი სახელდებები, რომლებიც სამყაროში არსებულ ნებისმიერ საგანს, ფაქტს ახასიათებს. თითოეულის წარმოშობა და ცვალებადობა დამოკიდებულია სამყაროში მიმდინარე პროცესებზე, ამიტომაც ექსტრალინგვისტური ფაქტორი ონომასტიკური კვლევის ძირითად ნიშანს წარმოადგენს უნივერსალიების კლასიფიცირების დროს. ჩვენს მიერ მოცემული ორივე მაგალითი, ონომასტიკური უნივერსალიის ეკვივალენტს წარმოადგენს, ერთი ონიმა თანადროულად გადმოცემს ეპოქას, გეოგრაფიულ მდებარეობას, პერსონაჟსა და ისტორიულ ფაქტს.

ნომინაციის ძირითადი მოტივების წარდგენა სახელდების საერთო და სპეციფიკური გამოვლინებაა. მოცემული კვლევის შედეგებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ონომასტიკური უნივერსალიების არსებობა და მათი ღირებულება, ორ არამონათესავე ენაში თვისობრივი გამოვლინებაა. ონომასტიკური უნივერსალიების არსებობა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი ენის ლექსიკისათვის. ონიმები, რომლებიც თანადროულად რამდენიმე სპეციფიკის მქონე ინფორმაციას გადმოგვცემს, შესაძლებელია ონომასტიკურ უნივერსალიად ჩაითვალოს. თავისი მრავალფეროვნებითა და კომპლექსური მნიშვნელობებით, საკუთარი სახელები, ოდითგანვე მეცნიერთა, განსაკუთრებით კი ლინგვისტთა, ყურადღებას იქცევდა.

ნომინაციასა და საგანს შორის მჭიდრო, ბუნებრივად განსაზღვრული კავშირი არსებობს, აღსანიშნი აღმნიშვნელის აზრობრივი ეკვივალენტია, მათ შორის „კოგნიტიური მაკავშირებელი ველია“, ონომასტიკური ონიმები ადგენენ კავშირს სიტყვასა და ფორმას შორის (გამყრელიძე, 2008:33). მათ შორის კავშირი ინდექსურია. საგნის ნომინაცია მიზეზ-შედეგობრივი ნიშნით ხდება, ხოლო ლიტერატურაში კი, ეს შესაძლებელია პირობითი იყოს. ამ შემთხვევაში ონიმები სიმბოლოებს წარმოადგენენ. ყოველი ზემოხსენებული კვლევის შედეგად, ლინგვისტები: ს.ზინინი, ბ. ნიკონოვი, ს.ჟანდრონი, შ.როსტენგი, კ.სიბლოტი ონომასტიკურ სახელებს ერთმანეთისაგან შემდეგი ნიშნებით განასხვავებენ:

- ანთროტოპონიმზე, ზოონიმსა და ჰიდრონიმზე დაყრდნობით მიღებული ნომინაციები, მაგალითად: **Saint-Paul**- ფრანგული კომუნაა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში მდებარეობს, ანთროტოპონიმზე აგებული ქალაქის სახელდება, **Salleboeuf**- ფრანგული კომუნაა, რომელიც ჟირონდის დეპარტამენტში, აკვიტანიის რეგიონში მდებარეობს, სახელდება ზოონიმზე აგებული ონიმაა, **საშევარდნე** - პატარა სოფელია შარეულას ხეობაში, რომელიც რაჭაში მდებარეობს, **სადემეტრაო** სოფელია, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში, იმერეთის რაიონში მდებარეობს.

- ონიმის ხელოვნური თუ ბუნებრივი განვითარებით ნაწარმოები ონიმები. მაგალითად: **Lyon**-ბუნებრივი, გეოგრაფიული მდებარეობით განვითარდა, **Briovera** - კელტური ენის გავლენით, **ქუშიანი**-ბუნებრივი ფორმით, **სიღნაღი**-სხვა ეთნიკური ჯგუფის ზეგავლენით.

- ქრონოლოგიაზე დაყრდნობით ნაწარმოები ონიმები. ყოველი ეპოქა მისთვის დამახასათებელ ტიპურ მორფემებს აწარმოებს, ასეთია ის ნომინაციები, რომლებმაც რევოლუციის ან რომელიმე ისტორიული ფაქტის შემდეგ სახელი იცვალეს. მაგალითად, ისტორიული წყაროების მიხედვით, ონიმა **Kaysersberg**-ი (კეისერსბერგი), 1227 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ჰენრი VII-ემ საფრანგეთის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე შეისყიდა. დიდი შრომითა და ძალისხმევით განაგებდა მას წლების განმავლობაში. 1330 წელს, **Kaysersberg**-ი საიმპერატორი ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. 1525 წელს მოსახლეობის უკმაყოფილება კონფლიქტში გადაიზარდა. დაიწყო 30 წლიანი ომი (1618-1648წწ), რომელმაც დიდი ზარალი მოუტანა ქალაქს. მე - 18 საუკუნეში, რევოლუციური მოვლენების დროს, მოხდა ონიმის ცლილება და ჩამოყალიბდა როგორც **Mont-libre**. 1820-1870 წლებში ქალაქი შესამჩნევად განვითარდა, გაიხსნა საფეიქრო ქარხნები, სწორედ ამ დროს მოსახლეობის სურვილით ქალაქს ძველი სახელწოდება **Kaysersberg**-ი დაუბრუნდა. ქრონოლოგიაზე დაყრდნობით ონიმა შემდეგნაირად განვითარდა: **Kaysersberg = Mont-libre = Kaysersberg**. **ოზურგეთი = მახარაძე = ოზურგეთი**, პრე- და პოსტკომუნისტური სახელდება.

- **ესთეტიკაზე და სტილისტიკაზე დაყრდნობით მიღებული სახლედებები:** მემორიალური, საკრალური, ლიტერატურული, რელიგიური, ეთნიკური ონიმები. მაგალითად: **Arc de Triomphe** – ისტორიულ-კულტურული ონიმა, **Saint-Georgies-du-Bois**- რელიგიური, **ქუთაისი**- ეთნიკური მახასიათებელი, **გელათი** - რელიგიური, შესაძლოა მემორიალურ ერთეულადაც მოვიხსენოთ.

ამრიგად, ონომასტიკა დამოკიდებულია ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროზე, სადაც საჭიროა იდენტიფიკაციისა და ინდივიდუალიზაციის გამოყოფა. ონომასტიკური ონიმების კვლევის შედეგად მიღებული მასალა ენაში ისტორიულ მიმდინარეობას, ლექსემის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას დასაბამიდან დღემდე გადმოგვცემს.

ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობების შეჯერების საფუძველზე შევეცადეთ დაგვედგინა ონომასტიკური ტიპები, რომელთა არსებობა გლობალურად ენის ძირითად ნაწილს მოიცავს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ონომასტიკა ერთ-ერთი თანამედროვე, ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც ინტერდისციპლინარულ ჭრილში თითქმის ყველა დარგის მეცნიერების საკვლევ ობიექტს წარმოადგენს.

1.7. ლიტერატურული ონომასტიკა

ონომასტიკური ლიტერატურა გამოიყენება ექსპრესიული მიზნებისათვის, ამდიდრებს და სისტემურობას ანიჭებს ნაწარმოებს. ნებისმიერი კლასიკური შემოქმედების ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობა გაუცნობიერებელი დარჩებოდა ლიტერატურული ონიმების გამოყენების გარეშე. ასე მაგალითად, ყველასათვის ცნობილი ვიქტორ ჰიუგოს “პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი”. თითოეული მკითხველის ცნობიერებაში აღიბეჭდება როგორც პარიზი, ღვთისმშობლის ტაძარი, ესმერალდა, კვაზიმოდო, ან კიდევ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, თავისი უკვდავი გმირებით: ნესტან-დარეჯანი, ასმათი, ტარიელი, ავთანდილი, თინათინი, ტოპონიმებით: არაბეთი, ხატაეთი,

ქაჯეთის ციხე. ონომასტიკური ონიმები ისტორიული ფაქტების მსაზღვრელია და შემოქმედებას ექსპრესიულობას ანიჭებს.

წარმოუდგენელია თითოეული დენოტატი ნომინაციის გარეშე, რადგან თუ გამოვიკლევთ, ლიტერატურაში მოხსენიებულ ნებისმიერ პოეტონიმებს სხვადასხვა ეტიმოლოგიური თუ ლინგვისტური დატვირთვა აქვს. ნაწარმოებში მწერალი არც ერთ სიტყვას არ ახსენებს პირდაპირი ან კოგნიტიური ფუნქციის გარეშე. ძირითადად, აზრს ისინი განაპირობენ (ზინინი, 1960 :164).

სწორი ნომინაცია დადებით ველს უქმნის მკითხველს, მოქმედებს ემოციურ იმპულსებზე, რაც მკაფიოდ აღიბეჭდება ადამიანის ფსიქიკაზე (ფსიქოლოგიურ არეალზე) და დიდი ხნით რჩება მკითხველის მსოფლმხედველობაში. ემოცია თაობიდან თაობას გადაეცემა და ეს ლიტერატურული შემოქმედების უკვდავობას განაპირობებს (უზნაძე, 1998:458/460). ამრიგად, ლიტერატურონიმები ნაწარმოების ჰარმონიულ სისტემურობას ქმნის, აერთიანებს ენდოცენტრულ და ეგზოცენტრულ ნიშნებს (ზახაროვა, 2004:51), რაც ნაწარმოების სრულფასოვნების საწინდარია. მეორე მხრივ, ლიტერატურული ონიმები ისტორიულ წყაროს წარმოადგენს. შესაძლებელია, ნაწარმოებებში მოხსენიებული ფაქტის, გმირის ან ტერიტორიების სახელდებამ რომელიმე საკვლევ მივლენის არსებობის აღმოჩენა განაპირობოს. ისტორიული შინაარსის ლიტერატურული შემოქმედება, რომელშიც არსებული ბრძოლის ან სხვა ტიპის მივლენის მხატვრული აღწერაა, შესაძლოა ისტორიული, გეოგრაფიული, რელიგიური, სოციოლოგიური და ეთნოგრაფიული დისციპლინებისათვის დამამტკიცებელ წყაროდ აღმოჩნდეს.

კომბინირებულ დისციპლინათა თანადროული კვლევა მხოლოდ ლიტერატურული ონომასტიკისათვისაა დამახასიათებელი. ის ხასიათდება რთული და კომპლექსური კვლევის მეთოდებით. ნაწარმოებში მოხსენიებული ლიტერატურონიმები არ შეიძლება მხოლოდ ერთი-პირობითად ლინგვისტური ფაქტორით განვიხილოთ. მნიშვნელოვანია ონიმების ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით კვლევა, რაც ნომინაციის განხილვას სხვადასხვა მეცნიერების ჭრილში განაპირობებს. მაგალითად: **“La guerre franco-allemande, parfois appelée guerre franco-prussienne, opposa le Second Empire français au royaume de Prusse et ses alliés**

(allemands). Le conflit marqua le point culminant. La défaite entraîna la chute de l'Empire français et la perte pour le territoire français de l'« Alsace-Lorraine » (ჭიმარდი, 2010:58). – „საფრანგეთ-გერმანიის ომმა, რომელსაც ხშირად საფრანგეთ-პრუსიის ომად მოიხსენიებენ, დაუპირისპირა საფრანგეთის მეორე იმპერია პრუსიასა და მის მოკავშირეებს (გერმანელებს). კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია. მარცხმა საფრანგეთის იმპერიის დაცემა და ელზასისა და ლოტარინგიის დაკარგვა გამოიწვია“. ომის სახელდება ეთნიკური ონიმების სახელდებითაა განპირობებული, ის ეხმარება კარტოგრაფიას საზღვრების აღდგენაში.

ისტორიული ფაქტის დროს ნახსენები ოიკონიმი მდებარეობის დადგენას ამარტივებს. ისტორიული მოვლენის დროს მოხსენიებული ნებისმიერი ტიპის სახელდებებს დიდი როლი ეკისრება კარტოგრაფიასა და ეთნოსის დადგენაში. შესაძლებელია მსგავსი ნომინაცია, ლიტერატურული ონომასტიკის უნივერსალიად ჩაითვალოს. მაგალითად: “შამქორის ბრძოლა 1095 წლის 1 ივნისი. საქართველოს სახელმწიფო ლაშქრის გაბრძოლება ირანის, აზერბაიჯანის ათაბაგის, აზუბეჯარის წინააღმდეგ“. თუ ნომინაცია “შამქორ”¹-ს (ახლანდელი აზერბაიჯანის მახლობლად) გეოგრაფიულ ჭრილში როგორც ტერიტორიის სახელდებას განვიხილავთ, შესაძლებელია საქართველოს ძველი ტერიტორიული საზღვრები აღვადგინოთ. თუ განვიხილავთ როგორც ისტორიულ ფაქტს, კიდევ ერთი ფურცელი შეემატება საქართველოს ისტორიას, მაგრამ რაც შეეხება ნომინაციას “შამქორი” ლინგვისტური თვალსაზრისით, ის შესაძლოა სიმბოლური, მეტაფორული თვისებებით განვიხილოთ. შესაძლებელია ონიმა “შამ-ქორი” ლექსემა “ქორთან” იყოს დაკავშირებული, თუ დავეყრდნობით ისტორიულ მონაცემებს, საერისთავო საზღვარი შამქორის მინდორზე გადიოდა. სწორედ, შემოსეული მტრის პირველ დარტყმებს არსებულ მინდორზე იღებდა საქართველო, მტერი როგორც “ შავი ქორი” ისე შემოესეოდა ჩვენს სამშობლოს და ანადგურებდა. შესაძლოა ფერს „შავს“ ტკივილის, გლოვის დატირთვა ჰქონდეს, ხოლო „ვ“-ს „მ“-თი ჩანაცვლება უბრალოდ ჩვენამდე მოღწეული ფონეტიკური ფლექსიის ფონზე წარმოქმნილი ცვლილება იყოს.

¹ საქართველოს ისტორია 4 ტომად, პალიტრა L, თბილისი, 2012.

ლიტერატურულ ონიმების შესახებ თანამედროვე ხედვა, საშუალებას იძლევა განვიხილოთ ისინი როგორც ენის უნიკალური გამოვლინება. ლიტერატურული ონიმების სიტყვათწარმოების მოდელები და მათი სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ნიშნები ასაბუთებენ, რომ ნომინაციის კვლევის დროს არა მხოლოდ წარმოშობის არეალი, არამედ სახელდების დიაქრონული ევოლუცია ვლინდება, ანუ ის, თუ რა ისტორიული, გეოგრაფიული, სოციალური თუ კულტურული ცვლილებები განიცადა ქვეყანამ.

მაგალითების საფუძველზე დავინახეთ ონომასტიკური ონიმის მრავალწახნაგოვნება. სახელდება განვიხილეთ, როგორც ლინგვისტური ერთეული, როგორც ტერიტორიული ნომინაცია და როგორც ისტორიული ფაქტი. ამრიგად, კვლევის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ ონომასტიკური ერთეულები – ონიმები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და თან გასდევს საუკუნეების მიჯნას, ზოგჯერ ცვალებადი ზოგჯერ კიდევ უცვლელი და მტკიცე ფორმით, რაც საშუალებას იძლევა ფაქტობრივი ინფორმაციის არსებობას. ონიმა, რომელიც თანადროულად შეიცავს ლინგვისტურ, გეოგრაფიულ, ისტორიულ, ეთნიკურ, კარტოგრაფიულ თუ კულტურულ შინაარსს, შესაძლებელია ონომასტიკურ მოვლენად ვაღიაროთ. ექსტრალინგვისტურ ჭრილში განხილული სახელდება მულტიდისციპლინარულია და ონომასტიკურ უნივერსალის წარმოადგენს (ტანგი, 1973: 304/312).

დასკვნები I თავის მიხედვით

ონომასტიკური ველის კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ონიმების როლი კომუნიკაციაში, ლიტერატურასა და სხვადასხვა დისციპლინებთან მიმართებაში. ონიმის „გარეგანი“ ფორმა სტრუქტურულად მარტივ ან შედგენილ მონოსემანტურ ლექსემას წარმოადგენს, რომელიც სახელის იდენტიფიკაციას ემსახურება, მაგრამ თუ მას ინტერდისციპლინარულ ჭრილში განვიხილავთ, სხვადასხვა მეცნიერებათა კომპლექსური ხედვით, მისი „შინაგანი“ ფორმა მრავალწახნაგოვან „ფიგურად“ წარმოჩნდება, რომელიც მრავალმნიშვნელოვან

ინფორმაციას იძლევა. ონომასტიკური უნივერსალები ერთ სახელდებაში სხვადასხვა ტიპის შინაარსობრივ მნიშვნელობებს აერთიანებენ.

ლიტერატურული ონიმა კოგნიტიურ ველს ქმნის ნაწარმოებსა და მკითხველს შორის, ის პირდაპირია, ზოგჯერ სიმბოლური მიმართულებით აღწერს ამა თუ იმ ნომინაციას და ზუსტი ესთეტიკური დეფინიციით მიაქვს მკითხველამდე, რომელიც ინდივიდუალურ თვისებებს ექსტრალინგვისტურ ასპექტში ასახავს. ონომასტიკური ონიმები, როგორც ინტერფერენციული ფენომენი, შინაარსისა და გამოხატულების ელემენტების განსაკუთრებულ ურთიერთქმედებას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, ონომასტიკა შესაძლებელია შემეცნებით მეცნიერებად ჩავთვალოთ. ეს ის მეცნიერებაა, რომელიც თანადროულად საინტერესოა არა მხოლოდ ლინგვისტებისთვის, არამედ სხვადასხვა მეცნიერთათვის. სახელების ონიმები საწყისს და დიაქრონულად განვითარებულ ლექსემათა კლასიფიკაციას გვაძლევს, ამიტომაც ონომასტიკური მასალა ფუნდამენტური და სანდო წყაროა.

თავი II. ტოპონიმიკის ძირითადი სახეები და მისი კლასიფიკაცია

2.1. ტოპონიმიკა- მეცნიერება გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ

ტოპონიმიკა დედამიწის ენაა, ხოლო დედამიწა წიგნია, რომელშიც კაცობრიობის ისტორია იწერება გეოგრაფიულ ნომენკლატურით (ვორობიევა 1973:7). ნებისმიერი ადამიანი მუდმივად ხვდება გეოგრაფიულ დასახელებებს. წარმოდგენელია ჩვენი ცხოვრება გეოგრაფიული სახელწოდებების გარეშე. ის მუდამ თან ახლავს ჩვენს აზროვნებას ადრეული ასაკიდან. ყველაფერს დედამიწაზე თავისი მისამართი აქვს და ეს მისამართი იწყება ადამიანის დაბადების ადგილიდან. მშობლიური სოფელი, ქუჩა, სადაც ის ცხოვრობს, ქალაქი, ქვეყანა, ყველაფერს თავის სახელი აქვს (მურზაევი, 1982:110). ტოპონიმიკაში აისახება არა მარტო პოლიტიკური, სოციალური და ა.შ. შეხედულებები, არამედ ასევე განსაზღვრული ენობრივი ტენდენციები, სიტყვაწარმოებითი და სიტყვაცვალებადი თავისებურებები (ტომახინი, 1984:84).

ტოპონიმიკა, შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს იკვლევს. სიტყვა ტოპონიმიკა ბერძნული წარმოშობისაა (topos- ნიშნავს ადგილს, ადგილმდებარეობას, ხოლო onoma-სახელს), ონომასტიკის დარგია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს (ტოპონიმებს), მათ ფუნქციონირებას, მნიშვნელობასა და წარმოშობას, სტრუქტურას, გარცელების, განვითარებისა და დროში ცვლილების არეალს იკვლევს. ტოპონიმიკა, ტოპონიმთა ერთობლიობაა, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა: ტერიტორიული (ინგლისის, საფრანგეთის ტოპონიმიკა), ენობრივი (ინგლისური, ქართული ტოპონიმიკა), ქრონოლოგიური (XVIII საუკუნის ტოპონიმიკა) ნიშნებით.

ტოპონიმიკის ზოგად ლინგვისტურ პრობლემებს იკვლევდნენ და იკვლევენ სხვადასხვა მეცნიერები. საფრანგეთში უნდა აღვნიშნოთ ა. დოზა, ჟ. ლემუანი, ბ. ტანგი, მ. ოჟე, პ. ჟოანი, ჟ. ტავერდე, პ. სპორი, კ. ჯონასონი, ა. ვენსანი და სხვ. ხოლო საქართველოში ვახუშტი ბაგრატიონი, თედო სახოკია, ალ. ღლონტი, ალ. ონიანი, ვ. მადრაძე, გ. ბედოშვილი, ნ. ცეცხლაძე, რ.თოფჩიშვილი, გ.ხორნაული, და სხვ.

რუსეთში ი.ვორობიოვა, ვ.ჟუკევიჩი, ტ.მელნიკოვა, ე.მურზაევი, ვ.ნიკონოვა, ა.სუპერანსკაია, ვ. ბელენსკაია, ო. ლეონოვიჩი, გ.ტომახინი და სხვ.

ტოპონიმის როგორც ლინგვისტურ, ასევე ისტორიული და გეოგრაფიული ანალიზის მეთოდებს იყენებს. ეს კი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ტოპონიმის განვიხილოთ როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ლინგვისტიკასთან, საზოგადოების ისტორიასთან გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიასთან. თუმცა ტოპონიმები, რომლებიც საკუთარ სახელებს განეკუთვნებიან, ენის ლექსიკის შემადგენლობაში შედიან და უნდა განვიხილოთ როგორც ლექსიკური შემადგენლობის განუყოფელი ნაწილი. ამიტომ, ტოპონიმის ყურადღების ცენტრში უნდა დარჩეს სწორედ ტოპონიმებისადმი, როგორც სიტყვებისადმი და მათი კომპლექსური ეკვივალენტებისადმი ენათმეცნიერული მიდგომა.

ტოპონიმის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება ენათმეცნიერებაში შედარებით-ისტორიული მეთოდის ჩამოყალიბებას უკავშირდება. პირველი მცდელობა, ტოპონიმები მეცნიერულად შეესწავლათ, იაკობ გრიმს ეკუთვნის, რომელიც ჰესენის (Hessen -ქალაქი, რომელიც გერმანიაში მდებარეობს) ადგილობრივ სახელებს იკვლევდა. დიდი ხნის განმავლობაში ნაშრომების უმეტესობა მიაბიტური, ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაფუძნებული გეოგრაფიული სახელების ახსნა-განმარტებით კმაყოფილდებოდა. მოგვიანებით ჩნდება ნაშრომები, რომლებიც ტოპონიმის როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას ადასტურებენ.

ტოპონიმის განვითარებაში შეიძლება სამი პერიოდი გამოვყოთ: მოსამზადებელი, ახალგაზრდა გრამატიკოსების და ტოპონიმებისადმი სისტემური მიდგომის პერიოდი.

ტოპონიმის განვითარების მოსამზადებელ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) და ახალგაზრდა გრამატიკოსების (XX საუკუნის პირველი ნახევარი) პერიოდებში ხდება წერილობითი ძეგლების საფუძველზე ტოპონიმური მასალის შეგროვება. ამ პერიოდში ძირითადი შრომებია ისტორიული ონომასტიკონები, რომლებიც სახელწოდებების ყველა დადასტურებულ ფორმას შეიცავენ. ამ პერიოდში მოხდა

მდიდარი ტოპონიმიკური მასალის შეგროვება, რაც დღეს ტოპონიმების სხვადასხვა ასპექტებში ანალიზის დროს შეიძლება გამოვიყენოთ. ტოპონიმისტები დაინტერესდნენ გეოგრაფიული სახელების წარმოშობით, რამაც მეცნიერული ეტიმოლოგიის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ არსებობს კავშირი გეოგრაფიულ სახელებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს შორის. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ტოპონიმებს ცალ-ცალკე იხილავდნენ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად და არ ხდებოდა სახელწოდებების მრავალასპექტური განხილვა.

ბოლო დროს, ტოპონიმიკამ მრავალასპექტური ხასიათი შეიძინა. მეცნიერებს აინტერესებთ უფრო ფართო ხასიათის პრობლემები: 1)ტოპონიმების მორფოლოგიური და სიტყვათწარმოებითი სტრუქტურები; 2)ტოპონიმიკის პრობლემები ზოგადი ენათმეცნიერების პლანში; 3)სოციოლინგვისტური ხასიათის საკითხები; 4)ისტორიულ-ლინგვისტური საკითხები; 5)პრაგმატიკული ასპექტები (კუზიკოვი, 1985:5).

ტოპონიმიკა შეიძლება იყოს ზოგადი და კერძო, დიაქრონული და სინქრონული. კერძო ტოპონიმიკა შეისწავლის კონკრეტული ენის ტოპონიმებს. ზოგადი ტოპონიმიკა კი ავლენს ზოგად კანონზომიერებას, რომლებიც განსხვავებული ენობრივი სისტემების სახელწოდებებს ახასიათებს. ზოგადი და კერძო ტოპონიმიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ასე მაგალითად, ზოგადი კანონზომიერების გამოვლენა ყოველთვის გულისხმობს კონკრეტული ენების ცალკეული ფაქტების ცოდნას. კერძო ტოპონიმიკა, თავის მხრივ, იყენებს ზოგად ტოპონიმიკაზე დაფუძნებულ თეორიულ დებულებებს. დიაქრონული ტოპონიმიკა თვალს ადევნებს ტოპონიმების განვითარებას ენის ისტორიის განსხვავებულ პერიოდებში. სინქრონული ტოპონიმიკა სწავლობს განსაზღვრულ ენობრივ მონაკვეთს. დიაქრონული და სინქრონული ტოპონიმიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია. დიაქრონულ ანალიზს საფუძვლად, ყოველთვის განსაზღვრული სინქრონული მონაკვეთები უდევს, რომელთა შედარების საფუძველზე შეიძლება ტოპონიმიკის დინამიკაში გაგება. თავის მხრივ, სინქრონული განხილვისას ყოველთვის აუცილებელია ევოლუციის მომენტების გათვალისწინება, მაგალითად,

სხვადასხვა ინოვაციების წარმოქმნა და ძველი მოვლენების გაქრობა. ამას გარდა, ბევრი მოვლენა გასაგები ხდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ლინგვისტი მათი წარმოშობის ანალიზს მიმართავს (კუზიკოვი, 1985:4).

ტოპონიმიკური ანალიზის მონაცემები სხვა მონაცემებთან ერთად გამოიყენება რომელიმე ეთნიკური ჯგუფის, ყოფილი ნამოსახლარის, ტერიტორიის განსაზღვრისათვის, ძველი მიგრაციის, მათი საწყისი და საბოლოო პუნქტების გამოსავლენად, მოსახლეობის ადრინდელი დასახლების სიმჭიდროვის დასადგენად და პირველი დასახლებების წარმოქმნის ისტორიის შესასწავლად (პოსპელოვი, 2002:8).

ტოპონიმიკაში ფართოდ გამოიყენება ტოპონიმური სისტემის ცნება. ტოპონიმები ნებისმიერი რაიონისა თუ ოლქის ტერიტორიაზე თავიანთ განსაზღვრულ სისტემას ქმნიან. არსებობს ტოპონიმიკური სისტემის მრავალი განსაზღვრება. ი. ვორობიოვა წერდა: „ტოპონიმიკური სისტემა ტოპონიმების მოწესრიგებულ სიმრავლეს ნიშნავს, რომელიმე ისტორიულად და გეოგრაფიულად განსაზღვრული ტრიტორიის გეოგრაფიული ობიექტების იდენტიფიკაციითა და დიფერენციაციის სოციალური ფუნქციით...“ (ვორობიოვა, 1977: 34-35).

ნ. პოდოლსკაიას აზრით, ტოპონიმიკური სისტემა, მოცემული ეთნოსის, მოცემულ დროში, მოცემულ ტერიტორიაზე ტოპონიმიკური სტრუქტურების მოწესრიგებული ერთობლიობაა მათი ურთიერთქმედების გათვალისწინებით (პოდოლსკაია, 1978:88). განსხვავება დეფინიციაში განპირობებულია იმით, რომ მეცნიერები ტოპონიმიკური სისტემის პარამეტრებად სხვადასხვა ნიშან-თვისებებს მიიჩნევენ. მეცნიერები ენის სისტემური კვლევის განსხვავებულ მეთოდებს გვთავაზობენ. ამ მხრივ საინტერესოა ე.კუბრიაკოვასა და გ.მელნიკოვის მეთოდი. ისინი ენათა სისტემების კვლევის თვალსაზრისით სხვადასხვა მიმართულებებს გამოყოფენ. ესენია: ინვენტარულ-ტაქსონომიური (სისტემების, ქვესისტემებისა და დონეების შემადგენლობაზე წარმოდგენის ქონა); სტრუქტურული (სისტემის შიგნით კავშირი); სტრატეფიკაციული (სისტემის იერარქია); მეტრიკული (მოცემული სისტემის სხვა სისტემებთან შედარება) (კუბრიაკოვა, მელნიკოვი, 1970:43). ტოპონიმიკური სისტემა ტოპონიმებისაგან შედგება, რომლებიც ცალკეულ ჯგუფებში

ერთიანდება. ესენია: ოიკონიმები-დასახლებული პუნქტების სახელწოდებები; ჰიდრონიმები-წყლის ობიექტების სახელწოდებები; დრომონიმები-გზების სახელწოდებები და ა.შ. ტოპონიმიკური სისტემის ელემენტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული რეფერენტული, ეტიმოლოგიური, სტრუქტურული და სემანტიკური კავშირებით.

ტოპონიმიკური სისტემის ყველაზე სრულყოფილი დეფინიცია ა.სუპერანსკაიას ეკუთვნის. ის წერს: „ტოპონიმიკური სისტემა, განსაზღვრული ტერიტორიისა და დროის ტოპონიმების ერთობლიობაა, მათი ურთიერთქმედების გათვალისწინებით, ამ ტერიტორიაზე დასახლებული ერთიანი ენობრივი ფსიქოლოგიით განპირობებული, მათი აზროვნების თავისებური მიმართულებით, გარემოს ერთნაირი აღქმის უნარით, რაც დასტურდება თოთოეულ ტერიტორიაზე საკუთარი ტოპონიმიკური მოდელების არსებობით...“ ტოპონიმიკური სისტემა მკაცრად ტერიტორიულია. ის შეიძლება შეიცავდეს მრავალი ენის ელემენტებს, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ობიექტების სახელწოდებების საფუძველზე ყალიბდება, იმის მიუხედავად თუ რომელ ენას მიეკუთვნება და რა დიალექტური თავისებურებები გააჩნია (სუპერანსკაია, 1986:51).

ა. სუპერანსკაიას თეორია არა მარტო დროულად იქნა ჩამოყალიბებული, არამედ ლოგიკურად ითხოვდა იმას, რომ ტოპონიმების შესწავლა სხვადასხვა მიმართულებით მომხდარიყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმიკური სისტემის კვლევა საინტერესოა არა მარტო ტოპონიმებისათვის, არამედ ზოგადად ლინგვისტიკისათვის.

2.2. ტოპონიმიკური კვლევის ობიექტი

მრავალი ადამიანი ბავშვობიდან სხვადასხვა გეოგრაფიულ სახელს იყენებს, რომლებიც თავისთავად ძალზე მრავალფეროვანია. ბევრი მათგანი ძალზე ცნობილია. მაგალითად: **Paris, La Loire**, თბილისი, ლონდონი, ზოგი შეზღუდულად გამოიყენება. ყველა მათგანი ერთ გეოგრაფიულ ობიექტს ასახელებს, რომლითაც ის სხვებისაგან გამოიყოფა.

წინამდებარე ნაშრომში, ტოპონიმი გამოიყენება როგორც ნებისმიერი ტოპოობიექტის განზოგადებული სახელწოდება. ტოპონიმები ონომასტიკური ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მათი რაოდენობა დიდია ადამიანის მიერ ათვისებულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. მკველვართა გათვლებით გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერი ენის ლექსიკურ შემადგენლობაში არსებულ სიტყვათა რაოდენობას.

ტოპონიმი ნიშანია, რომელიც კონკრეტული ეთნოსის ენის ლექსიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ყალიბდება ენის ძირითადი კანონების მიხედვით და მეტყველებაში მისი ძირითადი წესებისა და ტრადიციების შესაბამისად ფუნქციონირებს (ლეონოვიჩი, 1994:55). ნებისმიერ გეოგრაფიულ ობიექტს თავისი სახელი აქვს, რომელიც მას ადამიანმა მიანიჭა. უსახელო გეოგრაფიული ობიექტების რიცხვი სულ უფრო მცირდება იმის მიხედვით, თუ როგორ აფართოვებს თავის მსოფლმხედველობას კაცობრიობა და როგორ შეიცნობს ჩვენი პლანეტის ზედაპირის გეოგრაფიულ დეტალებს.

ტოპოგრაფიული სახელი თითქმის არასოდეს არ არის შემთხვევითი და მნიშვნელობას მოკლებული. მასში ასახულია ხმელეთისა თუ წყალსაცავის რომელიმე ნიშან-თვისება. მაგალითად, ფრანგული ტოპონიმები ადგილმდებარეობაზე მიუთითებენ: **La Dormoise, la Belle, la Sombre, la Bruyante, l'Augrogne**. ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ტოპონიმებია: **Place Charles de Gaulle, Place Maubert**. ჰაგიონიმები, ანუ წმინდანების სახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმებია: **Saint-Denis, Saintes-Maries-de-la-Mer, Saint-Malo**. სახელები, რომლებშიც მითითებულია პროფესია : **Cordoue**, წარმოებული სიტყვისაგან „**cordonnier**“-მეწაღე. სახელწოდებები, რომლებიც ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეების სახეობების მიხედვითაა ნაწარმოები: **Chevreuse, Louvier, St.Lys**.

ტოპონიმები, რომლებიც ცალკეულ საგნებზე მიუთითებენ და არ ასახელებენ ერთგვაროვანი საგნების კლასს, წარმოადგენენ უკიდურესად ლოკალიზებულ სიტყვებს, რომლებიც ერთეულ გეოგრაფიულ ცნებებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ეს თავისებურებები მათ საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი ავტონომია იქონიონ ენის ლექსიკური შემადგენლობის შიგნით (ლეონოვიჩი, 2004:18).

ადამიანს ძალიან ადრე გაუჩნდა გეოგრაფიული სახელწოდებების შექმნის მოთხოვნილება, ამიტომ ბევრი მათგანი ათასწლეულს ითვლის. წარმოქმნისთანავე, ტოპონიმი დიდ ხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში და თაობიდან თაობას გადაეცემა. ზოგიერთი ტოპონიმი ისე დიდი ხანია არსებობს, რომ თავიანთ შექმნელებზე ათასწლეულობით უფრო მეტ ხანს ცოცხლობს, რითაც შეიძლება ხალხთა განსახლებაზე, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების დონეზე, ძველ დროში არსებულ ადათ-წესებსა და სარწმუნოებაზე ვიმსჯელოთ... (ვორობიოვა,1973:7).

გეოგრაფიული სახელების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ სახელი, რომელიც საზოგადოების განვითარების სოციალური და ისტორიული ფაქტორებით განისაზღვრება, ამავდროულად, მოწოდებულია განსაზღვროს და დაასახელოს ობიექტი. ამგვარად, ტოპონიმი ერთგვარად ადამიანსა და ლანდშაფტის ობიექტს ერთმანეთს აკავშირებს.

გეოგრაფიული სახელების კვლევა დიდ ინტერესს იწვევს და ლინგვისტიკის, პალეოლინგვისტიკის, ძველი პერიოდის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მრავალი საკითხის გადაჭრაში გვეხმარება. ის ასევე ხელს უწყობს გეოგრაფიული ლანდშაფტის თანამედროვე სპეციფიკის გაგებაში, რომელიც ადგილმდებარეობის ტოპონიმიტაა გამოხატული.

ყველა ლინგვისტი აღიარებს იმას, რომ ტოპონიმების ლექსიკური მნიშვნელობა მრავალკომპონენტანია. ვ. ნიკონოვი ტოპონიმის მნიშვნელობაში სამ პლანს გამოყოფს: 1) აპელაციური, ეტიმოლოგიური, ეს იმ სიტყვის მნიშვნელობაა, რომელმაც მოცემული ტოპონიმი წარმოშვა; 2) თავად ტოპონიმიკური მნიშვნელობა გულისხმობს მეტყველებაში ტოპონიმის ფუნქციონირებას; 3) პოსტტოპონიმიკური მნიშვნელობა, ასოციაციაა, რომელსაც ადამიანი ამ ობიექტს გაცნობის შემდეგ სახელს უკავშირებს (ნიკონოვი, 1965:57-61). ასეთ კლასიფიკაციას ეწინააღმდეგება ა.სუპერანსკაია: „ჯერ ერთი, აპელაციური, თუ ეტიმოლოგიური ტოპონიმების მნიშვნელობა შეიძლება ყველა სახელს არ ჰქონდეს და შესაბამისად, ონომასტიკური ნომინაციის უცვლელი კომპონენტები ვერ იქნებიან, ...მეორე, ნიკონოვი ფიქრობს, რომ აპელაციური ტოპონიმიკური მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტით, ბევრ

შემთხვევაში შესაძლებელია მის საწყისს ლექსემამდე დაყვანა, მაგრამ ძალზე იშვიათად შევძლებთ დანამდვილებით მისი მნიშვნელობის განსაზღვრას, და მესამე, მისი აზრით პოსტკოპონიმიკურ მნიშვნელობათა განუსაზღვრელი რაოდენობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი განსხვავდებიან ცალკეული ინდივიდებისათვის და თანაც მათი რაოდენობა არც ისე ბევრია“ (სუპერანსკაია, 1973:12). საწყისი ლექსიკური მასალის სემანტიკა შეიძლება ადვილად გაქრეს სახელწოდებიდან. ამასთან ერთად, საწყისი ლექსიკური მასალის გამოვლენა და კვლევა, რომლებიც საკუთრივ გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოქმნის წყარო გახდა, მეტად მნიშვნელოვანია ტოპონიმიკისათვის. სწორედ, ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ის ნიშან-თვისებები, ის სემანტიკური ფორმები, რომლებიც გეოგრაფიული ობიექტების სახლდებისათვის გამოიყენება (ლეონოვიჩი, 2004:16).

2.3. ტოპონიმების სემანტიკის ფუნქციური ასპექტი

„ფუნქცია ენის ერთეულის დანიშნულება, როლია, რომელსაც ის მეტყველებაში ასრულებს“ (ახმანოვა, 1969: 506). იმისათვის, რომ გეოგრაფიული სახელის ფუნქცია განვსაზღვროთ, საჭიროა გავიხსენოთ ზოგადად თუ რას ნიშნავს სიტყვის ფუნქცია. ასე მაგალითად, ა. რეფორმატსკი ფიქრობს, რომ სიტყვას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს ნომინაციური (სახელდების უნარი) და სიგნიფიკაციური (ცნების გამოხატვის უნარი) (რეფორმატსკი, 1967:58). ბ. გოლოვინი ახსენებს ასევე დეიქტიკურ (საგანზე მითითების უნარი) და ექსპრესიულ ფუნქციებს (გრძნობების გამოხატვის უნარი) (გოლოვინი, 1979:131). თუმცა ტ. მელნიკოვა მიიჩნევს, რომ ბოლო ორი ფუნქცია ფაკულტატურია და აუცილებელი არაა, რომ სიტყვაში იყოს გამოხატული (მელნიკოვა, 1986:35). ამგვარად, სიტყვას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ნომინაციური და სიგნიფიკაციური.

ვ. ნიკონოვი გეოგრაფიული სახელის სამ ფუნქციას გამოყოფს: სამისამართე (ნომინაციური), დესკრიფციული (მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელი

მოტივირებულია) და იდეოლოგიური (ეყრდნობა ეტიმოლოგიურ ფუნქციას, უფრო ხშირად კი პოსტოპონიმიკურ მნიშვნელობას). ავტორისათვის მნიშვნელოვანია ნომინაციური ფუნქცია (ნიკონოვი, 1965:62-63). ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გამოყოფა ყოველთვის როდია შესაძლებელი. გარდა ამისა, იდეოლოგიური ფუნქცია ექსტრალინგვისტურია, რადგანაც ის უფრო საგნის შესახებ ჩვენ ცოდნაში ვლინდება, ვიდრე სახელის ლექსიკურ მნიშვნელობაში.

სამისამართე ფუნქცია საკუთარი სახელისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მისი გაიგივება ნომინაციურთან არ შეიძლება, რადგანაც ობიექტის სახელი შეიძლება გამოვიყენოთ მისი კოორდინატის მითითების გარეშე (მელნიკოვა, 1992:79). ნომინაციური, სოციალური, სამისამართე ფუნქციების გარდა, ტოპონიმები ასრულებენ კიდევ ერთ, არც თუ ისე უმნიშვნელო ფუნქციას. ტოპონიმები შეიძლება განვიხილოთ როგორც ეთნოსისა და ენის ისტორიულ-კულტურული და სივრცობრივ-დროისეული ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპების განმსაზღვრელი, თუკი გავითვალისწინებთ ამ სახელების ეტიმოლოგიას, რუკაზე მათი წარმოშობის ინდივიდუალურ მოტივებსა და ისტორიულ პირობებს, ფონურ ცოდნას. ტოპონიმიკური ეტიმოლოგიის გარდა, აქ არსებით როლს თავად ფონური ინფორმაცია ასრულებს. ტოპონიმები მოცემული ენისა და კულტურის მატარებელთა ფონური ცოდნის განუყოფელი ნაწილია; მათში სარკესავით აისახება მოცემული ხალხის ისტორია, დასახლების ისტორია და მოცემული ტერიტორიის ათვისება. სწორედ ამიტომ, ლექსიკის ამ ნაწილს ყურადღება მიაპყრეს არა მარტო ფილოლოგებმა, ასევე ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა და გეოგრაფებმა (ტომახინი,1984:84).

ა. სუპერანსკაია ფიქრობა, რომ ენაში საკუთარ სახელებს არა აქვთ სპეციფიკური ფუნქციები, რომლესაც სხვა ავტორები გამოყოფენ, რადგანაც ნომინაციის ფუნქცია ავტორის აზრით, თანაბარი ხარისხით ახასიათებს როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებს (სეპერანსკაია, 1973:269). მეტყველების დონეზე შეიძლება გამოვყოთ იდენტიფიკაცია, მისამართი, დეიქსისი, მიმართვა, გამოყოფა, დიფერენციაცია, აღწერა, თუმცა ეს დამოუკიდებელი ფუნქციები როდია, ისინი კომუნიკაციური ფუნქციის თავისებურ მოდიფიკაციას წარმოადგენს. ეს თვალსაზრისი პროტესტს

იწვევს, რადგანაც სიტყვას არ შეუძლია ჰქონდეს კომუნიკაციური ფუნქცია, თუ კი მას დამოუკიდებელი წინადადების სტატუსი არ გააჩნია, რადგანაც სწორედ წინადადება წარმოადგენს კომუნიკაციის მინიმალურ ერთეულს (მელნიკოვა,1992:80).

თუ ზემოხსენებულს შევაჯამებთ, შეიძლება დავამტკიცოთ, რომ არსებითად ტოპონიმის მნიშვნელობა, ერთგვაროვანი ობიექტების კლასის ცნებასთან კავშირია, რომელიც გაშუალებულია ინდივიდუალური გეოგრაფიული ობიექტით; ფუნქციური თვალსაზრისით, ტოპონიმს ნომინაციური და გარკვეულწილად, სიგნიფიკატიური მნიშვნელობა აქვს, ასევე სპეციფიკური, სამისამართე-ჩვენებითი ფუნქცია, რომელიც ტოპონიმისათვის ფაკულტატიურია.

2.4. ტოპონიმის ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხები

ონომასტიკა სხვადასხვა ტიპის ნომინაციათა შემსწავლელი მეცნიერებაა, მსგავსი სახელდებები ერთ კონკრეტულ სეგმენტად ყალიბდება, რათა გაადვილდეს სხვადასხვა ტიპის ნომინაციის მოპოვება. არსებული ლექსემების საფუძველზე, ონომასტიკის ორი ძირითადი სახეობა გამოიყოფა:

- **ანთროტოპონიმისტიკა** (ბერძ. სიტყვაა, ἄνθρωπος –antropos ნიშნავს ადამიანს, ხოლო ὄνομα – onoma-სახელს), ვერბალური ნიშანი/სიტყვაა, რომელიც ინდივის ნომინაციას ემსახურება და კვლევის დროს ისტორიული ფაქტების დადგენას ეხმარება (მენიერ კრესპო, 1998 : 58).

- **ტოპონიმისტიკა** - გეოგრაფიულ სახელთა პირველი და ძირითადი ფუნქცია დედამიწის ზედაპირზე ადგილის მონიშვნაა, თანამედროვე მეცნიერებები ამ დანიშნულებით კოორდინატთა სისტემას ქმნიან, რაც კონკრეტული ტერიტორიის მოპოვებას აადვილებს. ტოპონიმისტიკის კვლევის დროს სამი ძირითადი ასპექტი გამოიყოფა: ისტორიული როგორც ისტორიული პროცესების მართლად გაშუქების წყარო, გეოგრაფიული როგორც ადგილის, დასახლებული პუნქტების, მთების, მდინარეების, ტბების, ზღვების, სახელწოდებები და მათი არეალი, ლინგვისტური როგორც ენის ლექსიკური ერთეული, მათი სტრუქტურული, ეტიმოლოგიური და სემანტიკური ასპექტები. სწორედ სამფაზიან ასპექტში განხილული ტოპონიმები

მნიშვნელოვან ფორმატს იძენენ ინტერდისციპლინარულ ჭრილში, ის თითოეული ზემოთ ნახსენები მიმართულების კვლევის ობიექტია, რაც დასახულ მიზნამდე მისვლას აადვილებს.

ტოპონიმებს არა მხოლოდ მეცნიერებაში, ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში ერთობ დიდი ადგილი უჭირავს. ტოპონიმების გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ყოველდღიური დისკურსი არამედ პრესის, რადიოს ტელევიზიის ინფორმაციის მიწოდება /მიღება.

ტოპონიმები რაოდენობით ბევრად მეტია ვიდრე, მთლიანად ენის ლექსიკა დიალექტიკური შენაკადებით (ლლონტი,1988:210). ონიმთა რაოდენობა ენაში გაცილებით ჭარბობს ლექსიკური ერთეულების ოდენობას. ტოპონიმებში ასახულია ხალხის გონებამახვილობა. თავდაპირველად ადგილს ერთი სახელი ჰქონდა, შემდეგ კი მოხდა მისი სხვადასხვა ნიშნით დიფერენცირება. ონიმის ჩამოყალიბებაში შემთხვევითობა უმნიშვნელო როლს თამაშობს, დაცულია როგორც ენობრივი სისტემის, ასევე გარკვეული ტერიტორიული კანონზომიერებანი. ადგილის სახელწოდება გეოგრაფიულ მდებარეობას, გარემოს, ნიშნებს, კავშირს კერძო დენოტატთან ასახავდა. დღესდღეობით, მეცნიერების ღრმად განვითარების მიუხედავად, შეუძლებელია მაინც ზოგიერთი ტოპონიმის ახსნა. მაგალითად: **Gex, Balan** ორივე კომუნაა, რომელიც ენის დეპარტამენტში მდებარეობს, **Brens, Taix** სოფლებია, რომლებიც ტარნის დეპარტამენტში მდებარეობს. **აძვი** - სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, **დესი** - სოფელი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, **ვახა** - სოფელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მარტვილის მუნიციპალიტეტში, **ინო**-სოფელი, აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში.

თავდაპირველად, ტოპონიმიკური ერთეულები არ მეორდებოდა, ერთი კონკრეტული მდებარეობა ერთი ცნებით აღინიშნებოდა, შემდეგ კი მრავალი ობიექტური მიზეზის გამო მოსახლეობის გადაადგილებით, განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ტომების შეერთება-შეკავშირებით, ბარბარიზმების წარმოშობით, წარმოიქმნა მსგავსი/სეხნია ტოპოერთეულები (ლლონტი, 1988:217). მაგალითად: **Montdorausse, Montfa, Montgey** სოფლებია, ტარნის დეპარტამენტში. **ახალსოფელი**,

სოფელია, კახეთის მხარის ყვარლის მუნიციპალიტეტში. **ახალშენი** - სოფელი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. **ახალციხე**-ახალციხის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. იგივე გზა გაიარა მოცემულმა ტოპოფორმატებმა და დღესდღეობით, მრავალმნიშვნელოვან, სტრუქტურულად მრავალფეროვან სისტემას წარმოადგენს.

ტოპონიმთა სწავლობს მცირე და ფართო მასშტაბის გეოგრაფიულ ნომინაციებს. ქვეყნის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სრული გამოვლინება საისტორიო, სალიტერატურო, საეპიგრაფო წყაროებში, დამოწმებული და ხალხის ხსოვნაში შემონახული ტოპონიმური ტერმინების კვლევა ფართო მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ტოპონიმების კვლევის დროს ვეცნობით, ამა თუ იმ ტომთა გეოგრაფიულ განლაგებას, თავდაპირველ ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობას, ადგილის უძველეს-თავდაპირველ ნომინაციებს (დლონტი, 1988:205).

ჟამთა სვლამ, ტერიტორიის დაყოფამ ტოპონიმის როგორც მეცნიერების გაფართოება მოითხოვა, რადგან ტერიტორიის გარდა, წარმოიქმნა მაღლობები, წყლის საცავეები, მცენარეთა, ცხოველთა სხვადასხვა ჯიშები, რამაც ახალი ნომინაციები წარმოიქმნა და სემანტიკური ნიშნის თვალსაზრისით მათი დაჯგუფება მოითხოვა. ყოველივე ამან კი ტოპონიმის მიკრო მიმართულებად დაყოფა განაპირობა. დედამიწის მთელი ზედაპირი იყოფა სახმელეთო ტერიტორიად და აკვატორიად. ანსხვავებენ ასევე ლანდშაფტს და რელიეფს, რომლებიც შეიძლება იყოს სახმელეთო და წყალქვეშა. რელიეფი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი, ანუ მთები, ბორცვები, დამაკავშირებელი გზებისა და მარშრუტების სახელები, რომლებსაც ონომასტიკა შეისწავლის და შეიძლება ვუწოდოთ დრონომიმები, ხოლო მსხვილი ოლქების სახელებს (გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, ისტორიული), შეისწავლის ქორონიმები (სუპერენსკაია 1973: 186-87).

არსებობს ტოპონიმთა კლასიფიკაცია დასახლებული ობიექტების ბუნების მიხედვით. ესენია:

1. ანთროპონიმთა შეისწავლის ადამიანთა საკუთარ სახელებს.
2. ოიკონიმები – ტერიტორიის სახელდებას.
 - 2.1 ასტონიმები, პოლისონიმები- ქალაქების სახელებს.
 - 2.2 კომონიმები-სოფლის, დასახლებების სახელებს.

3. თეონიმები – ღვთაებათა, წმინდანების სახელებს.
4. ზოონიმები - ცხოველთა სახელებს.
5. ჰიდრონიმები – ნებისმიერი წყლის მასივის სახელებს, რომელიც თავის მხრივ იყოფა ოთხ ნაწილად :
 - 5.1. ოკეანონიმები – შეისწავლის ოკეანის სახელებს;
 - 5.2 პელაგონიმები – ზღვის სახელებს ;
 - 5.3 ლიმნონიმები – ტბის სახელებს ;
 - 5.4 პოტანონიმები – მდინარეების სახელებს.
6. კოსმონიმები - გალაქტიკის თანავარსკვლავედების სახელწოდებებს.
7. ასტრონიმები - პლანეტების სახელწოდებებს.
8. ერგონიმია-ეკონიმიკური, ბიზნეს და სხვადასხვა სახის დაწესებულებების სახელწოდებებს.
9. ეთნონიმები – ტომთა, ეთნიკური ჯგუფის და ერის სახელებს.
10. ორონიმები – მთის, ბორცვის, მასივების სახელებს.
11. ურბანონიმები – ნებისმიერი ობიექტის სახელებს.
 - 11.1 აგრონიმები-მოედნების სახელები
 - 11.2 გოდონიმები-ქუჩების სახელები
12. ფიტონიმები – მცენარეთა სახელებს.

მრავალფეროვანი ონიმები უფრო ზუსტად მიუთითებენ კონკრეტულ საგნებზე. ტოპონიმიკის ვიწრო მიმართულებებად დაყოფა კი მკვლევარს საძიებელი ონიმის მოპოვებას უადვილებს. კლასიფიკაცია ონიმებს კონსტრუქციურ სახეს ანიჭებს.

ტოპონიმთა მრავალასპექტობა მოითხოვს მათ მიმართ კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპების გამოყენებას. ამ პრინციპებს შორის შეიძლება ინტრალინგვისტური (ლინგვისტური) და ექსტრალინგვისტური პრინციპები გამოვყოთ. პირველი პრინციპი ეფუძნება ტოპონიმთა სტრუქტურულ-ენობრივ თავისებურებებს, მეორე კი, ითვალისწინებს არაენობრივ რეალობას, რომელიც ტოპონიმთანაა დაკავშირებული.

შეიძლება გამოვყოთ ტოპონიმთა კლასიფიკაციის შემდეგი ტიპები:

- 1) კლასიფიკაცია ტოპონიმთა ენობრივი წარმოშობის თვალსაზრისით;

- 2) კლასიფიკაცია, რომელიც ორიენტირებულია ენის ისტორიის პერიოდიზაციაზე;
- 3) სტრუქტურულ-სიტყვათწარმოებითი კლასიფიკაცია (კუზიკოვი, 1985:8).

ტოპონიმთა კლასიფიკაციას, მათი ტიპების, აღსანიშნი ობიექტების (დენოტატის) ბუნებისა და ამ ობიექტების ლოკალიზაციის მიხედვით ექსტრალინგვისტური პრინციპი უდევს საფუძვლად.

ტოპონიმების კლასიფიკაცია დასახელებული ობიექტების ბუნების მიხედვით გამოირჩევა მოქნილობითა და ერთიანობით. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ობიექტების რაოდენობა დიდია, მათი მრავალფეროვნება შეიძლება მათი ტიპების განსაზღვრულ რაოდენობაზე დავიყვანოთ. ნომინაციის ხარისხის მიხედვით ა. სუპერანსაკაია ტოპონიმებს ყოფს პირველად ტოპონიმებად, რომლებიც საზოგადო სახელებისაგან წარმოიქმნა და მეორად ტოპონიმებად, რომლებიც სხვა საკუთარ სახელებს უკავშირდება (სუპერანსაკაია, 1967:38-41).

უამრავი მეცნიერი შეეცადა მოეხდინა ტოპონიმების კლასიფიკაცია, მაგრამ ის საერთო ხარვეზი, რაც ამ კლასიფიკაციებს გააჩნია იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლებელია ერთიანი კლასიფიკაცია მოვუძებნოთ მილიონობით განსხვავებულ გეოგრაფიულ სახელს (მურზაევი, 1982:115). მიუხედავად ტოპონიმთა სქემების მსგავსებისა და განსხვავებებისა, მრავალი მეცნიერი საკუთარ შეხედულებას ადასტურებს იმის შესახებ, რომ ტოპონიმიკური კლასიფიკაცია ხშირად სადავო და ურთიერთგამომრიცხავია. ქვემოთ შემოგთავაზებთ ტოპონიმთა განსხვავებული პრინციპებით მიღებულ ყველა არსებული კლასიფიკაციის გაერთიანებულ სქემას:



2.5. კულტურის ასახვა ტოპონიმებში

ონომასტიკაში კულტურა ყველა მიმართულებით აისახება, ამ სიტყვის ფართო და ვიწრო გაგებით, მაგრამ ასახვა განსხვავებულად ხდება. ერთი მხრივ, საკუთარი სახელები ენაში იქმნება და ამ თვალსაზრისით მათთვის მთავარი სულიერი კულტურაა. მეორე მხრივ, საკუთარი სახელები სიტყვების მსგავსად სწრაფად რეაგირებენ არა მხოლოდ სულიერი, არამედ მატერიალური კულტურის ფაქტებზე. ნებისმიერი კულტურა წარმოქმნის საკუთარი სახელების გარკვეულ ტიპს, თითოეულ სიტუაციაში აისახება მოცემული კულტურის მარცვალი (ლეონოვიჩი,

2004:235). საზოგადოება და მისი კულტურა ყოველმხრივ ზემოქმედებს ენაზე, მაგრამ ენაც როდია პასიური საზოგადოებისა და კულტურის მიმართ (ლეონოვიჩი, 2004:235). ნებისმიერ ახალ სახელში თავისებურადაა ასახული ცხოვრება (მატვეევი 1980:10). ენა, რომელიც ეროვნული კულტურის ყველაზე სახასიათო შემადგენელი კომპონენტია, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის ასახავს და გამოხატავს მოცემული ხალხის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ-სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს (ბასილევია, 1990:24).

ტოპონიმი ეროვნული თვითმყოფადობის მატარებელია, მასში ხალხთა ცხოვრების ისტორიული, გეოგრაფიული, ტერიტორიული და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებების პირობების გარდა, ერის ისეთი თავისებურებები აისახება როგორებიცაა ფსიქიკა, რომელიც ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებში, ფოლკლორშია აღბეჭდილი. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოურენოვანი კულტურის შესასწავლად, კერძოდ, უცხოური ენის სწავლისას.

ტოპონიმიკა უფრო მეტად, ვიდრე სხვა ლექსიკური ქვესისტემა, მოცემული ადამიანური კოლექტივის სპეციფიკური კულტურის თავისებურებებს ასახავს. სახელი, როგორც ენის სხვა ელემენტები, საზოგადოებაში ვლინდება და საზოგადოების გარეშე მისი კულტურა არ არსებობს (ლეონოვიჩი, 2004:235). ტოპონიმიკისათვის მნიშვნელოვანია ლინგვისტური ინფორმაცია მის შესახებ, ასევე ექსტრალინგვისტური (ფონური) ცოდნა სახელწოდებისა და იმ ობიექტის შესახებ, რომლის უკანაც ტოპონიმი დგას. „...ნაციონალურ-კულტურული კომპონენტი საკუთარ სახელებს გააჩნია...ადვილი შესამჩნევია, რომ ტოპონიმები უბრალო გეოგრაფიული ტერმინები კი არ არის, არამედ მათ სემანტიკაში აშკარად კულტურული კომპონენტებია მოცემული (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი 1980:170-175).

ფონური ცოდნა, ენის კუმულაციურ (დაგროვებით) ფუნქციას ეფუძნება. ენას აქვს უნარი კოლექტიური გამოცდილების საცავად მოგვევლინოს. მიღებული კოლექტიური გამოცდილება ენობრივი ფორმებით, სიტყვებით, ფრაზეოლოგიზმებით, ენობრივი აფორიზმებით გადმოსცეს. „ენის კუმულაციური ფუნქცია ენაში კულტურის ჩართვასა და ენის ჩართვას კულტურაში გულისხმობს ანუ კავშირს ენასა და კულტურას შორის“ (კოსტომაროვი, 1978:7).

ფონური ცოდნა, რომელიც განსაზღვრული ეთნიკური და ენობრივი კოლექტივის წევრებს გააჩნია, ლინგვოქვეყანათმცოდნეობის კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს. მეცნიერები გამოყოფენ ფონური ცოდნის სამ ტიპს: ზოგადსაკაცობრიო, რეგიონალური, ქვეყანათმცოდნეობითი. ბოლო ტიპი გამოხატავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრს გააჩნია და რომელიც დაკავშირებულია ეროვნული კულტურის ცოდნასთან. ეს ფონური ცოდნა გარკვეულ ენობრივ კოლექტივს აქვს და არ გააჩნია უცხოელებს. მათ ქვეყანათმცოდნეობით ფონურ ცოდნას უწოდებენ.

ტოპონიმები, მოცემული ენისა და კულტურის მატარებელთა ფონური ცოდნის განუყოფელი ნაწილია. მათში სარკესავით აისახება მოცემული ხალხის ენა, მათი მოსახლეობის ისტორია და მოცემული ტერიტორიის ათვისება. სწორედ, ლექსიკის ეს ნაწილი არა მხოლოდ ფილოლოგების, არამედ ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, გეოგრაფების ყურადღებას იპყრობს (ნიკონოვი 1965:4; ტაჩიკვი, 1961:5; ტოპოროვი, 1962:35).

ტოპონიმია გამოირჩევა უჩვეულო სტაბილურობით. როგორც კი სიტყვა ან სიტყვათშეერთება დასახლებული პუნქტის, მდინარის სახელად გადაიქცევა, ის საკუთარი სახელი ხდება. ეს მისი განსაკუთრებული უნარია. შეიძლება გაქრეს ხალხი, მათი ენა, მხოლოდ ტოპონიმი... შეიძლება მეხსიერებას ათასწლეულების განმავლობაში შემორჩეს (სერებრანიკოვი, 1959:36-37). ტოპონიმებმა შეიძლება ფონეტიკური ადაპტაცია განიცადონ, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის ერთი ხალხის მიერაა შექმნილი და სხვა ხალხმა აითვისა. უნდა აღინიშნოს ის, რომ ძალიან ბევრი გეოგრაფიული სახელი მოსახლეობისათვის ერთი ქვეყნის შიგნითაც კი უცნობია. დიდი ქალაქების მაცხოვრებლებმა რეალობაში არსებული ქუჩების, მოედნების, შესახვევების სახელები მხოლოდ 3-5% იციან. ტოპონიმური ლექსიკის ათვისების პროცენტი კიდევ უფრო დაბალია საკუთარი ქალაქისა თუ რაიონის გარეთ (მურზაევი, 1964:24).

ლინგვოქვეყანათმცოდნეობის ამოცანაა ზოგადნაციონალური კულტურის ელემენტების შესწავლა, რომლებიც ლიტერატურულ-ენობრივ სტანდარტში გამოიხატება, რომელიც მთელ ერს ემსახურება (ტომახინი 1980:77). ტოპონიმის

გამოვლენა და აღწერა მოცემული კულტურის წარმომადგენლის ფონურ ცოდნაში შედის. სოციალურად მნიშვნელოვანი ტოპონიმები, რომლებიც მოცემული კულტურის რეალიებს განეკუთვნება, როგორც წესი, გაჯერებულია ისტორიულ-სოციალური პლანის კულტურული კომპონენტებითა და კონოტაციებით.

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე. მასში ასახულია ერის ისტორია, „ის ისეთი ძველი და გამძლეა როგორც თვით ენა“ (დლონტი, 1988:224).

ადამიანთა მყარი ერთობა კონკრეტულ ტერიტორიას უკავშირდება, ცხოვრობს კონკრეტულ გეოგრაფიულ ზოლში და საცხოვრისს კონკრეტული ონიმით აღნიშნავს. ფრანგულ და ქართულ ენათა ლექსიკაში ტოპონიმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თანამედროვე ლინგვისტების ერთ-ერთი კვლევის ობიექტს ენობრივ სისტემაში ტოპონიმები წარმოადგენენ. სტიქიურად თუ გააზრებულად წაროქმნილ ტოპონიმთა რაოდენობა ურიცხვ ერთეულს ითვლის, გამოიყოფა როგორც მცირე ასევე ვრცელი გეოგრაფიული მონაკვეთების ტოპონიმები, რაც განზოგადოების საჭიროებას მოითხოვს და ამის საფუძველზე, თითოეული ლექსემა შესაძლოა ორ სხვადასხვა ჯგუფს მივაკუთნოთ. გამოსახატავი ობიექტების ტიპის მიხედვით მთელი ტოპონიმის შეიძლება დავყოთ მიკრო და მაკროტოპონიმებად. მაკროტოპონიმებად აერთიანებს მსხვილ გეოგრაფიულ ობიექტებსა და სისტემებს, ასევე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს. ისინი ხასიათდება მყარი ფორმების არსებობით და მათი გაფორმება ლიტერატურული ენის წესების გათვალისწინებით ხდება.

მიკროტოპონიმებს განეკუთვნება მცირე გეოგრაფიული ობიექტების ინდივიდუალიზირებული სახელები, ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებები (ტყეების, მდელოების, და ა.შ.) სახელები. ასეთი სახელები, როგორც წესი არ არის დაფიქსირებული გეოგრაფიულ ცნობარებში და იშვიათად გვხვდება წერილობით დოკუმენტებში, მათ შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას აქვს. თითოეულ სოფელში შეიძლება ასეთი ტიპის ათეულობით სახელი ჩავინიშნოთ. მიკროტოპონიმები, რომლებიც ადგილობრივი გეოგრაფიული ტერმინოლოგიით იქმნება, გამოირჩევა არასტაბილურობით, ცვალებადობით,

რომლებიც არამყარ ლექსიკურ შრეს ქმნის აპელაციურ და ონომასტიკურ ტოპონიმიკას შორის. მაკროტოპონიმებისაგან განსხვავებით, მიკროტოპონიმები ენის დიალექტური ფორმების საფუძველზე წარმოიქმნება და მისი ფუნქციონირების სფერო შეზღუდულია მოცემული კილოკავისა თუ დიალექტის გავრცელების მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ მაკროტოპონიმისა, დიდ ქალაქებს შეისწავლის. მაგალითად: **Paris, Lyon, თბილისი, ქუთაისი**, რომელთა კვლევის დროს ვადგენთ ქალაქის ძირითად როლს ქვეყნის ეკონომიკურ, ისტორიულ, სოციალურ განვითარებაში. მაკროტოპონიმია ფართო მასშტაბით ქვეყნის ისტორიას გადმოსცემს, ძირითადი პოლიტიკური თუ ეკონომიური მოვლენა ზოგადად დიდ ქალაქებში მიმდინარეობს, ლიტერატურული შემოქმედების მთავარი დენოტატი ყოველთვის დედაქალაქია ან გათანაბრებული ერთეული, რადგან ცნობილი ფორმა ყოველთვის კონოტაციურ მნიშვნელობას მატებს ონიმას.

მიკროტოპონიმის მცირე და ინდივიდუალური ობიექტების სახელწოდებებია. მაგალითად: **Beaujeu** - კომუნა, რომელიც რონის დეპარტამენტში მდებარეობს, **Marsal**, დასახლებული პუნქტია მოზელის დეპარტამენტში. **Barre**, დასახლებული პუნქტია, რომელიც ტარნის დეპარტამენტში მდებარეობს, **ბუკვეთი, რუხე**, სოფლებია ხევში, ყაზბეგის რაიონში. **ყვირილა** - სოფელი დასავლეთ საქართველოში.

მაკროტოპონიმები საუკუნეებს მიჰყვება და ჩვენამდე, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქვს. მაკროტოპონიმისაში სახელწოდებები მყარი სიზუსტით არსებობს, (უმნიშვნელო ფონეტიკური ცვლილებებით, რაც ენობრივმა განვითარებამ გამოიწვია), სტანდარტულია და შერწყმულია ლიტერატურულ ენასთან. წარმოქმნილი ერთეულები ისეთ დისციპლინებს ეყრდნობა როგორებიცაა ლექსიკოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, რელიგია, კულტურა. ნომინაციის ძირი (ფუძე) სხვადასხვა მეცნიერებების შეჯერებითაა მიღებული, ხოლო მიკროტოპონიმები, ადვილად ქრება და ბუნდოვანია. მათი ადგილზე მოძიება, დაფიქსირება, მოტივაციების კვლევა, ეტიმოლოგიების დადგენა, საინტერესო და აუცილებელია ეროვნული ბიბლიოთეკისათვის როგორც ინფორმაცია ერის/ეთნოსის ისტორიის შესახებ. მიკროტოპონიმები, შედგენილია ადგილობრივ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით და განსხვავდება არამყარი წარმოქმნილი

სახელებისაგან, შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს ლექსიკის განვითარებასთან ერთად ან ფონეტიკური ცვლილება განიცადოს.

საინტერესოა რა მნიშვნელობებზე ჩამოყალიბდა და როგორი სტრუქტურულ-სემანტიკური განვითარება ჰქონდა ფრანგულმა მიკროტოპონიმებმა. მაგალითად: **Banne** (**Bano**, **Bana**), **Banne** (არდემის დეპარტამენტი), კვლევების დროს ორი საინტერესო ვერსია მოვიპოვეთ. ვარაუდობენ, რომ სახელდება გამომდინარეობს ძველი ფრანგული წარმოშობის ლექსემისაგან, **“Bono”**, რაც ქართულად **“რქას”** ნიშნავს. ისტორიული წყაროების მიხედვით არსებულ (მიმდებარე) ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის **„რქა“** წარმოადგენდა სიძლიერეს. რეგიონალურ დროშაზე დღემდე შემორჩენილი არსებული ნიშანი.



ლექსემა **“Bono”** -მ დიაქრონული ცვლილება განიცადა **Bano - Bana** და ჩამოყალიბდა ნომინაცია **Banne**. მაგრამ, არსებობს მეორე ვერსია, XVII საუკუნეში, გერმანული წარმოშობის ლოზერის პროტესტანტული საგვარეულო რამდენიმეჯერ ეწვია **Banne**-ს და დიდი ინტერესი გამოიჩინა არსებული ტერიტორიის მიმართ, შეეცადნენ დაფუძნებულიყვნენ, მაგრამ საბოლოოდ, ვერ შეძლეს და თავიანთ სამშობლოში დაბრუნდნენ. შესაძლოა ამ ისტორიულ ფაქტს უკავშირდებოდეს ტოპონიმი, რადგან **Bann**-ს მსგავსი ფონეტიკური შედგენილობით ვხვდებით გერმანულ ენაში (იმავე მნიშვნელობით ვხვდებით ფრანგულ ლექსემას **Ban**-ს), რაც **„განდევნას, უკანონობას“** ნიშნავს, შემდეგ ფონეტიკური ცვლილება მოხდა, დაემატა ტოპონიმიკაში არსებული ბოლოსართი **-e** და მივიღეთ ოიკონიმი **Banne**. ონიმის სახელდება აცოცხლებს მიმდინარე ისტორიულ ფაქტს, პოლიტიკურ ურთიერთობას გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

Bligny, კომუნაა ობის დეპარტამენტში, საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში. წარმოიშვა ანთროპოტოპონიმისგან, **Bligny** ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის ნათლობის გვარია, რომლებიც დაუსახლებელ ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. ერთეული

ანთროპოპონიმიდან აღმოცენდა, რაც შემდეგ ტერიტორიული ნომინაციის ონიმად იქცა. ამრიგად, მიკროტოპონიმიკა ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე, ისე როგორც მაკროტოპონიმიკა შესაძლოა გეოგრაფიულ მდებარეობაზე, დიალექტზე, ეთნიკურ ბაზაზე დაყრდნობით განვითარდეს.

Fontaine, კომუნაა იზერის დეპარტამენტში, რაც ქართულად „მადრევანს“ ნიშნავს. სახელდება მომდინარეობს წყაროს რესურსებიდან. სწორედ გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ამ ონიმის წარმოშობა და ისიც უცვლელი სახით არსებობს დღემდე.

ტერიტორიულად ახლო მდებარე დიალექტების ზემოქმედებით ენაში შეიძლება ტოპონიმიკური ერთეული ჩამოყალიბდეს (თოფჩიშვილი, 2010:26). ამრიგად, მიკროტოპონიმები, მაკროტოპონიმებისაგან განსხვავებით, ხშირად წარმოიშობა დიალექტების ფონზე, ექვემდებარება ტერიტორიაზე არსებულ ან ახლო მდებარე დიალექტს, სადაც ის მდებარეობს. მაგალითად: **იმერხევი** - ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენ განვიხილავთ, მდინარე შავშეთის წყლის პირას განლაგებულ ტერიტორიას, ქართული მოსახლეობით დასახლებული ეს მხარე ახლა თურქეთის ფარგლებშია. ამჟამად **იმერხევის** სოფლებს თურქული სახელწოდებები აქვთ.

კვიროთი, ძველი ქართული სოფელი იმერხევის რეგიონში, რომელიც როგორც უკვე ვახსენეთ ამჟამად თურქეთის ფარგლებშია. (კვიროთი, ყიშლა) - რაც მაღალ ადგილს ნიშნავს. შესაძლებელია სახელდება გეოგრაფიული მდებარეობის მოტივაციით იყოს შედგენილი, მაგრამ არსებობს მეორე მხარე, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ბევრი ქართული სალოცავის ნანგრევია, ამიტომაც, შესაძლებელია, კვიროთში არსებული ნანგრევები „კვირაცხოვლობის“ ტაძარს ეკუთვნოდეს და ტოპონიმის ეტიმოლოგია რელიგიური სახელდებით იყოს განპირობებული. **კვიროთ** ფუძე -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი.

საბადური, ძველი ქართული სოფელი იმერხევის რეგიონში. წარმოქმნილია ფრინველთა და ცხოველთა საჭერი სიტყვა „ბადისაგან“. წარმოებულია თავსართი **სა-** ტოპოფუძე **ბადე** და ბოლოსართი **-რი** -სგან. მიკროტოპონიმიკის კვლევა იძლევა საშუალებას, რომ აღმოვაჩინოთ უკვე დაკარგული ტერიტორიები და ეთნიკური

ტომები, **დეალები**- კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის უძველესი მკვიდრნი, ამ ტომთა ძირითადი სამოსახლო მხარე - **დეალეთი** იყო, ტერიტორიის ტოპონიმის გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. **დეალი**- „ჩავარდნილ ადგილს ნიშნავს“, თუ მოვიშველიებთ ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ წყაროს შეგვიძლია უფრო დამაჯერებლად ვისაუბროთ დეალეთის ეტიმოლოგიაზე. „დეალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს ქედებს შუა არის მოქცეული“ (ჯავახიშვილი, 1945:65). სწორედ არსებულმა ეთნიკურმა ონიმამ განაპირობა სახელდების წარმოშობა. /**დეალი** - ქრისტიანობისათვის წამებული ნიკოლოზ დეალი, დეალიძე, დეალიშვილი/.

თაბორი, სოფელი ცაგერის რაიონში. ბიბლიური წარმოშობის გეოგრაფიული სახელია, საქართველოში გვხვდება როგორც მდინარის ასევე სოფლის ნომინაციად. ჩვენში ებრაულის მიბაძვით, საეკლესიო ნაგებობებს ხშირად არქმევდნენ ბიბლიურ სახელებს, აქედანაა წარმოქმნილი სოფელ თაბორის სახელდებაც.

ფრანგულ და ქართულ ტოპონიმთა შექმნაში დიდი როლი მიუძღვის მნიშვნელობათა დაპირისპირებას. შექმნილია დაპირისპირებული წყვილები: ახალი = nouveau და ძველი = vieux , ზემო = sur და ქვემო = sous, დიდი = grand და პატარა=petit. მაგალითად: **Jonchery-sur-Vesle**, პატარა ქალაქი მარნის დეპარტამენტში, რომელიც ჩრდილოეთ საფრანგეთში მდებარეობს, ოიკონიმის წარმოშობა Reims-ის ეპისკოპოსის სახელს Jonchery - ს უკავშირდება. **Pargny-sur-Saulx** - სოფელი, მარნის დეპარტამენტში, ოიკონიმი შედგება ორი ლექსემისაგან, Pargny, რომელიც მომდინარეობს ლათინური ენიდან და ხეებით დაბურულ ტერიტორიას აღნიშნავს, ხოლო **Saule** კი ტირიფის ხეს. **Blaise-sous-Arzillières**, სოფელია შამპან-არდენის რეგიონში, წარმოიშვა ძველი ფრანგული ლექსემისაგან arsille და სუფიქსი er- საგან, რაც თიხაზე მომუშავე ადამიანს ნიშნავს. **Baslieux- sur Châtillon** - სოფელი მარნის დეპარტამენტში. ლექსემა **Baslieux**, ქართულად დაბალ (bas) ადგილს (lieux) ნიშნავს, ხოლო **Châtillon**-ტომთა გვარია, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე დასახლდა. **ახალი აბაშა - ძველი აბაშა**, სოფელი სამეგრელოში, დასავლეთ საქართველოში. ონიმის ეტიმოლოგია არაბულიდან მომდინარეობს, მის შესახებ მრავალი ლეგენდა

არსებობს, ერთ-ერთის თანახმად, მტერს ამჟამინდელი მდინარე აბაშის გადალახვა სურდა ტერიტორიების დასაპყრობად, მაგრამ მდინარე აღიდებულა და არაბები ერთმანეთს მიმართავდნენ: „აბა-შა“, რაც ქართულად „უკან დახევას“ ნიშნავს. ამ ლეგენდის თანახმად არსებულ ტერიტორიას აბაშა უწოდეს (ჩიქობავა, 1936:176).

ზემო ანაგა, ქვემო ანაგა, სოფელი, რომელიც სიღნაღის მუნიციპალიტეტში, (აღმოსავლეთ საქართველოში) მდებარეობს. ლექსემა ანაგა სიტყვა „ჰანაგე“-სგან არის წარმოქმნილი, რაც თავშესაფარს ნიშნავს. სოფელში საცხოვრებლად ავადმყოფები, საკუთარი მამულიდან წამოსული ადამიანები ჩამოდიოდნენ, რადგან მოცემულ ტერიტორიაზე უამრავი ტამარი იყო, ისინი რწმენით მოდიოდნენ და ღმერთს გადარჩენას, საკუთარ სურვილებს სთხოვდნენ. აქედან ეწოდა სოფელს „ჰანაგე“, შემდეგ ონიმამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა და დამკვიდრდა, როგორც ოიკონიმი ანაგა (ჩიქოვანი, 1939:144).

ქართული ტოპონიმიკის ეტიმოლოგია საქართველოს „მემატიანეა“. ტოპოერთეულთა სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური კვლევა, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მიკროტოპონიმიკური ერთეულის სტრუქტურული კვლევა ენობრივი ცვალებადობის, სხვადასხვა დიალექტების არსებობის გასაღებია, ხოლო - ეტიმოლოგია შესაძლებელია სასწავლო თეორიულ მასალად გამოიყენონ.

ტოპონიმიკა - სახელდების შემოქმედებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მიკრო და მაკრო ტოპონიმიის კვლევა ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ეთნიკური, ლექსიკოლოგიური ინფორმაციის ტრანსფორმირებულ თუ თავდაპირველ სახეს გვაძლევს. საუკუნეთა სვლა, ნებისმიერი დეგრადაცია თუ განვითარება იწვევს ცვალებადობას, მაკროტოპონიმები ძირითადად ვრცელ ტერიტორიულ და ისტორიულ ინფორმაციას მოიცავს, ამიტომაც ისინი უფრო მყარი სახითაა ჩვენამდე მოღწეული, ხოლო მიკროტოპონიმები მასშტაბურ ინფორმაციას იტევს, უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ მხრივ, რომ კვლევის დროს მომავალ თაობას უკვე დაკარგული არარსებული ტერიტორიებისა და ეთნიკური წარმოშობის შესახებ აწვდის მასალას. ამრიგად, ტოპონიმიკა როგორც მეცნიერება შეიძლება ერთ-ერთ საინფორმაციო წყაროდ ჩავთვალოთ.

დასკვნები II თავის მიხედვით

ტოპონიმების მრავალმნიშვნელოვანი განსაზღვრება, ფუნქციური თავისებურებანი, სხვადასხვა მეცნიერებათა განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. სახელწოდების „შიდა“ ფორმა ზუსტად შეესაბამება იმ ლექსიკური ერთეულის „გარეგან“ ფორმას, რომლის მნიშვნელობა ტოპონიმიკური ლექსემითაა გადმოცემული. ნომინაციის კვლევა იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ, ტერიტორიული განლაგება კი მიუთითებს ეთნოსის განსაზღვრებას, ან კიდევ ისტორიულ მოვლენებს,

განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტოპონიმი დაკარგულ ტერიტორიას განეკუთვნება.

ეთნოსის არსებობა კი ენობრივი სისტემის, კულტურის, რელიგიის არსებობას აღნიშნავს. ენობრივი სისტემის ფუნქციონირება კი დიალექტების, კილოკავების არსებობას განსაზღვრავს. ტოპონიმიკური ლექსემები შესაძლოა საკვანძო ონიმებად ჩავთვალოთ, რომელიც სხვადასხვა სპეციფიკურ ინფორმაციას, საჭირო ისტორიულ წყაროს, დასაბამს აძლევს სახელდების ფორმატით. ონიმის ფორმირება სხვადასხვა ტოპოერთეულიდან გამომდინარე ხდება, მაგალითად, ანთროტოპონიმიის მეშვეობით, გეოგრაფიული მდებარეობით, სხვადასხვა ბიოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ან უბრალოდ გავრცელებული ზმნითა თუ ზედსართავით, მაგრამ კვლევის დროს, სწორედ ტოპონიმები ხსნის იმ ინფორმაციულ ბირთვს, რასაც ერის მატიაზე ჰქვია. განსაკუთრებით მიკროტოპონიმები, რომლებმაც ინოვაციურ ცვლილებებს გვერდი აუარეს და თავდაპირველი სინქრონული სახე შეინარჩუნეს. კვლევის დროს, კარგად ჩანს ეთნიკურ ჯგუფთა კილოკავების ზეგავლენა ლექსიკურ ფონდზე. ხოლო მაკროტოპონიმიკა პირიქით, კარგად ასახავს ეპოქალურ ცვალებადობას, ჟამთა დამოკიდებულებას და ის თანამედროვე ლინგვისტიკაში დიაქრონული/ცვალებადი სახით აღწევს.

თავი III. ოიკონიმების კულტურული სემანტიკის სპეციფიკა

3.1. ოიკონიმების კვლევა სოციალურ-ისტორიული კონტაქტის თვალსაზრისით

ოიკონიმთა შესწავლა, მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან მასში აისახება მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ეტაპები, რომლებიც ვლინდება ენობრივ დოგმატიკაში. აგრეთვე ის ხელს უწყობს ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის მრავალფეროვნებასა და ლინგვისტური გეოგრაფიის ჩამოყალიბებას. ოიკონიმები ხასიათდება როგორც მრავალპლანიანობით, ასევე

სემანტიკური სიტყვაშეერთებით, რომელიც თითოეულ სახელწოდებას განსაკუთრებულ აზრობრივ ელფერს ანიჭებს და ცალკეული კლევის ობიექტად აქცევს. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები, გზას უხსნის ენის კლევის მრავალმხრივ მიმართულებას, აზროვნებასთან შერწყმულ ოიკონიმურ სისტემას, რომელიც სემანტიკურ და დერივაციულ სეგმენტებს მოიცავს.

ოიკონიმებში ონომასტიკური პრობლემების გადასაწყვეტად, სინქრონული მიმართულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სინქრონული ანალიზი მოითხოვს ოიკონიმების თანადროულ კვლევას თანამედროვე და ძირეულ სახელდებებს შორის, ასეთი კვლევის ასპექტი ხსნის კავშირს, რომელიც არსებობს რეალობასა და ძირეულ სახელწოდებებს შორის. ამგვარი კვლევის დროს დიდი ყურადღება ეთმობა ეტიმოლოგიურ და ისტორიულ წყაროებს, რომლებიც ხელს უწყობს ტერიტორიათა ნომინაციას. მნიშვნელოვანია ასევე ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც სემანტიკური მნიშვნელობით განსაზღვრავენ ტერიტორიის სახელწოდებებს.

ძირითად ინტერესს ნებისმიერი ადგილის შესწავლის დროს გეოგრაფიული აპელაციური ლექსიკა წარმოადგენს. როგორც ნ. ტოლსტოი აღნიშნავს “ეს არის ერთ-ერთი მთავარი რეზერვუარი ტოპონიმიკისათვის, რომელიც ონომასტიკასა და ნომინაციურ სფეროებს შორის მთავარ ადგილს იკავებს” (ტოლსტოი, 1910:135).

ფრანგულ ნომინაციათა ლექსიკური შრე მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსემებისაგან შედგება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ბუნებრივ და გეოგრაფიულ განსაკუთრებულობას. ტოპონიმების მსგავსად ოიკონიმებიც იყოფა მარტივ და რთულ აფიქსურ სახელებად. ძირითადი სახელები წარმოებულია სხვადასხვა მორფოლოგიური აფიქსებით და ამ აფიქსური ოიკონიმების წარმოება ხდება ტოპოფორმატებით, რაც იმას გულისხმობს, რომ საკუთარი სახელის წარმოებაში მონაწილეობს, როგორც არსებითი სახელის, ასევე ზედსართავი სახელის სუფიქსები.

ისტორიული ტოპონიმიკის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, კვლევის მეთოდის დამუშავება და ოიკონიმების დინამიკური შეპირისპირება. ფრანგული და ქართული ოიკონიმების ფორმირება დაფუძნებულია კულტურულ-ენობრივ ბაზაზე ლინგვოკულტურულ ასპექტში. ამგვარი მეთოდოლოგიის საფუძველზე ხდება ტერიტორიის სახელდებების სხვადასხვა დროსა და ეპოქაში გაფართოვება.

ძირითადი ევოლუციური სიახლე ყოველი ოიკონიმის მოპოვების დროს არის ის, რომ სხვადასხვა სახელწოდების ანალიზის დროს განსხვავებული კულტურის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ენობრივი სისტემების შეპირისპირება, მსგავსება და განსხვავება დგინდება.

ოიკონიმების კლასიფიკაციის დროს საჭიროა განვიხილოთ ნომინაციურ (სახელდებითი) ლექსემათა ადგილი ენობრივ სისტემაში. თუ ენას ფუნქციური სისტემის მხრიდან განვიხილავთ, მაშინ ვადგენთ, რომ ფუნქციური სისტემები ენის აგებულებას და კომუნიკაციურობას ემსახურება, ხოლო ლექსიკის დონეზე მოდიფიცირებული კომუნიკაციური სისტემა სახელდებით ფუნქციას წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ოიკონიმური ლექსიკა ენობრივ ქვესისტემად მივიჩნიოთ. აღნიშნული ენობრივი ქვესისტემა ონომასტიკური ლექსიკის პარალელურად წარმოადგენს ინდივიდუალურ-სახელდებით ფუნქციას და საშუალებას გვაძლევს ენაში ოიკონიმური სისტემები და ქვესისტემები დავახასიათოთ (მელნიკოვი, 1984:47). ოიკონიმის შესწავლის საფუძველზე ოიკონიმის განვიხილავთ როგორც ონომასტიკური ლექსიკის კლასებს, აქედან გამომდინარე, ენაში მყარდება ოიკონიმური საფეხურები, რომელსაც შეიძლება ოიკონიმური იერარქია ეწოდოს (ურაზმეტოვა, 2006:140).

3.2. ოიკონიმების ეტიმოლოგია და ოიკონიმთა ტიპების კვლევა ფრანგულ ენაში

ყველა ტერიტორიას საკუთარი ისტორია, კულტურა და ლეგენდა გააჩნია, რომელიც ტოპონიმიკაში აისახება. ვინაიდან ტოპონიმიკა გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობას, წარმოებასა და ევოლუციას შეისწავლის. ის შეიძლება იყოს აღწერითი და დეტერმინაციული. აღწერითი ტოპონიმიკა ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ტერიტორიის ისტორიულ სახელდებას გადმოგვცემს, ხოლო დეტერმინაციული ტოპონიმიკა ისტორიული ფაქტების განვითარებასთან ერთად ნომინაციის ლინგვისტურ ევოლუციას განიცდის. აქედან გამომდინარე, ის ერთდროულად აწარმოებს ორ კვლევას–სინქრონულს, რომელიც აღწერს ისტორიულ ფაქტს ტერიტორიის სახელდების დროს და დიაქრონულს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ყალიბდება გარდამავალ ეპოქაში ამა თუ იმ ტერიტორიის სახელი და როგორია ჩვენამდე მოღწეული მისი საბოლოო სახე. ტოპონიმიკა ენათმეცნიერების

ნაწილია და ლექსიკოლოგიასთან ერთად სხვადასხვა მეთოდებით ოიკონიმების განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიმართებას იკვლევს.

ოიკონიმია, ისევე როგორც ტოპონიმია, მჭიდრო კავშირშია ისტორიასთან, გეოგრაფიასთან, რელიგიასთან, ეთნიკურ წარმომავლობასთან, კულტურასა და არქეოლოგიასთან. ეს უკანასკნელი ფაქტობრივ მასალას მოიპოვებს და ოიკონიმების თავდაპირველ სახეს ადგენს. ოიკონიმების ეტიმოლოგიურ–ლინგვისტური კვლევის დროს განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ისტორიული ოიკონიმები, რომლებიც კონკრეტული ისტორიული ფაქტის შედეგად განისაზღვრა. კვლევის დროს აღსანიშნავია აგრეთვე გეოგრაფიული ოიკონიმები, რომელთა ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მათ მდებარეობას მიუძღვის. მცირე რაოდენობით მაგრამ, ნომინაციების ეტიმონი (ἔτιμον, ბერძ. სიტყვაა რომელიც ამოსავალ სიტყვას, ჭეშმარიტებას ნიშნავს) ზოგჯერ ანთროპონიმიაზეა დაფუძნებული. სწორედ მოცემული მაგალითების საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ თუ რამდენადაა დაკავშირებული ისტორიული მოვლენა, ისტორიული გმირი, ტერიტორიული განსაზღვრება ქალაქის სახელდებასთან.

ტერიტორიის გეოგრაფიული სახელწოდებები, თავიანთი ეტიმოლოგიური წარმოშობითა თუ დერივაციული პროცესების მიხედვით, მრავალპლანიანობით გამოირჩევიან. ეს კი თავის მხრივ საკვლევი ობიექტის ინდივიდუალური შესწავლის საშუალებას იძლევა, ხოლო ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის შედეგი მოცემული ტერიტორიისა და მოსახლეობის ისტორიას, რელიგიასა და კულტურას ასახავს. აქედან გამომდინარე, ოიკონიმთა ეტიმოლოგიური კვლევის დროს განვასხვავებთ ძირითად ორ ტიპს: საკუთრივ გეოგრაფიულსა და ანთროტოპონიმურ ნომინაციებს, შემდეგ კი ისტორიულ საწყისებსა და ხალხურ ეტიმოლოგიაზე ჩამოყალიბებულ სახელდებებს.

- თავდაპირველად განვიხილავთ ანთროტოპონიმებისაგან წარმოებულ

ქალაქთა სახელდებებს. მაგალითად: Amiens-ის ეტიმოლოგიური კვლევის დროს ორ ჰიპოტეზას ვაწყდებით. ისტორიული წყაროების მიხედვით, ნომინაცია ანთროტოპონიმურს უკავშირდება. მაღლობზე, სადაც ახლა ამიენი მდებარეობს, სახლობდა ამბიანუმების (Ambianum) საგვარეულო, **Ambianum**- ეს ნათლობის გვარია,

ტოპონიმი ნაწარმოებია სიტყვისაგან „ამინ“ (**Amen**). ამრიგად, საგვარეულოს ლათინური სახელდება შემდეგნაირად განვითარდა **amen – ambianum**, დროთა სვლასთან ერთად, ისე როგორც ყველა ლათინური წარმოშობის ტოპონიმი, ლექსემამ ფრანგული სახე მიიღო **ambianum- ambiens-amiens**. მოსახლეობის რელიგიურ მრწამს, ქალაქში არსებული უძველესი ტაძრებიც ადასტურებს, ხოლო, რაც შეეხება “s“-ს, ხშირად გამოიყენება ფრანგული ოიკონიმების საწარმოებლად, ამიტომაც ის შეიძლება ტოპო-სუფიქსად ჩავთვალოთ. არსებობს მეორე ვერსიაც. ერთ-ერთი ლეგენდის საფუძველზე, ეტიმოლოგიური კვლევის დროს, განსხვავებულ ვერსიას ვხვდებით. სხვა ოიკონიმებისაგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად ისტორიულ-გეოგრაფიულ საფუძველზე ჩამოყალიბდა. Amiens-ის სახელდებას კუთვნილებითი ზედსართავი დაედო საფუძველად. არსებულ ტერიტორიაზე ტარდებოდა იმ დროისათვის ცნობილი ბელგიელი მომღერლის Le Grand Jojo-ს (Jules Vandobergen (ჟიულ ვანდობერგენი) დაბადებული ბელგიაში, რომელიც Le Grand Jojo²-ს ფსევდონიმითაა ცნობილი) კონცერტი, რომელსაც ესწრებოდა ჰიდროცეფალიით (პათოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ფართოვდება ტვინის პარაკუჭები და თხელდება ტვინის ნივთიერება, რაც შესაბამისად იწვევს არა ადეკვატურ ქმედებებს) (გაგოშიძე, 2007:61) დაავადებული ადამიანი, რომელმაც მომღერალს საყვარელი ნივთი მოპარა და გაიქცა, ამის დანახვაზე მომღერალმა კონცერტი შეწყვიტა და შესძახა: „ოხ, ეს ჩემია! „რაც ფრანგულად ითარგმნება როგორც „ Ah mien“... კონცერტი ჩაიშალა, რადგან თვითონაც დაედევნა და ადგილს კი სიმბოლურად ეწოდა **Ah, mien! (Amiens) - ამიენი**.

Le Havre -ავრი, ტერიტორია სადაც დაარსდა პირველი სახელმწიფო პორტი. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო **Franciscopolis** (ანთროტოპონიმიდან წარმოებული) შემდგომში ჩაენაცვლა ონიმა **ville Françoise**, ფრანსუა პირველის საპატივცემულოდ, რადგან მისი გადაწყვეტილებით მოიპოვა ქალაქმა საპორტო აღიარება, ხოლო დღეს არსებული ონიმის ნომინაცია სასახლეში არსებულმა პატარა ტაძარმა განაპირობა, რომელსაც იქ მაცხოვრებელნი **Notre-Dame de Grâce** (წყალობის ტაძარს) უწოდებდნენ. მოცემული დენოტაციური ლექსემა ითავისებს ონიმის

² http://fr.wikipedia.org/wiki/Grand_Jojo

მნიშვნელობას „საწყალობელი თავშესაფარი“. **Le Havre de Grâce** უამრავ უსახლკაროს იფარებდა. რაც შეეხება **Le** - მამრობითი სქესის არტიკლს, რომელიც განსაზღვრავს არსებით სახელს, ოიკონიმთა მელიორაციულ განვითარებასთან ხშირად ვაწყდებით სიტყვათა შემოკლებას გამარტივების თვალსაზრისით, ამიტომაც ლექსემა დღემდე შემორჩა როგორც **Le Havre** -ის სახელწოდებით. მოცემული სიტყვა ნიშნავს „ნავსაყუდელს“. საზოგადო სახელი საკუთარი სახელი გახდა.

Orléans - ორლენი აშენებულია, ქალაქი **Génabum** - ის ტერიტორიაზე, მისი განადგურების შემდეგ. დამწვარი ქალაქი აღდგენილ იქნა იმპერატორ ორელიანის მიერ, რამაც ტერიტორიის ნომინაცია **Aurelianium** განაპირობა. რომის იმპერიის დროს ქალაქი, სამხედრო/საბრძოლო თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. შემდგომ ფონეტიკური ევოლუციისა და ფონემის გამარტივების თვალსაზრისით, ლექსემამ ბევრითი გარსი შეიცვალა **Aurelianium – Aurélien – Orléans**. ამრიგად, **Orléans**-ი ანთროტოპონიმიკიდან წარმოშობილი ოიკონიმია.

საფრანგეთის დედაქალაქის თავდაპირველი სახელწოდება **Lutèce** წარმოშობილია ლათინური ენიდან, რომელიც „ლაქას“ (სიბინძურეს) ნიშნავს. ტომები, რომლებიც იქ დასახლდნენ, ჭაობიანი ადგილებიდან მოვიდნენ. ხოლო მოსახლეობას, რომელიც იქ უკვე ცხოვრობდა პარისიელები ეწოდებოდა, რადგანაც ისინი ტროას მეფის ვაჟიშვილის პარისის ნათესავები იყვნენ. **Paris**-ის სახელდება ანთროტოპონიმისაგან ანუ ადამიანის სახელიდან წარმოქმნილი ოიკონიმია. ვირგილიუსის ვერსიით დგინდება, რომ ტროას ომის შემდეგ (დაახლოებით ჩვ. წთ-მდე, 1260 წ) ტროელები ენემის მეთურობით დასახლდნენ და ააგეს ქალაქი რომი, ხოლო პარისის თანამოაზრენი დასახლდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ახლა განლაგებულია **პარიზი**. **S-** ის **z** - დ წარმოთქმა კი თანამედროვე ფრანგული ენის ფონეტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეტიმოლოგიური კვლევის დროს, დამხმარე მეცნიერება ისტორიაა. კვლევის პროცესი ეყრდნობა დოკუმენტურ მასალებს.

Perpignan -ქალაქი, რომელიც ლანგედოკ-რუსიონის დეპარტამენტში მდებარეობს. ონიმა მომდინარეობს ლათინური ლექსემიდან **Perpennis**, რომელიც რომაელ მებრძოლთა წინამძღვრის სახელს **Perpen** - ას უკავშირდება. ქალაქის

თავდაპირველი ნომინაცია **Perpennianum** -ი იყო, სადაც სუფიქსი - **anum**, კუთვნილებას წარმოადგენს. სახელდება საუკუნეების სვლასთან ერთად როგორც სხვა დანარჩენმა ოიკონიმმა სახე იცვალა და მივიღეთ **Perpennianum – Perpennis – Perpignan**³.

სახელწოდების წარმოშობა განვითარება ისტორიული პროცესია, მაგრამ როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, ისტორიული დოკუმენტაციის გარდა სახელდების დროს დიდი როლი ეკისრება გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას.

- მეორე ქვეჯგუფში განვიხილავთ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით დაარსებულ ქალაქებს. **Bordeaux** ნომინაცია, გეოგრაფიული წარმოშობის ოიკონიმს მიეკუთვნება, შედგება ორი აკვიტანური წარმოშობის ლექსემისაგან, **burd= Abri** (ლათ. სიტყვაა და ნიშნავს „თავშესაფარს“, **gala = Marais** „ჭაობიან ადგილს“. **Burdigala** – აღნიშნავს „თავშესაფარს წყლიან ადგილას“, სახელი უკავშირდება ნიადაგს და გეოგრაფიულ მდებარეობას. შემდეგ ასო „**u**“ შეიცვალა „**o**“-თი და მივიღეთ **Bordigala – Bordala – Bordèu – Bordeaux**.

Cannes -ის ნომინაცია განპირობებულია ინდო-ევროპული სიტყვა „**kan**“ - ისგან, რაც „ამომშრალ ადგილს, მწვერვალს“ ნიშნავს. მისი სახელდებაც გეოგრაფიული სახელიდანაა ნაწარმოები. ორთოგრაფიული გამოყენების დროს ხშირად იყო ცდომილება, ზოგჯერ იწერებოდა ასო-ბგერა „**c**“-სე- თი, რომელიც ფრანგულ ენაში გარკვეულ შემთხვევაში (თუ მას არ მოსდევს **e; i; y;**) იკითხება როგორც „**k**“. ხშირმა გამოყენებამ გამოიწვია მსგავსი ფორმით დამკვიდრება ენაში, დღეს გამოიყენება როგორც „**Cannes**“. არსებობს მეორე ვერსიაც რაც გულისხმობს, რომ ონიმა **Cannes** -ი წამოიშვა ფრანგული სიტყვა „**Canne**“- ისგან, რომელიც ითარგმნება როგორც „**ლეღქაშის**“ -(მცენარე, რომელიც წყლიან ადგილას იზრდება) გროვა. ორივე ვერსიით ოიკონიმი ტერიტორიულ მდებარეობას უკავშირდება და მსგავსს ჰიპოტეზას მიუთითებს. ისტორიკოსების წყაროებზე დაყრდნობით არსებულ მაღლობზე, V საუკუნეში მოღვაწეობდა ბერი, წმინდა ონორე-**Saint-Honoré**, ლიგურიელებთან (**ligures**-ძველი იტალიელი ეთნიკური მოსახლეობა) ერთად, სწორედ მან შეარქვა სახელი **Cannes**, მდებარეობის შესაბამისად.

³ <http://histoireduroussillon.free.fr/Villages/Histoire/Perpignan.php>

Dijon –დიჟონის ეტიმოლოგია ყოველთვის სადავო საკითხია ისტორიკოსებისათვის. ეპისკოპოსი და შემოქმედი გრეგუარ დე ტური (Grégoire de Tours) დიჟონს იხსენიებს როგორც **Divio-Divione-Divionis**, ხოლო პუბლიცისტი, პიერ გრა (Pierre Gras) საუბრობს ბოლოსართ შეცვლილ ოიკონიმზე და დიჟონს მოიხსენიებს როგორც **Diviomagus**, სადაც **magus-** ლათ. „მინდორს“, „ვაკეს“, „სავაჭრო ტერიტორიას“ აღნიშნავს, ხოლო გალური წარმოშობის ფუძე-ლექსემა **divio-divo** ღვთაების შესატყვისია. რაც ფრანგულად ითარგმნება როგორც **divin** -ღვთაებრივი. ამრიგად, სახელდება **diviomagus** „ღვთაებრივ მიწას ნიშნავს“. მშობლიური ენის სტრუქტურა ყოველთვის ზეგავლენას ახდენს უცხოური წარმოშობის სიტყვაზე, დიჟონის განვითარება მსგავსი ტიპოლოგიით მოხდა: **Diviomagus-Divionne-Divona-Divon-Dijon**.

Ermont-ქალაქი ვალ-დ’-უაზის დეპარტამენტში. ქალაქის ნომინაციის თავდაპირველი ონიმის შესახებ უამრავი ჰიპოთეზა არსებობს, ვარაუდობენ, რომ სახელდებას ანთროპონიმები უდევს საფუძვლად: **Ermon, Hermont, Ormont, Bermonde**. მაგრამ, საბოლოოდ, ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად ლინგვისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტერიტორიის სახელდება წარმოიშვა ძველი ფრანგული ლექსემიდან **ermi ან hermi**, რაც „უდაბნოს“ ნიშნავს. ამრიგად, ოიკონიმია **Ermont**-ი, გეოგრაფიული წარმოშობის, არსებით სახელზე დაფუძნებული ნომინაციაა, სადაც დაბოლოება „ont“ (აქვთ), შესაძლოა ზმნა **ქონა/ყოლას, (avoir)** -ს უკავშირდებოდეს. (**ermi/ hermi - Ermont**).

La Rochelle - ქალაქი საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. რომელი, მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო **Reditum** -ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და ქართულად „ქვის ბორცვს/კლდეს“ აღნიშნავს (**redi – rocher - კლდე**). სხვა ონიმების მსგავსად, „როშელის“ სახელდებაც შეიცვალა. 1023 წელს ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებენ როგორც **Rocella**, ხშირ შემთხვევაში როგორც **Rochella**, საბოლოოდ კი ხმოვან „a“ -ს ჩაენაცვლა მუნჯი „e“ და ხმოვანმონაცვლეობით მივიღეთ ნომინაცია **La Rochelle**.

Lyon-ის ეტიმოლოგია გალური ვერსიით პირდაპირ მიუთითებს გეოგრაფიის როლს ოიკონიმების ჩამოყალიბებაზე. **Lugdunum** (თავდაპირველი სახელწოდება)

ჩამოყალიბდა რომის იმპერიის დროს, ეტიმოლოგია წარმოქმნილია ორი გალური წარმოშობის ლექსემისაგან **dunum** –ითარგმნება როგორც „გორაკი“ და პრეფიქსი **Lug** –ნიშნავს „მზის სხივს“. არაბი გეოგრაფის მიერ ის მოხსენიებულია როგორც „**Loudoun**“, შემდგომში კი სიტყვამ განიცადა ფონეტიკური ცვლილება გაადვილების თვალსაზრისით (**Lugdunum –Lugdon –Loudoun–Luon**), რის შედეგად მივიღეთ სხვადასხვა ენის ზემოქმედებით, მეტამორფოზული (მეტამორფოზული ოიკონიმები იცვლიან ჟღერადობას ერთი ენიდან მეორეში გადასვლის დროს) ოიკონიმი **Lyon**-ი. ხოლო პლუტარქეს რწმუნებით **Lyon**-ი ჩამოყალიბდა კელტური ენიდან და **Lugdunum** ნიშნავს „ყვავთა ჯგუფს“ (გადატანითი მეტაფორული მნიშვნელობით დაუსახლებელ ტერიტორიას), შემდეგ განიცადა კვეცა და ამოვარდა ხმოვანი **-u** , მივიღეთ სიტყვა **Lugdunum** რომელიც კელტურ ენაზე „ლომს“ ნიშნავს, დროთა განმავლობაში მოხდა მისი ფრანგული შესატყვისის დამკვიდრება და იმისათვის, რომ ცხოველისა და ქალაქის სახელწოდებას გრაფიკული განსხვავება ჰქონოდა **i** შეიცვალა **y** –ით და ასიმილაციის ფონზე მივიღეთ საბოლოო სახე **Lyon**.

Lille - ქალაქი, რომელიც ჩრდილოეთ საფრანგეთში მდებარეობს. **ლილ**-ის წარმოშობაც, გეოგრაფიულ მდებარეობას ეფუძნება. ქალაქი დაარსებულია კუნძულ დელზე (**Deîle**- მდინარე ჩრდილოეთ საფრანგეთში), გარემოცულია წყლით, მისი თავდაპირველი სახელი იყო **Insula** ლათინური წარმოშობისაა და ითარგმნება „ქალაქი წყლის გულში“. მოგვიანებით დაიბრუნა ძველი ფრანგული სახელწოდება „**Isle**“, რაც იმავეს ნიშნავს. თანამედროვე ფრანგულში კი **île**“ სიტყვის მნიშვნელობის შეუცვლელად, ჟღერადობისთვის დაემატა ასო **l**, ამრიგად მივიღეთ თარგმნის შედეგად ჩამოყალიბებული ოიკონიმია - **Lille**.

Marseille –ის სახელდებასთან დაკავშირებით გვხვდება ორი მეცნიერული ვერსია: ისტორიული და გეოგრაფიული. თუ მას განვიხილავთ მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ამ შემთხვევაში სახელწოდება წარმოშობილია არაბული სიტყვა **mars** –ისაგან რაც „პორტს“ ნიშნავს. არაბულად ეწოდებოდა **Marsiho**, სადაც ასო **h**-ის ეკვივალენტია ფრანგული **ill** –ი. შემდგომში, ასოთშეთანხმებამ ასიმილაციის შედეგად ცვლილება განიცადა და მივიღეთ **Marseille**-ი. ქალაქი, ბერძნების დაარსებულია, ისტორიული თვალსაზრისით მისი თავდაპირველი

სახელწოდებაც **Massalia** ბერძნული წარმოშობისაა და „მსხვერპლთშეწირვას“ ნიშნავს. ეს მოვლენა დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც **Marseille** –ის ტერიტორია ბერძნებს ჰქონდათ დაპყრობილი. ამის დასტურია ისიც, რომ დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე პროვანსალური სოფელი, სადაც საუბრობენ დიალექტურ ბერძნულ ენაზე.

Montpellier – ქალაქი ლანგედოკ-რუსიონის რეგიონში მდებარეობს. ნომინაცია წარმოიშვა ორი ლათინური ონიმასაგან, **Montis** – რაც ფრანგულად „ნარგავებს“, „გამწვანებას“= (**les plantes**) ნიშნავს და **Pastell** იგივეა რაც ბორცვი = (**la colline**). აღნიშნული ოიკონიმის ერთეული გეოგრაფიულ მდებარეობას უკავშირდება, იმ დროისათვის მთაზე ბევრი მცენარე და ნარგავი იყო, მაგრამ კლიმატურ ცვლილებასთან ერთად მისი განადგურება მოხდა და მთები ხრიოკ ბორცვებად გადაიქცა. ისე როგორც ყველა ფრანგული ტოპონიმა დროთა სვლასთან ერთად ყოველთვის დიაქრონულ ცვლილებას განიცდის, ამ შემთხვევაშიც მოხდა ფონეტიკური სახეცვლა და მივიღეთ **Montpellier**. ქალაქს ლეგენდაზე დაფუძნებული სხვა ეტიმოლოგიური ახსნაც მოეპოვება, ამ ტერიტორიაზე მოსახლე მანდილოსნები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სილამაზით, ისინი ამ მადლს წმინდა „ფულკრანს“ (**Saint Fulcran**) (ამავე რეგიონში მოღვაწე მღვდელი, რომელიც წმინდანად შერაცხეს) უკავშირებენ, რაც გერბზე ინიციალების სახითაა მოცემული-A.M (ავე მარია). სტრუქტურულად ორი ლექსემისაგან შედგება, **Mons Puellarum** (ლათ. ენიდან), რაც აღნიშნავს „ქალთა ბორცვს, მალლობს). ყველაფერი ვითარდება და ამიტომაც, ეპოქის ცვლა იწვევს ყოველი ლათინური ონიმის გაფრანგულებას.

MontRouge - ქალაქი, ილ- დე- ფრანსის რეგიონში (პარიზის სამხრეთით) მდებარეობს. მონრუჟს, ისტორიული წყაროების მიხედვით, პირველად 1194 წელს ვხვდებით, ლათინური ფორმულირებით „**Rubeo Monte**“ რაც „თიხა ნარევ, წითელ მიწას“ აღნიშნავს. ტერიტორია მსგავსი ტიპის მიწაზე, ვაკე ადგილზეა განთავსებული, რამაც ქალაქის სახელწოდება განაპირობა.

Rennes – ქალაქი, გაშენებულია ორი მდინარის ილისა და ვილენის შესართავთან, ილევილენის დეპარტამენტში. დაარსებულია „რედონების“ (უძველესი ტომი)

(**Redones**) მიერ. რომაელებმა ბრეტანის დაპყრობის შემდეგ არსებულ ტერიტორიას უწოდეს **Condate** -(რომელიც მდინარის შენაერთს ნიშნავს), XVI - საუკუნეში რომაელთა იმპერიაზე ბარბაროსთა გავლენით და იმპერიის დასუსტებით, ქალაქს ფონეტიკურად სახეცვლილი სახელწოდება დაუბრუნდა. **Redones-Condate-Rennes**. ამჟამად **Rennes** -ი ბრეტანის ადმინისტრაციული ცენტრია.

Rouen - ქალაქი, რომელიც ზემო ნორმანდიის რეგიონში (ჩრდილო--დასავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს. რუანი მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან **Rothomagus**, რაც „მრგვალ ვაკეს“ ნიშნავს, ნომინირება მოხდა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. Roto (**rond** -მრგვალი) და **magus** (**plaine**-ვაკე). დროთა განმავლობაში წინა პლანზე გადმოდის არსებულ ტერიტორიაზე მოქმედი ენის სტრუქტურა, ამიტომაც შუა საუკუნეების შემდეგ, სახელდება შემდეგნაირად განვითარდა: **Rothomus – Rodomun – Rodom – Ruan – Rouen**. არსებული ნომინაცია შესაძლოა გეოგრაფიულ ოიკონიმად ჩავთვალოთ.

Toulon - ქალაქი, სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში. ტულონი გეოგრაფიული ონიმაა. ნაწილობრივ მისი სახელდება ანთროტოპონიმთანაა დაკავშირებული. თავდაპირველი სახელწოდება **Telo Martius**-ა. **Telo**-ს ლათინური საწყისია **Tol**- რაც ბორცვის ძირს ნიშნავს. მარტიუსი (**Martius**) – კი ბრძოლის ღმერთის **Mars**-ის სათაყვანებლად დაერქვა. რომაელების შემოსევამდე ქალაქი დაპყრობილი იყო ლიგურიელების მიერ. შემდგომშიც მრავალი ბრძოლა გადაუტანიათ. მტერი ყოველთვის მოიხსენიებდა მხოლოდ **Telo** -ს სახელით, თავს არიდებდნენ აქ მოსახლე ხალხის მფარველის სახელის ხსენებას. დროთა განმავლობაში სახელს ჩამოშორდა პატრონიმი **Martius**, და დარჩა მხოლოდ ერთი ონიმა, რომელმაც შემგომი ბგერათა განვითარება მიიღო: **Telo – Telon- Toulon**.

Vichy-ქალაქი, რომელიც ოვერნის რეგიონში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) მდებარეობს. III საუკუნის ბოლოს ქალაქი ცნობილი იყო „**Aquis calidis**“ სახელით, რაც “თბილ წყალს“ ნიშნავს. მაგრამ მისი ამჟამინდელი სახელი ანთროტოპონიმ „**Vippiaumc**“-ს უკავშირდება, რომელმაც არსებულ ტერიტორიაზე მიწათმოქმედება განავითარა თბილი წყლის მეშვეობით. შემდეგ მოხდა ლექსემის გათანამედროვეობა და ანთროტოპონიმის შემოკლებით მივიღეთ ოიკონიმი **Vichy**.

- მესამე ქვეჯგუფში, ისტორიულ და ხალხურ ეტიმოლოგიაზე

ჩამოყალიბებულ ქალაქის ნომინაციებს განვიხილავთ. **Courbevoie** – ქალაქი, რომელიც ჩრდილოეთ საფრანგეთში მდებარეობს. კურბევუას ნომინაცია სათავეს იღებს ორი ლათინური ლექსემიდან: ზედსართავიდან **curva – courbe** – „მრუდე“ და არსებითი სახელისაგან **via – voie** – „გზა“. „მრუდე გზა“, რომელიც ქალაქს კვეთდა. ამ ენობრივ სეგმენტს უკავშირდება დევიზი რომლის ავტორი, იმპერატორის ვაჟიშვილი, ანტუან ლე პი ანდრიენი იყო. „**Curva via mens recta – voie courbe, esprit droit**»- „მრუდე გზა, სწორი აზროვნება“.

სახელდება **Nice** (ნიცა დაარსებული იქნა ბერძნების მიერ ჩვ.წ.ად–მდე IV ს–ის შუა წლებში). თავისი ტერიტორიული განლაგებით, ულამაზესი ბუნებით, რომელსაც თან ერთვის განსხვავებული კლიმატი, ნიცას აღმოჩენა გამარჯვებასთანაა გაიგივებული და ამიტომაც სიმბოლურად ეწოდა **Nikaia**, რომელიც ბერძნული სიტყვაა და “გამარჯვებულს” ნიშნავს. ნიცა ოქსიტანურ (რომანული ენა, რომელზეც პროვანსში ლაპარაკობენ), ენაზე წარმოითქმის როგორც **Niça**, დროთა განმავლობაში ვინაიდან იქ მცხოვრები ოქსიტანურ ენაზე საუბრობდნენ სიტყვის გათავისება ფრანგულ ენაზე მოხდა. შემდეგ კი ასო “a” ფრანგული ტოპოზოლოსართით “e” შეიცვალა და საბოლოოდ, ამგვარი ნომინაციით დამკვიდრდა ენაში.

Nantes-ის ჰიპოთეზა, ისტორიული წყაროს მიხედვით, გალო-რომანული დედაქალაქია, VI საუკუნეში აქ მდებარეობდა ძირითადი საეპისკოპოსო, რომელიც შემდგომში სამთავრობო ცენტრად გადაკეთდა. კელტური ეთნოჯგუფები არსებულ ტერიტორიაზე დასახლდნენ, რომელთაც “**Namnètes**” ეწოდა, რაც ქართულად ნიშნავს „ცის მცველებს“, რადგან მათ ბევრი საზღვაო ბრძოლები აქვთ გადატანილი, შემდგომში მოხდა თანხმობიან ონიმაში ერთ-ერთი თანხმობის „m“-ს ამოვარდნა, მივიღეთ **Nanètes**, დროთა სვლასთან ერთად, მოხდა ასო “e” -ს დახშობა, რამაც გამოიწვია კვეცა და მივიღეთ ოიკონიმი **Nantes**. ტერიტორიის სახელდება ისტორიულ ეტიმოლოგიაზე დაყრდნობით წარმოიშვა. ის თბილისთან დამშობილებული ქალაქია.

Reims - ქალაქი, რომელიც მარნის დეპარტამენტში მდებარეობს. თავდაპირველი სახელდება გალური ნომინაცია - **Rèmes** -ია, რაც ლათინურად წარმოითქმის როგორც

Remii - ი და ითარგმნება როგორც „პირველნი - უძველესნი“ (Les premiers, les plus anciens). გერმანელები **Reinz**-ის, იტალიელები კი **Rains**-ის სახელწოდებით მოიხსენიებენ. სახელდების ფონეტიკური აღრევა ორთოგრაფიულ ცვლილებას იწვევს. შემდგომში ტოპონიმიკური ერთეული ამ სახით განვითარდა **Rèmes – Remii – Remi**, ხმოვან „i“-ს გადანაცვლებით მივიღეთ - **Reims**.

Toulouse –ას წარმოშობას რამდენიმე ეტიმოლოგიური ვერსია აქვს:

1. თავდაპირველი სახელწოდება **Toulouse** წარმოქმნილია **Langue d’oc** – დან, **tolon** (ფრანგულად **une colline**) იგივეა რაც ბორცვი, გორაკი. რადგან იმ დროისათვის ქალაქი განლაგებული იყო მტრისათვის ძნელად მისაღწევ ადგილას – გორაკზე.

2. ლინგვისტების: გ.კლებერის, კ.ჯონასონის აზრით **tolose** ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს „შემომავალს“, რადგან იმ დროს მდინარე გარონაზე (**Garonne**) გავლით ხდებოდა ხმელთაშუა ზღვაში შესვლა.

3. ზოგიერთი ლინგვისტისთვის კი მისაღებია ლეგენდაზე დამყარებული ოიკონიმი. რენესანსის პერიოდში, ნოეს სათაყვანებლად აღნიშნულ ტერიტორიას მისი შვილიშვილის **Thulos** სახელი ეწოდა. ციცერონმა კი მას ისევ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, **Tolosa** უწოდა. 1588 წელს სახელწოდება შეიცვალა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე, და გამოიყენება როგორც **Toulouse**.

Vannes - კომუნაა, რომელიც მორბიანის დეპარტამენტში მდებარეობს. ნომინაცია განვითარდა ეთნიკური დაჯგუფება **Vénètes**-საგან, არსებულ ეთნოსში ერთიანდებოდა რომაელი და ბერძენი მოსახლეობა. ტერიტორიას, სადაც ისინი განლაგებულნი იყვნენ, ეწოდებოდა **Darioritum**. **Vénètes**- ძირითად საზღვაო დაცვას წარმოადგენდნენ, ამიტომაც სახელდებამ განიცადა ცვლილება და მოსახლეობის საპატივცემულოდ **Venetum** დაერქვა, შემდეგი განვითარების ფონზე კი მივიღეთ: **Veneti – Vennes – Vannes**⁴.

ფრანგული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის დროს გვხვდება გეოგრაფიულ, ისტორიულ მოვლენებსა და ლეგენდებზე დაფუძნებული არსებითი

⁴ <http://www.infobretagne.com/vannes.htm>

სახელებისაგან, ზედსართავისა და ანთროტოპონიმებისაგან ნაწარმოები სახელწოდებები, რომელთა საწყისი ფორმა ძირითადად სხვადასხვა ენიდან იღებს სათავეს (ხშირ შემთხვევაში ლათინური ენიდან).

3.3. ოიკონიმების ეტიმოლოგია და ოიკონიმთა ტიპების კვლევა ქართულ ენაში

ქართული ეთნოსი, ეთნოგენეზის დღიდან მუდმივ განვითარებას განიცდის. ქართული ეთნოსი მრავალჯერ, მძიმე ისტორიულ განსაცდელს გადაურჩა და თავი დღევანდლამდე მოიტანა. საკუთრივ ქართველური ერთეულების გარდა, ქართველი ხალხის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი არაქართულ ეთნოსებსაც, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ სხვადასხვა მცირე ეთნიკური ჯგუფები. (აზიური, ჩრდილოეთ კავკასიური და ალბანური ელემენტები), ხდებოდა მეზობელ ეთნოსთა ქართულ ეთნოსში შემოღინება, ინფილტრაცია(ლათ. სიტყვაა „გაჟონვას“ ნიშნავს). მაგრამ არა ცალმხრივად, ქართველებიც თავის მხრივ სხვა ეთნოსებში აღწევდნენ, რაც მათ ასიმილაციას იწვევდა.

- **თავდაპირველად განვიხილავთ გეოგრაფიული ადგილმდებარეობის**

მიხედვით დაარსებულ ქალაქებს. მაგალითად: **ბათუმი** - ეტიმოლოგიური კვლევის თვალსაზრისით **Bathus** –ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და “ღრმას” ნიშნავს. მოსახლეობა პირველად განფენილი იყო მთის ძირში (იგულისხმება ამჟამინდელი გონიოსა და სარფის ტერიტორია). ლინგვისტების მიერ **i**– მიჩნეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ხოლო **om** – როგორც ტოპონიმიკაში გავრცელებული სუფიქსი (**Bathus – Batomi**). **ბათუმი**, მისი ქართული ვარიანტია, რომელიც მეგრულ-ლაზურ ენაში ითარგმნება როგორც “ქვასთან მეზობლი.” ბერძნული სახელდებით **ბათუმი** ზედსართავისაგან წარმოქმნილი ოიკონიმიცაა.

გორი–ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად მისი თავდაპირველი სახელი იყო **ტონტი**, იგივეა, რაც “კლდე, გორა, ამაღლება”. დიაქრონული ცვლილების შემდეგ მივიღეთ სახელი **გორი** ანუ მოხდა არსებითი სახელის სინონიმით ჩანაცვლება. აქ

ვხვდებით ორ არამონათესავე ენაში, ერთი და იმავე არსებითი სახელის მიხედვით ნაწარმოებ ოიკონიმს. **Toulouse-tolon**, რაც ითარგმნება როგორც „გორაკი“ და საქართველოს შემთხვევაში ქალაქი გორი.

გუდაური-განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რადგან ნომინაცია სწორედ მას უკავშირდება. **გუდაუ (Гудой)** აფხაზური სიტყვაა და მდინარის სათავეს, მთის წვერს ნიშნავს, - **ურ** ქონების სუფიქსია ქართულ ენაში, -ი სახელობითი ბრუნვის ნუშანი. (მახინჯაური, ჩოხატაური). **გუდაური** - ქალაქი მთის წვერზე.

ზუგდიდი-სახელდება გეოგრაფიულ ოიკონიმს მიეკუთვნება. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სახელწოდება, ლექსემა **ზუგ**-იდან წარმოიშვა, რაც სვანურ ენაში „ბორცვს“, „ფერდობს“ ნიშნავს, **დიდი** კი მის მოცულობას მიუთითებს. ანუ „დიდი ბორცვი“-ის ტერიტორია, სადაც მდებარეობს ქალაქი. ამგვარი გეოგრაფიული სახელდების ფორმები დასავლეთ საქართველოსთვის, კერძოდ კი აჭარა სამეგრელოსთვის, ძალზე ნიშანდობლივია, მაგალითად: ზენდიდი, კონდიდი, ჭყონდიდი (ბედომვილი, 2001:164). შემდგომში ორი ფუძის შეერთებით მივიღეთ „**ზუგდიდი**“ (ე.ი „ზუგდიდი“ კომპოზიცია).

თერჯოლა-სახელწოდება მომდინარეობს „თეთრი“ და „ბჟოლა“ სიტყვების შეერთებით. ონიმაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებაა: **რჟ** კომპლექსი ქართული ენისათვის უჩვეულოა ამიტომ **რჟ-რჯ** -თი ჩანაცვლება მოხდა და **თეთრ** - სიტყვაში, -**თან**-ის შეკვეცით საბოლოოდ მივიღეთ თერჯოლა. „სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **ბჟოლა** ქართულია, მისი შესატყვისი **თუთა** კი უცხო სიტყვაა, ქართულში იგი არაბულიდან შემოსულა“⁵.

ლანჩხუთი-ძველი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, თავდაპირველი ძირი იყო „**ჩქუ**“ და არა „**ჩხუ**“. „**ჩქუ**“ მეგრულად, სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჩანს“. ასე რომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლანჩქუთი“, იგივე ლანჩხუთი ნიშნავს „სამზერს“, „გადასახედს“ (ბედომვილი, 2008:214). ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ უწინდელი სოფელი „ლანჩქუთი“ მაღლობში, გურიის ქედზე იყო გაშენებული და მოსახლეობამ ქვევით, დაბლობში მოგვიანებით გადაინაცვლა. ოიკონიმში ფონეტიკური

⁵ ზ.ჭუმბურიძე, „დედაენა ქართული“, თბ., 1987, გვ.451.

სუბსტიტუციით ქ - ს ჩაენაცვლა ხ - თანხმოვანი, **ლანჩქუთი-ლანჩხუთი**. ვახუშტი იხსენიებს როგორც ლანჩქუთს „რიონის კიდეა ზედა არს ლანჩქუთი“ (ზაგრატიონი, 1941:174). მისი თანამედროვე ფორმა ლანჩხუთია.

ქალაქ **რუსთავის** ეტიმოლოგიაში გვხვდება ორი სავარაუდო ვერსია.

1. რუსთავთან ახლოს, თავდაპირველად არსებობდა პატარა დასახლება, რომლის დღეს არსებული სახელწოდებაც შემდგომში ქალაქ **რუსთავმა** დაიმკვიდრა. ლინგვისტები თვლიან, რომ ეს ოიკონიმი ქართული წარმოშობისაა – **რუ** აღნიშნავს „საწყისს“, თავი – „არხს“, რადგან მტკვრის ერთ-ერთი შენაერთი რუსთავში იღებდა სათავეს. ასო „ს“ კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (**რუს თავი**). სწორედ აქედან ჩამოყალიბდა ქალაქი რუსთავის სახელწოდება.

2. მეორე ვერსიის თანახმად ქალაქი **რუსთავი** ატარებს ქართველი მწერლის, შოთა რუსთაველის სახელს, ამ ვერსიიდან გამომდინარე რუსთავი პატრონიმისაგან ნაწარმოები ოიკონიმი.

ურეკი-ამ ოიკონიმიის შესახებ მცირე ინფორმაცია გააჩნიათ ისტორიკოსებს. „ურეკი“ – „ტყიან გაუვალ ადგილს“ ნიშნავდა, სადაც მონადირეებს უჭირდათ ნადირობა.

უძველესი ქალაქის **ქუთაისის** წარმოშობაც გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული. დაარსდა VI საუკუნეში, ნაწარმოებია ძველი ქართული ლექსემისაგან „ქუათო“, რაც თანამედროვე ქართულ ენაში „ქვიანს“ ნიშნავს, გამომდინარე ძველი ქალაქის ადგილმდებარეობიდან, ხოლო ის-ტოპონიმიკური სუფიქსია. **ქუათოსი** - ეს იყო მისი თავდაპირველი სახელი, ხოლო შემდგომში ენის ევოლუციის ფონზე ჩამოყალიბდა **ქუთაისი**. იგი გეოგრაფიულ ოიკონიმს მიეკუთვნება.

ცაგერი - ტერიტორიის სახელწოდება სვანურიდან იღებს სათავეს, რომელიც სვანური სიტყვა **ცაგ-ისგან** წარმოსდგება, რაც „ეკალს“ ნიშნავს. **-ერ-** დერივატიც სვანურია (როგორცაა: ნასპერი, ხუნდერი). ამრიგად, **ცაგერი** „ეკლიან ადგილს“ აღნიშნავს.

ხაშური - ისტორიული წყაროების მიხედვით, აღნიშნული ოიკონიმის შესახებ ორი სხვადასხვა ჰიპოტეზა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის მნიშვნელობა, წარმოშობის არეალი ერთი და იმავე შინაარს შეიცავს. უხსოვარ დროში

თანამედროვე ხაშურის მიდამოები ტყეებით ყოფილა დაფარული, სადაც მინერალური წყაროები მოედინებოდა. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში („ქართული ლექსიკონი“) შეტანილი აქვს სიტყვა **ხაშური**-„მლაშე წყლის მარილი, გინდა რაც წყალსა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი...“ (ორბელიანი, 1993:203). პირველი თქმულების თანახმად, მინერალური წყაროებით მდიდარი მიდამოების ამოშრობის შედეგად დარჩა მლაშე, მარილიანი ნიადაგები. სიტყვა ხაშური მარილიან, მლაშე ნიადაგს, ადგილს ნიშნავს. ამიტომ ამ მიდამოებს ხაშური დაერქვა. მეორე ვერსიის თანახმად, თანამედროვე ხაშურის მიდამოები წარმოადგენდა ჭაობიან, „ხაშმიან“ ადგილებს. „**ხაშმი**“-ჭაობის ორთქლია; ამგვარ განმარტებას იძლევა ლექსიკოლოგი ნ.ჩუბინაშვილი („საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონი“) და იოანე ბაგრატიონი („ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“). „**ხაშმიანი**“-ჭაობის ორთქლით გაჟღენთილი ადგილი. ვარაუდობენ, რომ ძველად ხაშურის ტერიტორიები ჭაობიანი, „ხაშმიანი“ ადგილები იყო (ამას მტკვარი, სურამულა, შოლა და მინერალური წყლები განაპირობებდა), ამიტომ მიდამოებს „**ხაშმური**“ დაერქვა. შემდეგ სიტყვამ განიცადა ფონეტიკური ცვლილება, ექსპლოზია (განხშვა) ჩაენაცვლა ასო-ბგერა „შ“ სა და „მ“ შორის იმპლოზიურ (დახშვა) აგებულებას და გახდა **ხაშური**.

ქართულ ენაში არსებული ძირითადი ოიკონიმების ერთეულები, გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული, მაგრამ ასევე ვხვდებით ისტორიულ ფაქტებზე, ლეგენდებზე, ხალხურ ეტიმოლოგიაზე ჩამოყალიბებულ ნომინაციებს.

- **მეორე ქვეჯგუფში, ისტორიულ და ხალხურ ეტიმოლოგიაზე ჩამოყალიბებულ ქალაქის ნომინაციებს განვიხილავთ. გურჯაანი-ს წარმოშობა შეგვიძლია განვიხილოთ ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაყრნობით. ერთ-ერთი ვერსიით, „გურჯი“ თურქული სიტყვაა და „ქართველს“ ნიშნავს, ხოლო „აანი“-ის სახელწოდებით თურქები მოიხსენიებენ „სადგომს“, (შესაძლებელია „საცხოვრებელს“). ამიტომაც არსებულ ტერიტორიას ეწოდა გურჯაანი, რაც ქართველთა სადგომს, საცხოვრებელს ნიშნავს (მემიში, 2006:146).**

განვიხილავთ, ლეგენდებსა და ხალხურ ეტიმოლოგიაზე წარმოშობილ ქალაქთა ნომინაციებს. ქალაქი **თბილისი** დაფუძნდა V საუკუნეში და ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად მისი სახელწოდება წარმოიშვა ზედსართავი სახელის **“თბილი”** და სუფიქსი **“სი”**-ს შეერთებით. ლეგენდის თანახმად, თბილისის სახელდება მოხდა თბილი წყაროების აღმოჩენის საფუძველზე. ამრიგად, თბილისი ზედსართავისაგან წარმოქმნილი ოიკონიმია.

მახინჯაური-ისტორიულ ლეგენდაზეა შექმნილი. ოიკონიმის წარმოშობის შესახებ დღემდე მკვლევართა მიერ არა ერთი ვარაუდი არსებობს. ადგილობრივებში გავრცელებული ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ამ ადგილს ძველად **მახინჯ-გიაური** რქმევია: ოსმალთა ბატონობის დროს აქ ქრისტიან ხალხს იჭერდნენ, სახეზე ჭრილობებით ამახინჯებდნენ, ამიტომაც ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხისთვის „მახინჯი-გიაური“ უწოდებიათ. მუსლიმანური სამყარო ქართველებს „გიაურებად“, მოიხსენიებდა, საიდანაც მოგვიანებით **მახინჯაური** წარმოდგარა (სიხარულიძე, 1959:94). არსებობს მეორე მოსაზრებაც, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ტოპონიმი XIII საუკუნეში მოღვაწე **მახუნჯაგის** (მხედართმთავარი) სახელს უკავშირდება. მახუნჯაურ-ფორმაში „გ“ დაკარგულა, „უ“, „ი“ ხმოვნად ქცეულა და ხალხური ეტიმოლოგიის საფუძველზე მახინჯაური მიუღიათ. მახინჯაურის ეტიმოლოგიური კვლევა ისტორიულ ფაქტს უკავშირდება (ბედოშვილი, 2003:252).

მალთაყვა-ლექსემის ეტიმოლოგია ადგილობრივი მოსახლეობიდან წამოსულ ლეგენდას ემყარება, რომლის მიხედვით ონიმა ბერძნული (რომაული) ენიდან მომდინარეობს: საზღვაო კატასტროფას გადარჩენილ, პალიასტომის ტბის სიახლოვეს გამორიყულ ბერძენ მეზღვაურებს თითქოს ლათინურად წამოეძახოთ : **მალთა აკვა!** („რა ბევრი წყალია!“) ტერიტორიას ბევრი წყალი აკრავს: შავი ზღვა, პალიასტომის ტბა, მდ. კაპარჭინა და მდ. რიონი (ბედოშვილი, 2008:241) .

სურამი-ქალაქი სურამი ზოგიერთ ისტორიულ წყაროში მე-XII საუკუნიდან მოიხსენება. სურამში დიდ ფეოდალთა საგვარეულო „სურამელები“ XII-XIII საუკუნეში ცხოვრობდნენ. სახელწოდება წარმოდგება მათი საგვარეულო მამულიდან – **სურამი**. მაგრამ სახელდებას ხალხური თქმულება უდევს საფუძველად: სურამში ცხოვრობდა ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, ქალს – **სუ** რქმევია,

ვაჟს – რამი. მათ ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიან. რადგან მშობლები ერთად ყოფნას უშლიდნენ, მაინც გადაწყვიტეს ჩუმად დაქორწინებულიყვნენ და იმ ადგილს, სადაც ისინი დასახლებულან, მათი ერთობლივი სახელი – **სურამი** დარქმევია, ხოლო მოგვიანებით ამ სახელით მთელ დაბას მოიხსენიებდნენ.

სიღნაღი-„სიღნაღ“ (თურქ. **siğnak**), თურქული წარმოშობის სიტყვაა, და „თავშესაფარს“ ნიშნავს (მემიში, 2006:307), „ი“ ქართულ ენაში სახელობითი ბრუნვის ნიშანია. სავარაუდოდ, სახელდება ისტორიულ ბრძოლებთანაა დაკავშირებული, რადგანაც ქალაქს გარს აკრავს დიდი გალავანი 28 კოშკით, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ ლეკებისაგან დასაცავად ააგო. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, დამპყრობილებმა ადგილს „ქართველთა თავშესაფარი“ უწოდა.

ფოთის სახელწოდება მითოლოგიაზეა დაფუძნებული. სავარაუდოდ, თავდაპირველად ფოთის ტერიტორიაზე არსებობდა საბერძნეთის კოლონია „**ფაზისი**“, რაც «ოქროს მდინარეს» ნიშნავს, (მითი არგონავტების შესახებ) და რომელიც ქართულად მოიხსენიება როგორც-“**ფათი**“. სწორედ ამ სახელწოდებიდან მივიღეთ თანამედროვე ქართული ფორმა **ფოთი**.

აგრეთვე განვიხილავთ **ზოონიშა** თუ **ფიტონიშე** ჩამოყალიბებულ სახელდებებს, რომლებიც მცირე რაოდენობით, მაგრამ გვხვდება ტოპონიმიკურ სივრცეში. სხვადასხვა რაიონებში ხშირია ნადირ-ფრინველთა სახელწოდებების მიხედვით მიღებული სახელდება როგორცაა: **ბუღნარა**, რომელიც წარმოებულია, ცხოველი ბუღასა და ტოპონიმიკური ბოლოსართის შეერთებით. **მელაური**, კი მიღებულია ცხოველი მელას და ბოლოსართი -ურის შერწყმით.

სამტრედია, ოიკონიმი **ზოონიშეა** დაფუძნებული. სახელდებაც ნათლად მიუთითებს ზოოტოპონიშს **სა-მტრედ-ია**, სიტყვა მტრედისაგან მომდინარეობს. არსებულ ტერიტორიაზე მრავლად ყოფილა ეს უწყინარი ფრინველი და ადამიანებს ამ ადგილისათვის **სამტრედე** უწოდებიათ. ასო „ე“-ს ტოპონიმიური ბოლოსართ -ია-თი ცვლილების შედეგად მივიღეთ ნომინაცია **სამტრედია**.

საირმე- იმერეთის მხარე ფლორითა და ფაუნით მდიდარია. ფოთლოვან ტყეებთან ერთად აქ გვხვდება წიწვოვანი და შერეული ტყეები, რომელშიც

კავკასიური დათვი, ტახი, მელა, მგელი და ტურა ბინადრობდა. ფართოდაა წაროდგენილი ფრინველთა სამყაროც, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ეკოლოგიურად სუფთა და ხელშეუხებელი ბუნება. განსაკუთრებით უღრან ტყეში მრავლად იყო ირმები და შვლები. სწორედ სახელდება ზოონიმიზე დაფუძნებული ოიკონიმია, წარმოებულია ცხოველის სახელისაგან **ირემი** და **სა-ე** აფიქსებისაგან.

იშვიათად, ძალიან მცირე რაოდენობით, ვხვდებით ანთროტოპონიმიდან ნაწარმოებ ოიკონიმებს: **ნინოწმინდა**-ქალაქი საქართველოში, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში, ჯავახეთის ზეგანზე მდებარეობს, **სადემეტრაო**-სოფელია, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში, იმერეთის რეგიონში (დასავლეთ საქართველო) მდებარეობს, **სტეფანწმინდა**-დაბა, რომელიც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, **საგურამო**-სოფელი, მცხეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

მეცნიერების ნებისმიერი დარგისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ჰიპოთეზების, მოსაზრებების, წინადადებების წამოყენება და საზოგადოებისათვის შეთავაზება, რაც ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტებითა და არგუმენტებითაა განმტკიცებული. სწორედ სხვადასხვა ისტორიკოსის მოსაზრებებისა და სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ჰიპოთეზების საფუძველზე მოვახდინეთ ფრანგული და ქართული ოიკონიმების ეტიმოლოგიური ანალიზი, განვსაზღვრეთ თუ რომელი ენისა და დიალექტის საფუძველად მოხდა ოიკონიმთა ნომინაცია. რა მნიშვნელოვანი ფაქტორი ახდენს გავლენას სახელდების დამკვიდრებაში, რა ბგერითი და ფონეტიკური ცვლილებითაა შემონახული დღემდე. განხილულ ოიკონიმთა ეტიმონების დიფერენციაციის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ოიკონიმების ორი ფართო განშტოება:

1. **სინქრონული ოიკონიმები**, რომელთა სახელწოდებები მიიღო საზოგადოებამ და თითქმის უცვლელად დარჩა და ასე არსებობს დღემდე (**Amiens, Ermont, ხაშური, ურეკი**).

2. **დიაქრონული ოიკონიმები**, რომლებმაც საუკუნების სვლასთან ერთად განიცადა ფონეტიკური თუ შინაარსობრივი ცვალებადობა და სახეცვლილი ონიმით დაფუძნდა სამყაროში (**Orléans, Rouen, ფოთი, ქუთაისი**). განხილული მაგალითების

ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად შეგვიძლია აგრეთვე გამოვყოთ ოიკონიმების შემდეგი ტიპები:

1. **გეოგრაფიული ოიკონიმები**, რომელთა სახელდება ტერიტორიულმა მდებარეობამ განაპირობა. მაგალითად: **Bordeaux, La Rochelle, Montpellier, Rouen, Toulon**, ბათუმი, გორი, ურეკი, ხაშური.

2. **ისტორიული ოიკონიმები**, რომელთა სახელდება ისტორიული ფაქტითაა განპირობებული. მაგალითად: **Orléans, Reims**, მახინჯაური, სიღნაღი.


3. **ანთროპოპონიმიკური ოიკონიმები**, რომელთა სახელდება ადამიანთა სახელსა თუ გვარზეა დამოკიდებული. მაგალითად: **Ermont, Paris**, რუსთავი, სტეფანწმინდა.

4. **ზოონიმური ოიკონიმები**, რომელთა სახელდება ცხოველთა ან ფრინველთა სახელს ეფუძნება. მაგალითად: **Artonne, Belbeuf**, საირმე, სამტრედია.

5. **ხალხური (ეტიმოლოგიური) ოიკონიმები** - რომელთა სახელდება ლეგენდის ან ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით დაარსდა და დაფუძნდა. მაგალითად: **Amiens, Dijon**, მალთაყვა, სურამი.

6. **მეტამორფოზული ოიკონიმები**, რომელთა სახელდება აღებულია სხვადასხვა ენიდან, შემდეგ კი მისი თარგმნა ყოველთვის იწვევს ჟღერადობის ცვალებადობას (**Lyon, Nice**, თერჯოლა, ლანჩხუთი). მაშასადამე, როგორც ფრანგული ასევე ქართული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის დროს გვხვდება გეოგრაფიული, ისტორიული და ლეგენდებზე დაფუძნებული არსებითი სახელებისაგან, ზოგჯერ ანთროპოპონიმიებისაგან წარმოებული სახელწოდებები. ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის შედეგად, ფრანგულ ენაში, ასეთი სტატისტიკური პროცენტულობა მივიღეთ.


ოიკონიმების სტატისტიკური პროცენტული
მაჩვენებლები ფრანგულ ენაში



- გეოგრაფიული ოიკონიმები
- ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები
- ისტორიულ ფაქტებსა და ხალხურ ეტიმოლოგიაზე ჩამოყალიბებული ოიკონიმები

ქართულ ოიკონიმებთან მეტ-ნაკლებად ვხვდებით ქართულ დიალექტებიდან მიღებულ ონიმებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ზედსართავი და არსებითი სახელისაგანაა მიღებული, რაც შეეხება ეტიმოლოგიური კვლევის შედეგებს ქართულ ენაში, მისი პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად აისახა.

ოიკონიმების სტატისტიკური პროცენტული
მაჩვენებლები ქართულ ენაში



- გეოგრაფიული ოიკონიმები
- ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები
- ისტორიულ ფაქტებსა და ხალხურ ეტიმოლოგიაზე ჩამოყალიბებული ოიკონიმები
- ფიტონიმებისა და ზოონიმებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები

ფრანგულ და ქართულ ოიკონიმთა სტატისტიკური კვლევის შედეგად მიღებული პროცენტული მაჩვენებლებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ორივე ენაში ჭარბობს გეოგრაფიული ონიმები, ხოლო ფრანგულ ენაში, ქართული ენისაგან განსხვავებით მრავლად მოიპოვება ანთროპონიმებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები. სამაგიეროდ, ქართულ ენაში ლეგენდებსა და ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაყრდნობით მიღებული ნომინაციები ჭარბობს, ქართულ ენაში დამატებით ვხვდებით ზოონიმებსა და ფიტონიმების ფუძეებზე დაყრდნობით წარმოებული სახელდებები, რომლებსაც ფრანგულ ენაში მცირე რაოდენობით მოვიპოვებთ. ოიკონიმთა ეტიმოლოგია თავისი წარმოშობის მრავალფეროვნებითა და განვითარებით მკვლევართა ყურადღებას იწვევს. მრავალსაუკუნოვანი კვლევის მიუხედავად, დღემდე საინტერესოა ამ სფეროში კვლევის განხორციელება, რადგან ყოველი ახალი კვლევა და ეტიმონი ახალ ინფორმაციას იძლევა უკვე განხილულ სახელდებაზე და უფრო საინტერესოს ხდის ქალაქის ისტორიას.

3.4. რელიგიური ოიკონიმების ეტიმოლოგიური და სტრუქტურული ანალიზი ფრანგულ ენაში

რელიგია ერწყმის ერის ისტორიას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეთნოსის ჩამოყალიბებაში. რელიგია არის იდეათა და ქმედებათა სისტემა, დაფუძნებული რწმენაზე, რომელიც ქმნის წარსულს, აწმყოს და მომავალს. რელიგიის წარმოშობას წინ უსწრებდა რელიგიამდელი ხანგრძლივი პროცესები, სხვადასხვა რწმენები: **ანთროპომორფიზმი** (ბერძნ. "ანთროპოს" ნიშნავს ადამიანს, ხოლო მორფოს – სახეობას), **ანიმიზმი** (ლათ. anima - სული) — ზოგადად სულისა და სულიერების არსებობის რწმენა, **მაგია** — ზებუნებრივი ძალა, რომელიც ახდენს ზემოქმედებას.

შემდეგ მოხდა ცრურწმენებისა და კერპთაყვანისმცემლობის რელიგიით ჩანაცვლება, მსოფლიოს სამ ძირითად რელიგიად აღიარებულია ქრისტიანობა, ისლამი, და ბუდიზმი. (1054 წელს, ქრისტიანული ეკლესია ორად გაიყო. აღმოსავლურ ეკლესიას **მართლმადიდებლური** ეწოდა, ხოლო დასავლურს - **კათოლიკური**). საფრანგეთში ისე როგორც თითქმის დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში სახელმწიფო რელიგიად აღიარებულია კათოლიციზმი. ხუროთმოძღვრების მიხედვით ადგენენ ერის სიდიდადეს, საყდრები და ეკლესია-მონასტრები ამტკიცებენ ერის სიმდიდრეს, საფრანგეთში ერთ-ერთ ღირშესანიშნაობას ტაძრები წარმოადგენს. ჩვენი კვლევის საკითხი სწორედ მათი სახელდების ეტიმოლოგია და მისი სტუქტურული განვითარებაა, თუ რა პირობებმა იქონია ზეგავლენა ტოპონიმის ჩამოყალიბებაში. შევეცდებით დავადგინოთ, არსებობს თუ არა ურთიერთშექცევადი კავშირი ოიკონიმსა და ტაძრის სახელდებას შორის. ქრისტიანობამ განსაკუთრებით კი კათოლიციზმმა, დიდი და ხანგძლივი ზეგავლენა იქონია საფრანგეთის ტოპონიმისაზე.

არსებობს სხვადასხვა რელიგიურ ტერმინზე აგებული თეონიმები, რომელთა ნაწილი ბერძნული წარმოშობის სიტყვა **basilica** -ზე დაყრდნობით შეიქმნა, რომელსაც თან ახლავს წმინდანების მოხსენიება, თუ რომელი წმინდანის სახელობისაა აღნიშნული საყდარი (ლეჟენი, 2002:50). სიტყვა „ბაზილიკა“ ღვთის მსახურისადმი მიძღვნილ ძეგლს, ნაგებობას აღნიშნავს. შემდეგ მოხდა ონიმების ფრანგული ერთეულით შეცვლა და მიიღეს სხვადასხვა ტაძრების ნომინაციები. მაგალითად: **Bazailles XII s**, კომუნაა, რომელიც ლოტარინგიის რეგიონში (ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს, **Église Saint-Martin de Bazeilles-VII s**, კომუნა არდენის დეპარტამენტში. **Église de Bazaiges** -კომუნა ენდრის დეპარტამენტში. **Église de la Bazoque -XIII s**, კომუნაა, რომელიც კალვადოსის დეპარტამენტში მდებარეობს.

Contréglise -კომუნა, სონის დეპარტამენტში. (სიტყვასიტყვით - ეკლესიასთან, ტაძართან ახლოს), სახელწოდების ეტიმოლოგიური მომდინარეობა ისტორიულ ფაქტს უკავშირდება. ტაძარი თავდაპირველად, ერთ-ერთი წმინდანის სახელს ატარებდა, 1789 წლის 23 აპრილს, რეგიონის მოსახლეობამ შეიტყო რევოლუციის

შესახებ, სამეფო ჯართან შებრძოლების შემდეგ, მუშებმა თავი საყდარს შეაფარეს და ამის შემდეგ საყდარს უწოდეს „ტადართან“ შესაძლებელია „ტადართან ახლოს“. **Contre église**, შედგება წინდებული „**Contre**“ -ახლოს, რომელიც აღნიშნავს მდებარეობას და არსებითი სახელისაგან **église** „ტადარი“, ამ შემთხვევაში როგორც წინამდებარე მაგალითში, ხდება სიტყვათა შერწყმა-გაერთიანება და ინდუქციური (სინთეზური) ერთსახოვნება **Contréglise**. დაბას ეწოდება ტადრის სახელი. ამრიგად, ვხვდებით რელიგიური ონიმიდან წარმოქმნილ ოიკონიმს. სტრუქტურულად წინდებულისა და არსებითი სახელის შერწყმის შედეგად, ხდება წინდებულის ბოლო მუნჯი ხმოვნის დაკარგვა-კვეცა, რომელიც ჩანაცვლებულ იქნა არსებითი სახელის პირველი ასოთი **e=é**. ჟღერადობით ფონეტიკური ცვლილება არ მომხდარა მივიღეთ იდენტური ონიმა.

მოცემული ტიპის სახელდების გარდა, არსებობს რელიგიური ლექსემით და აფიქსებით მიღებული ოიკონიმები. უძველესი ლექსემა „*celle*“ , რომელიც ფრანგულში დამკვიდრდა როგორც „*cella*“ , თავდაპირველად „დანაზოგის საცავს“ ნიშნავდა, შემდეგ სიტყვამ განიცადა სემასიოლოგიური ცვლილება, შეიძინა დამატებითი მნიშვნელობა - „მონასტერი“(თავისი ფუნქციიდან გამომდინარე). სწორედ ამ ცვლილებამ განაპირობა ლექსემა „*cella*“-სგან თეონიმების წარმოება.

La Celle-Saint-Cloud ქალაქი, რომელიც ილ-დე-ფრანსის რეგიონში მდებარეობს. **Saint-Clodoald** - მეროვინგების მეფის ქლოდვიგ I- ის ვაჟიშვილმა მთელი თავისი ცხოვრება მონასტერში, მარტოობაში გაატარა. მონასტერში მოღვაწე ბერებმა ის **Saint-Cloud**-ად, წმინდანად შერაცხეს. სწორედ მის საპატივცემულოდ არსებულ ტერიტორიას **La Celle-Saint-Cloud**- უწოდეს. **Niozelles** ქალაქი, რომელიც პროვანს-ალპ-კოტ-დ’აზურის რეგიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს. ონიმა ჩამოყალიბდა ორი ოქსიტანური ლექსემის ბაზაზე, „**Nyos**“, რაც ქართულად „ღრუბელს“ ნიშნავს და „**cèlas**“ - იგივე, რაც „მონასტერი“. ერთად ითარგმნება, როგორც „მონასტერი ღრუბლებში“, რაც სავარაუდოდ ქალაქის ტერიტორიულ მდებარეობას მიუთითებს. ფრანგული ენის კითხვის წესის თანახმად, რადგან ასო „**s**“-ი ხმოვნებს შორის იკითხება, როგორც „**ზ**“, ჟღერადობის ფონზე მარტივი ფონეტიკური ჩანაცვლება მოხდა. **Naucelle** კომუნა, რომელიც კანტალის დეპარტამენტში მდებარეობს. ონიმის

თავდაპირველი ნომინაციაა **Nova Cella**, რაც „ახალ მონასტერს“ ნიშნავს. მონასტერი, რომელიც მე-6 საუკუნეში ბერი **Bonnecombe** - ის მიერ იქნა აგებული. შემდგომში ლექსემათა გაერთიანება მოხდა და როგორც ხშირ შემთხვევაში ფონეტიკური ცვლილება, რის შედეგადაც დამკვიდრდა ნომინაცია **Naucelle**.

სიტყვა ღმერთისაგან „**Dieu**“ წარმოებული ეკლესია-მონასტრების სახელები (ლეჟენი, 2002:18). **La Chaise-Dieu** - კომუნა ოვერნის რეგიონში. ოიკონიმი წარმოიშვა ძველი ფრანგული ლექსემიდან „**chaise, chese**“ (ფრანგულ ენაში **maison**), რაც ქართულად სახლს ნიშნავს. ენის განვითარებასთან ერთად მოხდა ლექსემის აღრევა ონიმა **chaise** - თან (ქართ. სკამი), რადგან ორივე ლექსემას მსგავსი ფონეტიკური ჟღერადობა აქვს. საბოლოოდ, არასწორი ფორმით დამკვიდრდა თანამედროვე ფრანგულ ენაში. **Le Mont-Dieu** ქალაქი, რომელიც შამპან-არდენის რეგიონში (ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს, სახელდება შედგება ორი ლექსემისაგან, „**Mont**“ (ლათ.**mons, montis**), რაც „მთას“, "მაღალ ადგილს“ ნიშნავს, „**Dieu**“ – „ღმერთი“, „უფალი“. ისტორიული წყაროების მიხედვით პირველი ტაძარი, მაღალ ადგილზე იყო აგებული, სადაც იქაური მოსახლეობა წირვა-ლოცვას ესწრებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე სოფელს უფლის მთა უწოდეს (ნეგრე, 1990:98). **Le**-მამრობითი სქესის არტიკლია, რაც ფრანგული ოიკონიმების მახასიათებელია. **Le Mont-Dieu** დეფისით წარმოებული კომპოზიტია. **Lieudieu** ქალაქი, რომელიც იზერის დეპარტამენტში მდებარეობს. **Lieu** - ფრანგული სიტყვაა და ადგილს ნიშნავს. 1150 წელს, მოცემულ ტერიტორიაზე, რამდენიმე პატარა სამლოცველო ერთდროულად აშენდა, ამიტომაც ქალაქს „**Lieudieu**“ – „უფლის ადგილი“ უწოდეს.

ვხვდებით აგრეთვე, ძველ პროვანსალურ სიტყვა **monge** -დან (ღვთის მორჩილი), წარმოებულ ტოპონიმებს. **Lamongerie** - სოფელი, რომელიც ლიმუზენის რეგიონში მდებარეობს, **Lamontgie** - კომუნაა, რომელიც პიდედომის დეპარტამენტში, მდებარეობს, **Lamonzie** - ქალაქი, რომელიც აკვიტანიის რეგიონში მდებარეობს. აგებულების მიხედვით დედათა მონასტრები მოიხსენიება ლექსემა **monge**-საგან წარმოებული თეონიმებით. **La**- მდედრობითი სქესის განსაზღვრული არტიკლს ემატება არსებითი სახელი და ბოლოსართი **-ie**.

შუა საუკუნეებში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინი საყდრის აღსანიშნად მონასტერი იყო (ლათ. **monasterium**): ძველ ფრანგულში იყენებდნენ ლექსემებს **moustier** და **motier**, რაც ტაძარს აღნიშნავდა, დღეს კი ითარგმნება როგორც **monastère**-მონასტერი. ადგილს, სადაც მონაზვნები ხვდებოდნენ და სხვადასხვა საკითხებს წყვეტდნენ, ძველ ფრანგულში ნაგებობას „**le moutier** „ ეწოდებოდა. ლექსემიდან გამომდინარე ხშირად ვხვდებით ტაძრებს, რომელთა სახელებში ნახსენებია მონასტრის ფუძე. **Montérolier** - კომუნაა, რომელიც ზემო ნორმანდიის რეგიონში მდებარეობს. ტერიტორია, სადაც მონასტერი აშენდა ნორმანდიელ ბატონ **Olier**-ს ეკუთვნოდა, რადგან მან კუთვნილ ტერიტორიაზე მონასტრის აგების ნება დართო, მის საპატივცემულოდ დასახლებას **Moustier-Olier**-ი უწოდეს, შემდეგ ორი ონიმის გაერთიანებით მივიღეთ ოიკონიმი **Montérolier**. **Monistrol-sur-Loire** - ქალაქი ოვერნის რეგიონში. ნომინაცია - **Monistrol**-ი, ლათინური ლექსემა **Monasterium**-ის ოქსიტანური ფორმაა, რომელიც უცვლელი სახით დამკვიდრდა ფრანგულ ენაში. იქედან გამომდინარე, რომ ტერიტორია ზემო ლუარის დეპარტამენტში მდებარეობს, **sur-Loire**-ქალაქის მდებარეობის დამაკონკრეტებელი ონიმაა. **Ménestreau**-დასახლებული პუნქტი, ბურგუნდიის რეგიონში. მისი თავდაპირველი სახელწოდება, ონიმა **monastère**- ის კნინობითი ფორმა - **Monasterellum** იყო, მაგრამ მოხდა მისი გათანამედროვეება და დამკვიდრდა, როგორც **Ménestreau**. სტრუქტურულად თეონიმების საწარმოებლად აღებულია (როგორც უკვე ვახსენეთ) სიტყვა „მონასტერი“, „**monastère**“-ის ფუძე, რომელსაც ემატება ტოპონიმის მაწარმოებელი სხვადასხვა აფიქსი.

Notre dame de Paris–„პარიზის ღვთისმშობლის“ ტაძარი, (1163-1272), მდებარეობს სენის სანაპიროზე. მშებენლობა დაიწყო ლუი VII მეფობის დროს, მთელი ქალაქი ჩაერთო მშენებლობის პროცესში, ზოგი თავისი შრომით, ზოგი ცოდნით მშენებლობის შესახებ, ზოგი მატერიალურად, ასე ერთად აშენებდნენ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს. სახელდება ღვთისმშობელი მარიამის სახელს უკავშირდება, რაც შეეხება ოიკონიმიას–„პარიზს“, გამოიყენეს ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად. რადგან არსებობს იმავე სახელობის ტაძარი ამიენში (**Notre – Dame d’Amiens**) -1220-1269წწ. რეიმსში (**Notre-Dame de Reims**), შარტრში (**Notre-Dame de**

Chartre). ოთხივე ტაძრის ნაგებობა კონსტრუქციულად იდენტურია, ამიტომაც მათ დიფერენციაციაში დიდი როლი ეკისრება ოიკონიმს, სწორედ ქალაქის სახელდებით ხდება საყდრების განსხვავება. ამ შემთხვევაში მკაფიოდ ჩანს ოიკონიმის როლი რელიგიურ ნომინაციებში.

Neuvéglise – კომუნა, რომელიც კანტალის დეპარტამენტში, ოვერნის რეგიონში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) მდებარეობს. სიტყვასიტყვით „ახალი ეკლესია“, ლეგენდის მიხედვით, სადაც ახლა ახალტაძარი მდებარეობს, ცხოვრობდა მოსახლეობა, რომელთაც მხოლოდ პატარა სამლოცველო ჰქონდათ, სოფელს ძლიერი ეპიდემია-დიზენტერია მოედო, წყლიდან გავრცელდა და სოფლის უამრავი მაცხოვრებელი გაანადგურა. ვინც ამ ძლიერ დაავადებას გადაურჩა, ინგლისურმა დაჯგუფებამ „ჯუშინის“ სახელწოდებით თითქმის მთლიანად ამოჟლიტა, სახლები და ტაძრები კი ცეცხლს მისცეს. გადარჩენილებმა ღვთის სამადლობელოდ, სალოცავის ადგილას ახალი ეკლესია ააგეს. ამრიგად, დამკვიდრდა ონიმა ახალი ტაძარი, (**neuve église**) შემდეგ, მოხდა ლექსემათა გაერთიანება (ზედსართავი **neuve-** ახალი და არსებითი **église** – ეკლესია) და ორი სიტყვის შერწყმით მივიღეთ **Neuvéglise**, რაც „ახალ ეკლესიას“ ნიშნავს (ლეჟენი, 2002:73).

Roiglise – სოფელი, რომელიც პიკარდიის რეგიონში მდებარეობს. რუაგლიზ-ი (თეონიმის თავდაპირველი ნომინაცია გალო-რომანული წარმოშობისაა **rosa**, რაც ნიშნავს მიწის დამუშავებას, დაცვას, **glise** (**glaise-** „თიხა, წითელ მიწას“). სტრუქტურულად სახელდება ორი ლექსემისაგან შედგება. ისტორიული წყაროს მიხედვით, ქალაქი დანგრეული იქნა ნორმანდიელების მიერ ბრძოლის დროს, ამიტომ მოსახლეობას დანაკლისის ამოღება და ქონების აღდგენა ძალიან გაუჭირდა. აღნიშნული საბაბით **Charles V**-ემ, მაცხოვრებლებს გადასახადები მოუხსნა, მოსახლეობამ მეფის საპატივცემულოდ პირველი ლექსემა **rosa**, სიტყვით **roi**-მეფე შეცვალა და დამკვიდრდა ოიკონიმი **Roiglise**. თვით ტაძარსაც ქალაქის სახელი უწოდეს, ამრიგად თეონიმი ოიკონიმის საფუძველზეა წარმოქმნილი. სტრუქტურულადაც რთული, შედგენილი სახელდება.

La Basilique du Sacré-Coeur de Montmartre (ბაზილიკური კონსტრუქციის მონმარტის წმინდა გულის ტაძარი, რომელიც პარიზში მდებარეობს), ნომინაციაში

მოიხსენიება ტოპონიმი „მონმარტი“, რაც მის ადგილმდებარეობას მიუთითებს, ეტიმოლოგიურად **Montmartre** (ლათინური წარმოშობის სიტყვაა **Mons Martyrum**), მონმარტი „ტანჯვა-წამების გორას“ ნიშნავს. **Mont** (მთა) **Martyre** (წვალება), სიმბოლურად უკავშირდება პარიზის პირველი ეპისკოპოსის, წმინდა დენისის, წამებას არსებულ ბორცვზე. ლეგენდის მიხედვით წმინდა დენისი გაქრისტიანებამდე წარმართი იყო და ამის საფუძველზე, რჯულის შეცვლის საბაბით, ძველმა თანამოაზრეებმა წამებით მოკლეს მონმარტის მაღლობზე. წმინდა დენისის ხსენების დღეა 9 ოქტომბერი. სტრუქტურულად მოხდა ონიმა - **mont**-სა და სიტყვა **martyre**-ის გაერთიანება და ერთ ტოპონიმად ჩამოყალიბება. **Mont+martyre= Montmartyre**, შემდეგ მოხდა ხმოვანი **y** -ის კვეცა და მივიღეთ „**Montmartre**“. რაც შეეხება ონიმას „წმინდა გულს“ (**Sarcé-Coeur**), სიმბოლურია, რადგან სადაც ახლა ტაძარია აგებული, იქ შეეწირა ეპისკოპოსის გული ქრისტიანულ რელიგიას. ამრიგად, მონმარტის „წმინდა გულის“ ტაძარი, ისტორიულ წყაროსა და ტოპონიმისაგან ნაწარმოები ნომინაციაა, რომელიც მიგვითითებს საფრანგეთის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე.

La cathédrale Saint-Pierre de Beauvais - ბოვის წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი, რომელიც უაზის დეპარტამენტში მდებარეობს, ყველაზე მაღალი ტაძარია ევროპაში. საფრანგეთში ტაძრების სახელდება ძირითადად წმინდანების სახელებით ხდება, რომელსაც ოიკონიმი ემატება, რათა განისაზღვროს ერთი და იმავე სახელობის ტაძრის ტერიტორიული მდებარეობა. **La cathédrale Saint-Pierre de Nantes** - ნანტის წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი, **La cathédrale Saint-Pierre de Montpellier**- მონპელიეს წმინდა პეტრეს სახელობის ტაძარი. ეტიმოლოგიურად ტაძრის ნომინაცია ანთროტოპონიმზეა დაფუძნებული, რომელსაც ტერიტორიის ნომინაცია ემატება. სტრუქტურულად შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც უკვე ვახსენეთ, საფრანგეთის ტერიტორიაზე ტაძრის ნომინაციას, წმინდანის სახელი განაპირობებს, რომელსაც მდებარეობის დასაკონკრეტებლად ოიკონიმი ემატება. **Saint-André-de-Cubzac** კომუნა, ჟირონდის დეპარტამენტში. **Saint** –

Jean-Poudge პატარა სოფელი, აკვიტანიის რეგიონში. **Saint-Paul-de-Baïse** სოფელი, რომელიც ჟერის დეპარტამენტში მდებარეობს (ჯოანი, 1905:89).

Sainte-Mère-Église –კომუნაა, რომელიც ქვემო ნორმანდიის რეგიონში (ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს. „წმინდა- დედა-ეკლესია“, მისი თავდაპირველი ლათინური სახელწოდება იყო **Sancte-Marie-Ecclesia** -წმინდა მარიამის სახელობის ტაძარი, შემდეგ ლათინური ლექსემა **Ecclesia** (ეკლესია) შეიცვალა სინონიმური ფრანგული ლექსემით **église** (ტაძარი), ონომასიოლოგიური განვითარების ფონზე საკუთარი სახელისა და არსებითი სახელი-„ტაძარის“ შერწყმა მოხდა და წარმოიშვა ერთსახოვანი ონიმა **Sancte-Mariglise**, სახელდება ლათინურიდან ფრანგულ ენაში გადავიდა, როგორც **Sainte-Marie-Eglise**. ქრისტიანულ რელიგიაში, მარიამი ხშირად მოიხსენიება როგორც დედა ღვთისმშობელი, ამ კოგნიტიური ცნობიერების შედეგად მოხდა მარიამის ჩანაცვლება სიტყვა დედით და საბოლოოდ მივიღეთ წმინდა დედის ტაძარი. ტერიტორიას ეწოდა **Sainte-Mère**, ტაძრის სახელდებიდან გამომდინარე.

ფრანგული თეონიმების კვლევის დროს არ გვხვდება სიტყვა ჯვართან დაკავშირებული ტოპონიმიკური ერთეულები, სავარაუდოდ ძველ ფრანგულ ენაში, მოსახლეობა ხშირად გზაჯვარედინის (le carrefour) ნაცვლად, იყენებდნენ სიტყვა ჯვარს (la croix)-ს, ამიტომაც იმ დროისათვის, ლექსემა ჯვარმა დაკარგა „წმინდა“ რელიგიური მნიშვნელობა. სწორედ ამ საბაბით არ გვხვდება ეკლესია-მონასტრები სადაც მოხსენიებულია არსებითი სახელი „ჯვარი“.

ამრიგად, ფრანგულ ენაში არსებული რელიგიური სახელდებების უმრავლესობა წარმოებულია საყრდის და ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკისაგან (ეკლესია, მონასტერი, ტაძარი, ღმერთი, ბაზილიკა). აგრეთვე გვხვდება წმინდანების სახელობის ტაძრები, რომლებსაც განმსაზღვრელად თან ახლავს ტერიტორიული ონიმა. მაგალითად: **Notre dame de Paris, Notre Dame de Reims**; რაც შეეხება სტრუქტურულ აგებულებას ყველა რელიგიური ოიკონიმი ორი ან რამდენიმე ფუძისაგან შემდგარი კომპოზიტია. თეონიმი და ნომინაცია ურთიერთკავშირშია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თეონიმის ჩამოყალიბება

ტერიტორიული სახელდებითაა განპირობებული. აქედან გამომდინარე, ოიკონიმს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრანგული თეონიმების განვითარებაში.

3.5. რელიგიური ოიკონიმების ეტიმოლოგიური და სტრუქტურული ანალიზი ქართულ ენაში

ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დამპყრობლის წინააღმდეგ სარწმუნოებისა და იდენტობის შესანარჩუნებლად უხდებოდა ბრძოლა. ქართველმა ხალხმა, მძიმე ბრძოლების მიუხედავად, მოახერხა შეენურჩებინა სახელმწიფოებრიობაც და ქრისტიანული რელიგიაც. ბრძოლა სახელმწიფოებრიობისათვის გადაიქცა მართლმადიდებლობისათვის ბრძოლად. ქრისტიანული რწმენის დასაცავად მრავალი სასულიერო პირი აღესრულა მოწამეობრივად. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ქრისტიანული მოწოდებებით, ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის მიუხედავად, ყოველთვის ატარებდა სააღმშენებლო და საგანმანათლებლო საქმიანობას. ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი ეკლესია-მონასტერია აგებული, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რელიგიური ოიკონიმის ჩამოყალიბებაში.

ალავერდი-სოფელი, რომელიც კახეთის რეგიონში (აღმოსავლეთ საქართველო) მდებარეობს. აგებულია, VI საუკუნეში წმინდა იოანე ზედაზნელის კურთხევით ერთ-ერთი ასურელი მამის-იოსებ ალავერდელის წინამძღვრობით; რაც შეეხება სიტყვის ეტიმოლოგიას, **„ალავერდი“**-თურქულ-არაბული წარმოშობისაა, **„ალაჰი“**-მუსლიმანური სამყაროს ღმერთია, ხოლო **„ვერდი“** - ბოძებას ნიშნავს. (გაბიძაშვილი, მამაცაშვილი, ღამბაშიძე, 2007:25) ამრიგად, **„ალაჰვერდი“**-ი ითრგმნება როგორც **„ღვთისგან ნაბოძები“**. სწორედ ასე მიმართავდნენ საუკეთესო მამლუქებს **„შაჰები“**. მოსალოდნელია ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის გვარიც არსებულ ეტიმოლოგიასთან იყოს დაკავშირებული, რადგან ისიც ღვთის მსახური იყო. შესაძლებელია ვთქვათ, რომ თეონიმმა განაპირობა ტერიტორიის ნომინაციის

ჩამოყალიბება. რელიგიური ოიკონიმი „ალავერდი“ ანთროტოპონიმიკური წარმოშობისაა და ღვთის საჩუქარს ნიშნავს. რაც შეეხება სტრუქტურას, ორი ლექსემისაგან შემდგარი კომპოზიცია, ალაჰ და ვერდ, სადაც მოხდა ასო „ჰანის“ კვეცა და დაემატა სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“, საბოლოოდ მივიღეთ „ალავერდი“.

ანჩისხატი - სოფელი ანჩა ისტორიულ კლარჯეთში, ამჟამინდელ თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილში მდებარეობს. VI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში. ანჩისხატის თავდაპირველი სახელწოდებაა „პირი ღვთის“ ხატი, რომელმაც უამრავი ავადმყოფი განკურნა და სასწაული მოახდინა, რის გამოც მთელი „ედესია“ (საბერძნეთი) ქრისტიანულად მოიქცა. საბერძნეთში იმპერატორმა ლეონ ისავროელმა და კონსტანტინე კოპრონიმომ, დაუწყეს დევნა წმინდა ხატთა თაყვანისცემას. რის გამოც „პირი ღვთის“ ხატი საიდუმლოდ გადმოასვენეს კაბადოკიის მახლობლად კერძოდ ანჩაში (მდინარე ჭოროხის ხეობაში)-„ანჩის“ საეპისკოპოსო ტაძარში. შემდგომ თამარ დედოფალმა ხატის განახლება და მცხეთაში გადმოსვენება მოითხოვა. სწორედ ანჩიდან ჩამოსვენებულ ხატს სახელი შეუცვალეს და მას შემდეგ მოიხსენიებენ როგორც „ანჩისხატი“ ანუ „ხატი ანჩიდან“. ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ ტაძრის სახელდება ხელთუქმნელის ანჩისხატმა განაპირობა, თვით ხატის სახელი კი ტერიტორიულ მდებარეობას უკავშირდება. სტრუქტურულად ორი ლექსემისაგან შემდგარი კომპოზიცია „ანჩი“ და ხატი“, მათ შორის არსებული ასო „ს“, მიცემითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც ქართულ ენაში კუთვნილებას გამოხატავს (ქალაქი-ს, ბათუმი-ს) და მივიღეთ „ანჩი-ს-ხატი“ (ბედოშვილი, 2006:29).

ბაგრატის ტაძარი-ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ქუთაისში. აგებულია X-XI საუკუნის მიჯნაზე, ბაგრატ III მეფობის დროს. ეტიმოლოგიურად მარტივი ამოსაცნობია, რომ ის ანთროპონიმიისაგან წარმოქმნილი ონიმაა, რომელიც ბაგრატ III სახელთანაა დაკავშირებული, ტაძრის საფუძველის ჩაყრა და შენება მისი მეფობის პერიოდს ემთხვევა. ბაგრატი-ს ტაძარი შეიძლება პირობითად „თვითმყოფადი“ ანთროტოპონიმიკური ონიმაა.

ბრეთი - სოფელი, ქარელის რაიონში, შიდა ქართლში მდებარეობს. შიდა ქართლი, ბრეთში VI საუკუნეში, მოღვაწეობდა ცამეტი ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, პიროსი. მის მიერ ჩამოყალიბებული ცენტრი კულტურულ-საგანმანათლებლო და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია როგორც პიროს ბერთელი. რაც შეეხება ოიკონიმ **ბრეთას** წარმოშობას, ის მონასტრის დაარსების შემდეგ ჩამოყალიბდა. ტაძრის აგებამდე, მთაზე ხშირი და გაუვალი ტყე იყო, ამიტომაც არავინ სახლობდა. ბრეთის ეტიმოლოგია ბერეთიდან მომდინარეობს, რადგან საყდარში ხშირად იოანე ზედაზნელის მოწაფეები იკრიბებოდნენ, თვით საყდარშიც ბევრი ბერი მოღვაწეობდა, ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ტაძრის ეზოში საფლავების ნაშთი და თვით საყდრის სიდიდე. ონიმა ბერთა, ბერების საცხოვრებელზე მიგვანიშნებს **ბერეთი-ბერთა** (გაბიძაშვილი, მამაცაშვილი, ღამბაშიძე, 2007:40), შემდგომ ტაძრის სახელი ოიკონიმად გადაიქცა და ტერიტორიას, სადაც ბრეთის სამონასტრო კომპლექსია, **ბრეთად** მოიხსენიებენ. სტრუქტურულად მასში მოხდა ხმოვნის ამოვარდნა **ბერეთი -ბრეთი**. ამ შემთხვევაში ტერიტორიის სახელდებას თეონიმი დაედო საფუძვლად.

გერგეთა-ყაზბეგში, მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციულ რაიონში მდებარეობს. ყოვლად წმიდა სამების ტაძარი XIV საუკუნის ძეგლია. თეიმურაზ ბაგრატიონის „ივერიის ისტორია“ მოწმობს, რომ მანამდე სამების მთაზე ჯვარი ყოფილა აღმართული. ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში სამების ტაძარს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საუკუნეების განმავლობაში ხევის ისტორიაში თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მასთან იყო დაკავშირებული. არსებობს ლეგენდა სამების ტაძრის საყდრის მშენებლობის შესახებ; რომ თითქოს ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ, თუ სად უნდა აშენებულიყო წმიდა სამების ტაძარი. მაშინ მცხეთაში ერთ ბერიკაცს მათთვის მოუხსენებია: „მეფენო, ფურ-ბერწი დაჰკალით და მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დააგდეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, სამებაც იქ ააშენეთო“. მეფეები ასეც მოქცეულან. ყორანი მოფრენილა და წაუღია სამგორველი. მდევრად ხალხიც თან გაჰყოლია. ანანურის თავზე ყორანს დაუსვენია და აქ სამების

ნიში აუგიათ. ყორანი აქედან ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) დაფრენილა და აქაც ჯვარი აღუმართავთ. აქედან კი გერგეთში, „ელგეშის“ ნიშთან გადაფრენილა, ცოტა დაუსვენია, ბოლოს სამების მთაზე დაუგდია სამგორველი და ძვალის იქ გამოუხრავს. უძველესი დროიდან სამების ტაძრის ყმებად გერგეტეველები ითვლებოდნენ. მათ ჰქონდათ ეკლესიის მოვლა-პატრონობის პატივი. მიმდებარე მიწები მთლიანად მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. ჩვენი ქვეყნისათვის სახიფათო და განსაცდელეებით აღსავსე წლებში ეკლესიის უდიდეს სიწმიდეებს, მათ შორის, წმიდა ნინოს ჯვარს და მაცხოვრის სამსჭვალს გერგეტის ყოვლადწმიდა სამების ტაძარი იცავდა (გაბიძაშვილი, 2007:57). სახელწოდება „გერგეტის“ მოხსენიებას კი განაპირობებს ის ადგილმდებარეობა, სადაც ტაძარია აღმართული. ოდითგანვე სოფელი გერგეტი მდინარე თერგის მარცხენა მხარეს იყო გაშენებული. ისტორიულ ნაწარმოებებში ხშირად მოხსენიებულია როგორც -**ეთ** სუფიქსიან სახელად **გერგ-ეთ-ი**, „სტეფანწმინდის ... დასავლეთ არს გერგეთი, არაგვს იქეთ კიდესა“, წყარო გერგეთი მოიხსენიება ი.ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“. ის თეონიმური ანუ რელიგიურ-საკულტო შინაარსის სახელია. სავარაუდოდ გაჩნდა, **წმინდა გიორგის** ჩეჩნურ კილოზე წარმოთქმის შედეგად. ჩეჩნურში, როგორც ცნობილია, წმ. გიორგი **Гоьрга (Герга), Герг** ფორმით გადმოიცემა. ჩეჩნეთ-ინგუშეთშიც განსაკუთრებით ბევრი ტოპონიმია შექმნილი ქრისტიანული წმინდანების სახელთა მიხედვით (ბედოშვილი, 2006:95). ამრიგად, ტერიტორიული სახელდება განპირობებულია თეონიმით, რომელმაც ტაძრის ნომინაცია განაპირობა. მამასადამე **გერგ-ეთ-ი**, შეიძლება გავიგოთ როგორც „წმინდა გიორგის სალოცავი“.

გელათის მონასტერი — ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი, შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აგებულია ქალაქ ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, წყალწითელის ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით. რაც შეეხება სახელდების ეტიმოლოგიურ წარმოშობას, სიტყვა „გელათი“ უშუალოდ უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „**ლენიჰი**“- ანუ „**გენა**“, რაც ნიშნავს შობას. აქედან გადმოვიდა ქართლში შეცვლილი ფორმით - „გენეტოს“ , შემდეგ კი იცვალა სახე ამგვარად - **გაენატოს**. ვიცით რომ დღეს ქუთათური მღვდელმთავარი ატარებს გაენათელის ტიტულს-ქუთათელ-გაენათელი.

„გაენათი“ წამოსულია „გენა“-დან და პირდაპირ უკავშირდება ღვთისმშობლის შობას. რადგან სულიერი სამყარო, სულიერი კომპლექსი აღაშენეს, ამიტომაც ტერიტორიას „გაენათი“ ეწოდა. „იშვა ღვთისმშობელი“, შემდეგ ასო „ა“ დაიკარგა და მივიღეთ გენათი-გელათი. ეს უკანასკნელი კი ფონეტიკური სუბსტიტუციით შეიქმნა (ნ-ლ სონორი თანხმოვნებია და მათი ჩანაცვლება მოსალოდნელია). ამრიგად, სამონასტრო კომპლექსი „გელათი“, რელიგიური ონიმაა და სტრუქტურულად შემდეგნაირად განვითარდა: **ლენიჰი ანუ გაენათი - გენათი - გელათი.**

ზეგანის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსი, ზეგანი - სოფელი, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაგრის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ნომინაცია მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. **ზეგანი** - დედამიწის ზედაპირის რელიეფის ფორმა; მთლიანი რელიეფის ვრცელი უბანი. აქედან გამომდინარე, საყდრის ნომინაცია ტერიტორიული სახელდებიდან არის წარმოქმნილი, სტრუქტურულად, მარტივი ერთფუძიანი ოიკონიმი.

მცხეთის ჯვრის მონასტერი-მე-6 საუკუნის ქართული ქრისტიანული მონასტერი. მდებარეობს მთაზე, ძველი ქალაქის - მცხეთის პირდაპირ, იქ სადაც არაგვი ერთვის მტკვარს. ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს, ქრისტიანობის მიღების პირველი წლებიდან, მეფე მირიანმა მთაზე ხის მაღალი ჯვარი აღმართა, რომელსაც ქართველების გარდა, კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც სცემდნენ თაყვანს. ჯვრის არსებობა ისტორიული წყაროებითაა დამტკიცებული (კაკაბაძე, 1928:76-80). რაც შეეხება სახელდებას, მაცხოვრის გოლგოთის გზას უკავშირდება. მეტაფორული აღქმით, ჯვრის მთაზე აგება ბოროტის დამარცხებისა და კეთილშობილების აღიარების სიმბოლოა. სტრუქტურულად ქართულ ენაში, ნათესაობით ბრუნვაში ხდება „ა“ ხმოვნის ამოვარდნა და მივიღეთ **ჯვარი-ჯვრის**. ამრიგად ჯვრის მონასტერი მარტივი კომპოზიტია, რომელიც წმინდა თეონიმური წარმოშობისაა.

ცხემლვანა-სოფელი, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრში, აჭარაში მდებარეობს. სოფლის ტერიტორია, სადაც ახლა ტაძარია აგებული, ადრე ცხემლებით იყო დაბურული. შემდეგ ნაწილი გაჩეხეს

და საყდარი, სამონასტრო კელიები ააგეს. ოიკონიმი „ცხემლვანა“ ფიტონიმიზე დაფუძნებული ონიმაა. ცხემლვანი, როგორც უკვე ვახსენეთ ცხემლისაგანაა წარმოქმნილი, ხოლო ლექსემა „ვანი“–(აკადემიკოსს ოთარ ლორთქიფანიძის განმარტებით), ძველ ქართულად „სახლს“, „სადგურს“, „დაბას“, „საცხოვრებელს“ ნიშნავს. ითარგმნება როგორც „ცხემლებში გაშენებული საცხოვრებელი“. სტრუქტურულად ორი ლექსემისაგან შედგარი კომპოზიტი, ორსიტყვიან - რთულ ოიკონიმს წარმოადგენს. ბოლო ხმოვნის ცვალებადობა, კომუნიკაციაში გამოყენების სხვადასხვაობამ გამოიწვია და იმავე ფორმით დამკვიდრდა ენაში. **ცხემლვანი-„ცხემლვანა“.**

წირქოლი, იგივე **წირქვალი** –სოფელი, რომელიც ახალგორის მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლში (აღმოსავლეთ საქართველო) მდებარეობს. VIII საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. **წირქოლი** ოსური წარმოშობის სიტყვაა და მცენარეებისაგან გამეჩხერებულ, „ქვიან ადგილს“ ნიშნავს. (წირქოლიანი ანუ ქვიანი) მას ზოგჯერ როგორც, **წირ-ქვა-ლს** ისე მოიხსენიებენ, სადაც სიტყვა **ქვა** მკაფიოდ ჟღერს. ტაძრის სახელიც ოიკონიმიდან არის წარმოებული და მას წირქოლის ღვისმშობლის სახელობის ტაძრად მოიხსენიებენ. სტრუქტურულად ფუძეს (**წირქოლ**) + სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“. ამრიგად ეკლესიის სახელდება ტოპონიმისაგანაა წარმოებული.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძირითადად ოიკონიმებს არსებითი ადგილი უჭირავს, ტაძრების ნომინაციაში. სწორედ ტერიტორიული ონიმა განასხვავებს ერთი და იმავე სახელობის საყდარს მეორისაგან. მაგალითად: არსებობს ბათუმის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და ქუთაისის წმინდა გიორგის სახელობის საყდარი, მათი დიფერენცირება ხდება ოიკონიმების სხვადასხვაობით. მაგრამ, არსებობს მონასტრები, რომელთა სახელდებები მოღვაწე ბერების სახელებს ანუ ანთროპონიმებს უკავშირება, ზოგჯერ ისტორიულ მოვლენებს ან კიდევ რომელიმე რელიგიური სიმბოლოთია აღნიშნული. მაგალითად: ჯვრის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი, ბრეთი და სხვ.

რელიგიური ოიკონიმების კვლევა მნიშვნელოვანი ინფორმაციების ფლობას მოითხოვს, მასში გაერთიანებულია საქართველოს ისტორია, გეოგრაფიული

მდებარეობა, რელიგიური ლექსიკოლოგიის ცოდნა. ინტერდისციპლინარულ ჭრილში განხილული რელიგიური ოიკონიმები შესაძლოა „ქრისტიანული სარწმუნოების მემატიანედ“ ჩაითვალოს.

დასკვნები III თავის მიხედვით

ოიკონიმები ჩვენი თვალთახედვით, თავისი წარმოშობის მრავლაფეროვნებით, მრავალფუნქციურ ონიმებს წარმოადგენს. მათი მთავარი ფუნქციაა არსებული გეოგრაფიული ტერიტორიების სახელდება - წარმოშობის ისტორიული წყაროს ეტიმოლოგიური კვლევის დროს ლექსემათა კავშირის ეთნოსთან, რელიგიასთან და კულტურასთან განსაზღვრა. ისინი, ერის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. მაგალითებზე დაყრდნობით შესაძლებელია ვთქვათ, რომ სახელწოდების ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის სხვადასხვა დისციპლინებს, მათ შორის არსებობს ერთგვარი ურთიერთმიმართება. ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა სახელწოდებების ფორმირება. ოიკონიმები, ჟამთა სვლასთან ერთად ინფორმაციით ივსება და ზოგჯერ მყარი, ზოგჯერ კი სახეცვლილი ტოპოფორმატით მოაქვთ ჩვენამდე ისტორიული თუ კულტურული მასალა.

ოიკონიმები თავისი სტუქტურული შემადგენლობით, ძირითადად ეტიმონისა და აფიქსების შერწყმით მიიღება. ვხვდებით მარტივ და შედგენილ კომპოზიტებს, რომელთა საკვანძო სიტყვა ხშირ შემთხვევაში არსებითი სახელია, მაგრამ, შესაძლოა ზედსართავის ან კიდევ ზმნისაგან იყოს წარმოებული. ხშირად ოიკონიმების წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ანთროტოპონიმებს უჭირავს.

რელიგიური ოიკონიმები ცხადად გვიჩვენებს ერისა და რწმენის კავშირს, ურთიერთმიმართებას. ზოგადად, ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა გლობალურ ინფორმაციას გვაწვდის ქვეყნისა და ეთნოსის შესახებ. რაც შეეხება ოიკონიმებისა და თეონიმების ურთიერთკავშირს, თუ რომელმა დენოტატმა განაპირობა სახელის დამკვიდრება ერის ისტორიაში, ამ შემთხვევაში, აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირი პირობითია. მაგალითებიდან გამომდინარე აღსანიშნის ოიკონიმად ქცევა, თეონიმისა და ტერიტორიის გეოგრაფიული ნომინაციის ურთიერთმიმართების შედეგია. მათ შორის ენობრივი ნიშანი ცნებასა და აკუსტიკურ გარსს აკავშირებს.

თავი IV. ლიტერატურული ოიკონიმები

4.1. ლიტერატურული ონიმები როგორც ოიკონიმთა გამომხატველობითი სახესხვაობა

ენა წარმოადგენს არა მარტო კომუნიკაციის და შეცნობის საშუალებას, არამედ ის ერის მახასიათებელიცაა. ენა ყოველთვის გამოხატავს ეთნოსს, კულტურის ცვლილებასთან ერთად ხდება ენის მოდიფიცირება, რის საფუძველზეც იქმნება სხვადასხვა ლიტერატურული შედეგები. ყოველდღიურ კომუნიკაციაში ვიყენებთ საკუთარ სახელებს, რომელსაც მიეკუთვნება რეალურად არსებული ადამიანის, ქალაქის, მდინარის, მთისა თუ ნებისმიერი ობიექტის სახელი, რომლითაც მწერლები ლიტერატურულ პერსონაჟებს, საგნებსა და სიუჟეტებს ქმნიან.

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განსხვავებულ, სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რომლითაც მწერლის ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი ვლინდება.

ოიკონიმი, საკუთარი სახელია, მიუხედავად იმისა, ბუნებრივადაა შექმნილი თუ ადამიანის წამოსახვის ნაყოფია.

ლიტერატურაში ოიკონიმების საშუალებით მწერალი ქალაქის ღირშესანიშნაობებს ან ისტორიას გადმოგვცემს. პარიზი, მკითხველის ცნობიერებაში ასოცირდება ეიფელის კოშკთან, ლუვრის მუზეუმთან, პარიზის ღვთისმშობილის ტაძართან. ქუთაისი, მკითხველის ცნობიერებაში ასოციაციებს გელათთან, დავით აღმაშენებელთან, ბაგრატის ტაძართან ქმნის ანუ ქალაქის სახელით მწერალი, გადატანილი ხერხით, გადმოგვცემს მოკლე, ძირითად ინფორმაციას. ოიკონიმების გამოყენება შემოქმედს ზუსტი, კონკრეტული ადგილის თუ ფაქტის გამოსახატავად ეხმარება, რადგან ყოველ ქვეყანას თავისი მახასიათებელი კულტურა და ტრადიციები გააჩნია. კონკრეტული შემთხვევისათვის მის ზოგად განმსაზღვრელად შესაძლებელია ქვეყნის, ქალაქის ან რეგიონის სახელდება გამოვიყენოთ. მაგალითად: **ბურგუნდია** (ფრანგ. Bourgogne), ამ რეგიონს ყველა უკავშირებს მეღვინეობას, რადგან ცნობილია ღვინის წარმოებით, როგორც საქართველოში კახეთი, რომელიც იონის დეპარტამენტთანაა დაძმობილებული. კახეთი ასოცირდება ვენახებთან, ღვინის წარმოებასთან, ანუ ოიკონიმების საშუალებით, მწერალი ქმნის ზოგად შეხედულებას, თუ სად ვითარდება სიუჟეტი და რა ტრადიციებს უკავშირდება არსებული ფაქტი, თუ რა მნიშვნელოვანი ასპექტით გამოირჩევა აღნიშნული ტერიტორია. იგი თავისი შემოქმედებით საკუთარ მიმართებას გამოხატავს არსებული ტერიტორიისადმი და მკითხველს განწყობას უქმნის. ნებისმიერი ლიტერატურული შემოქმედების დანიშნულებაა, შექმნას შესაბამისი განწყობა, რათა შემოქმედება მოახდინოს მკითხველის ქცევისა თუ განცდის მიმდინარეობაზე. ოიკონიმების მოხსენიებით ხდება აზროვნების ფიქსაცია ერთ კერძო დენოტატზე, გონება ქვეცნობიერად აერთიანებს, მობილიზაციას უკეთებს, ყველა არსებულ ინფორმაციას მოცემულ ქალაქსა თუ დასახლებულ პუნქტზე. მწერალი ერთი სახელდებით მკითხველის გონებაში მის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ლოკალიზებას ახერხებს.

ლინგვისტური თვალსაზრისით, ოიკონიმები სხვადასხვა მეცნიერებების სინთეზის შედეგად ფორმირდება როგორებიცაა: ლიტერატურათმცოდნეობა,

ფილოსოფია, გეოგრაფია, ისტორია და ფსიქოლოგია, რის შედეგადაც ხდება კოპლექსური კვლევა და ვლემულობით საბოლოო შედეგს. საკუთარი სახელები თავისებურ ლექსიკურ – გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ასპექტში გამოვიკვლიოთ: ენასა და მეტყველებაში, დიალექტსა და ლიტერატურაში. ყველაზე მეტად საინტერესოა ოიკონიმების კვლევა ფსიქოლინგვისტიკაში. ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკური თავისებურება და მისი უდიდესი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ ცნობიერების აქტივობით, „აღქმული ინფორმაცია განწყობას დაუმორჩილოს და ემოციური გამოხატულება მისცეს“. (უზნაძე 1998:90).

მწერლის შემოქმედებაში უნდა გავმიჯნოთ მის მიერ შექმნილი ორი „სამყარო“-წარმოსახვა:

1. „ვიზუალური წარმოსახვა“, რომელშიც ვიზუალური გარემოს, ღირშესანიშნაობებით აღქმულის წარმოსახვა იგულისხმება.

2. „კოგნიტიური ანუ შემეცნებით/შინაგანი წარმოსახვა“, რომელშიც ტერიტორიაზე მოცემული ეთნოსის მახასიათებელი ადათ-წესები და ტრადიციები იგულისხმება.

ამრიგად ოიკონიმების სახით მწერალი მკითხველს უქმნის კონკრეტულ სამყაროს, ვიზუალურ წარმოსახვას. მაგალითად: “C’était le jour de mon arrivée ici. J’avais pris la diligence de **Beucaire**, une bonne vieille patache qui n’a pas grand chemin à faire avant d’être rendue chez elle, mais qui flâme tout le long de la route, pour avoir l’air, le soir, d’arriver de très loin. » (დოდე, 1992 : 14)- „ეს ის დღე იყო, როდესაც აქ ჩამოვედი. ჩავჯექი ქალაქ **ბოკერის** დილიჟანსში. ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი ეტლი იყო, რომელიც არც ისე გრძელ, მისკენ (ქალთან) მიმავალ გზას მიუყვებოდა, რომელსაც ჩირაღდნები ანათებდა, რათა საღამოს ისეთი იერი გქონოდა, თითქოს შორიდან მოდიოდი“. ნაწარმოების ნაწყვეტში მოცემულია ლამაზი, თბილი საღამო, სადაც რაღაც სიახლეს ელოდები. ოიკონიმი **Beucaire** – ქალაქია საფრანგეთში, რომელიც ლანგედოკ-რუსიონის რეგიონში მდებარეობს. მისი ეტიმოლოგიაც იმაზე მიუთითებს, **beau** - ლამაზი და **caire** ოქსიტანურ ენაზე (რომელზეც პროვანსში ლაპარაკობენ), რაც „ქვაკუთხედს“-*pierre angulaire* ნიშნავს. ერთიანობაში ითარგმნება,

როგორც „ლამაზი ციხე-სიმაგრე“. ამ ნაწყვეტით ა.დოდე ქმნის მკითხველის ვიზუალურ წარმოსახვას, რადგან საფრანგეთში ქალაქი ბოკერი ცნობილია ისტორიისა და ხელოვნების ქალაქად, ამიტომაც მოცემული ოიკონიმის ხსენება, გონებაში სილამაზესთან, სიყვარულთან ასოცირდება. მაგალითად: „J'ai aimé l'eau, la lumière, le soleil, les matins d'été, les ports, la douceur du soir dans les collines et une foule de détails sans le moindre intérêt , un escalier bleu et blanc flanqué de deux fontaines
Nice. Je ne regrette ni d'être venu ni de devoir repartir. J'ai trouvé la vie très belle et assez longue à mon goût. J'ai eu de la chance. Merci“(ომრესონი, 2008:42). –„მიყვარდა ზღვა, სინათლე, მზე, ზაფხულის დილა, მშვიდი საღამო გორაკებზე, უინტერესო უმნიშვნელო დეტალები, თეთრად და ცისფრად შეღებილი კიბეები, რომლის ორივე მხარე შადრევნებით იყო გარშემორტყმული.....ნიცა. არ ვნანობ იმას, რომ აქ ჩამოვედი და არც იმას, რომ აქედან უნდა გავემგზავრო.. აქ განვლე ლამაზი და ხანგრძლივი ცხოვრება. გამიმართლა. გმდლობთ“. ავტორი ქალაქზე, უკვე შექმნილ მკითხველისეულ წარმოსახვას ამძაფრებს საკუთარი განცდებით, შედარებებით. ამრიგად, ოიკონიმური ერთეულების გარეშე წარმოდგენილი ლიტერატურული შემოქმედება გამოცანას ჰგავს, რომელიც აღქმას მოკლებულია და შეუძლებელია ადამიანში არსებული კოგნიტიური შემეცნება გააღვიძოს.

ალექსანდე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“- ნაწარმოებში გამოყენებული ოიკონიმით ავტორი ქმნის ზოგად შეხედულებას, გადმოსცემს ხასიათს ადათ-წესებს. მაგალითად: „იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს მიუახლოვდნენ მხედრები, სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთი-ერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად, სიმღერით და თოფის სროლით. აშკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ასე გულადად და პირდაპირ შესულიყვნენ ხევის სოფელში -საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, რომელიც კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, რომელიც თავისთავად მთელს, ძნელად ასაღებს, სიმაგრეს წარმოადგენს“ (ყაზბეგი, 2007:16). მიკროტოპონიმი-ხევის, მოხსენიებით მწერალი მკითხველის ცნობიერებაში, კოგნიტიურად აცოცხლებს იმ ხასიათს, განწყობას, ტრადიციებს, მოცემული ეთნოსის

ადათ-წესებს. (რა თქმა უნდა მკითხველი კარგად უნდა იცნობდეს იმ ქვეყნის ისტორიას ან იმ ერის წარმომადგენელი უნდა იყოს). ამ შემთხვევაში მწერალი ქმნის კოგნიტიურ, შინაგან წარმოსახვას. წაკითხული ინფორმაციის დროს, თავდაპირველად ონიმის აღქმა და წარმოსახვა, შემდეგ კი ოიკონიმის ირგვლივ არსებულ ინფორმაციასთან მისი პირდაპირი ან ასოციაციური დაკავშირება ხდება. ყველა ეს მოცემული ინფორმაცია, თითოეული ადამიანის, პასიური აზროვნების ნაწილია, მკითხველთათვის როგორც ინფორმაციული წყარო ის ცნობილია, მაგრამ ნაწარმოების კითხვის პროცესში პასიური აზროვნების კონვერტირება აქტიურ აზროვნებად ხდება, რაც წარმოსახვისა და ასოციაციის საფუძველს იძლევა. ტოპონიმის სხვადასხვა ონიმის გამოყენებით მკითხველი მწერლის მიერ შექმნილი სამყაროს უშუალო თანამონაწილე ხდება (უზნაძე, 1998:216).

ამრიგად, ოიკონიმებს როგორც ლიტერატურული ონომასტიკის შემადგენელ ნაწილს, მხატვრული ნაწარმოების კვანძს, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ შემოქმედებაში. ერთი მხრივ, ის ავტორის მიერ ნახსენებ სახელდებას განაზოგადებს, ჩვენს ცნობიერებაში ხელახალი განცდის შესაძლებლობას იძლევა, რაც სხვა დროს და სხვა ადგილას შეიძლება ადამიანის განცდის საგანი იყოს. მეორე მხრივ, თავისი ისტორიული ფაქტებითა თუ ეპოქალური თავისებურებებით ქმნის რეალურად არსებულ ინფორმაციას, რაც მკითხველს ნაწარმოების ღრმად აღქმასა და შემეცნებაში უწყობს ხელს.

4.2. საბავშვო ლიტერატურაში გამოყენებული ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა ფსიქოლინგვისტურ ჭრილში

ლიტერატურულ შემოქმედებაში, მწერლის აქტივობის მიზანს ობიექტური პროდუქტის შექმნა წარმოადგენს. ნაწარმოების შექმნა რთული, ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც ნებისმიერი დეტალი მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება. საინტერესო ნაწარმოების შექმნის დროს ამოცანა ისაა, რომ უკვე არსებული, ან ზოგჯერ არარსებული სიუჟეტი მკითხველის წარმოსახვისა და განწყობის მიზეზი

გახდეს. განსაკუთრებით საინტერესოა წარმოსახვისა და ფანტაზიის შემნა ზღაპრებსა და საბავშვო ლიტერატურაში. ავტორი თვით ქმნის ქალაქებს, ირეალურ პერსონაჟებს, რომლებიც ბავშვებს ფერად სამყაროში ამოგზავნიან და „ხელოვნურ წარმოსახვას“ უქმნის. ამ შემთხვევაში მწერალი ფსიქოლინგვისტურ ჭრილში ბავშვურ „ინტელექტს“, სურვილებს, მისწრაფებებს “ზონას“ და ფსიქოლოგიას აერთიანებს. ისე როგორც კომუნიკაციაში ბავშვთა მეტყველების საყრდენ სიტყვად ითვლება “მინდა“, ასევე ინტელექტუალურ-(ლიტერატურულ) სამყაროში შესაძლებელია „საყრდენ ლექსიკად“ ჩავთვალოთ ოიკონიმები, რადგან სამყაროს, პერსონაჟის, ქალაქის სახელდება წარმოსახვის და ფანტაზიის საბაზს განსაზღვრავს. საბავშვო ლიტერატურაში შექმნილი ირეალური სამყარო, მხატვრული ფანტაზიის ლექსიკოლოგიური ბაზაა. „ფსიქიკური მასალიდან განსაკუთრებით დიდ როლს ხელოვნებაში გრძნობა, აფექტი ასრულებს“ (უზნაძე, 1998:599).

მხატვრული ფანტაზია თავის მიზნებს იმით აღწევს, რომ იგი ჩვეულებრივ, ემოციური განცდების ობიექტივაციას იძლევა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ კავშირს, რომელიც ბავშვთა ემოციურ განცდებსა და განწყობას შორის არსებობს, მაშინ ემოციური ცხოვრების განსაკუთრებული მნიშვნელობა ფანტაზიისათვის სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება, რადგან ბავშვი განსაზღვრულ ასაკამდე სინამდვილის განსხვავებას ვერ აღიქვამს. იგი აღქმის, მეხსიერების თუ ფანტაზიის შემთხვევაში ყოველთვის ერთსა და იმავე სინამდვილეს გულისხმობს. ბავშვებისათვის წარმოდგენილი და აღქმული ორივე ერთნაირად სინამდვილეში მოცემულად განიცდება. სწორედ ბავშვთა ფსიქოლოგიური აღქმა და წარმოსახვა აძლევს მწერალს საშუალებას, შექმნას ილუზიური სამყარო - ზღაპარი, სადაც ყველა ბავშვისათვის მოგზაურობა სასიამოვნოა (უზნაძე, 1998:517).

მეზღაპრე ქმნის უხილავს, საოცნებო სამყაროს ოიკონიმის საშუალებით, რომელშიც ბავშვები ოცნების რეალიზაციას ახდენენ, პოულობენ და ქმნიან საკუთარ ხედვას, გარემოს. მაგალითად : **ფერია, კონკია, წითელქუდა, ჯუჯები, მზეთუნახავი, პიტერ პენი, ჰარი პოტერი**, ზემოხსენებული ნომინაციები ემოციურ ზემოქმედებას ახდენს ბავშვებზე, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს გონებაში. « **გულივერის მოგზაურობა** » გრანდიოზულ, უკიდევანო სამყაროს ილუზირებს, უქმნის

ინტელექტუალურ (არამატერიალურ) სივრცეს, სადაც ფიზიკური არსებობის გარეშე, ყოფნა შესაძლებელია. «**ყინულის სასახლე**» კი ცივ, მიუსაფარ ადგილს, სადაც მხოლოდ ბოროტებს შეუძლიათ სახლობა. როგორც უკვე ვნახეთ, შეიძლება ითქვას რომ, ონომასტიკა მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ლიტერატურის ღირებულებაში, და ფასეული ადგილი უჭირავს ფსიქოლინგვისტიკაში (ზინინი, 1960:56).

მწერალი სხვადასხვა სტილისტურ ხერხს იყენებს, რომლის ფონზე შესაძლებელია გამოვყოთ:

- **„ეპითეტური ტოპონიმები/ოიკონიმები“**, ონიმები, რომელსაც ავტორი რაიმე ნიშნით ახასიათებს. (ეპითეტი-ხატოვანი, მხატვრული განსაზღვრება. სიტყვა, რომელსაც რაიმე ნიშნით ახასიათებს მწერალი). მაგალითად: „საოცრებათა ქვეყანა“

- **„შედარებითი ტოპონიმები/ოიკონიმები“** ონიმები რომელთა სახელდება რომელიმე საგნიდან ან მოვლენიდან აირეკლება. (შედარება - მხატვრული ხერხი, როდესაც ერთ საგანს ან მოვლენას მეორე საგანს ან მოვლენას ადარებენ რაიმე ნიშნის მიხედვით). მაგალითად: „ყინულის სასახლე“

- **„ჰიპერბოლური ტოპონიმები/ოიკონიმები“** ონიმები, სადაც ავტორი გაზვიადებულად, გადაჭარბებულად აღწერს სახელდებას (კუზნეცოვა, 1998:53). (ჰიპერბოლა- ტროპის ისეთი სახეა, რომელიც საგანსა თუ მოვლენას გაზვიადებულად წარმოადგენს). მაგალითად: „გულივერის მოგზაურობა“

საბავშვო ლიტერატურაში მოცემული ყველა მხატვრული სტილი, ქმნის ილუზიურ სამყაროს, რომელიც ბავშვებს თან გასდევს გარკვეულ ასაკამდე, რეალური სამყაროს ზღურბლამდე, ისინი თითქმის ცხოვრობენ, მოქმედებენ ისე როგორც მათი საყვარელი გმირები არიან.

ზღაპრებში ძირითადად ზოგადად სამყაროს ნომინაცია ხდება, სადაც ირეალური გმირები ცხოვრობენ, სამყაროს სახელდება შესაძლებელია პირობითად მაკროტოპონიმიკად ჩავთვალოთ და ერთ ონიმად განვიხილოთ. **„ალისა საოცრებათა ქვეყანაში“**, სამყარო რომელიც სავსეა სასწაულებით, უცნაური სათავგადასავლო ამბებით, რეალური ცხოვრების საწინააღმდეგო არსებებითა და თვისებებით. ზღაპარში სიტყვა „ქვეყანა“ კონკრეტულ ტერიტორიულ მოცულობას განსაზღვრავს,

მაგრამ ეტიმოლოგიურად ზოგად უსაზღვრო, ტერიტორიულ ერთიანობას წარმოადგენს. ავტორი მიზანმიმართულად სიტყვა „ქვეყანას“ იყენებს, რადგან ბავშვის ცნობიერებაში ნახსენები სიტყვა, იგივეა რაც „ყველგან“ „მთელ დედამიწაზე“, ამით ის უქმნის ერთ, მთლიან წარმოსახვას- მთელი დედამიწა საოცრებაა, საოცრება ყველგანაა. ამრიგად, „საოცრებათა ქვეყანა“ , „ჯადოსნური სამყარო“, „ტკბილი ქვეყანა“, „შოკოლადის ქალაქი“, შესაძლებელია ჰიპერბოლურ ნომინაციად ჩავთვალოთ, როგორც „გულივერის სამყარო“, რადგან მწერალი ტერიტორიას გაზვიადებულად წარმოადგენს (ზინინი, 1960:63). მაგალითად: « Il était une fois un prince qui s'appelait Dimitri Galhouzof qui habitait le Pays du Bonheur, par delà cinq royaumes et cinq océans.....Il a trouvé sa bien-aimée dans son Pays du Bonheur, Ils vécutent heureux longtemps... ». (ხალხური 2010:24) -იყო და არა იყო რა, იყო ერთი პრინცი დიმიტრი, რომელიც ბედნიერებათა ქვეყანაში ცხოვრობდა, ხუთ სამეფოსა და ხუთ ოკეანეს შორის..... მან თავისი გულის სწორი ბედნიერებათა ქვეყანაში იპოვა და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.....“. სიტყვა ბედნიერება ზოგადი განსაზღვრებაა, ამიტომაც მას ყოველი ბავშვი ინდივიდუალურად აღიქვამს, მას თვით პიროვნება აყალიბებს საკუთარი კრიტერიუმების მიხედვით, ამიტომაც „ბედნიერება“ შესაძლოა სხვადასხვა ჭრილში განისაზღვროს, ეს დამოკიდებულია ბავშვის აღქმაზე. მწერალი მთავარ კვანძს ხსნის, რომ სიყვარული, სითბო - ბედნიერებაა, დანარჩენი თვით ბავშვის წარმოსახვაზეა დამოკიდებული.

ამ ტიპის სახელდებები, შესაძლებელია **შედარებით** ოიკონიმიტა რიგს მივაკუთვნოთ. განსაზღვრული ტოპონიმი, ამ კონკრეტულ მომენტში შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელი ონიმა წარმოვადგინოთ, რომელიც ფსიქოლინგვისტურ ჭრილში განიხილება და ზოგადი, მატერიალური სამყაროს ნაცვლად, შინაგან სულიერ წარმოსახვას ანვითარებს (ბელენსკაია, 1969:24).

მწერალი იცნობს ბავშვთა ფსიქოლოგიას და მათი წარმოსახვის ასოციაციაზე დაქვემდებარებით, ქმნის ლექსემებს, რომლებსაც ბავშვი წარმოსახვაში განავითარებს. განსაკუთრებით საინტერესოა, საბავშვო ლიტერატურაში გამოყენებული, გამოგონილი ანთროპონიმები, როგორცაა „სიზმარა“, ონიმა თავიდანვე ქმნის წარმოსახვას ლამაზ სიზმარზე, „**მზეთუნახავი**“, რაც თითოეული

ბავშვის ფსიქოლოგიაში ჩანერგილია როგორც უმშვენიერესი, ულამაზესი გოგონა. ლექსემის ეტიმოლოგიურად განხილვის დროს, შესაძლებელია ურთიერთსაწინააღმდეგო ეტიმოლოგია მივიღოთ, პირველად გავნიხილოთ დადებითი კუთხით „მზეთუნახავი“- მისი მშვენიერება მზესაც კი გააოცებს. უდავოა, რომ მზეთუნახავი უმშვენიერეს, ულამაზეს წარმოსახვასთან ასოცირდება. ამრიგად, სიზმარა შესაძლოა „სიზმარა“ შედარებით ონიმას მივაკუთნოთ, ხოლო „მზეთუნახავი“ - ჰიპერბოლურ ტოპონიმებს (კუზნეცოვა 1988:84). მაგალითად: “Il y avait un garçon qui s’en alla seul dans **le monde des animaux**” - იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, რომელიც სამოგზაუროდ ცხოველთა სამყაროში წავიდა. ზღაპრის ამ ნაწილში მოცემულია, შედარებითი ოიკონიმი. ტერიტორია, სადაც უამრავი ცხოველია შედარებული ცხოველთა სამყაროსთან მიუხედავად იმისა, რომ იქ, ადამიანებიც სახლობენ. განსაზღვრულ ადგილს, ბავშვი უამრავი ლამაზი, მრავალფეროვანი ცხოველებითა და ფრინველებით წარმოიდგენს, ამით ბავშვთა გონებაში საშიში ცხოველების მიმართ დადებითი განწყობა ვითარდება. ავტორი შუამავალია ბავშვსა და სამყაროს შორის, მას ერთი და იგივე საგანი ან ინფორმაცია შეუძლია სხვადასხვა ემოციით მიაწოდოს და შესაბამისი განწყობა შეუქმნას (უზნაძე,1998:302).

ამრიგად, შესაძლებელია ითქვას რომ, მწერალი თავისი ჯადოსნური კალმით, ტოპონიმებისაგან მოცემულ, უკიდევანო ფანტაზიებითა და მხატვრული ნიჭიერებით ბავშვს, გარკვეულ ასაკამდე უქმნის დიფუზიურ სინამდვილეს, სადაც აღქმითი სინამდვილე, მეხსიერებაში მოცემული სინამდვილე და ფანტაზიაში ნაგულისხმევი სინამდვილე, ფენომენოლოგიური წარმოსახვაა. ამ მდგომარეობას, პირობითად შესაძლოა ინსპირაცია, მხატვრული შთაგონება ვუწოდოთ (უზნაძე, 1998:319).

4.3. «ცრუ» ოიკონიმები და მათი ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში

ლიტერატურულ ნაწარმოებში სხვადასხვა სტილისტური ხერხით ხდება პერსონაჟის, სიუჟეტისა და ისტორიული ფაქტის განსაზღვრება. ისტორიული ფაქტის გადმოცემა ხშირად ხდება ოიკონიმების საშუალებით, რადგან ქალაქის სახელწოდება საშუალებას იძლევა შეიქმნას ზოგადი შეხედულება ერის კულტურაზე, ხელოვნებასა და ისტორიაზე. ამრიგად, ოიკონიმები ლიტერატურულ ნაწარმოებში ზოგადად ისტორიული სიუჟეტის განმსაზღვრელია.

მწერლები ქმნიან ლიტერატურულ შემოქმედებებს, გმირებს, საგნებსა და არარეალურ სიუჟეტებს. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განსხვავებულ ხასიათს ატარებს, რომლითაც ვლინდება მწერლის ორიგინალობა, ამიტომ ისევე როგორც იგავებში, ზღაპრებშიც შესაძლებელია უსულო საგნების პერსონიფიცირება. ასევე მისაღებია “ოიკონიმების” შექმნა ნაწარმოების კოგნიტიურობის ან უბრალოდ მეტაფორული მრავალ-ფეროვნებისათვის. ტოპონიმის მეშვეობით მწერალი ქმნის ზოგად ინფორმაციას, ეს კოგნიტიური პროცესია, არსებობს შემოქმედება, რომელშიც მწერალი თვითონ ქმნის სახელს-ოიკონიმს, ახალი სამყაროს ან არსებული ტერიტორიის გადატანითი მნიშვნელობის გამოსახატავად (ახმანოვა, 1948:61).

ამ შემთხვევაში, მწერალი მკითხველის წარმოსახვის არეალს აკონტროლებს, თვითონ აძლევს შესაბამის მიმართულებას დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით. რომლებსაც შეიძლება პირობითად “**ცრუ ოიკონიმები**” ვუწოდოთ. ავტორი “ცრუ ოიკონიმებს” იყენებს:

- ლიტერატურული ნაწარმოების წარმოსახვის, ილუზიისა და ფანტაზიის მრავალფეროვნებისათვის.
- ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტის გამმაფრებისათვის.
- ლიტერატურული ნაწარმოების ხელოვნური ესთეტიკისათვის.

ავტორი ნაწარმოებში ქმნის “უნივერსალურ” სახელს მოცემული პერსონაჟების ტრადიციისა და ეთნიკურ საფუძველზე დაყრდნობით ან კიდევ სიუჟეტის მოთხოვნიდან გამომდინარე, ამიტომ ისევე როგორც რეალური ოიკონიმები, თვითშექმნილ ქალაქთა სახელებიც ეტიმოლოგიურ და სტრუქტურულ ანალიზს მოითხოვს ლინგვისტური თვალსაზრისით ისეთი სხვა მეცნიერებების სინთეზის ფონზე როგორებიცაა, ლიტერატურათ-მცოდნეობა, ფილოსოფია, გეოგრაფია,

ისტორია და ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა რის შედეგადაც ხდება კოპლექსური კვლევა და ვლებულობთ საბოლოო შედეგს. დღესდღეობით, ცრუ ოიკონიმები, ისე როგორც რეალური საკუთარი სახელები თავისებურ ლექსიკო – გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც ენობრივ ან ლიტერატურულ ასპექტში შეიძლება სხვადასხვა კუთხით გამოვიკვლიოთ. განსაკუთრებით საინტერესოა საკუთარ სახელთა კერძოდ, “ცრუ ოიკონიმთა” კვლევა ლირიკულ თუ დრამატულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ლიტერატურულ ტექსტებში ოიკონიმებს განსაკუთრებული სპეციფიკა აქვთ, ნომინაციები ლიტერატურულ ნაწარმოებში ღრმა და მისტიკურ შერბნებებს იწვევს, რომელთა აღქმაც მკითხველთა ინდივიდუალურ წარმოსახვაზეა დამოკიდებული. ყოველი მწერალი იყენებს ქალაქის სახელს, საკუთარი შემოქმედების შეჯერებისა და ნაწარმოებში მოცემული კონკრეტული კოგნიტიური აზრის ამოსაცნობად (კორტუნოვა, 2004:49).

ნომინაცია, სიუჟეტში მოცემულ ეპოქას, ისტორიას, კულტურას განსაზღვრავს. ლიტერატურულ ნაწარმოებში მას ავტორი ინდივიდუალური კლასიფიკაციის ფონზე გადმოგვცემს. ოიკონიმების წარმოებას, ეტიმოლოგიას, სტრუქტურულ ანალიზს, ლიტერატურულ ნაწარმოებში შეისწავლის ლიტერატურული ონომასტიკა. ცრუ ოიკონიმები კი, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ავტორის მიერ შემოთავაზებული ობიექტის, სუბიექტური ანარეკლი. ლიტერატურული ონომასტიკა ეს არის ლიტერატურული ტექსტების ერთიანობა, რომელიც გადმოგვცემს დედამიწის თითოეული ნაწილის ისტორიასა და ფაქტებს სახელდებისა და ენობრივი ნორმების საშუალებით. ოიკონიმებსა და ობიექტებს შორის კავშირი არსებობს, ხოლო “ცრუ ოიკონიმებს” და ტერიტორიას შორის კავშირს თვით ავტორი ამყარებს. ხშირად, მწერლები აგრეთვე ინტერპრეტაციურ ონიმებს იყენებენ. ლიტერატურული ონიმები ტექსტუალური სიუჟეტის მთავარი მხარეა, რადგან სახელის საშუალებით მწერალი კოგნიტიურ ინფორმაციას გადმოგვცემს (ბალი, 1995:65-67).

ლიტერატურაში გამოყენებული საკუთარი სახელები – პოეტონიმები, კვლევის საინტერესო ობიექტია, როგორც ლინგვისტიკის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. ლიტერატურული ოიკონიმები თავისებურად წარმოებულ სახელებს გამოხატავს, რომელთა სტრუქტურული ანალიზი მწერლის

შეხედულებაზეა დამოკიდებული. მწერალი მათ საკუთარი და ენობრივი ფუნქციების შერწყმით ქმნის. ოიკონიმები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ონიმები, განსაკუთრებული ფუნქციით გამოირჩევა. შემოქმედებითი “ცრუ ოიკონიმები” რეალური ოიკონიმებისაგან განსხვავებით, ორიგინალურ სტილისტურ თავისებურებებს წარმოადგენს, ისინი სამყაროს, სიუჟეტს, ტერიტორიას გადატანითი ნიშნებით ახასიათებენ. ლინგვისტები თვლიან, რომ ლიტერატურაში გამოყენებული ნომინაციები, რეალურ ცხოვრებაში არსებული ავტორისეულად აღქმული სახელებია. შესაძლებელია გამოვყოთ სხვადასხვა ტიპის “ცრუ ოიკონიმები”:

- **გამომხატველი “ცრუ ოიკონიმები”**– ავტორი არსებულ ქალაქში მისი გმირების მოქმედებას გადმოგვცემს.
- **ოკაზონალური ოიკონიმები**– ავტორი სხვადასხვა სიტყვების, პრეფიქს-სუფიქსის ნაერთით, ნაწილაკების დართვით, დენოტატისათვის შესაფერის არარსებულ სახელს იღებს.
- **ანთროტოპონიმიკური ოიკონიმები**–რომელსაც ავტორი ქმნის პერსონაჟის სიძლიერისა და ზეგავლენის გამოსახატავად.
- **მეტაფორული ოიკონიმები** - ქალაქი, სადაც სახელდება გადატანითი მნიშვნელობით მოიაზრება (ლებედევა, 2004:58).

გამომხატველი “ცრუ ოიკონიმები” გამოირჩევა სემანტიკური ორპლანიანობით. ისინი არა მარტო მითითებულ ტერიტორიას აღნიშნავენ, არამედ არსებულ ქალაქში მიმდინარე ფაქტს, ნაწარმოებს განსაზღვრავენ, აძლევენ სახასიათო მიმართულებებს, ხშირად ირონიულს, სატირულს ან სიმბოლურს.

მხატვრულ შემოქმედებაში, ფრანგული მწერლობის ტრადიციებისათვის მეტად უჩვეულო აღმოჩნდა, თანამედროვე ფრანგი მწერლების ლიტერატურული ოპუსები (opus ლათ. სიტყვაა და ნაშრომს, ნაწარმოებს ნიშნავს). ოიკონიმის “ორმაგი ნიშანი“ გამოიყენეს ფრანგულ ლიტერატურაში. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ შექმნეს ახალი მიმდინარეობა “ლიტერატურული სამეცნიერო ფანტასტიკა”, რომელიც ფანტასტიკისაგან განსხვავებით არ შეიცავს აუხსნელ ელემენტებსა და მასში არ არის ჯადოსნური საოცრებები. ის არის ჩვეულებრივი ავტორისეული

გამოხატვის ჟანრი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენებით, მიღებულ პირობითობის ზღვარს სცდება. სამეცნიერო ფანტასტიკა, პირველ რიგში გონებაში განხორციელებული წარმოსახვითი ექსპერიმენტი. სწორედ ამ მეცნიერებაზე დაყრდნობით გადმოგვცემს Henri Vernes თავის ნაწარმოებში “სილის ქალაქი” (*La cité des sables*), სადაც ავტორი თავის გმირს უქმნის ირეალურ, წარმოსახვით სამყაროს.

Kabbah–**Kabb**, ერთ-ერთი სასწაული ბუდიზმში, რომელიც აკონტოლებს დროს, სივრცეს. ბოლოსართი **-ah**, გაცემის გამომხატველი ნაწილაკია. სიმბოლურია–რადგან, მწერალს ასახული აქვს საოცრებებით დატვირთული გარემო. ამრიგად, შედარების სახით, გადატანითი მნიშვნელობით მიღებულია გამომხატველი “ცრუ ოიკონიმი”.

Mindao – (*ville imaginaire est une ville qui n'existe pas dans le monde réel, où se déroule le sens...*- წარმოსახვითი ქალაქი -ქალაქი, რომელიც რეალურ სამყაროში არ არსებობს) (Vernes, 1997:37). **mind** (ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და გონებას, აზროვნებას ნიშნავს), **-ao** ავტორის მიერ ნაწარმოები ბოლოსართია. ერთიანობაში მიღებულია ოკაზიონალური ცრუ ოიკონიმი. “**La griffe de l'ombre jaune**“- (ყვითელი აჩრდილის ბრჭყალები). ანრი ვერნის თხზულებაში განსხვავებული სტრუქტურით არის წარმოდგენილი ქალაქის სახელწოდება, **LasV**-შედგენილია ფრანგული ზედსართავი **las**-საგან, რაც “დალლილს” ნიშნავს, და საკუთარი გვარის პირველი ასოსგან. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ბოლო „**v**“-აღნიშნულია დიდი ასოთი. ამით ავტორი საკუთარ დამოკიდებულებას, რეალობასთან შეუსაბამობას გამოხატავს. ის ოიკონიმიის ორიგინალურ სტრუქტურას წარმოადგენს და პირობითად შეიძლება აბრევიაციული, „ცრუ ოიკონიმი“ ვუწოდოთ.

ლიტერატურულ ნაწარმოებში აუცილებელი ხდება ტოპონიმიკის შესწავლა კომუნიკაციურ–კონცეპტუალურ ასპექტში, რომელიც გეოგრაფიული სახელების ენობრივ ელემენტებთან კავშირს ითვალისწინებს. ამ მხრივ, ქართული მწერლობა ძალიან საინტერესოა, ვხვდებით ლიტერატურულ შემოქმედებებს, რომლებშიც კოგნიტიური სამყარო, მრავალწახნაგოვან წარმოსახვას იძლევა. ერთ ონიმაში გაერთიანებულია ლიტერატურის სხვადასხვა ტროპები და მრავალგვარი, სტრუქტურული აგებულება. რაც მწერლის ორიგინალურ სტილს მიუთითებს, ამ

მხრივ საინტერესოა ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობები. მაგალითად: „ჩემი სანაკლიო“ – „ჩემი ტურფა და წალკოტოვანი ქალაქი უხსოვარი დროიდან ყოფილა დასახლებული. თანამედროვე სანაკლიოს მიდამოებში, მიკვლეული უძველესი ჩონჩხი, რომელსაც მკვეთრად ეტყობა როგორც ადამიანის, ასევე მაიმუნის დამახასიათებელი ნიშნები, ექვმიუტანლად ამტკიცებს, რომ **სანაკლიო** განეკუთვნება მსოფლიოს იმ მნიშვნელოვანი რაიონების რიცხვს, სადაც ერთ დროს ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. ბერძენი ისტორიკოსების ცნობით ანტიკურ ხანაში **სანაკლიოში** მდგარა, კარგად გამაგრებული და პრაქტიკულად მიუდგომელი ციხე, სადაც იმდროინდელი სანაკლიელები, გაჭირვების ჟამს თავს აფარებდნენ. სამწუხაროდ, იმ ციხის არავითარი კვალი არ შემორჩენილა. ასეთია ჩემი მშობლიური სანაკლიო და მე, დიახაც, ვამაყობ, რომ სანაკლიელი ვარ“ (ქარჩხაძე, 2009:84).

მწერალი გამომხატველ ცრუ ონიმას იყენებს, რომლითაც დადებითად, კოგნიტიური მნიშვნელობით გადმოგვცემს საკუთარ ტკივილს, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიის აღწერა, ლამაზი სიუჟეტით, ხატოვანი გამონათქვამებითაა გაჯერებული. კვანძის გამხსნელი სიტყვაა ოიკონიმი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ავტორის რეალური მიმართება. **სა-ნაკლი-ო**, წარმოქმნილია არსებითი სახელისაგან **ნაკლი**, არსებული სახელდებით ამ მშვენიერი ქვეყნის არასრულყოფას, მშობლიურ მხარეში მის ტკივილიან განცდას გამოხატავს. წარმოქმნილია პრეფიქსი **სა-** და სუფიქსი **-ი-საგან**, სტრუქტურულად ისეთივე ფორმა აქვს როგორც ნამდვილ ოიკონიმებს. ის გამოიხატება იდენტური ტოპო-სტრუქტურით:

Prép +Nom+Suff

ამ მხრივ საინტერესოა, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება, თავისი ფილოსოფიური შეხედულებებითა და პრობლემატიკით, რომელიც სიმბოლოების სხვადასხვა სტილისტური ხერხის გამოყენებით ვლინდება. ნაწარმოებში „სამოსელი პირველი“ მწერალი „ცრუ ოიკონიმების“ მეშვეობით კოგნიტიურ დატვირთვას ანიჭებს ტექსტს: **ლამაზ- ქალაქი** – “ვარდისფრად შეღებილ კედელთან იდგა ქალი – თეთრი კოჭებამდე კაბით, ქალაქთან მუდამ მდინარე ჩადის, ხეები, ხეები მდინარის პირას, მიწაში ღონივრად ფესვებგადგმულნი და შორიდან კი გაფოთლილი ტოტებით ჰაერს

მსუბუქად ჩამოყრდნობილნი, ჰაერში მსუბუქად მოტივტივე. ხის ძირას–მადლიანი ჩრდილი, და კიდევ ბალახი, წვნიანი, რძიანი, ლორთქო” (გ. დოჩანაშვილი, 1990: 114). ტექსტში მწერალმა ზებუნებრივი სილამაზის მქონე ირეალური სამყარო შექმნა, რომელშიც მოქმედი პერსონაჟებიც არარსებულია. სტრუქტურულად ოიკონიმი აგებულია ზედსართავისა და არსებითის მეშვეობით. ტექსტში შერჩეულია ზედსართავი, რომელიც ძალიან კონკრეტულად გადმოგვცემს არარეალურ ქალაქს, ისე როგორც მას ავტორი ხედავს. მასში ოიკონიმი გვევლინება, როგორც ტოპონიმიკის სახესხვაობა და მას მეტაფორული დატვირთვა აქვს. **ლამაზ - ქალაქი** შეიძლება მივაკუთვნოთ გამომხატველ “ცრუ ოიკონიმებს”.

კამორა – “გათენებისას მძიმედ ამოტივტივდებოდა ხოლმე დიდი, ნაცრისფერი, გლუვი ქალაქი–**კამორა**. გისოსებიან ფანჯრებში ფარდები საეჭვოდ შეირხეოდა, ყველა ფარდაზე უამრავი თვალი იყო ამოჭრილი, საგულდაგულოდ ჩარაზულ კარებში მრგვალი, კუმტი სახელები ეკიდა–დასაბრაზუნებელი” (დოჩანაშვილი, 1990:345). ოიკონიმი სიმბოლურად დატვირთულია ცივი, უხეში სინონიმებით, რომელიც თავისთავად საშიშ ემოციას იწვევს. ეტიმოლოგიური ანალიზის მიხედვით შესაძლებელია **მორ**- აღებულია რუსული სიტყვისაგან **more** – რადგან ზემოთ მოცემულ ტექსტში ნახსენებია ზედსართავი სახელი- ნაცრისფერი, დიდი, ზმნა-ტივტივებდა, საეჭვოდ შეირხეოდა, რომელსაც ხშირად იყენებენ ზღვის ასალწერად. **კა**- თავსართია და **-ა**, ბოლოსართი. (**კა–მორ–ა**). ფონეტიკური ჟღერადობით ჩამოგავს ესპანურ-იტალიურ ქალაქთა სახელებს, ამიტომაც შესაძლებელია ფუძე **მორა** აღებულია ესპანური ზმნისგან **morar** – საგან, რომელიც “სადმე ცხოვრებას“ ნიშნავს. **კა**– ტოპონიმიკაში გავრცელებული თავსართია. ერთი მხრივ, ესეც სიმბოლურია. ერთ-ერთი ვერსიით, ქალაქის აღწერილობიდან გამომდინარე, ოიკონიმი შესაძლებელია ნაწარმოები იყოს იტალიური სიტყვიდან **camorra**, ასე ეწოდებოდა იტალიური მაფიის ერთ-ერთ საიდუმლო ორგანიზაციას სამხრეთ იტალიაში. ბურბონების დინასტიის აღდგენის დროს (1815-1866წწ) „**კამორას**“ იყენებდნენ ანტიფეოდალური გამოსვლების ჩასახშობად. იტალიის გაერთიანების შემდეგ კი სამხრეთის სეპარატისტული წრეების დასაყრდენი გახდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მის ნაწილებზე შეიქმნა გამომძაღველთა ბანდა „კამორა“, რომელიც ძალადობისა და გამომძაღველთა სინონიმად იქცა. იტალიურ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონში გამოთქმას „alta camora“ შემდეგი დეფინიცია აქვს „მდიდართა და მქონებელთა ძალაუფლება“. მამასადამე, სავარაუდოდ ნაწარმოებში გამოყენებული ოიკონიმი ძალმომრეობის სიმბოლოა, ამას მოწმობს მოპოვებული მასალებისა და თხზულების ურთიერთშედარება. **კანუდოსი - ნუდო – (nudo)** იტალიური წარმოშობის სიტყვაა და როგორც ზედსართავი “შიშველს” ნიშნავს. გ. დოჩანაშვილს ირეალური სამყარო სრული სიცხადით, არსებულად აქვს წარმოდგენილი. კა–როგორც უკვე ვახსენეთ პრეფიქსია, -სი, სუფიქსი. “წვიმდა, რაღაცნაირად, უგულოდ წვიმდა, მცირე წვეთები ისერებოდა დაბალ ჰაერში მძიმედ ატივტივებული ნესტი, და სამადსამი სევდამორეული, დაფიქრებული ვაკეირო ხის ძირას, ამოზნექილ ფესვებზე იჯდა, ხმას არ იღებდნენ“ (დოჩანაშვილი, 1990: 483).

ბოლო ორი მაგალითი მიეკუთვნება ოკაზიონალურ – (შემთხვევით) ოიკონიმს. მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს კანუდოსის ონიმის არსებობას, ბრაზილიაში, ეს იყო დაბა, რომელიც შემდეგ ბაიას შტატს შეუერთდა. ამგვარი დენოტატი მოხსენიებულია რუი ფაკოს თხზულებაში, „გლახთა ომი კანუდოსში“, აჯანყების ერთ-ერთ პირობად მიწის საკითხია დასახელებული, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „Новая и Новейшая история“. ნომინაციის არსებობის შესახებ მწერალმა ინფორმაცია ნაწარმოების შექმნის შემდეგ აღმოაჩინა.

„**მაღალსოფელი**“, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალის საშუალებითა და თხზულების ცალკეული მონაკვეთებით, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ავტორისათვის მაღალსოფელი, ქართული ფენომენია. „იმათ სოფელში უცნაური დღესასწაულები იცოდნენ, რას არ ევედრებოდნენ ბუნებას: წვიმას, მზესა და ნაყოფიერებას. ცისკენ თავაწეულნი ღრიალით ითხოვდნენ ყოველივეს“ (დოჩანაშვილი, 1990:83). მაღალსოფლის როგორც ზოგადად ქართული გარემოს ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელია, ქართული ხალხური სიმღერები. რაც შეეხება ონიმის ეტიმოლოგიურ წარმოშობას, მწერალი მისთვის საოცნებო სამყაროს ქმნის. **მაღალი** -ცისკენ მიმართული, კოგნიტიური ცნებით, რაც ახლოსაა ზეცასთან, ახლოსაა ღმერთთან. სოფელი ზოგადად მოცემული ტერიტორიული განსაზღვრებაა,

რომელშიც კონკრეტულად მთელი ქვეყანაა ნაგულისხმევი. სტრუქტურულად შედგება ორი ლექსემისაგან, ზედსართავი სახელისაგან „მაღალი“ და არსებითი სახელისაგან „სოფელი“ სახელდება სიმბოლური ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგალითად:

Adj+Nom

ამგვარად, “ცრუ ოიკონიმები” შესაძლებელია ლიტერატურაში წარმოდგენილი იყოს როგორც ლიტერატურული გამოხატულების ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ნაწარმოების რეალურ და კოგნიტიურ შინაარსს გადმოგვცემს.

მაშასადამე, ნაწარმოებსა თუ მოთხრობის ტექსტში ავტორს შეაქვს ერთი ან რამდენიმე ფანტასტიკური ვარაუდი, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება აქვს, სხვა მხრივ მოქმედება ლოგიკის, ენობრივი სტრუქტურის კანონების თანახმად ვითარდება. ამ ჟანრის სტილის ლიტერატურის აუცილებელი თვისება და მახასიათებელია რეალიზმი, ანუ აღწერითი მოვლენების ხასიათის დამაჯერებლობა. ამრიგად “ცრუ ოიკონიმების“ სტრუქტურული აგებულება ინდივიდუალურად მწერალზეა დამოკიდებული, მაგრამ გარკვეულ ლინგვისტურ წესებს ემორჩილება. ისიც ტოპონიმების მსგავსად შესაძლებელია წარმოებული იყოს არსებითი სახელისაგან, ზედსართავისა და ზმნისაგან. ისიც სხვადასხვა თავსართ-ბოლოსართითაა წარმოებული. ამ შეთხვევაში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ოიკონიმის წარმოშობა მხოლოდ ეროვნულ კულტურაზე, ისტორიულ ფაქტებსა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე არაა დაფუძნებული, არამედ შესაძლებელია, რომ ავტორმა თავად, თავისი ფანტაზიით ოიკონიმი სხვადასხვა ლიტერატურულ ხერხებზე დაყრდნობით შექმნას, რომელიც მკითხველს ირეალურ, წარმოსახვით სამყაროს შეუქმნის და რომელთა კვლევა ენათმეცნიერების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა. ესთეტიკური „ცრუ“ ტოპონიმები, შეიძლება განვიხილოთ, ლიტერატურის, ენათმეცნიერების და ფსიქოლინგვისტიკის ჭრილში.

4.4. ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

ენა, როგორც ერის სახე, მისი მენტალობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია რომლის საშუალებით ფორმირდება ინდივიდის ემოცია, აზრი, შეხედულება, კულტურა, მაშინ აისახება სხვადასხვა ერისა თუ ქვეყნის ტრადიციები და მსოფლმხედველობა. ადამიანის ცხოვრება და ცნობიერება მჭიდროდაა დაკავშირებული გარე სამყაროსთან, ბუნებასთან, გარკვეულ ტერიტორიებთან. ადამიანის ცნობიერებაა შუამავალი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის, აზროვნებაში ხდება დასახელებულ საგანთა უშუალო სუბსტანციური მნიშვნელობის აღქმა (პანფილოვი, 1971:71).

ენა კულტურის ისტორიას აკავშირებს აზროვნების ისტორიასთან, ამასთანავე, ენის მეშვეობით ძირითადი სოციალური ურთიერთქმედება ხორციელდება საზოგადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის (ტექსტის, დისკურსის) ანალიზი იძლევა შესაძლებელია ადამიანთა აზროვნებისა და ქცევის გაგება. როგორც უკვე ვახსენეთ, ინფორმაციის გადმოცემის, თხრობის, კომუნიკაციის დროს ვიყენებთ ოიკონიმებს, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიებს აღნიშნავს. მათი მიზანი, მოცემული ტერიტორიის აღნიშვნა და მითითებაა, რომლებსაც პირობითად შესაძლებელია „ადრესატული ოიკონიმები“ ვუწოდოთ, მაგრამ ხშირად აზრის ხატოვნად გადმოსაცემად ვიშველიებთ მყარ ენობრივ ერთეულებს, სადაც ოიკონიმები მეტაფორული მნიშვნელობითაა გამოყენებული. გამონათქვამს ლაკონურს, მკაფიოს ხდის, მატებს ექსპრესიულ შეფერილობას და ამძაფრებს ემოციას. ლინგვისტიკაში, როგორც წესი, საუბრობენ სახელის მნიშვნელობის სამ ასპექტზე: ლექსიკურზე (ზოგადად რა როლი აქვს ონიმას მეტყველებაში), გრამატიკულზე (როგორი სტრუქტურითაა წარმოდგენილი), ემოციურ-ექსპრესიულზე (სახელდების ნიშნის შინაარსობრივი მხარე) (უფიმცევა, 1977:92). გამოთქმებს, რომელთაც დაკარგული

აქვთ პირდაპირი მნიშვნელობა და გადატანითი მნიშვნელობით ვიყენებთ. ესენია: ხატოვანი სიტყვა-თქმანი, იდიომები, ფრთიანი გამონათქვამები. ზოგადად, სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა-მისი შინაარსია, რომელიც ასახულია ცნობიერებაში და საგნის, მოვლენის, პროცესის წარმოდგენას და აღქმას ამტიცებს, ხოლო სახელდების სემანტიკური მნიშვნელობაში დენოტაციური და სიგნიფიკაციური ასპექტები იკვეთება. ხშირად, ისე ვიყენებთ ხატოვან გამოთქმებს, რომ არ ვიცით, საიდან იღებს სათავეს მნიშვნელობის ამგვარი ფორმირება. იდიომები სხვადასხვა წარმოშობისაა. ზოგი ბიბლიიდან მომდინარეობს, ზოგი, ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას ეფუძნება. ძალიან ბევრი ანტიკური მითებიდან ან სხვადასხვა ლეგენდიდან იღებს სათავეს (ვინოგრადოვა, 1974:85).

ოიკონიმთა ფსიქოლინგვისტური მხარე შეგვიძლია წარმოვაჩინოთ მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიც მეტაფორული გამოთქმებითაა გაჯერებული. ლიტერატურული შემოქმედების უკეთ აღსაქმელად და ემოციის წარმოსაქმნელად ხშირად გამოიყენება მყარი ერთეულები, ფრთიანი გამონათქვამები, იდიომები, ფრაზეოლოგიზმები. ფრაზეოლოგიური ერთეულების ნაერთი ნათლად ასახავს გადმოსაცემ იდეას, აზრს. ფრაზეოლოგიზმების გამოყენებით საკომუნიკაციო ენა უფრო ემოციური, მრავალფეროვანი და მკაფიო. ხდება. ამიტომაც ყველა მწერალი/შემოქმედი იყენებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებს კოლორიტისა და ორიგინალური სტილისტური ელფერის შესაქმნელად. მოცემულ კვლევაში ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს ლინგვისტურ მოვლენას, რომელიც გრამატიკის, ლექსიკური ერთეულის ფონზე განვითარდა. ფრაზეოლოგიურ ერთეულში შემავალი ოიკონიმები ექსტრალინგვისტურ ასპექტში განიხილება ის ხელს უწყობს ენის წარმოებასა და განვითარებას.

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის ოიკონიმი: ტერიტორიის აღმნიშვნელი „ადრესატული ოიკონიმი“ და ერის კულტურის, ეთნოსის, რელიგიის განმსაზღვრელი „ფრაზეოლოგიური ან სიმბოლური ოიკონიმი“ (ურაზმეტოვა, 2006:31). როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალაქის სახელები ტოპონიმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს. აგრეთვე მნიშვნელოვანია მათი როლი ლიტერატურასა და კომუნიკაციაში. ამ მხრივ ისინი ერის, ქვეყნის კულტურას და

თავისებურებებს გამოხატავენ, რომლებსაც მეტაფორული დატვირთვა გააჩნია და ამდიდრებენ ენას. ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც იგი დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, იმ ენით, რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს, მაგრამ მხოლოდ ტრადიციასა და მეხსიერებაზე დაყრდნობა ნებისმიერ კულტურას ისტორიულ რელიქტად გადააქცევდა, რომ არ ხდებოდა მასში ბევრი რამის „გადააზრება“ და ხელახლა შექმნა.

როცა ვცდილობთ გავერკვეთ ჩვენს კულტურულ იდენტობაში, გვერდს ვერ ავუვლით სხვა ენისა და კულტურის მეცნიერულ ცოდნას. მაგალითად: **“Il vient de Marseille”**, (სიტყვასიტყვით - ის ბრუნდება მარსელიდან) ნიშნავს „გადამეტებას, ფაქტის გაზვიადებას“. მარსელში მცხოვრები ადამიანები ხასიათდებოდნენ ფაქტების გადაჭარბებულად გადმოცემით, ომიდან დაბრუნებული მეომრები ტყვეთა/მსხვერპლთა რაოდენობას გაორმაგებულად გადმოსცემდნენ, ვიდრე ისტორიულ წყაროებში იყო მოცემული. ამრიგად, მოცემული ფრაზეოლოგიზმი ენაში დამკვიდრდა შესაბამისი ქვეცნობიერი მნიშვნელობით. ბევრი ფრანგული წარმოშობის ტერიტორიის სახელწოდება ფრაზეოლოგიურ ერთეულში ეტიმოლოგიურ ნიშან-თვისებას ითავისებს და გადმოგვცემს მეტაფორული სახით აღნიშნული ქალაქისა თუ ეთნიკური მოსახლეობის მახასიათებელს. ოიკონიმების ხშირი გამოყენება დამოკიდებულია თუ რამდენად დიდი როლი ითამაშა მოცემულმა ტერიტორიამ, მოსახლეობამ ისტორიულ მიმდინარეობაში, ეპოქალურ ცვლილებებში. **“Représenter les armes de Bourges”** (სიტყვასიტყვით: ქალაქ ბურჟის გერბის განსახიერება), რაც „უგუნურს“, „ჯიუტს“ ნიშნავს. ბურჟი მდინარე ერენისა და ორონის შესართავთან მდებარეობს. გერბზე თავდაპირველად გამოსახული იყო თხა (რომელიც ადამიანის ცნობიერებაში ყოველთვის ჯიუტ ადამიანთან ასოცირდება) და შემდეგ ცხვარი. მკვლევართა აზრით არსებული გამოსახულება რომის იმპერატორის, იულიუს კეისრის სიმბოლო უნდა ყოფილიყო.

ფრაზეოლოგიურ ოიკონიმებში მნიშვნელოვანი ისტორიული, რელიგიური ან კულტურული ფაქტის, მომცველი ტერიტორია, უფრო მრავალფეროვან და მდიდარ ასოციაციებს წარმოქმნის. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ძველი და

მნიშვნელოვანია დასახლებული ტერიტორია, მით უფრო მნიშვნელოვანია ოიკონიმების როლი ფრაზეოლოგიურ ერთეულში. მაგალითად: **“Il est venu à Paris en sabots”** , (სიტყვასიტყვით - ის საბოებით ჩამოვიდა პარიზში) გულისხმობს „დატაკ ადამიანს“, რომელმაც მინიმალურ დროში დიდ წარმატებას მიაღწია. იყენებენ პროვინციელის მიმართ, რომელმაც უცხო ქალაქში ახლახანს დიდი ძალისხმევით მოიკიდა ფეხი.

„ **Paris ne s’est pas fait en un jour**”, (სიტყვასიტყვით - პარიზი ერთ დღეში არ აშენებულა) აღნიშნავს, რომ ყველა დიდი და რთული საქმის შესასრულებლად, მიზნის მისაღწევად, გარკვეული დროა საჭირო. ონიმა Paris-ის მშენებლობა შედარებულია რთულ, გადაულახავ, მძიმე საქმის შესრულებასთან, რომელიც ამტკიცებს რომ შეუძლებელი, მიუღწეველი არაფერია.

„**Paris est le paradis des femmes**”, (სიტყვასიტყვით- პარიზი სამოთხეა ქალთათვის). აქ გულისხმობს პარიზი თანამედროვე მოდის, პარფიუმერიის, სიახლის სამყაროს, რაც მიმზიდველია ქალებისათვის. ერთი და იგივე ოიკონიმი **Paris**-ი მოცემულია სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობით, პირველ შემთხვევაში, როგორც შესაძლებლობების გამოხატვა საკუთარი ინტერესების შესაბამისად, მეორეში როგორც ადამიანის შესაძლებლობის გამომხატველი.

“Avoir un oeil à Paris, l’autre à Pontoise”, (სიტყვასიტყვით- ერთი თვალი პარიზში, მეორე სხვა პონტუაზში) მიმართავენ ადამიანს, რომელიც ახლო მდებარე ნივთს ვერ ამჩნევს.

“Paris vaut bien une messe”, (სიტყვასიტყვით- პარიზი წირვად ღირს) ისტორიკოსები მოცემულ გამონათქვამს ანრი IV უკავშირებენ (1553–1610). 1598 წელს მისი წყალობით დადებული ნანტის ედიქტი, პროტესტანტების რელიგიის თავისუფლების გარანტი გახდა, რამაც საფრანგეთში სამოქალაქო ომს მოუღო ბოლო. გამეფების შემდეგ, ჰუგენოტი მეფე კათოლიკე გახდა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, რაც წირვაზე დასწრებას ავალდებულებდა და რამაც ზემოხსენებული ფრაზეოლოგიზმის ჩამოყალიბება განაპირობა.

პარიზის სიყვარულს თავდაუზოგავად გამოხატავენ ფრანგი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში. მაგალითად: **"Ce que Paris conseille, l'Europe le médite ; ce que**

Paris commence, l'Europe le continue." "რაზეც პარიზი იძლევა რჩევებს, ევროპა მასზე ფიქრობს, ხოლო რასაც პარიზი იწყებს, ევროპა აგრძელებს" ასეთი ღირებული და მნიშვნელოვანი იყო პარიზი ფრანგი მწერლებისათვის. ეს ყველაფერი მიუთითებს პარიზის კულტზე, რომელიც მოსახლეობის მსოფლმხედველობაში ჩამოყალიბდა. შემდეგი ფრაზეოლოგიური გამონათქვამიც პარიზის სიდიადემ განაპირობა: "**Paris appartient à ceux qui se lèvent tôt**", (სიტყვასიტყვით: პარიზი მათ ეკუთვნით, ვინც ადრე დგება), ფრაზეოლოგიური ერთეული, ქართულ ენაში შემდეგ ანდაზას შეესაბამება: „ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი“. პარიზი, სიმდიდრის, სიახლის, სიძლიერის კერაა, ამიტომაც „პარიზზე“ ძალაუფლების აღება დიდი წარმატებაა.

ამრიგად, ფრაზეოლოგიური ერთეულები მეტაფორულ ერთეულებს შეიცავენ და მათი სემანტიკური თვისებები საინტერესოს ხდის კვლევას. ფრანგული ენა მდიდარია ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით, რომლებშიც ხშირადაა მოხსენიებული ოიკონიმები, ამ შემთხვევაში მათ ორმაგი მნიშვნელობა აქვთ, ისინი აღნიშნავენ არა მხოლოდ ქალაქის სახელდებას, რომელიც მიუთითებს მის ტერიტორიულ მდებარეობას, პოპულარიზაციას, არამედ სემასიოლოგიურ ნიშანს, რომელიც გვიჩვენებს განსხვავებულ ელფერსა და სტილისტურ აგებულებას.

“Paris pour voir, Lyon pour avoir, Toulouse pour apprendre, et Bordeaux pour despendre (dépenser)- „პარიზი სანახავად, ლიონი საცხოვრებლად, ტულუზა ცოდნის მისაღებად და ბორდო ფულის დასახარჯად“. ხალხურ გამონათქვამში ლაკონურად და მკაფიოდაა ასახული ოიკონიმების ღირებულება და როლი ქვეყნის ისტორიაში. პარიზი თავისი ღირშესანიშნაობებით ერთი ბირთვული მონუმენტია, ლიონი - ქონებაა, თავისი მოსავლიანი ნიადაგით, ტულუზა ცნობილია როგორც სტუდენტური ქალაქი, ხოლო ბორდო ღვინის სხვადასხვა სახეობებით ყოველთვის მიმზიდველია ტურისტებისათვის. ბორდოს, საფრანგეთის მეღვინეობისა და ღვინით ვაჭრობის „დედაქალაქს“ უწოდებენ. მოცემულ ფრაზეოლოგიურ ერთეულში ლაკონურად, მაგრამ კონკრეტულად და მრავლის მომცველი ინფორმაციაა გადმოცემული. ოიკონიმი წარმოადგენს ქალაქის სახეს და ისტორიას. ენაში მრავლად გვხვდება ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ყოველდღიური მეტყველების აქტიურ ნაწილს

შეადგენს (ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც). ფრაზეოლოგიზმების კვლევა, არა მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის ლინგვისტურ ანალიზს წარმოადგენს, არამედ კოგნიტიური შეხედულებების სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

“Prendre Paris pour Corbeil”, (სიტყვასიტყვით პარიზი კორბეი გეგონოს)- რაც „დიდ წინსვლას, კარიერულ აღმაფრენას ნიშნავს“. პარიზი ყველასთვის სასურველი ქალაქია, რაც შეეხება კორბეის, გალო-რომანული ქალაქია, რომელიც თავისი ინდუსტრიული, ეკონომიკური ღირებულებით, 1120 წელს სამეფო ქალაქად აღიარეს. წყლის უხვი რესურსით ელექტროენერჯის მიწოდება პარიზში სწორედ კორბეიდან ხდებოდა. ამიტომაც შეიქმნა ეს გამონათქვამი, ყოველივე ამის დაპყრობა, დიდი წარმატება იყო. განხილული ფრაზეოლოგიური გამონათქვამიდან ჩანს, რომ პარიზთან დაკავშირებული ნებისმიერი ხატოვანი გამოთქმა წარმატებას, მიზანდასახულობას, ყველა დაბრკოლების დაძლევას უკავშირდება, რაც კიდევ ერთხელ ქალაქის კულტს აღნიშნავს.

ქართულ ენაშიც გვხვდება მსგავსი ტიპის ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თუმცა მათში არ არის გამოყენებული საქართველოს ქალაქები. **„ყველა გზა რომისკენ მიდის“**, გამონათქვამში ოიკონიმის სახით გადმოცემულია ქალაქის სიდიადე, სიძლიერე და ისტორიული ღირებულებები. თუ გამონათქვამს ფსიქოლინგვისტურ ჭრილში გავნიხილავთ, ეს ქვეცნობიერი სურვილი „გზაა“, რომელიც რომის მონახულებას, ისტორიული თვალსაზრისით ცდილობს. ყველა დამპყრობლის-“გზა“ რომისკენ მიდიოდა.

ქართულ ენაში ძირითადად ვხვდებით სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებულ ტოპონიმიკურ იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს: ჰიდრონიმიაზე დაფუძნებული გამონათქვამი **„თერგდალეულები“** (ჯავახიშვილი, 1945:133), რაც რუსეთში განათლებამიღებულ ქართველ ახალგაზრდებს ნიშნავდა. იმ დროს თერგის გავლით მიდიოდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში. აქედან გამომდინარე, სიმბოლური თვალსაზრისით დამკვიდრდა ცნება - „თერგდალეულები“-თერგ გადავლილნი, რაც განათლება მიღებულ ახალგაზრდებს ნიშნავს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V, 1970:85) .

გამონათქვამი „ჩაილულის წყალი დალია“- (სახოკია, 1079:78) რაიმეს უკვალოდ დაკარგვა გათავება. ჩაილული-სოფელია კახეთში, რომელსაც პატარა მდინარე „ჩაილული“ ჩაუდის, ღრმა კალაპოტიანი და მაღალნაპირიანი. ლეგენდის მიხედვით, ძველად მოპარულ საქონელს ქურდი ლეკები თუკი ჩაილულის წყალზე გადაატარებდნენ, თავი უკვე სამშვიდობოს ეგულებოდათ. მეორე ნაპირზე, მათ ლეკი დამქაშები ხვდებოდნენ, რომლებსაც საქონელს აძლევდნენ. ამაში მათ ფულს უხდიდნენ და სოფლის საქონელი ასე უკვალოდ იკარგებოდა. შემდგომში „ჩაილულის წყალდალეულებს“ ამბობდნენ ყველაფერზე, რაც დაიკარგებოდა, რისი დაბრუნების იმედიც გადაწურული იყო. ეს ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, დღესაც იმავე შინაარსითაა დამკვიდრებული თანამედროვე ქართულ ენაში.

„გოლგოთას შედგომა“⁶-სახოკიას მიხედვით ორონიმზე ჩამოყალიბებული იდიომაა, რაც ტანჯვა-წამებას, მძიმე ცხოვრებას ნიშნავს. **გოლგოთა** არის მთა პალესტინაში, რომელზეც, სახარების მიხედვით მაცხოვარი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. აქედან გამომდინარე, გადატანითი მნიშვნელობით გოლგოთის გზის გავლა, მძიმე ტკივილიან გზას ნიშნავს.

საინტერესოა ფიტონიმების გამოყენება გამონათქვამებში. **„დაფნის გვირგვინი“** - დიდებით, შარავანდედით შემოსვა. (სახოკია, 1979:35) **დაფნის გვირგვინი** - საბერძნეთის უძველესი ისტორიის სიმბოლოა, ასეთი გვირგვინით აჯილდოვებდნენ უძველესი ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებს. დაფნის ტოტი ძველთაგანვე დიდებისა და წარმატების სიმბოლოდ ითვლებოდა.

„ჯანდაბამდის გზა ჰქონია“ - რაც უნდა ის ქნას! სადაც სურს იქ წასულა! ამ სიმბოლური თვალსაზრისით გამოიყენება მოცემული შესიტყვება. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმის წარმოშობაზე ორი ვერსია არსებობს, ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, „ჯაჰან-ნამ“ არაბულ ენაში ჯოჯოხეთს, მოუსავლეთს, უბედურებას ნიშნავს. ქართულ ენაში დამკვიდრებულმა ფრაზეოლოგიურმა ერთეულმა ფონეტიკური ცვლილება განიცადა, „ჯაჰან-ნამ“ -შეიცვალა „ჯანდაბად“ (შესაძლოა უბრალოდ არასწორი ფორმით დამკვიდრდა ენაში) და დღესდღეობით ამ სახით გამოიყენება კუთხურ დიალექტებში. ხოლო მეორე ვერსიით, ინდოეთში არსებობს

⁶ <https://sites.google.com/site/mygeolingua/khatovani-sitqva-tkmani>

დაბა „ჯაჰანი“ და სწორედ ამ დაბიდან არის წარმოშობით შაჰი „ჯაჰანი“, რომელიც მონღოლთა იმპერატორი იყო, შაჰ ჯაჰანმა უსაყვარლეს ცოლს- მუმთაზ მაჰალს აუგო მარმარილოს ტაძარი „თაჯ-მაჰალი“. გამოთქმაც სწორედ აქედან მომდინარეობს, ლეგენდის მიხედვით ჯაჰანის ტერიტორიაზე, ქართველი მამლუქები მიჰყავდათ გასაყიდად, რომლებიც, რა თქმა უნდა, სახლში ვეღარ ბრუნდებოდნენ. **„ჯაჰან დაბამდე გზა ჰქონია“** ასო „ჰანი“ , ხორხისმიერი ბგერაა და ფონეტიკურად რთული წარმოსათქმელია, ამიტომაც, ლექსებიდან მოხდა მისი ამოვარდნა და დამკვიდრდა როგორც **„ჯან“ დაბამდე გზა ჰქონია**.

ამრიგად, როგორც ანალიზიდან ჩანს, ძალიან საინტერესო ისტორია აქვს არა მარტო ცალკეულ სიტყვებს, არამედ ხშირ შემთხვევაში, მთლიან ფრაზებს თუ გამოთქმებს, სიმბოლურ, სტილისტურ სტრუქტურებს. ჩვენ განვსაზღვრეთ ტოპონიმების, კერძოდ, კი ოიკონიმების ადგილი და მნიშვნელობა ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, თუ რა ფუნქციით გამოიყენება ისინი ლიტერატურულ ენაში, რა მეტაფორული მნიშვნელობითა და სიმბოლური თვისებებით ხასიათდება ოიკონიმები მყარ შესიტყვებებში, იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში. ტოპონიმიკური ერთეული, ტერიტორიის სახელდების გარდა, მეტაფორული თვისებებითაც ხასიათდება, ის შესაძლებელია გამოიყენებოდეს როგორც სტილისტური ხერხი. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ტოპოერთეული შეიძლება გამოვიყენოთ:

- ისტორიული ფაქტის გადმოსაცემად; (როგორც დასახელებული ტერიტორიის როლი ისტორიაში) (ფაბრი, 1982:18)
- ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ამრიგად, სტრუქტურულად იდენტური ოიკონიმის აღქმა და შემეცნება გადმოცემის სტილსა და მკითხველის წარმოსახვაზეა დამოკიდებული. პირველ შემთხვევაში, ლინგვისტური თვალსაზრისით, ოიკონიმი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ონომასტიკის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელიც გეოგრაფიულ მდებარეობას განსაზღვრავს. მწერალი მიუთითებს თუ სად მოხდა მოცემული ისტორიული ფაქტი, ხოლო ექსტრალინგვისტური კუთხით, ფრაზეოლოგიურ და მყარ გამონათქვამებში გამოყენებულ ოიკონიმებს

მეტაფორული, შედარებითი, სიმბოლური ხასიათი აქვთ. გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური მახასიათებლები. ამ შემთხვევაში, სახელდება გამოიყენება როგორც ლიტერატურული მხატვრული ხერხი. შეიძლება ითქვას, რომ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები თავისი კონცეფციით – სტრუქტურული აგებულებითა და მრავალმხრივი სიმბოლური შინაარსით დიდ გავლენას ახდენს კულტურის მენტალურ კომპონენტსა და ენობრივ განვითარებაზე. ის ქმნის ლიტერატურისა (ხელოვნური შემოქმედებისა) და ენათმეცნიერების (ენობრივი სტრუქტურის) ერთიანობას, რითაც ფრაზეოლოგიურ ერთეულს, იდიომებსა და მყარ შესატყვისებს როგორც კვლევის ობიექტს, საინტერესოს ხდის. თავისი ლაკონურობითა და სიზუსტით თანამედროვე ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დასკვნები IV თავის მიხედვით

ტოპონიმთა სისტემებს, მნიშვნელობათა სიმრავლეები ქმნიან. თითოეულ სახელდებასთანაა დაკავშირებული, მატერიალური ანუ ლოგიკური და წარმოსახვითი ანუ სიმბოლური ცნებები. ისინი ასახავენ ერის, ყოფად და სულიერ

სპეციფიკას. ყოველი მწერალი თავისებურად ქმნის და აყალიბებს ცნებებს მნიშვნელობის მინიჭების შესაბამისად. შედგენილი ცნებები, საერთო ენობრივ მნიშვნელობას იძენს და მათი ეკვივალენტი ონიმების სახით წარმოგვიდგება. მწერლებს ერთი და იმავე დენოტატის სხვადასხვაგვარი გამოხატვის საშუალება აქვთ. მისი ერთ-ერთი გადმოცემის საშუალებაა „ცრუ“ და ლიტერატურული ოიკონიმები. ამ შემთხვევაში სიმბოლოების, შედარებების სხვადასხვა სტილისტური ხერხის თვითმყოფადობის საფუძველია ონიმის წარმოქმნის პრინციპი. საგანსა და სახელდებას შორის კავშირი მატერიალური კი არა, არამედ კოგნიტიური და კონცეპტუალურია, რომელიც თითოეული მკითხველის აღქმასა და წარმოსახვაზე დამოკიდებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა სამყაროს აღწერისათვის საკუთარ საშუალებებს იყენებს, რაც ამ ენათა გამოხატულების პლანში აისახება, ისინი უშუალოდ საგნების, ტერიტორიების ამსახველ ცნებებს აღნიშნავენ. მწერლები არსებითი მნიშვნელობების გარდა „ლიტერატურულ სისტემებს“ იყენებენ, რომელიც შემოქმედებას გამოხატულების პრაგმატიკულ და კოგნიტიურ ღირებულებას ანიჭებს და საინტერესოს ხდის ნაწარმოებს როგორც მკითხველთათვის, ასევე ლინგვისტებისა და ლიტერატურათმცოდნეებისათვის.

ფრაზეოლოგიურ ერთეულში გამოყენებული ტოპოერთეულები განსხვავებულ აზრობრივ შეფერილობას და პრაგმატიკულ მნიშვნელობას ღებულობს. ამ შემთხვევაში ოიკონიმები ადრესატული მნიშვნელობის გარდა, დამატებითი ლექსემის კოგნიტიურ ნიშან-თვისებას ითავისებს. ფრაზეოლოგიური ონიმები და ოიკონიმები, წინადადებას მეტაფორულ შინაარსსა და ექსპრესიულ შეფერილობას ანიჭებს. თავისი აღქმის, ასოციაციის, წარმოსახვის მრავალფეროვნებით, ენის სიმდიდრეზე მეტყველებს.

თავი V. ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებათა კვლევა ფრანგულ და ქართულ ენაში

5.1. ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი

ოიკონიმები გამოირჩევა როგორც მრავალპლანიანობით, ასევე სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნებით, რომელიც ცალკეულ სახელწოდებას ინდივიდუალური კლევის ობიექტად ხდის. ენობრივი ერთეულის დიაქრონული ანალიზი ოიკონიმების ერთდროულ კვლევას მოითხოვს თანამედროვე და ძირეულ სახელდებებს შორის, ასეთი კვლევის ასპექტი ხსნის კავშირს, რომელიც რეალურ ნომინაციასა და სახელწოდების მნიშვნელობას შორის არსებობს. ამგვარი კვლევის დროს დიდი ყურადღება ეთმობა სემანტიკურ მნიშვნელობას, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის სახელწოდებას და მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე როგორებიცაა: რეგისტრაციულ-სოციალური, საიდენტიფიკაციო, სამისამართო ნიშნები (კორტუნოვა 2004:90–96).

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კვლევის ამოცანაა, სახელდებების, მნიშვნელობებითა და ენობრივი ნიშნებით დაჯგუფება, რომელიც იქმნება ერთი მხრივ, სემანტიკურ და მეორე მხრივ, სტრუქტურულ კვლევაში. სწორედ ლინგვისტების ჩართულობამ ოიკონიმების სტრუქტურულ-სემანტიკურ კვლევაში, დაუდო საფუძველი, ამ მიმართულების ლინგვისტურ დისციპლინად ჩამოყალიბებას, რადგანაც თავდაპირველად საკუთარი სახელები მხოლოდ ისტორიკოსების, ეთნოგრაფების კვლევის ობიექტი იყო (კანცელსონი; 1974-15).

სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის დროს იკვეთება ონიმის (სახელის) მიმართება საგანთან (აღსანიშნთან). პირველ რიგში სახელები საგანს, როგორც გარკვეული ეთნოსის და ენის კუთვნილებას ახასიათებენ, ანუ ისინი ეთნოენობრივი ფუნქციის რეალიზაციას ახდენენ; მეორე – საკუთარი სახელები ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ. მესამე-სახელები კონოტაციურ-ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებენ, რომელიც ადამიანის დამოკიდებულებას კონკრეტულ ტერიტორიასთან, მის პოზიტიურ-ნეგატიურ შეფასებას გამოხატავს.

5.2. ოიკონიმების სტრუქტურული მოდელები ფრანგულ ენაში

ოიკონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თითოეული ონიმა გარკვეული სტრუქტურული

შემადგენლობითაა ჩვენამდე მოღწეული და ჩამოყალიბებული. ონიმთა შესიტყვების პროცესი, სტრუქტურული კუთხით საინტერესო ამოცანაა. კვლევის დროს ვხვდებით სხვადასხვა სიტყვის რაობისა და სიტყვათწარმოების ნომინაციებს. ოიკონიმების შედგენილობის დასადგენად გამოვიყენეთ მორფოლოგიური ანალიზი, სადაც განვსაზღვრეთ ოიკონიმის რაობა, ფუძე, აფიქსები. უპირველესად გავმიჯნეთ **სიტყვათშერწყმითი** (არტიკლითა და სხვადასხვა წინადადების წევრთა თანამონაცვლეობით) და **დერივაციული** (აფიქსებით წარმოებული) ფორმით მიღებული ონიმები. რის საფუძველზეც გამოვყოფთ შემდეგ ოიკონიმთა ტიპებს:

- **მარტივი - ერთფუძიანი** ოიკონიმები: **Nîmes** (ლანგედოკ-რუსიონის რეგიონი); **Metz** (ლორენის რეგიონი); **Buxy** (ბურგუნდიის რეგიონი); **Tours** (საფრანგეთის დასავლეთ ცენტრალური ნაწილში); **Volx** (პროვანსი-ალპების ლაჟვარდოვანი სანაპიროს რეგიონი).
- **ორფუძიანი, კომპოზიტი** ოიკონიმები: **Aubervilliers, Courbevoie, Nanterre, Sarcelles** (თითოეული, ზემოთ ნახესენები ქალაქი ილ-დე-ფრანსის რეგიონში მდებარეობს); **Montpellier** (ლანგედოკ-რუსიონის რეგიონი); კომპოზიტი ოიკონიმები სხვადასხვა ფუძისგან შედგება, შესაძლოა ორივე ფუძე არსებითი სახელი იყოს ან კიდევ ერთ-ერთი ზედსართავი.



- **ორფუძიანი დეფისით წარმოებული კომპოზიტი** ოიკონიმები: **Boulogne-Billancourt** (ილ-დე-ფრანსის რეგიონი); **Clermont-ferrand** (ოვერნის რეგიონი); **Charleville-Mézières** (შამპან-არდენის რეგიონი); **Ferreux-Quincey** (იქვე); **Rouilly-Sacey** (იქვე).

ქართული ენისაგან განსხვავებით ფრანგულ ენაში ოიკონიმების წარმოების საინტერესო სიტყვათწარმოებებს ვხვდებით, განსაკუთრებით საინტერესოა არტიკლით (დამხმარე სიტყვა რომელიც მიუთითებს საგნის სქესსა და რიცხვს) წარმოებული, როგორც მამრობითი სქესის ასევე მდედრობითი სქესის ნომინაციები: **Le Mans** (სარტის დეპარტამენტი); **Le Meriot** (ობის დეპარტამენტი); **La Saulsotte** (იქვე); **Le Tampon** (რეუნიონის დეპარტამენტი); **La Rochelle** (შარანტ მარიტიმის

დეპარტამენტი). მცირე რაოდენობით მაგრამ მაინც ვხვდებით მრავლობით რიცხვში ჩასმული არტიკლით ნაწარმოებ იოკონიმებს: **Les Abymes** (გვადლუპის დეპარტამენტი), **Les Cars** (ზემო ვიენის დეპარტამენტი); **Les Grands-Chézeaux** (იქვე); **Les Salles-Lavauguyon** (იქვე). აღსანიშნავია, რომ იოკონიმის წინ ყოველთვის განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება, მაგრამ იოკონიმებში ლექსემებს შორის არტიკლის გამოყენება მიღებულია: **Champagnac-la Rivière** (ლიმუზენის რეგიონი); **Saint-martin-le-Mault** (იქვე); **Saint-Maurice-les Brousses** (იქვე); **Saint-Georges-des-Coteaux** (პუატუ-შარანტის რეგიონი); **Saint-Bris-des-Bois** (სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთი) და ა.შ.

- შერწყმული არტიკლი “**du**“ გამოიყენება მოცემული ტერიტორიების ურთიერთდამოკიდებულების გამოსახატავად. მაგალითად: **Saint-Étienne-du-Valdonnez** (ლანგედოკ-რუსიონის რეგიონი); **Saint-Dizant-du-Bois** (სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთი), **Saint-Georges-du-Bois** (იქვე).

იოკონიმებში სხვადასხვა არტიკლების გამოყენების რაობაც რაოდენობითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, უფრო ხშირია არტიკლები: **le, les, des**, შემდეგ კი **la, du**. სტრუქტურულად შესაძლოა ასე გამოვხატოთ:



ნომინაციათა მრავალფეროვნება, ვარიაციულ ფორმებს სტრუქტურული ანალიზის ფონზე იძლევა. არტიკლით წარმოებული იოკონიმების გარდა ვხვდებით წინდებულებით ნაწარმოებ იონიმებს.

- წინდებული “**sur**“-ზე, იოკონიმებში რაღაც ტერიტორიის ზემოთ მდებარე ტერიტორიაზე მიუთითებს. მაგალითად: **Asnières-sur-Seine** (ილ-დე-ფრანსის რეგიონი); **Romilly-sur-Seine** (შამპან-არდენის რეგიონი); **La Seyne-sur-Mer** (პროვანსი-ალპების კოტ დ’აზიურის რეგიონი); **Verneuil-sur-Vienne** (ლიმუზენის რეგიონი); **Vendeuvres-sur-Barse** (შამპან-არდენის რეგიონი) და ა.შ.

- წინდებული „**sous**“ ქვემოთ, იგივე ფორმულირებითაა განპირობებული როგორც ზემოხსენებული წინდებული. მაგალითად: **Aulnay-sous Bois** (ილ-დე-ფრანსის რეგიონი); **Marolles-sous-Lignières** (შამპან-არდენის რეგიონი); **Mont-sous-**

Vaudrey (ფრანშ-კონტეს რეგიონი); **Virey-sous-Bar** (შამპან-არდენის რეგიონი); **Villeneuve-sous-Pymont** (ფრანშ-კონტეს რეგიონი) და ა.შ.

- წინდებული „de“ ამ შემთხვევაში კუთვნილების მაჩვენებელი, აღნიშნავს თუ რომელ სახელს მიეკუთვნება ტერიტორიული ზღვარი. მაგალითად: **Bretagne-de-Marsan** (ლანდის დეპარტამენტი); **Miramont-de-Comminges Rivière** (ზემო გარონის დეპარტამენტი); **Sauveterre-de-Comminges** (იქვე); **Villeneuve-de-Rivière** (ზემო გარონის დეპარტამენტი); **Villeneuve-de-Berg** (არდეშის დეპარტამენტი) და სხვ.

- წინდებული „en“ ნომინაციებთან -ში მნიშვნელობით გამოიყენება, აღნიშნავს თუ რომელ რეგიონს (ან ვრცელ ტერიტორიას) განეკუთვნება მიკროტოპონიმი. მაგალითად: **Aix-en-Provence** (ბუმ -დუ-რონის დეპარტამენტი); **Aix-en-Othe** (ობის დეპარტამენტი); **Saint-Laurent-en-Grandvaux** (იურას დეპარტამენტი); **Saint-Germain-en-Montagne** (იქვე).

- წინდებული „lès“ აღნიშნავს ტერიტორიულად ახლო მდებარე დენოტატს. ის ხშირად გამოიყენება ონიმაში ორი ლექსემის გასაერთიანებლად, დეფისით გამოიყოფა და ერთი ტერიტორიის მეორესთან ახლო მდებარეობას აღნიშნავს. მაგალითად: **Nieul- lès-Saintes** (შარანტ-მარიტიმის დეპარტამენტი); **Nevy- lès-Dole** (იურას დეპარტამენტი); **Villeneuve- lès-Charnod** (იქვე).

კვლევის შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემებით, წინდებულები **sur** და **de** ხშირად გამოიყენება მაკავშირებელ ან კონკრეტული ტერიტორიის კუთვნილების ნაწილაკად. სხვადასხვა რეგიონში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა გამოყენებული - **sur** და **de**, შემდეგ კი შედარებით ნაკლები სიხშირით ვხვდებით დანარჩენ წინდებულებს - **en** -ს, **lès** -ს და **sous** -ს.

ზემოაღნიშნულ ოიკონიმების სტრუქტურაში, არტიკლს წინდებული ჩაენაცვლა და თითქმის მსავსი სტრუქტურული შედგენილობა მივიღეთ, მათ შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ოიკონიმი წინდებულით არასოდეს იწყება. სქემატურად ასე გამოიყურება:

Nom+Prép +Nom

Adj+Prép +Nom

ოიკონიმების წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა ზედსართავს თუ არსებით სახელს. განურჩევლად რეგიონისა, ჭარბობს ზედსართავ „**saint**“ - წმინდანით ნაწარმოები ონიმები. შესაძლებელია ეს წინაპრების რელიგიური სიძლიერის მახასიათებელია, თითქმის ყველა წმინდანია მოხსენიებული ნომინაციაში, ერთი და იმავე წმინდანის სახელით წარმოებული ოიკონიმის გამსხვავება, კი დამატებით რეგიონის სახელდებით ხვდება. მაგალითად: **Saint-Denis** (სენის წმინდა დენისის დეპარტამენტი); **Saint-Paul-de-Vence** (პროვანსი-ალპების ლაჟვარდოვანი სანაპიროს რეგიონი); **Saint-Pierre** (მარტინიკის დეპარტამენტი); **Saint-Nazaire**, (ლუარ-ატლანტიკის დეპარტამენტი); **Saint-Étienne** (ლუარის დეპარტამენტი); **Saint-Maur-des Fossés**, (ვალ დე მარნის დეპარტამენტი); **Saint-Martin-le Mault** (ზემო ვიენის დეპარტამენტი); **Saint-Benoît-de-Carmaux** (ტარნის დეპარტამენტი); **Saint-Salvy-de-la-Balme** (იქვე).

ფრანგული ონიმების წარმოებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი სიტყვა „**ville- ქალაქს**“ უჭირავს, შესაძლებელია თვით ოიკონიმის არსიდან გამომდინარე. საფრანგეთის თითქმის ყველა რეგიონში ზოგჯერ ზედსართავის, ზოგჯერ კი არსებითი სახელის დართვით გამოყენებულია სახელი **ville**. მაგალითად სამხრეთ საფრანგეთის ქალაქები: **Aucamville** (ზემო-გარონის დეპარტამენტი); **Francarville** (იქვე), **Fréjeville** (ტარნის დეპარტამენტი); **Mondonville** (ზემო-გარონის დეპარტამენტი); **Merville** (ჩრდილოეთ საფრანგეთი); ხდება ლექსემა **ville**-ის ფლექსიური მონაცვლეობა, რის შედეგაც მიღებულია შემდეგი ოიკონიმები: **Villaudric**, **Villematier**, **Villeneuve** (ქალაქები ზემო გარონის დეპარტამენტში მდებარეობს); **Villeneuve** (პროვანსი-ალპების კოტ დ'აზურის რეგიონში).

ვხვდებით რთულ კომპოზიტებს როგორებიცაა მაგალითად: **Barneville-Carteret** (ლა- მანშის დეპარტამენტი), **Mourvilles-Hautes** (სამხრეთ საფრანგეთი), **Villemur-sur-Tarn** (იქვე), **Villeneuve-Tolosane**. მორფოლოგიური ანალიზის შედეგად ზოგადად განხილული ოიკონიმები შესაძლოა დავყოთ კატეგორიებად: სახელდება რომელიც შედგება მხოლოდ არსებითი სახელისაგან: **Lyon**, **Marseille**. ნომინაცია რომელიც ზედსართავ სახელზეა აგებული: **Cannes**, **Nice** (Nikaia -გამარჯვებული). სახელდება


სადაც ორი არსებითი სახელი ერთ მნიშვნელობას გამოხატავს: **Conteville** (კალვადოსის დეპარტამენტი), **Merville** (სამხრეთ საფრანგეთი), **Mondonville** (იქვე).



ზედსართავი სახელი განმსაზღვრელად არსებით სახელს ახლავს : **Bonneville** (ზემო-სავუას დეპარტამენტი), **Villeneuve** (ზემო პროვანსის დეპარტამენტი).



წარმოგიდგენთ რუკას, რომელშიც წითელი ფერით აღნიშნულია ის ტერიტორიები, რომელთა სახელებს სტრუქტურულ შედგენილობაში მოხსენიებულია ლექსემა **ville**.



ტერიტორიების ზრდამ, შემცირებამ, გეოგრაფიული მდებარეობის ცვალებადობამ, ოიკონიმთა ცვალებადობა გამოიწვია, დერივატებად გამოყენებულია სხვადასხვა აფიქსები.

- პრეფიქსით წარმოებული სახელები.

car- ; **Carcassonne** (ობის დეპარტამენტი), **Carqueiranne** (ვარის დეპარტამენტი).

Vielle; მოცემული პრეფიქსი შესაძლოა სიტყვა ქალაქის ძველი ვერსია იყოს, რომელსაც ამ დროისათვის პრეფიქსის ფუნქცია აქვს შეთავსებული.

მაგალითად: **Vielle-Aure** (სამხრეთ საფრანგეთი), **Vielle-Louron** (იქვე), **Vielle-Saint-Girons**(სამხრეთ დასავლეთ საფრანგეთი).

- სუფიქსით წარმოებული სახელები:

-argus; მაგალითად: **Baillargues** (ეროს დეპარტამენტი), **Vauvenargues** (ბუმ- დუ-რონის დეპარტამენტი).

-y, -ey, -ay; მაგალითად: **Ambenay** (ეროს დეპარტამენტი, **Alizay** (იქვე), **Cernay** (ზემო რაინის დეპარტამენტი), **Cernayla Ville** (ივლინის დეპარტამენტი), **Cernay-lès-Reims** (მარნის დეპარტამენტი), **Morigny-Champigny** (ესონის დეპარტამენტში, ილ დე ფრანსის რეგიონში მდებარეობს, **Mouzay** (ინდრ-ე-ლუარის დეპარტამენტი), **Ruffey** (იურას დეპარტამენტი).


-gnan; მაგალითად: **Frontignan** (ეროლის დეპარტამენტი), **Lézignan** (ოდის დეპარტამენტი), **Lézignan-la-Cèbe** (ეროლის დეპარტამენტი), **Lézignan-Corbières** (ოდის დეპარტამენტი), **Perpignan** (აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტი).

-an; მაგალითად: სამხრეთ საფრანგეთში მდებარე დასახლებული პუნქტებია: **Bazian, Lussan, Samaran, Samazan** (სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთი).

-ac, -at, -e(u)x; მაგალითად: **Asserac** (ლუარ- ატლანტიკის დეპარტამენტი), **Florac** (ლოზერის დეპარტამენტი), **Fleurac** (შარანტის დეპარტამენტი), **Jayat** (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს, **Perreux** (ლუარის დეპარტამენტი, **Vitrac** (დორდონის დეპარტამენტი), **Viriat** (სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს.

• **პრეფიქს-სუფიქსით წარმოებული სახელები.**

Ar-e; მაგალითად: **Ariège**, (სამხრეთ საფრანგეთი), **Ardèche** (რონ -ალპები) **Ardenne** (ჩრდილო აღმოსავლეთ საფრანგეთი).



ამრიგად, სტრუქტურულმა კვლევამ ნათელი გახადა ოიკონიმთა დერივაციული წარმოება. ონიმთა წარმოებაში ყველაზე დიდი სიხშირით წინდებულები და მაკავშირებელი არტიკლები გამოიყენება, დერივატად გამოყენებული პრეფიქსი, სუფიქსი და აფიქსები ნაკლებად პროდუქტიულია. მაგალითებითან ჩანს, რომ ფრანგულ ოიკონიმთა ლექსიკა ძირითადად სიტყვათწარმოებაზეა აგებული.

5.3. ოიკონიმების სემანტიკური მოდელები ფრანგულ ენაში

მეცნიერთა აზრით ონიმების ძირითადი არსი ენაში ნომინაციური ფუნქციაა. საკუთარი სახელის სემანტიკა პირდაპირ კავშირშია ონიმის ნომინაციის პროცესთან, რადგან სემანტიკური კვლევის შედეგს სახელდების ლექსიკურ მნიშვნელობამდე მივყავართ, რამაც ტერიტორიის სახელდება განაპირობა.

სიტყვის სემანტიკურ მნიშვნელობაში იკვეთება დენოტაციური (რაც ენობრივ ნიშანს წარმოადგენს და ახორციელებს ამა თუ იმ ობიექტის აღნიშვნას) და სიგნიფიკაციური (შინაარსობრივი) ასპექტები (ნიკე, 1998:104). სემანტიკა სიტყვის მნიშვნელობას, მის ლექსიკურ მხარეს უკავშირდება. თითოეული ონიმა სემანტიკურად ენის ერთეულია, ბგერათა შენაერთი, რომელიც ამა თუ იმ აღსანიშნს განსაზღვრავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოიკონიმებს ორი ფორმა აქვს: შინაგანი, ლექსიკურ-სემანტიკური და გარეგანი, გრამატიკულ-სტრუქტურული. სემანტიკური კვლევა პირდაპირ უკავშირდება ოიკონიმის შინაგან ფორმას. ლექსიკაში არსებული აუარებელი ლექსემები, თავიანთი მახასიათებელი ნიშნით, შესაძლებელია ტოპონიმის სხვადასხვა ქვედისციპლინებზე დაყრდნობით სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს მივაკუთვნოთ, მათი საერთო არქისემემა ტერიტორიის ნომინირებაა. თითოეული, სხვადასხვა ეტიმოლოგიურ საწყისზე მიღებული ოიკონიმი საერთო - ადრესატული ნიშნით ხასიათდება, მაგრამ საინტერესოა არსებული საერთო ნიშნის გარდა თუ რა საერთო მნიშვნელობები ახასიათებთ და რამდენად ჭარბობს უცხოური

წარმოშობის ონიმები. ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, საერთო მნიშვნელობაზე ჩამოყალიბებული სხვადასხვა ტერიტორიის აღმნიშვნელი ოიკონიმი.

ზოონიმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ან შესაძლოა რომელიმე კერპთაყვანისმცემელთა რელიგიის შემორჩენილი ნაშთია, მაგრამ ფაქტია, რომ ოიკონიმების სემანტიკურ მნიშვნელობებში ერთ-ერთი ადგილი ზოონიმებით წარმოებულ ონიმებს უჭირავს. **Artos** - გალურ ენაზე დათვს ნიშნავს, ხოლო მისგან წარმოებული ოიკონიმების **Artonne** (პუი დე დომის დეპარტამენტი), **Artenay** (ლუაზის დეპარტამენტი), **Arthun** (რუანის დეპარტამენტი), **Arçay** (ვიენის დეპარტამენტი). მოცემულ თითოეულ ქალაქსა თუ სოფელს, ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი წიაღისეულითა და მოწეული პროდუქციით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებაში. ამიტომაც სიმბოლურად სიძლიერე-ძალა, გათანაბრებულია დათვთან (როგორც ძლიერი ცხოველი), რის საფუძველზეც ოიკონიმის განვითარებაზე არსებითი როლი ზოონიმმა ითამაშა.

მოცემულ მაგალითებში საერთო ფუძიან ზოონიმებისაგან განვითარებულ ოიკონიმებს ვხვდებით: **Belbeuf** (ზემო ნორმანდიის რეგიონი). სახელდება ტერიტორიის ვიზუალური მნიშვნელობის მიხედვით ჩამოყალიბდა. **Bel-Beau-** ლამაზი, რაც ვიზუალურ ფორმაზე მიუთითებს, **Boeuf** (სიტყვასიტყვით ხარი) ფრაზეოლოგიურ გამონათქვამში გამოიყენება როგორც დიდი, გრანდიოზლი, ძლიერი - “**succès boeuf**” -დიდი წარმატებები, “**effet boeuf**” - უჩვეულო, შესანიშნავი შედეგი. ამრიგად მეტაფორულ ნიშნებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ნომინაცია **Belbeuf (Bellebucth –Bullebu– Beleboeuf)**. როგორც უკვე ვნახეთ, ფრანგულ ენაში, ხშირად ვხვდებით ზოონიმებით ნაწარმოებ ოიკონიმებს, მათ რაოდენობას განეკუთვნება გალური წარმოშობის ლექსემისაგან **Berbos** (თახვი) ნაწარმოები ონიმა: **Bièvre**, აგრეთვე ოიკონიმის სუბიექტი შესაძლებელია იყოს ლექსემა **corbeau** (ყვავი), გალურ ენაში არსებული იმავე ლექსემის დეფინიცია „**Branos**“, ქალაქ **Brandon** -ის სემანტიკური მნიშვნელობის განმსაზღვრელია. **Brandon** ფრანგული კომუნაა აღმოსავლეთ საფრანგეთის ცენტრალური ნაწილიში. **Salleboeuf** - სოფელი ჟირონდის დეპარტამენტში. ნომინაცია კომპოზიტია, რომელიც ორი ლექსემისაგან

ჩამოყალიბდა: **Salle**-თავდაპირველად მოიხსენიებოდა ციხე-დარბაზის მნიშვნელობით, ამჟამად მოიხსენიება როგორც - ოთახი, დარბაზი, შენობა, რაც შეეხება **boeuf** -ს, სავარაუდოდ გერმანიკული წარმოშობის ანთროტოპონიმია, რომელიც შუა საუკუნეებში საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იყო გავრცელებული. **Bovo** ან **Buovo** - ონიმას ხშირად მოიხსენიებდნენ სახელდებებში, მაგალითად: ციხესიმაგრე „**Bovo**“ და არასწორი გრამატიკული სტრუქტურით ჩამოყალიბდა ნომინაციაში **Bovo=boeuf**, მაგრამ შესაძლოა ლექსემა **boeuf**, გამოყენებული იყოს სიძლიერის მნიშვნელობით, როგორც მოცემულ სხვა შედგენილ ოიკონიმებშია. მაგალითად: **Cricqueboeuf** სოფელია კალვადოსის დეპარტამენტში, **Daubeuf-Serville**- სოფელია სენ-მარიტიმის დეპარტამენტში, **Estréboeuf** - კომუნა, სომის დეპარტამენტში. **Limbeuf**- სოფელი, ზემო ნორმანდიის რეგიონში, **Morteaux-Coulibœuf**- სოფელი, კალვადოსის დეპარტამენტში. ზოონიმ - „ცხენზე“ წარმოებული ოიკონიმები უკავშირდება ღვთაება **Epona** „ეპონა“ს - ცხენთა მფარველს, ამ ფორმით დამკვიდრდა ოიკონიმებში. **Mandeure** -კომუნა, დუბის დეპარტამენტში. მისი თავდაპირველი ნომინაცია **Epomanduo** - პატარა ცხენს (კვიცს) ნიშნავს. დიაქრონული ცვალებადობით მივიღეთ ტერიტორიის საბოლოო ონიმა **Mandeure, manduo** -სგან. მოცემული ონიმის გარდა, საფრანგეთის ტერიტორიაზე ვხვდებით კიდევ რამდენიმე იმავე ზოონიმზე ჩამოყალიბებულ ოიკონიმებს **Appoigny** კომუნა, იონის დეპარტამენტში. **Épeugney** სოფელი, დუბის დეპარტამენტში. ფრანგულ ოიკონიმებში ვხვდებით, გალო-რომაული ლექსემა **Porcius**-სგან, **porcus**-სგან, (რაც ფრანგულ ენაში ითარგმნება “**porc**“-ტახი), წარმოქმნილ ნომინაციებს როგორებიცაა: **Porcieu**- სოფელია იზერის დეპარტამენტში; **Parsac** სოფელი, კრეზის დეპარტამენტში, **Poissy**-ქალაქი, ივლინის დეპარტამენტში, **Poursay- Garnaud** -კომუნა, შარანტ- მარიტიმის დეპარტამენტში.

ოიკონიმების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე ვხვდებით ანთროტოპონიმიკაზე დაფუძნებულ ონიმებს, რომლებსაც უკავშირდება ქვეყანაში მომხდარი სხვადასხვა ისტორიული ფაქტი. ვფიქრობთ, ნომინაციათა ანთროტოპონიმით დეფინიცირება განპირობებულია ისტორიული ფაქტისა თუ ისტორიული გმირის უკვდავსაყოფად. შუა საუკუნეების შემდეგ ევროპაში,

მმართველები ძალაუფლების გასამლიერებლად, დაქვემდებარებულ ტერიტორიებს საკუთარ სახელებს უწოდებდნენ, რათა ექსპრესიული მახასიათებლებით მოეღწია ჩვენამდე.

Charleville კომუნა, არდენის დეპარტამენტში, (ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი). ის 1966 წლიდან მოიხსენიება როგორც **Charleville-Mézières**, Charles III (საფრანგეთის ერთ-ერთი რეგიონის ლოტარინგიის ჰერცოგი) – ის საპატივცემულოდ.

Henrichemont კომუნა, შერის დეპარტამენტში, საფრანგეთის ცენტრალურ რეგიონში. ონიმა წარმოიქმნა ანრი IV – ს სახელის უკვდავსაყოფად, რადგან მან დიდი წვლილი შეიტანა მოცემულ ტერიტორიაზე არსებული, ტაძრებისა და ეკლესიის მშენებლობაში. აღნიშნულ ტერიტორიას საკუთარი სახელისაგან შემდგარი ოიკონიმი უწოდეს.

Lixheim კომუნაა მოზელის დეპარტამენტში, ლოტარინგიის რეგიონში (ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთი) მდებარეობს. ონიმის ჩამოყალიბება უკავშირდება **Georges Gustave**-ის (გრაფ ჟორჟ-ჟანის ვაჟიშვილი - 1608) სახელს, რომელმაც სავარაუდოდ ტერიტორიის ნომინაცია პირველი მაცხოვრებლის სახელს **Luc** -ს დაუკავშირა, ხოლო **-heim**, გერმანულად სახლს, სახლის კერას ნიშნავს. ამას მოწმობს ლექსემის თავდაპირველი ოიკონიმი **Luckesheim**.

Phalsbourg -კომუნაა მოზელის დეპარტამენტში. გერმანული ქალაქის Neubourg - ის საპატივცემულოდ უწოდა **Georges Jean de Veldenz**-მა (გრაფის ნდობით აღჭურვილი პირი, სამხედრო სკოლის მესაკუთრე).

Richelieu-სოფელი, ენდრ-ლუარის დეპარტამენტში. მოცემული ონიმის არსებობა ყველასათვის ცნობილი კარდინალ რიშელიეს სახელს უკავშირდება. ისტორიული წყაროს მიხედვით, მეფე ლუი XIII, მადლიერების გამოსახატავად, ქალაქს კარდინალ რიშელიეს სახელი უწოდა.

Vitry-le-François- სოფელი მარნის დეპარტამენტში. ონიმა ეფუძნება François პირველის (საფრანგეთის მეფე) სახელს. ამ კუთხით ოიკონიმებს მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო ფუნქცია აკისრია, თაობიდან თაობას გადასცეს ისტორიული ფაქტები და პიროვნებები.

ოიკონიმების სემანტიკური კვლევა ნათელყოფს არსებულ ეთნიკურ კავშირებს. ონიმებში დღემდეა ჩემორჩენილი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის სემები. კელტურ ენაში არსებული ლექსემები ხშირად ფრანგული ოიკონიმების საფუძველია, რაც დიაქრონული ცვლილების ფონზე სხვადასხვა სახითაა მოღწეული ჩვენამდე. (ეტიმოლოგიური კვლევისას ლექსიკონებში, მხოლოდ ონიმთა ლათინური საწყისებია მოცემული). ამრიგად დაჯგუფებისას შესაძლოა გამოვყოთ ეთნიკური ნიშნით დამახასიათებელი ოიკონიმები.

- **კელტური წარმოშობის სახელი - Briga** (ფრ hauteur, puis château fort-ქართ. სიმაღლე, ციხე-სიმაგრე) მოცემულმა სემამ შემდეგ ოიკონიმთა ჩამოყალიბება განაპირობა: **La Brigue** კომუნა, ალპ-მარიტიმის დეპარტამენტში. **Vendeuvre** სოფელი, კალვადოსის დეპარტამენტში.

Briva (ფრ. Pont - ქართ. ხიდი) - **Brive-la-Gaillarde** კომუნაა ლიმუზენის რეგიონში. **Briovera Chabris -Saint-Lô**-ის ძველი ნომინაცია, ქალაქი, ლა მანშის დეპარტამენტში, **Briva Isara-Pontoise**-ის ძველი ნომინაცია, კომუნა, ილ -დე- ფრანსის რეგიონში.

Dunon (მისი ლათინური ფორმაა dunum, ფრანგული - colline puis forteresse)- ბორცვი, ციხესიმაგრე - Lugdunum - **Lyon**, Virodunum - **Verdun** კომუნაა მეზის დეპარტამენტში; Augustodunum-**Autun**-ქალაქია სონ-ე-ლუარის დეპარტამენტში.

Mantalon/mantol (კელტური წარმოშობის ონიმაა, ფრ. chemin, voie, route-ქართ. გზა) **Manthelon** კომუნა, ერის დეპარტამენტში, **Manthes** სოფელი, დრომის დეპარტამენტში, **Marne** სოფელი, ლუარ-ატლანტიკის დეპარტამენტში. უმეტესმა კელტურმა ლექსემამ დიაქრონულ ცვალებადობასთან ერთად ლათინიზირება განიცადა და იმავე სახით ფრანგული ოიკონიმის სემანტიკურ მნიშვნელობაში დამკვიდრდა.

Nemeton (ლათინური ფორმაა nemetum - სალოცავი, წმინდა ადგილი) **Nemetodurum - Nanterre** - ქალაქია ზემო სენის დეპარტამენტში.

ბერძნების არსებობა საფრანგეთის ტერიტორიაზე სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ნაკლებად, მაგრამ მაინც აისახა ფრანგულ ნომინაციებზე.

- **ბერძნული წარმოშობის ოიკონიმები - Agde**, დასახლებული პუნქტია ეროლის დეპარტამენტში, (ბერძ. Agathê - ფრ. Bonne-ქართ. კარგი), **Antibes** ქალაქია ალპ-მარიტიმის დეპარტამენტში, (ბერძ. Antipolis - ფრ. la ville d'en face, face à Nice - ქართ. წინ მდებარე ქალაქი), **Leucate**, ქალაქია ოდის დეპარტამენტში, (ბერძ. Leukatês - ფრ. Blanc -ქართ. თეთრი), **Nice** (ბერძ. Nikaia - ფრ. victorieuse - ქართ. გამარჯვებული). კვლევებმა წარმოაჩინა, რომ სახელდებებში ფართოდაა გავრცელებული გერმანულ ენაზე დაფუძნებული ლექსემები.

- **გერმანიკული წარმოშობის ოიკონიმები: Berg**-დასახლებული პუნქტი, დორდონის დეპარტამენტში, **Berck** - ქალაქი, პადეკალეს დეპარტამენტში, **Kaysersberg** - სოფელი, ზემო რენის დეპარტამენტში, ერთიანდება საერთო გერმანიკული წარმოშობის სემემით **Berg**-(montagne, colline) რაც „მთას“, „ბორცვს“ აღნიშნავს. ხშირად ვხვდებით გერმანიკული ლექსემით ნაწარმოებ ოიკონიმებს „სახლის“ მნიშვნელობით.

Ham /Haim/ Heim (ფრ. maison, village) **Hames**-სოფელი, პა-დე-კალეს დეპარტამენტში; **Hamel**- კომუნა, საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, **Molsheim**-სოფელი ქვემო რაინის დეპარტამენტში.

Marka (ფრ. frontière - ქართ. საზღვარი), **Marcq-en-Barœul**- ქალაქი, ჩრდილოეთ დეპარტამენტში, **Marques**- კომუნაა სენ-მარიტიმის დეპარტამენტში.

Stall (ფრ. étable -ქართ. სადგომი); **Danestal**- კომუნა, კალვადოსის დეპარტამენტში, **Durstel**- დასახლებული პუნქტი, ქვემო რაინის დეპარტამენტში.

ოიკონიმი ერთ ლექსემაში აერთიანებს ყველა იმ ისტორიულ მოვლენას, რაც გაუვლია რეგიონს. ონიმების საერთო სემანტიკური მნიშვნელობა მიგვითითებს იმ საერთო ზეგავლენაზე, რაც მოცემულ ნომინაციებს აერთიანებს და უდავოდ მათ ეთნიკურ კავშირს ადასტურებს. უმრავლესობა ბრეტანული ონიმებისა წარმოებულია ფუძე **Ker**-იდან. ლექსემა თავდაპირველად კარგად შემოსაზღვრულ ადგილს აღნიშნავდა, შემდეგ კი ნომინაციას მელიორაციული მიზნით დაემატა მომიჯნავე ცნებები როგორცაა: ფერმა, სადგომი, სოფელი, საცხოვრისი. ვხვდებით აგრეთვე შინაარსობრივად ახლო მდგომ ონიმების მიხედვით წარმოქმნილ ოიკონიმებს: **Trèbes**-ქალაქია ობის დეპარტამენტში, **Trev**-(ფრ. lieu habité,-ქართ.

დასახლებული ადგილი); **Trébédan**-კომუნაა ბრეტანის რეგიონში; **Tréguennec**-სოფელია ბრეტანის რეგიონში; **Trévoux** ქალაქია ენის დეპარტამენტში, რონ-ალპის რეგიონში; **Lann** (ფრ. Lande -ქართ. ზედაპირი); **Landivisiau**- ქალაქია ფინისტერის დეპარტამენტში; **Lanester** - სოფელია მორბიანის დეპარტამენტში; **Lok** (ფრ. lieu sacré-ქართ. წმინდა ადგილი); **Locmaria** -სოფელია მორბიანის დეპარტამენტში; **Locronan** - კომუნაა ფინისტერის დეპარტამენტში.

კვლევებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ფუძეზე წარმოებულ ფრანგულ ოიკონიმებს, ერთი საერთო მნიშვნელობა აქვთ. მათი ძირითადი არქისემმა სხვადასხვა ტიპის საცხოვრისის განსაზღვრებაა, თანამედროვე ცნებით კი-ტერიტორიული საზღვარი, სოფელი, ქალაქი.

ვხვდებით ოიკონიმებს, რომელთა სემანტიკურ მნიშვნელობას სხვადასხვა ტიპის ფიტონიმი წარმოადგენს. მაგალითად: Le bouleau -არყის ხე - **La Bouillie** კომუნაა, არმორის სანაპიროს დეპარტამენტში; Le frêne - იფანი, კოპიტი - **Fraisses**-ქალაქია რუანის დეპარტამენტში. Le vergne- თხმელა -**Auvergne**, ადმინისტრაციული რეგიონია საფრანგეთში; კვლევის დროს გამოვყავით მონოსემანტურ სემემაზე აგებული ოიკონიმები. საერთო სემანტიკური მნიშვნელობის ჩამოყალიბება სხვადასხვა ნომინაციაში გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა.

შუა საუკუნეებში ძირითადად სოფლების მშენებლობა ბორცვებზე, მაღლობებზე მიმდინარეობდა, ამიტომაც ამ პერიოდის ოიკონიმებში ჭარბობს ლექსემა **Mont** (გორა, მთა)-ის ფუძეზე აგებული ონიმები, რომლებსაც განმსაზღვრელად ერთვის სხვადასხვა მნიშვნელობის ზედსართავი სახელი. **Beaumont-de-Lomagne**-ქალაქია ტარნ-ე-გარონის დეპარტამენტში; **Clermont-Ferrand** - ოვერნის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია; **Montaigu** - დასახლებული პუნქტი ვანდეს დეპარტამენტში; **Montfort**-დასახლებული პუნქტი დუბის დეპარტამენტში. ხოლო წყლის პირას განლაგებულ ნომინაციებში ნახსენებია ლექსემა **fons**, რაც ფრანგულად ითარგმნება როგორც **source** (წყარო), **Fontanges**-დასახლებული პუნქტი, კანტალის დეპარტამენტში, **Fontenelle**- დასახლებული პუნქტი, პიკარდიის რეგიონში.

ოიკონიმების სემანტიკური კვლევის შედეგად შევეცადეთ გაგვემიჯნა, ერთი საერთო სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი ნომინაციები. როგორც უკვე

ცნობილია ნებისმიერი ოიკონიმის საერთო სემანტიკური ნიშანი ტერიტორიის განსაზღვრაა, მაგრამ შესაძლოა ორ ან რამდენიმე ოიკონიმს ერთი საერთო სემანტიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, ერთმანეთისგან თავსართ-ბოლოსართით განსხვავდებოდნენ ან კიდევ წარმოადგენდეს კომპოზიტს, რაც მსგავსს ფუძიან ონიმებს ერთმანეთისაგან გამიჯნავს.

5.4. ოიკონიმების სტრუქტურული მოდელები ქართულ ენაში

ტოპონიმიკაში ერთიანდება სხვადასხვა ტიპის საკუთარი სახელები, რომელთა კვლევა და ერთმანეთისაგან გამიჯვნა მათ სტრუქტურულ აგებულებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სტრუქტურული აგებულებით მრავალფეროვან ოიკონიმებს ვხვდებით. შესაძლებელია ვთქვათ, რომ ქართულ ენაში გრამატიკული სტრუქტურა-აფიქსაცია განუზომლად დიდ შესაძლებლობას იძლევა ახალი ლექსემების წარმოსაქმნელად. კვლევის დროს ვხვდებით მარტივ და წარმოქმნილ ნომინაციებს, თუ დავესეხებით ალ. ლლონტს ოიკონიმები წარმოშობის მიხედვით აფიქსალურია, რომელიც თავისთავად გულისხმობს **სამიმოხვრო /საფლექსიო და საწარმოქმნო/სადერივაციო** აფიქსებს (ლლონტი, 1988: 127).

ქართულ ენაში ონიმათა წარმოების ერთადერთი საშუალება დერივაციაა. დერივატებად გამოიყენება როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისევე ბრუნვათა ნიშნები. სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები, ოიკონიმებთან მიმართებაში თავიანთ პირველად ფუნქციასთან ერთად დერივატების ფუნქციასაც ასრულებენ, ამ შემთხვევაში სათანადო ბრუნვის ნიშანი დერივატის როლში გამოდის.

-ი : მაგალითად: **ბათუმი, გორი, ლანჩხუთი, მახინჯაური, ოზურგეთი.**

-ის: მაგალითად: **თბილისი, წედისი, სოფელი, ონის მუნიციპალიტეტში, ქუთაისი, ყინწვისი** - სოფელი, ქარელის რაიონში, **ციხისძირი** - სოფელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, **ურბნისი** - სოფელი, ქარელის მუნიციპალიტეტში, **ტაძრისი** - სოფელი, ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

თვდაპირველად გამოვყოფთ სამი ტიპის ოიკონიმებს **ერთფუძიანი**, მარტივი ონიმები, **ორფუძიანი** სიტყვათშეერთებითი ნომინაციები და **სხვადასხვა ფუძით წარმოებული კომპოზიტები**.

- **ერთფუძიანი** სუფთა ძირით წარმოდგენილი გეოგრაფიული ერთეულებია: **აცანა**- სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, **ახო**-სოფელი, ქედის მუნიციპალიტეტში, **აჭი**- სოფელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ლიხაურის თემში, **ზოტი**-სოფელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, **ნოღა** - სოფელი, სამტრედიის მუნიციპალიტეტში.

ოიკონიმთა მნიშვნელოვანი ფონდი მიღებულია სიტყვათშეერთებით. გამოყენებულია ყველა შესაძლო ლექსემათა ნაერთი: მსაზღვრელ-საზღვრული, საზღვრულ-მსაზღვრელი (ღლონტი, 1988:231). აქედან გამომდინარე გამოვყავით:

- **ორფუძიანი** ერთმნიშვნელოვანი ნომინაციები, სადაც გაერთიანებულია საზღვრული და მსაზღვრელი ან კიდევ პირიქით. მაგალითად: **ციხისძირი**, **ციხევდავი**, სოფლები აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში, **ცხენთარო**-სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, **ბუკნარი**-სოფელი, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, **ჩარგალი** - სოფელი, დუშეთის მუნიციპალიტეტში, **ქვიღრიღელე** - სოფელი, ხულოს რაიონი აჭარის მუნიციპალიტეტში.

- **სხვადასხვა ფუძიანი კომპოზიტები**, სადაც ლექსემები ცალ-ცალკეა გადმოცემული: **უსტარაულის წყარო** - სოფელი შუა ქართლში, **სამუშის ვაკე** - სოფელი, რომელიც თუშეთში, ახმეტის რაიონში მდებარეობს, **ტინის ხიდი** -სოფელი, რომელიც გუდამაყრის არაგვის ხეობაში მდებარეობს, **ფრონის ხეობა**-სოფელი, ქარელის მუნიციპალიტეტში, **შიო მღვიმე**- დასახლება, რომელიც მცხეთის რაიონში მდებარეობს.

ისევე როგორც ფრანგულ ენაში, ქართულშიც არსებობს, ერთ კონკრეტულ დენონტატზე აგებული რამდენიმე ოიკონიმი, ქართულშიც მეტ-ნაკლები სიხშირით ვხვდებით, სხვადასხვა სემემათა შეერთებით მიღებულ ორფუძიან სახელდებებს:

- **ახალი, მაგალითად: ახალქალაქი-ქალაქი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ახალსოფელი- სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ახალდაბა-დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ახალშენი-სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ახალციხე- ქალაქი სამცხე-ჯავახეთის მხარის და ახალციხის რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში.**

- **წყალი:ცხრაწყარო, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ორწყალი, სოფელი, ხევსურეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს, წყალტუბო, ქალაქი საქართველოში, რომელიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრში მდებარეობს, წყალწმინდა-სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, წითელწყარო-სოფელი, გორის მუნიციპალიტეტში, წყაროსთავი-სოფელი, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს.**

- **წმინდა; მაგალითად: წყალწმინდა, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ანდრიაწმინდა-სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში.**

ზემომოყვანილი მაგალითები პრეპოზიციულია და უძველესი სტრუქტურის ნიშნებს ატარებენ. შესაძლოა ოიკონიმში გადმოცემული იყოს ეთნოსის შინაგანი არსი, ექსპრესიული დამოკიდებულება აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის.

წარმოქმნილი ოიკონიმები სიხშირით ძირეულ ერთეულებს ჭარბობენ, რაც ლოგიკურია. ტერიტორიის განვითარებამ, აუცილებელი გახადა ახალი ონიმების შექმნა, რაც აფიქსალური წარმოებით უფრო მარტივი და პროდუქტიულია. ოიკონიმები წარმოქმნილია სიტყვათწარმოებული აფიქსებით, რომელთაგან გამოიყოფა, როგორც სპეციფიკური (ოიკონიმთა), ისე ჩვეულებრივი ფუძის საწარმოებელი დერივატები.

- **პრეფიქსით წარმოებული სახელები.**

ნა – პრეფიქსი დაერთვის როგორც სახელს, ისე ზმნურ ფუძეებს და გამოხატავს წინა ვითარებას. **ნაკაფი** (კაფვა)- სოფელი გურიაში, **ნაბერწი** (ბერწი)- დაბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **ნაგუთნი** (გუთანნი)- სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში, **ნარუჯა** (გარუჯვა)-დაბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

- **სუფიქსით წარმოებული ოიკონიმები:**

- ა; **ერთაწმინდა**- სოფელი შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში, **ნიკორწმინდა** სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, **ფონიჭალა** სოფელი, სამგორის რაიონში, **შილდა** სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

- ე; **ბოდბე**-სოფელი კახეთის მუნიციპალიტეტში, **ნოსტე** - სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, **ველისციხე** - სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, **საშვილდე**-სოფელი გურიის მუნიციპალიტეტში.

არნოდ ჩიქობავას მიხედვით -ეთ სუფიქსი, “რისამე ან ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს ნიშნავს”. საქართველოს კუთხეები ძირითადად სუფიქსი „-ეთი“ იწარმოება. ის ქართული ენისათვის დამახასიათებელი სუფიქსია, მაგალითად: **იმერეთი, თუშეთი, კოლხეთი, კახეთი, მესხეთი, სვანეთი, სამცხეჯავახეთი, ხევსურეთი.**

- ეთ; **გრიგოლეთი**, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, **ივეთი** - სოფელი ქართლის მუნიციპალიტეტში, **მიქელეთი**-სოფელი შავშეთში (საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე), **ორბეთი** - სოფელი ქვემო ქართლის მხარის თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, **ოზურგეთი, ტბეთი** - სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში, **ქორეთი**-სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში, **წივთეთი**-სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში, **წეთილეთი**-დაბა ქარელის მუნიციპალიტეტში; **თიანეთი**- სოფელი მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში, **მალიეთი**-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **მაკვანეთი**- სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

-ებ-ი /ევ-ი ბოლოსართის ძირითადი ფუნქცია მრავლობითის აღმნიშვნელია ზოგადად ენაში, მაგრამ ტოპონიმულაში ის სიდიდესა და სივრცეს მიუთითებს. მაგალითად: **აბრევი**, სოფელია ახალგორის მუნიციპალიტეტში, **არცევი** - სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, **ბეთლევი**- სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, **ბჟინევი**-სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, **გოხები**-სოფელი კახეთის რეგიონში, **თვაურები** - სოფელი შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში, **კორდები**-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **კაპნები**-სოფელი კახეთის რეგიონში, **ნატანები** - სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

-**ვან-ი**; მაგალითად: **გოროვანი**, სოფელია მცხეთის მუნიციპალიტეტში, **ვაშლოვანი** - სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, **წეროვანი** - სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტში.

- **ია**; სუფიქსით წარმოებული გეოგრაფიული სახელებია: **ანაკლია**, ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, **გურია**, **ვარძია**, **მერია**, **მესტია**, **ციხია**- სოფელი იმერეთის მუნიციპალიტეტში.

- **იან-ი**; მაგალითად: **ბაკურიანი** - დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, **მუხიანი**-სოფელი, იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, **პრასიანი**-სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში, **ჩიტანი**-სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარის ახალგორის მუნიციპალიტეტში.

-**ნარ**,/ -**ნალ**; მაგალითად: **კარწნალი**- სოფელი იმერეთის მუნიციპალიტეტში, **სოჭნარი** - სოფელი, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

- **ო**; მაგალითად: **ნაზარლო**- სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, **სადახლო**-სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში, **ქესლო**-სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში, **ყიზილაჯლო** - სოფელი ქვემო ქართლის მხარის დმანისის მუნიციპალიტეტში.

- **ოთ** / -**ათ** /-**უთ**; **ბიბოთი**- სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, **ბუჭათი**- იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, **ბელოთი**- სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, **ბობოყვათი** - სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტი, **გეგუთი** - იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, **იკოთი**- სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში, **კირნათი**-სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, **ლანჩხუთი**, **მამათი** - სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, **შუხუთი**-სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, **ფერსათი**-სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში, **ქოლოთი**-სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში, **ქაქუთი**-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **ჯარათი**-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, **ჯუმათი**-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

-**ოვან-ი**; მაგალითად: **კატროვანი**-სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში, **ნაროვანი**-სოფელი იმერეთის მუნიციპალიტეტში. **წეროვანი**-სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტში.

-ულ ; -ურ; მაგალითად: ანანური- დაბა დუშეთის რაიონში. ასანური- სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში. ბორჯომულა-სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში. ბორჯური-სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში, ლაითური- სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ჩოხატაური, ძირულა- სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. წიქარული-სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

• აფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები:

ლა - აშ / ლა - ეშ (სვანური წარმოშობის ონიმები); მაგალითად: ლაილაში, ლაჯებაში, ლავალიაში, ლანჯეიში; ზემოთ ნახსენები სოფლები, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

ნა-არ / ნა ალ; მაგალითად: ნავენახარი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტში. ნატახტარი- სოფელი მცხეთის რაიონში. ნაქერალი-სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში.

ნა - ებ / ევ / ავ / ურ / ულ ; მაგალითად: ნაბაკრები, ნაჭარლები, ნადიკვრები სამივე სოფელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქედის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ნადარბაზევი-სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ნატბევი- იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში. ნალობილევი- სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ნახიდური-სოფელი საქართველოში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ნადაბური-სოფელი საქართველოში ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ნაპირული-სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. ნაყორავი-სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა მუნიციპალიტეტში. ნაწიბული-სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ნასაკირალი-დაბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ნაბელღავი- სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

სა-ე; მაგალითად: სამაცხოვრე-სოფელი მცხეთის რაიონში. სამერცხლე-სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. სამტვერე-სოფელი ენგურის ხეობაში.

საირმე; დასახლება ბაღდათის მუნიციპალიტეტში. საირხე-სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში. საშეგარდნე-სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა მუნიციპალიტეტში. საწაბლე-სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.

სა-ო; მაგალითად: სამარხილო-სოფელი ამბროლაურის რაიონში; საგურამო-სოფელი, მცხეთა-მთიანეთის მუნი-ციპალიტეტში. საჩინო-სოფელი წალენჯიხის

მუნიციპალიტეტი. **სამიქაო-სოფელი** აბაშის მუნიციპალიტეტში. **საჯავახო-სოფელი** სამტრედიის მუნიციპალიტეტში.

სა-ა; მაგალითად: **სამტრედია, საერხია-სოფელი** წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. **სამაჩვია-დაბა** საქართველოში ბაღდათის მუნიციპალიტეტში. **საკრაულა-სოფელი** საქართველოში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში. **სამძიმია-სოფელი** ენგურის ხეობაში.


სა-ეთ-ი; მაგალითად: **საყურეთი** სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში, **სალეზეთი** -სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში, **საცხენეთი-სოფელი** გორის მუნიციპალიტეტში, **საქაშეთი-სოფელი** გორის მუნიციპალიტეტში, **საკვირეთი-სოფელი** გორის მუნიციპალიტეტში.

რთულ ოიკონიმებში სინტაქსურ საფუძველზეა შეწყვილებული დაქვემდებარებული აპელატივები. მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, როგორც შინაარსობრივად შეთანხმებული, ისე მართული ერთეულები. ალ. ღლონტის მიხედვით ზოგადი სტრუქტურული აგებულებით, ოიკონიმთა სამი ტიპი არსებობს: **შეთანხმებული** როგორებიცაა **ახალი სვირი** (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), **ძველი სენაკი** (სენაკის მუნიციპალიტეტი), **დიდგორი** (თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილი), **შუახევი**, (შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი), **შავნაზადა**, (თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი). **მართული - ციხისჯვარი** (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), **ზარისახო** (დუშეთის მუნიციპალიტეტი), **ციხისძირი** (ქობულეთის რაიონი), **კავთისხევი** (კასპის მუნიციპალიტეტი), **ხიდისთავი** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი). **ადვერბული წყვილი** - **გაღმავანი** (იმერეთის მუნიციპალიტეტი), **ზემონიქოზი** (გორის მუნიციპალიტეტი), **დაბლაციხე** (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი). ოიკონიმთა წყვილები სტრუქტურულად კომპოზიტებია და ექვემდებარება რთული სიტყვის, სახელისა და ზმნის ბრუნების გრამატიკულ წესებს (ღლონტი, 1988:231). ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ნათესაობითი ბრუნვა ყველაზე პროდუქტიულია მსაზღვრელის გადმოსაცემად. რთულ ოიკონიმებში კი მსაზღვრელის როლი ძირითადად ზედსართავ სახელებს ეთმობა, ხშირად გამოიყენება: ახალი, ძველი, პატარა, დიდი, თეთრი, შავი, ზედა, ქვეთოთ,

საზღვრულად კი არსებითი სახელია წარმოდგენილი: თავი, ქალაქი, სოფელი, დაბა, ხიდი, ხევი, წყარო, წყალი, ციხე, მთა, ველი. სიტყვათშეერთებაში მათი მდებარეობა განსაზღვრული არ არის, შესაძლებელია სიტყვათა მონაცვლეობა, სიტყვათა ცვლილება. მაგალითად:



ჩვენს მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულ ენაში არსებული ოიკონიმთა უმრავლესობა წარმოებულია „ი“-სახელობითი და „ის“ ნათესაობითი ბრუნვისაგან, იმის მიუხედავად, რომ ვხვდებით სხვა ხმოვანზე დაბოლოებულ ნომინაციებს. ქართულ ენაში მრავლად მოიპოვება დერივაციული ოიკონიმები, აფიქსებით წარმოება მრავალმნიშვნელოვნებას მატებს ონიმებს, ამას სტატისტიკური კვლევის შედეგად მიღებული, პროცენტული მაჩვენებლები ადასტურებს.



კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ფრანგულ ენაში ჭარბობს სუფიქსით წარმოებული ოიკონიმები და ნაკლებად პრეფიქსითა და აფიქსით მიღებული ლექსემები. ხოლო ქართულ ენაში, მრავლად მოიპოვება სუფიქსითა და აფიქსით წარმოებული ნომინაციები, იშვიათად-პრეფიქსით.

განხილული მაგალითების საფუძველზე გვხვდება არსებითი სახელისაგან (N) წარმოებული ონიმები: ველისციხე (ციხე), კორდები (კორდი), ნასახლევი (სახლი). ზედსართავი სახელისაგან (Adj) მიღებული ნომინაციები: ნიკორწმინდა (წმინდა), საქარური (საქარული), ქუშიანი (ქვიშიანი) და ზმნისგან ფორმირებული ერთეულები (V) – სამაცხოვრე (ცხოვრება), ნაკაფი (კაფვა). მაგალითებიდან ჩანს, რომ სიტყვათა სინტაგმატური და პარადიგმატური კონტექსტები, ერთეულთა სემასიოლოგიური შესწავლა, მნიშვნელოვანია, როგორც ეტიმოლოგიური, ასევე სტრუქტურული თვალსაზრისით.

5.5. ოიკონიმების სემანტიკური მოდელები ქართულ ენაში

ოიკონიმი ენის ლექსიკური ერთეულია, მისი ძირითადი ფუნქცია არსებული ტერიტორიის აღქმაა. ნომინაცია თავისი სემანტიკური მნიშვნელობით ცნებას ასახავს, აქტუალიზებულია საგანი (ტერიტორიული მდებარეობა) და მისი წარმოდგენა. სახელდებათა სემანტიკური ანალიზი ცნების შინაარსსა და ძირითად ნიშნებს იძლევა. თუ რა პირობითი ნიშნითაა განპირობებული ონიმა, თუ რა საერთო აქვს სხვა დანარჩენ ოიკონიმებთან და თუ რამ განაპირობა მისი ამგვარი ჩამოყალიბება. ერთი მხრივ, მიმართება დენონტატსა და ცნებას შორის პირობითი და ადრესატულია, ამასვე, ანუ ცნების შინაარსის ეკვივალენტობას იზიარებენ ლინგვისტები, მაგრამ, ონიმის შინაარსი ხშირად არ ემთხვევა არც გეოგრაფიულ მდებარეობას, არც ტერიტორიის ზოგად აღწერილობას, ლექსემასა და აღმნიშვნელს შორის კავშირი ერთხაზოვანი არ არის და სემანტიკური კვლევა მისი მნიშვნელობის ახსნის საშუალებას იძლევა. მაგალითად: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი მოცემულ ოიკონიმთა არქისემმა ტერიტორიის სახელდებაა - ქალაქის სახელია, მაგრამ ამ საერთო ნიშნის მიღმა, არსებობს სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც საინტერესოს ხდის ნომინაციას.

ოიკონიმის სემანტიკა უკავშირდება მნიშვნელობას, შიდაენობრივ მხარეს. ზედსართავი „წმინდა“ ლექსიკური ერთეულია, მისი სუბსტანციური საწყისი „ამაღლებულის“, „სუფთას“ ეკვივალენტია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი

უჭირავს რელიგიურ სამყაროში. აქედან შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხი ღვთისმოსავი ერია, ამას სხვადასხვა ისტორიული წყაროებიც მოწმობენ. აქედან გამომდინარე, ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ლექსემათა დართვით მიღებულ ოიკონიმებს.

- **წმინდა: მიქარწმინდა-სოფელი** ამბროლაურის რაიონში, **ნინოწმინდა-სოფელი** ნინოწმინდის -მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრში. **ნიკორწმინდა-სოფელი** ამბროლაურის მუნიციპალიტეტში. **სტეფაწმინდა-სოფელი** მცხეთის მუნიციპალიტეტში.

ქართულ ოიკონიმებში ძირითადად შეიმჩნევა ისეთი ონიმები რომელიც მკვეთრ ხაზს უსმევს ერისა და მოსახლეობის ხასიათს. ლექსემა „ტახტი“ - მისი ხშირი გამოყენება მიუთითებს იმ ტერიტორიაზე დასახლებული ხალხის შრომისმოყვარეობას, რომელშიც მოხსენიებულია სიტყვა ტახტი, რადგან მისი სემანტიკური მნიშვნელობა სათავეს იღებს სამეურნეო სიტყვა „თახტი“ -სგან, რაც საბოსტნე, სავენახე მიდამოებს აღნიშნავს. **ნატახტარი**, ისტორილი სოფელი ქართლში; **ნატახტრები**-სოფელი ლეჩხუმის მუნიციპალიტეტში, **კარატახტა**- სოფელი დედოფლის წყაროს რაიონში; **ტახტისძირი**-სოფელი ქართლის რაიონში, **ტახტისგორა**-სოფელი კახეთში.

ანთროპონიმების ნომინაციად გამოყენება მიღებულია როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენაში. განსაკუთრებით ხშირია მეფეთა, ისტორიულ გმირთა ანთროპონიმების ოიკონიმად ქცევა დერივატების დახმარებით, როგორცაა: **ნინოწმინდა**, **ნასტეფნარი**-სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში; **ნინოშვილი**-სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში; **თამარაშენი**-სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში; **სავახტანგო**-სოფელი ცხინვალის რეგიონში; **სადემეტრაო**-სოფელი, ბაღდათის მუნიციპალიტეტში- **შიო მღვიმე**.

ონიმასა და ტერიტორიას შორის მიმართება მოტივირებულია, თითოეული ოიკონიმის სემანტიკური მნიშვნელობა, ეთნოსის მატერიალურ და სულიერ სემენტებს ასახავს (გამყრელიძე, 2008 :336). აქედან გამომდინარე ქართულ ნომინაციათა ლექსიკაში ვხვდებით ფაუნის წარმომადგენელთა სახელებისაგან წარმოებულ ოიკონიმებს, ეს შესაძლოა ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობითა და

მცენარეთა სიმდიდრით იყოს განპირობებული. **ირმინი, კაკაბეთი**-ორთავე სოფელი გურიის რაიონში მდებარეობს, **კვერნეთი**- სოფელი გორის მუნიციპალიტეტში. **მტრედინი, ნუკრიანი**-ორთავე სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, **საირმე, სამტრედია, ჩიტანი** - სოფლები საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

ისტორიიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ უამრავ შემოსევებს, რომლებიც აოხრებდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს ტერიტორიებს, ვიპოვით საერთო ხაზს სახელდებასა და ისტორიას შორის. ვხდებით ოიკონიმებს, რომლებიც ყოფილ საცხოვრის /სამყოფელს მიუთითებს, თუ დავაკვირდებით ნომინაციათა კონოტაციურ მნიშვნელობას დავინახავთ ძირითად არსს, თუ რამ განაპირობა მსგავსი დენოტატის ჩამოყალიბება. **ნავარძეთი**-სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში, **ნაგუთნარი**- სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში, **ნარეკვაფი, ნარუმალი**-სოფლები დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, (რუმი სახნავ-სათესი მინდვრის სახელი ზემო აჭარაში), **ნატახტარი** - ისტორიული სოფელი ქართლში. სემანტიკური კვლევის დროს გასათვალისწინებელია ფართო კონტექსტი, პრაგმატიკული ფაქტორები, სწორედ ზემოხსენებული ისტორიული ფაქტიდან გამომდინარე ქართველი მეომრები თავდასაცავად ციხე-გალავნებს აშენებდნენ, ამიტომაც, არსებული სემის საფუძველზე რამდენიმე საერთო ფუძიანი ოიკონიმი ჩამოყალიბდა: **ახალციხე, ციხისძირი, ციხისთავი, ციხედიდი** - ისტორიული ადგილები აღმოსავლეთ საქართველოში, **ციხევდავი**- სოფელი მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში. ჩვენს მიერ მოცემულ სხვადასხვა სემანტიკურ მნიშვნელობით ნაწარმოები ნომინაციის გარდა სხვადასხვა შემოსულ ლექსემით ნაწარმოებ სახელდებას ვხვდებით. ესენია: **გელათი, მახინჯაური, სიღნაღი**.

სემანტიკური კვლევის შედეგად მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რომ ქართულ ოიკონიმთა სისტემა ძირითადად ეთნოსის მახასიათებელ ნიშნებზეა აგებული. სახელდებათა საერთო არქისემემა ტერიტორიის ნომინირებაა, მაგრამ მათი სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობები, საერთო იმპლიციტური ნიშნით გარკვეულ ქვესისტემებში ერთიანდება. მაგრამ საბოლოოდ კვლევის შედეგად,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სემანტიკური ნიშანი და მნიშვნელობა ეროვნულ ეთნოსში ერთიანდება.


		არქისემა ტერიტორიის აღნიშვნა	ეროვნული/ ეთნიკური ნიშანი	რელიგიური ნიშანი	წარმოსახვითი/ ირეალური ცნება
ადრესატული ოიკონიმები	Toulouse	+	+	(+) (-)	-
	ქუთაისი	+	+	(+) (-)	-
ლიტერატურული ოიკონიმები	Beucaire	+	+ (-)	+ (-)	-
	ხევი	+	+ (-)	+ (-)	-
რელიგიური ოიკონიმები	Monistrol	+	-	+	-
	ცხემლვანა	+	-	+	-
„ცრუ“ ოიკონიმები	Mindao	+	-	-	+
	კანუდოსი	+	-	-	+

სხვადასხვა ტიპის ოიკონიმების სემანტიკური კვლევის მიხედვით, შევეცადეთ დაგვედგინა მათი საერთო სემანტიკური მახასიათებელი. ანალიზმა ნათელყო, რომ ნებისმიერი ოიკონიმის არქისემმა ტერიტორიის მითითებაა, სწორედ ამ საერთო ნიშნით ერთიანდებიან აღნიშნული სემენტები, ხოლო ეროვნული/ეთნიკური ნიშანი ლიტერატურულ ოიკონიმებში სიუჟეტის მიხედვით ვლინდება. რაც შეეხება რელიგიურ ნიშანს, უდავოა რომ რელიგიური ელემენტები ამ ტიპის ოიკონიმების განმსაზღვრელი ხაზია, ხოლო ადრესატულ და ლიტერატურულ ოიკონიმებში რელიგიური ნიშნის არსებობა, ეტიმოლოგიურ საწყისზეა დამოკიდებული. წარმოსახვითი/ირეალური ნიშანი „ცრუ“ ოიკონიმების ძირითადი მახასიათებელია. ის ლიტერატურულ ნაწარმოებს უფრო მეტ ექსპრესიულობას მატებს.


ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ ლიტერატურულ შემოქმედებაში, ნებისმიერი ტიპის ოიკონიმის არსებობა დასტურდება.

დასკვნები V თავის მიხედვით


ენა თავისთავად აყალიბებს ნომინაციებს მათთვის მნიშვნელობის სტატუსის მისანიჭებლად. მაგრამ საუკუნეების ცვლას, სხვადასხვა ისტორიული პიროვნებებისა და ფაქტების ეკვივალენტური სემა ან სემემა არსებული ოიკონიმის მოდიფიცირებაში შეაქვს, ზოგჯერ კი არასწორი ფონეტიკური წარმოთქმით იღებს ფლექსიურ ფორმას და საბოლოოდ, გარე სამყაროში ყალიბდება და მკვიდრდება. თითოეული სახელდება სხვადასხვა ტერიტორიის დეფინიციას ახდენს, მათ შორის მიმართება კორეფერენტულია. ტერიტორიული დისტანციის მიუხედავად, სახელდებასა და ტერიტორიას შორის მიმართება კონვერსიულია - ერთი გულისხმობს მეორეს.




სტრუქტურული აგებულებით, ფრანგულ და ქართულ ენაში არსებულ ოიკონიმთა შეპირისპირების ფონზე დავადგინეთ, რომ ფრანგულ ენაში ჭარბობს რთული დეფისით წარმოებული სხვადასხვა ფუძიანი კომპოზიტები, ნომინაციათა სტრუქტურა მრავალფეროვანი, რთული შედგენილობით გამოირჩევა, ვხვდებით არტიკლებით, წინდებულებით ნაწარმოებ სახელდებებს, სადაც წინდებულები ითავისებენ ადრესატულ მნიშვნელობას, რომელსაც თან ერთვის ზოგ შემთხვევაში არსებითი, ზოგჯერ კი ზედსართავი სახელი, შესაძლებელია ორივე ერთად. მაგალითად:



ქართულ ენაში წინდებულის ფუნქციას თანდებულები ითავისებენ, მაგრამ მაინც ნაკლებად ვხვდებით მსგავსი, რთული სტრუქტურის ოიკონიმებს. ქართულ ნომინაციათა ჩამოყალიბებაში ძირითადი მისია არსებით და ზედსართავ სახელებს უჭირავთ, იშვიათად რიცხვითი სახელიც წარმოჩნდება.



დერივატების მრავალფეროვნება ნათლად ჩანს ქართულ ოიკონიმთა მაგალითებში, სხვადასხვა ტიპის, მსგავსი აფიქსებით წარმოებული სახელდებები მრავლად მოიპოვება ქართულ ენაში, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა დერივაციული წარმოების ონიმებია, იგივეს ვერ ვიტყვით ფრანგულ ენაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ფრანგული ონიმები სიტყვათწარმოების სტრუქტურას ეფუძნება. მაგალითად:



ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, საშუალება მოგვცა, გვეპოვა მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრანგულ და ქართულ ოიკონიმთა სუბსტანციური და კონოტაციური არსი, ძირითადად, ეროვნულ ნიადაგზეა ჩამოყალიბებული, ითვალისწინებს საკუთარი ეთნოსის წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ ხაზს. ზოგ შემთხვევაში მიუთითებს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კავშირს, რომელიც ბარბარიზმებისა და არქაიზმების სახითაა შემორჩენილი ოიკონიმებში.

ამრიგად, ფრანგულ და ქართულ ენაში სტრუქტურულ-სემანტიკურმა კვლევებმა ნათელი გახადა, თუ რა საერთო სემანტიკური ნიშნები ახასიათებთ ორი

სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელ ოიკონიმებს და როგორ განსხვავდება მათი სტრუქტურული შედგენილობა ერთმანეთისაგან. განსხვავებული ტრადიციების მიუხედავად, ორივე ენაში მკვეთრად აღინიშნება ეროვნული ხაზი და რელიგიური მრწამსი.

დასკვნა

ონომასტიკა ნებისმიერი ტიპის საკუთარ სახელთა შემსწავლელი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც დასაბამიდან, თანამედროვე ეპოქამდე, დიაქრონულად ვითარდება სახელდებებთან ერთად. შესაძლოა ითქვას რომ ონომასტიკა ნომინირებათა „ისტორიული მემკვიდრეა“, რომელიც სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებებს, მნიშვნელოვან ლექსიკურ ბაზას უქმნის და აძლევს საჭირო განსაზღვრებებს.

დღეს არსებული თანამედროვე ონომასტიკა კომპლექსურ ლინგვისტურ მეცნიერებას წარმოადგენს, თავისი სპეციფიკური მეთოდებით, ზოგადთეორიული თვალთახედვით და მულტიდისციპლინარული ასპექტებით, რომელთა არსებობა და განვითარება დიდ როლს ასრულებს სოციალურ საზოგადოებაში. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ონომასტიკური ონიმები, როგორც ინტერფერენციული ფენომენი, რომელიც შინაარსისა და გამოხატულების განსაკუთრებულ ურთიერთქმედებას წარმოადგენს. შევეცადეთ დაგვედგინა ონომასტიკური ლექსიკოლოგიის როლი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ლიტერატურულ შემოქმედებაში, მისი გამოხატულების ბილატერალური ფორმა, საერთო სემანტიკური და სტრუქტურული ნიშნები. განვსაზღვრეთ ონომასტიკურ ერთეულთა ორი მიმართულება: სახელდებები, როგორც იდენტიფიკაციის განსაზღვრება და როგორც ლიტერატურული ერთეული.

განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოებში გამოყენებულმა ონიმებმა მიიპყრო, რომელიც ქმნის კოგნიტიურ ველს ნაწარმოებსა და მკითხველს შორის, ის სიმბოლური მიმართულებით აღწერს ამა თუ იმ ნომინაციას და ზუსტი ესთეტიკური დეფინიციით მიაქვს მკითხველის გონებამდე. აქედან გამომდინარე, ონომასტიკა შესაძლებელია შემეცნებით მეცნიერებად ჩავთვალოთ. შემდეგ განვსაზღვრეთ მაკავშირებელი ხიდი ონომასტიკასა და ოიკონიმებს შორის. ტოპონიმის წარმოადგენს გეოგრაფიულ ტერიტორიათა სახელწოდებების შემსწავლელ მეცნიერებას, რომელიც დესკრიფციული თვისებით ხასიათდება და ზოგადად ფილოლოგიურ და ლინგვისტურ ანალიზს მოიცავს. საკუთარ სახელთა ჩამოყალიბება, განვითარება დიაქრონული ცვლილებები დამოკიდებული და განპირობებულია ენობრივ ნიშანთა თავისებურებებით, განვლილი ისტორიის გზით, ეთნიკური დაჯგუფებებით, სოციალური განვითარების სპეციფიურობით, ეკონომიკური ცვლილებებით, ტერიტორიული ცვალებადობით და რელიგიური მსოფლმხედველობით.

ტოპონიმების მრავალმნიშვნელოვანი განსაზღვრება, ფუნქციური თავისებურება, სხვადასხვა მეცნიერებათა განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. სახელწოდების „შიდა“ ფორმა ზუსტად შეესაბამება იმ ლექსიკური ერთეულის „გარეგან“ ფორმას, რომლის მნიშვნელობა ტოპონიმიკური ლექსემითაა გადმოცემული. ნომინაციის კვლევა იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ, ტერიტორიული განლაგება კი მიუთითებს ეთნოსის განსაზღვრებას, ან კიდევ ისტორიულ მოვლენებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტოპონიმი დაკარგულ ტერიტორიას განეკუთვნება. მეორე თავში სრულყოფილად განვიხილეთ ტოპონიმთა კომუნიკაციური და ლიტერატურული მაგალითები და მოვახდინეთ მათი

კლასიფიკაცია. თითოეული ტოპოერთეული სხვადასხვა სიტუაციაზე დაყრდნობით ყალიბდება და ვრცელდება. შეპირისპირების ფონზე დავადგინეთ, რომ ფრანგულ და ქართულ ენაში არსებულ ტოპოერთეულთა ძირითად საწყისებს ეროვნულობა და რელიგიური მრწამსი განაპირობებს, რაც ორივე ქვეყნის მიკროტოპონიმიკაში კარგად აისახება, ტოპონიმთა მრავალფეროვნება და სიმრავლე უპირველესად ტერიტორიულმა გაფართოებამ, კულტურულმა ფაქტორებმა და ადათ-წესებმა განაპირობეს, რომელთა განვითარებაში დიდი წვლილი ისტორიულმა ფაქტორებმა, გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ხალხურმა ეტიმოლოგიამ შეიტანა. ოიკონიმთა გეოგრაფიული ლექსიკა მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსემებისაგან შედგება, რომელიც ზუსტად აღნიშნავს ბუნებრივ და გეოგრაფიულ განსაკუთრებულობას.

კვლევის საფუძველზე თავდაპირველად ნომინაციათა ორი მთავარი ფუნქცია გავმიჯნეთ, გამოვყავით ორი სახის ოიკონიმები: „ადრესატული“ რომელიც კონკრეტული ტერიტორიის აღნიშვნის ფუნქციით გამოირჩევა, მასშივე გავაერთიანეთ რელიგიური ონიმები, შევეცადეთ აგვეხსნა ურთიერთმიმართება თეონიმსა და ოიკონიმს შორის და „ლიტერატურული“ ონიმები, რომელსაც ავტორი ქმნის ნაწარმოების კოგნიტიურობის ან უბრალოდ მეტაფორული მრავალფეროვნებისათვის. ლიტერატურული ოიკონიმების კვლევის დროს კი შევხვდით ტერიტორიის აღმნიშვნელ ირეალურ ონიმებს, რომელსაც პირობითად „ცრუ“ ოიკონიმები ვუწოდეთ. ეს მართლაც ნაწარმოების გადმოცემის უნიკალური ხერხია, შესაძლებელია ითქვას, რომ მწერალი თავისი ჯადოსნური კალმით შეთხზული ნომინაციებით, უკიდევანო ფანტაზიებითა და მხატვრული ნიჭიერებით ქმნის დიფუზიურ სინამდვილეს, სადაც ცნობიერებაში აღქმული და ფანტაზიაში ნაგულისხმევი სამყარო, ორიგინალური წარმოსახვაა. ამ მდგომარეობას, პირობითად ინსპირაცია, მხატვრული შთაგონება ვუწოდეთ.

შეპირისპირების საფუძველზე გამოვლინდა ფრანგულ და ქართულ ოიკონიმთა მნიშვნელობის ეტიმოლოგიური მსგავსება და განსხვავება, ფრანგულ ენაში არსებულ ოიკონიმთა წარმოშობის მიზეზი ძირითადად ანთროტოპონიმიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული ფუძის ლექსემებია (**Lyon, Paris**), ხოლო ქართულ ენაში კი დამატებით ვხვდებით ზოონიმებისა და ფიტონიმებისაგან წარმოებულ სახელდებებს

(აღნიშნული მცირე რაოდენობით ფრანგულ ენაშიც მოიპოვება) (ბათუმი, გორი, საირმე, ბარდნალა). საბოლოოდ, კი დავადგინეთ, რომ ონიმების უმეტესობა, ორივე ენაში მსგავსი სემანტიკური ერთეულითაა ნაწარმოები (ვგულისხმობთ, გეოგრაფიულ, ისტორიულ და ანთროპოპონიმურ საწყისებს).

- გეოგრაფიული ოიკონიმები, რომელთა სახელდება ტერიტორიულმა მდებარეობამ განაპირობა.
- ისტორიული ოიკონიმები, რომელთა სახელდება ისტორიული ფაქტითაა განპირობებული).
- ანთროპოპონიმური ოიკონიმები, რომელთა სახელდება ადამიანთა სახელსა თუ გვარზეა დამოკიდებული.
- ზოონიმური, ორონიმული, ჰიდრონიმული ოიკონიმები რომელთა სახელდება ცხოველთა, ფრინველთა, მთის ან წყლის სახელს ეფუძნება.
- ხალხური (ლეგენდებზე დაფუძნებული) ოიკონიმები, რომელთა სახელდება ლეგენდაზე ან ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაარსდა და დაფუძნდა.
- მეტამორფოზული ოიკონიმები, რომელთა სახელდება სხვადასხვა ენიდანაა აღებული, რომელთა თარგმნაც ყოველთვის იწვევს ჟღერადობის ცვალებადობას).

ტოპონიმური ლექსემები შესაძლოა საკვანძო ონიმებად ჩავთვალოთ, რომელიც სხვადასხვა სპეციფიკურ ინფორმაციას, საჭირო ისტორიულ წყაროს სახელდების ფორმატით აწვდის.

ოიკონიმები დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულებია, რომლებსაც ინდივიდუალური ლექსიკური მნიშვნელობა აქვს. ონიმებს ძირითადად ვიყენებთ ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილის მოვლენათა აღსანიშნავად, სადაც ლექსემებს ექსპრესიული და კონოტაციური მნიშვნელობა აქვთ. ფრანგულსა და ქართულ ენაში არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოსაჩენად ყურადღება გავამახვილეთ ოიკონიმთა სტრუქტურულ ანალიზზე, რადგან სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტების პარალელურად, მნიშვნელოვანია ოიკონიმის სტრუქტურული აგებულება არსებულ ნომინაციებში.

კვლევიდან ჩანს, რომ ფრანგულ ენაში სუფიქსით წარმოებული ოიკონიმები ჭარბობს, ხოლო ქართულ ენაში თითქმის თანაბარი პროცენტულობა აისახება სუფიქსითა და პრეფიქსით წარმოებულ ოიკონიმებში.

ოიკონიმები თავისი სტრუქტურული შედგენლობით, ძირითადი ეტიმონებისა და აფიქსების თანაწარმოებით მიიღება. სახელდებები იყოფა **ფუძისეულ - მარტივ** (**Aubrac, Larzac, ბაგე, დუბე, სუფსა**) და **რთულ, შედგენილ** (**Albinac, Carmedia, ერთაწმინდა, საშვილდე**) კომპოზიტებად, შესაძლებელია ისინი დეფისით იყოს გამოყოფილი ერთმანეთისაგან და ერთ ან რამდენიმე ფუძეს შეიცავდეს (**Champagne-Ardenne, Saint-Jean-Pied-de-Port, ტაო-კლარჯეთი**) დეფისით წარმოებული ოიკონიმები საფრანგეთში უფრო მეტი რაოდენობით მოიპოვება, ვიდრე ქართულ ტოპო სივრცეში, ასევე მრავლადაა ორ და სამ ფუძიანი ერთეულები. როგორც უკვე ავღნიშნეთ ოიკონიმები იყოფა **ფუძისეულ** და **აფიქსალურ** მორფემებად. აქედან გამომდინარე დერივაციული ონიმები იყოფა, პრეფიქსალურ: **Carcassonne, ნაკაფი, საქართი, სუფიქსალურ: Marsillargus, Baillargues, ორბეთი, ქორეთი. აფიქსალურ: Ariège, Ardèche, სამტვერე, საირმე** მორფემებად. აგრეთვე ხშირია კომპოზიტებში ისეთი ლექსემის მოხსენიება როგორცაა „წმინდა“, „ქალაქი“ ვხვდებით აგრეთვე შედგენილ ნომინაციებს, რომელთა საკვანძო სიტყვა ხშირ შემთხვევაში არსებითი სახელია, მაგრამ შესაძლოა ზედსართავის ან კიდევ ზმნისაგანაც იყოს წარმოებული. ფრანგულ და ქართულ ენებში არსებული ოიკონიმები სტრუქტურულად შედგება:

- არსებითი სახელისაგან (**Marseille, Lyon , გორი, რუსთავი**)

- ზედსართავისაგან (**Nice - Nikaia გამარჯვებული, Cannes**

ამომშრალი ადგილი, ქუთაისი- „ქუაოთო“ ქვიანი, ბათუმი - Bathus ღრმა).

- იშვიათად შეხვდებით ზმნისაგან წარმოებულ ონიმებს.

(ნაკაფი=კაფვა)

- ნომინაციები სადაც ერთ სახელდებაში ორი არსებითი სახელია გაერთიანებული **Conteville, მთაწყარო, წყაროსთავი** შესაძლებელია აბრევიაციით შემდეგი სახით აღვნიშნოთ: **N+N**

- ნომინაციები, სადაც ერთ სახელდებაში გაერთიანებულია ზედსართავი სახელი და არსებითი სახელი, მისი თანმიმდევრობა შესაძლებელია შეიცვალოს. **Bonneville, Saintville** , წითელწყარო, წითელხევი, ლამაზქალაქი (Adj+Nom).

შედგენილობით ოიკონიმები შესაძლოა იყოს მარტივი და რთული. ერთსიტყვიანი ონიმების თვისებაა, თავდაპირველი ინფორმაციის შენახვა, რადგან მარტივი ნომინაციები იშვიათად იცვლიან ფორმას, ნაკლებად განიცდიან ფუძისეულ ცვლილებებს, გამჭვირვალეა და თვითონ გვაწვდიან ხელშესახებ ცნობას მათ წარმოშობაზე, ეთნიკურ ჯგუფში გავრცელებულ დიალექტზე, ისტორიულ წარსულსა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე. კომპოზიტი ტოპონიმები უფრო ცვალებადი ფორმითაა ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ ეტიმოლოგიური კვლევის დროს მოგვითხრობს, ეპოქალურ ცვლილებებს, ისტორიულ ფაქტებს, პოლიტიკური წყობილების ცვალებადობას. ურთიერდამოკიდებულებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

ადრესატული ოიკონიმების გარდა, ფრაზეოლოგიურ ერთეულში გამოყენებულ ტოპორთეულებს ვხვდებით, რომლებიც განსხვავებულ აზრობრივ შეფერილობას და პრაგმატიკულ მნიშვნელობას აწარმოებს. ფრაზეოლოგიური ონიმები და ტოპონიმები, წინადადებას მეტაფორულ შინაარსსა და ექსპრესიულ შეფერილობას ანიჭებენ, რაც თავისი ალქმის, ასოციაციის, წარმოსახვის მრავალფეროვნებით, ენის სიმდიდრეზე მეტყველებს.

რელიგიური ოიკონიმები ცხადყოფს ერისა და რწმენის კავშირს, ურთიერთმიმართებას. ზოგადად ოიკონიმების ეტიმოლოგიური კვლევის შედეგი გლობალურ ინფორმაციას იძლევა ქვეყნისა და ეთნოსის შესახებ (**Niozelles , Saint-Pierre de Nantes, გერგეთი/გერგეტი, გელათი**).

მრავალფეროვან წარმოსახვასა და ფანტაზიას ქმნის ზღაპრებსა და საბავშვო ლიტერატურაში გამოყენებული ოიკონიმები. ავტორი თვით ქმნის ქალაქებს, ირეალურ პერსონაჟებს, რომლებიც ბავშვებს ფერად სამყაროში ამოგზაურებს და უქმნის „ხელოვნურ წარმოსახვას“. ამ შემთხვევაში მწერალი აერთიანებს ბავშვურ „ინტელექტს“, სურვილებს, მისწრაფებებს ფსიქოლინგვისტურ ჭრილში. (**Pays du**

Bonheur, monde des animaux, საოცრებათა ქვეყანა, ტკბილი ქვეყანა ცხოველთა სამყარო,...)

ტოპონიმთა სისტემებს, მნიშვნელობათა სიმრავლეები ქმნიან. თითოეულ სახელდებასთანაა დაკავშირებული, მატერიალური ანუ ლოგიკური და წარმოსახვითი ანუ სიმბოლური ცნება. ისინი ასახავენ ერის ყოფად და სულიერ სპეციფიკას. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენებული ოიკონიმების დანიშნულება, ისინი მწერლებს ერთი და იმავე დენოტატის სხვადასხვაგვარი გამოხატვის საშუალებას აძლევს. ოიკონიმთა სიტყვათწარმოებით პროცესთა და სხვადასხვა აფექსებით შემდგარი ლექსიკური ერთეულების შედეგად ვლინდება, ახალი არარსებული ნომინაციათა არსებობა, რომლებიც ონიმებს განსხვავებულ აზრობრივ შეფერილობას ანიჭებს. ყოველი მწერალი თავისებურად ქმნის და აყალიბებს ცნებებს, მნიშვნელობის მინიჭების შესაბამისად. შედგენილი ცნებები, საერთო ენობრივ მნიშვნელობას იძენს და მათი ეკვივალენტი ონიმების სახით წარმოგვიდგება. მწერლებს ერთი და იმავე დენოტატის სხვადასხვაგვარი გამოხატვის საშუალება აქვთ. მისი ერთ-ერთი გადმოცემის საშუალებაა „ცრუ“ და ლიტერატურული ოიკონიმები. ამ შემთხვევაში სიმბოლოების, შედარებების სხვადასხვა სტილისტური ხერხის თვითმყოფადობის საფუძველია ონიმის წარმოქმნის პრინციპი. საგანსა და სახელდებას შორის კავშირი მატერიალური კი არა, არამედ კოგნიტიური და კონცეპტუალურია, რომელიც თითოეული მკითხველის აღქმასა და წარმოსახვაზე დამოკიდებული. მაგალითად: **(Kabbah , Mindao კანუდოსი, ლამაზქალაქი).**

ამრიგად, ტოპონიმიკური ერთეულების მეცნიერული ანალიზი, მისი მიმართება სხვადასხვა დისციპლინებთან, ეტიმოლოგია, რის შედეგადაც დასახულ მიზანს მივაღწიეთ, ლექსიკოლოგიურ, სემანტიკურ, ფსიქოლინგვისტურ, ლექსიკოგრაფიულ კონცეფციებზე დაყრდნობით განხორციელდა. ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველად მოხდა ფრანგული და ქართული ოიკონიმების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევა მათი ყველა პარამეტრის გათვალისწინებით. ტოპონიმები, კერძოდ, ოიკონიმები როგორც საინტერესო და მრავალფუნქციური ენობრივი მოვლენა, ფრანგულ და ქართულ ენებში შესაძლოა განპირობებული იყოს

გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიულ ფაქტითა და ეთნოსთა რელიგიურ-კულტურული საფუძვლებით, ხოლო ლიტერატურული შემოქმედების განხილვამ, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ცრუ, ავტორისეული ონიმები, სადაც ტოპონიმია ნაწარმოებს, ახალ სტილისტურ ხერხს მატებს, რომელიც ექსპრესიულობას, ემოციურობას და ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს, ანვითარებს ინდივიდის აღქმას და მრავალფეროვანს ხდის წარმოსახვის არეალს.

ბიბლიოგრაფია

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება, თბილისი, 1973 წ.
2. ახვლედიანი ც., ფრანგული ენის ისტორია, მედეა, თბილისი, 2008.
3. ბრეგაძე კ., ლიტერატურული და ენის ფილოსოფიური ნარკვევები, თბილისი, 2009.
4. ბრაჭული ი, მაცაბერიძე მ, ჯააღონია დ, დურგლიშვილი ნ., საქართველოს ისტორია I, გამომცემლობა, ლეგა, თბილისი, 2007.
5. გაბუნია კ. ეზუგბაია ლ. ქირია ჭ., ენობრივი სიტუაციები თანამედროვე საქართველოში, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2010.
6. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ, თბილისი, 2008.
7. გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.
8. გრემელაშვილი. თ., კახეთის ტოპონიმის შესწავლა, თელავი, 1961.
9. ვახუშტი ბატონიშვილი/ზაგრატიონი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
10. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2008.
11. თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2010.

12. თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიული ეთნოლოგია უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
13. კიკვიძე ზ., მიღმა, „სამოსელი პირველი“ ემპირიული მითოსური და ბიბლიური პლასტები, ქუთაისი, 2003.
14. მინდაძე ი., ფსიქოლინგვისტიკა, არეტე, თბილისი, 2009.
15. მორჩლაძე ა., პროზა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2011.
16. მალრაძე ვ., გეოგრაფიული სახელები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, მეცნიერება, თბილისი, 1988.
17. ონიანი ალ., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, განათლება, 1988, თბილისი.
18. სახოკია თ., მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950.
19. სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თსუ, თბილისი, 1975.
20. სურგულაძე ნ., რომანული ფილოლოგია, გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2009.
21. სოსიური ფ. დე ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, დიოგენე, თბილისი, (მთარგმნელი ც. ბიბილეიშვილი) 2002.
22. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, აღმაშენებელი, თბილისი, 1998.
23. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თსუ, თბილისი, 1974.
24. ღლონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1988.
25. ყაზბეგი. ა., (ორ ნაწილად) ლიტერატურის მატთანე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2004.
26. შარაძენიძე თ., თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1972.
27. ჩიქობავა ა., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
28. ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმებიდან, აჭარა, ბათუმი, 2004.

29. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, VI, ანტონ კათალიკოსის რედაქცია, თბილისი, 1980.
30. ძიძიგური. შ., ტოპონიმის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1976.
31. ხორნაული. გ., მთები და სახელები, გამომცემლობა ნაკადული, თბილისი, 1983.
32. ხორნაული. გ., ვაჟა-ფშაველას ონომასტიკონი, უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.
33. ჯაში ქ., ფრანგული და ქართული ენების შეპირისპირებითი ტიპოლოგია, Lingua Plus, თბილისი, 2003.
34. ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, (V-VIII სს.), უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1945.
35. Ахманова О. С., Очерки по общей и русской лексикологии, Гос. учеб.-пед. изд-во М-ва просвещения РСФСР, Москва, 1957.
36. Ахманова О.С., К вопросу о слове в языке и речи // Доклады и сообщения филологического факультета МГУ, Москва, 1948.
37. Андреева Л.Н., Лингвистическая природа и стилистические функции „значащих“ имен (антономасии), Автореферат диссертации на Соискание ученой степени кандидата филологических наук, Москва, 1965.
38. Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языка, Изд- во Иностран. л-ры, Москва, 1995.
39. Беленская В.Д., Топонимы в составе лексической системы языка, Высшая школа, Москва, 1969.
40. Белодед И. К., О некоторых аспектах взаимодействия познавательной и эстетической функций языка, Теория языка, Англистика, Кельтология, Наука, Москва, 1976.
41. Беляев А.Н., Семантика и структура немецких гидронимов, Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Уфа, Москва, 2001.
42. Бланар В., Дистрибуция антропонимических моделей // Перспективы развития славянской ономастики, Наука, Москва, 1980.
43. Булаховски Л.А., Введение в языкознание, МГУ, Москва, 1953

44. Васильев Л.М., Современная лингвистическая семантика, Высшая школа, Москва, 1990.
45. Верещагин Е.М. Костомаров В.Т., Лингвострановедческая теория Слова, Русский язык, Наука, Москва, 1980.
46. Воробьева И.А., Язык Земли, О местных географических названиях Западной Сибири, - Новосибирск, Зап.-Сибирское книжное издательство, 1973.
47. Виноградов В.В. Об основных типах фразеологических единиц в русском языке, Наука, Москва, 1974.
48. Гак В.Г., Национально-культурная специфика меронимических фразеологизмов, Фразеология в контексте культуры, Языки русской культуры, Москва, 1999.
49. Еремья А.И., Географические названия рассказывают, Кишинев, Штиинца, 1990.
50. Ермолович Д.И., Имена собственные на стыке языков и культур, Р.Валент, Москва, 2001.
51. Жучкевич В.А., Топонимика, Высшая школа, Минск, 1980.
52. Залевская А.А., Психолингвистические исследования, Слово, Текст, Избранные труды –Гнозис, Москва, 2005.
53. Захарова М.Л., Семантика и функционирование аллюзивных имен собственных (на материале англоязычных художественных и публицистических текстов), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Челябинск, 2004.
54. Зинин С.И. Поэтической ономастике, издания А. С. Пушкина, Москва, 1960.
55. Иностран. М. „Общая лингвистика и вопросы французского языка, Просвещение, Лит, 1973.
56. Иванова С.В., Проблема лингвокультурологического минимума в практике преподавания иностранного языка, Лингво-методические проблемы обучения иностранным языкам в вузе, Уфа, РИО БашГУ,] 2004.
57. Кацнельсон С.Д., Содержание слова, значение и обозначение., Гнозис., Москва., 1965.

58. Куриловичю Е., Положение имени собственного в языке, Очерки по Лингвистике, Изд-во иностранной литературы, Москва, 1955
54. Кузиков В.В., Топонимика немецкого языка, Учебное пособие, Уфа: Изд. Баш. ун-та, 1985.
59. Костомаров ВТ. Верещагин ЕЖ. Морковкин В.В., Теоретические основы лингвострановедческого словаря, В кн.: М. А. Денисова Лингвострановедческий словарь, Народное образование в СССР, Русский язык, Москва, 1978.
60. Картунова Е.В., Понятие имени собственного, Его функции и особенности , Лингво-методические проблемы обучения иностранным языкам в вузе, Уфа: РИО БашГУ, 2004.
61. Кунаккуюина Л.М., Топонимы в языковой системе (на материале немецкого и башкирского языков) Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Уфа, Москва, 2003.
62. Ковалув. Г.Ф., Имена собствение в нашей зижни, Воронеж, ВГУ. 2003.
63. Кузнецова И Н., Теория лексической интерференции, Уфа, Москва, 1988.
64. Кузнецова И. Н., О лексической-интерференции в одном и в разных языках, Вестник Московского университета. Серия 9. Филология. Москва, МГУ, № 1 стр.25-41. 1990.
65. Лебедева С.В., Человек и слово, Ученые записки КГУ, Серия гуманитарные науки. № 1. стр. 14-19, 2004.
66. Леонович О.А., Топонимы США: Учебное пособие, Высшая школа, Москва, 2004.
67. Матвеев А.К., Географические названия Урала: Краткий топонимический словарь, - Свердловск, Средне-Уральское книжно издательство, 1980.
68. Мельникова Т.Н., Историческая топонимия Англии, книжное издательство, Владивосток, 1991.
69. Мурясов Р.З., Имя собственное в современном немецком языке, Уфа, Изд. Башк, 1983.
70. Мальцева Д.Г., Страноведение через фразеологизмы, Пособие по немецкому языку, Высшая школа, Москва, 1991.
71. Никонов В.А., Суперанская.А.В., Ономастика, Наука, Москва, 1969.

72. Панфилов.В.З., Взаимоотношение языка и мышления., Наука, Москва. 1971.
73. Потебня А.А., Мысль и язык, Одесса, 1922; Синто, Киев, 1993.
74. Подольская КВ., Словарь русской ономастической терминологии, Наука, Москва, 1988.
75. Реформатский А.А., Введение в языковедение, Изд. 4-е, исправл. И Доп, Просвещение, Москва, 1967.
76. Реформатский А.А., Топонимика как лингвистический факт, Топономастика и транскрипция, Просвещение, Москва, 1964.
77. Розен Е.В., Немецкая лексика: история и современность, Высшаяшкола, Москва, 1991.
78. Соссюр Фердинанд де., Курс общей лингвистики, Едиториал УРСС, Москва, 2004.
79. Степанов Ю. С., Основы общего языкознания, Просвещение, Москва, 1975.
80. Сабинин М., Полное жизнеописание святых грузинской церкви, II, СПб, Москва, 1872.
81. Старостин Б.А., Некоторые методологические проблемы теории собственных имен, Имя нарицательное и собственное, Высшая школа, Москва, 1978.
82. Суперанская А.В., Структура имени собственного: Фонология и Мирфология, Наука, Москва, 1973.
83. Суперанская А.В., Общая теория имени собственного, Наука, Москва, 1975.
84. Суперанская А.В., Общая терминология: Вопросы теории, Наука, Москва, 1989.
85. Суперанская А.В., Тины и структура географических названий (на материале топонимии СССР) , Лингвистическая терминология и прикладная топономастика, Наука, Москва,1964.
86. Тацкий В., Место ономастики среди других гуманитарных наук, Вопросы языкознания, № 2, Наука, Москва,1961.
87. Толстой Н.И., Еще раз о семантике имени собственного, Актуальные проблемы лексикологии, Изд-во БГУ, Минск, 1970.

88. Топоров К., Из области теоретической топонимстики , Вопросы Языкознания, № 6, Наука, Москва, 1962.
89. Уфимцева А.А., Лексическая номинация (первичная нейтральная), Языковая номинация (Виды наименований), Наука, Москва, 1972.
90. Уфимцева А.А., Семантический аспект языковых знаков , Принципы и методы семантических исследований, Наука, Москва, 1977.
91. Щетинин Л.М., Переход собственных имен в нарицательные как способ расширения словарного состава языка, Наука, Москва, 1961.
92. Шарашова М.К., Наричательные образования от имен собственных, Наука, Москва, 1968.
93. Actes du VI^e Congrès International des Linguistes, Paris, 1984.
94. Aino N-S., La lexicologie, Armand Colin, Paris, 1997.
95. Aymard R., Les Pyrénées au miroir de leur toponymie, Pau, Jurançon, 1996.
96. Chateaubriand F. A., Génie Du Christianisme V2, Kessinger Publishing , 2010.
97. Chaulet. G., La retour de Fantomette la 8^{ème} édition, Paris, 2006.
98. Chaurand J. Lebègue M., Noms de lieux de Picardie, éd. Bonneton, Paris, 2000.
99. Dauzat A. , Les noms de lieux : origine et évolution , Errance, Paris, 2003.
100. Dauzat A. , La toponymie française , Editions « IAC », Paris, 1979.
101. Dauzat A., La toponymie française : buts et méthodes, questions de peuplement, les bases pré-indo-européennes, noms de rivières, toponymie gallo-romaine, un dépouillement régional : Auvergne et Velay, Payot, Paris, 1960.
102. Daudet. A., Lettres de mon moulin, livre de poche, France, 1992.
103. Delaunay G., Relevé des articles et notices de toponymie parus dans la Revue des Etudes anciennes de 1918 à 1940 , Archives de France, Paris, 1966.
104. Duguet J., Noms de lieux des Charentes , éd. Bonneton, Paris, 1995.
105. Fénié Bénédicte et Jean-Jacques., Toponymie gasconne, édition allemande, Landes, 1992.
106. Fabre P., Noms de lieux du Languedoc, éd. Bonneton, Paris, 1995.
107. Fabre P. Baylon Ch., Les noms de lieux et de personnes, Nathan Université, Paris, 1982.

108. Fr. de Dainville., Cartes anciennes de l'église de France, J.Vrin, Paris, 1956.
109. Feller J., La Toponymie wallonne. Méthode de la toponymie, Bull , Paris, 1977.
110. Gavalda. A., Je l'aimais, éditions J'ai lu, Paris, 2008.
111. Gendron. S., L'origine des noms de lieux de France, Errance, Paris, 2003.
112. Gimard J., Les héros de l'histoire de France, Hors Collection, Paris, 2010.
113. Gauthier P., Noms de lieux du Poitou, éd. Bonneton, Paris, 1996.
114. Gendron St., Noms de lieux du Centre, éd. Bonneton, Paris, 1998.
115. Hagège.C., L'homme de paroles- Contribution linguistiques aux sciences humaines, Errance, France, 1986.
116. Hamon A., Les mots du français, Hachette, Paris. 1992.
117. Hugo V., Le promoteur du songe, Gaillamard, Paris, 2008.
118. Jonasson K., Le nom propre, constructions et interprétations, Duculot, Lavain-la-Neuve, 1994.
119. Kleiber G., Problèmes de référence description définis et noms propres, Klincksieck, Paris, 1981.
120. Kripke S., La logique des noms propres, Seuil , Paris, 1982.
121. Labourt. L.A ., Essai sur l'origine des villes de Picardie , La conterie, Paris, 1989.
122. Lemoine J., Toponymie du pays basque français et des pays de l'Adour (Landes, Pyrénées-Atlantiques, Hautes-Pyrénées), René Le Clerc, Paris, 1977.
123. Lemoine J., Toponymie du Languedoc et de la Gascogne, Contribution à l'histoire du Midi pyrénéen, Dardé, Paris, 1975.
124. Lejeune S., La religion dans la toponymie, I.G.N, Paris, 2002.
125. Le Moing Jean-Yves., Les noms de lieux bretons de Haute-Bretagne, Éditions Coop Breizh, Spezet, 1990.
126. Lepelley R. , Noms de lieux de Normandie et des Îles Anglo-Normandes, éd. Bonneton, Paris, 1999.
127. Meunier-Crespo M., L'onomastique au Carrefour des sciences humaines Paris, Centre d'études linguistiques Jacques Goudet, Série Langues de spécialité, I. 1998.

128. Martinet A., *Éléments de linguistique générale*, Colin, Chap. 4: Les unités significatives, I: L'analyse des énoncés, Paris, 1967.
129. Massourre. J.L., *Origine formation variations dialectales, lexique, onomastique, regards sur la littérature*, Errance, France, 2005.
130. Messon J., *Qu'ai-je donc fait?*, Éditions Robert Laffont, Paris, 2008.
131. Mounin. G., *Sémantiques*, Editions du Seuil, Paris, 1997.
132. Mulon M., *Noms de lieux d'Île-de-France*, éd. Bonneton, Paris, 1997.
133. Marie – Noelle Gary-Prieur., *Grammaire du nom propre*, P.U.F, Paris, 1994.
134. Nyckées V., *La sémantique*, Collection sujets, Paris- Belin, 1998.
135. Nègre E., *Toponymie générale de la France*, Quid, Genève, 1990.
136. Nailly M., *Nom propre et dénomination*, Klincksieck, Paris, 1995.
137. Perrenot Th., *La toponymie burgonde*, Editions du Jardin de la France, Paris, 1942.
138. Ploneis Jean-Marie., *La toponymie celtique, La toponymie celtique: La géographie et l'histoire*, Ed. du Félin, Paris, 1989.
139. Poulet D., *Noms de lieux du Nord-Pas-de-Calais*, éd. Bonneton, Paris, 1997.
140. Rostaing Ch., *Les noms de lieux, Que sais-je?*, n°176, PUF, Paris, 1974.
141. Rey-Debove J., *La linguistique du signe, Une approche sémiotique du langage*, Armand Colin, Paris, 1998.
142. Saussure F. de „*Cours de linguistique générale*“, Payot, 1967.
143. Spore. P., *Études toponymiques I*, Roanne, Horvath, 1979.
144. Spore. P., *Études toponymiques II*, Roanne, Horvath, 1979.
145. Siblot P., *Noms et images de marque, de la construction du sens dans les noms propres*, LINX, Paris, 1987.
146. Tamine. M., *Vhanger le nom des villes et des villages*, Charleville-Mézières, 1989.
147. Tanguy B., *Les noms de lieux bretons, Toponymie descriptive*, Armand Colin, Rennes, 1973.
148. Taverdet G., *Noms de lieux de Bourgogne*, éd. Bonneton, Paris, 1994.
149. Ullmann S., *Sémantique et étymologie*, in *Cahiers de l'Association internationale des études françaises*, N°11, 1959.

150. Urban Michel Paul., Lieux dits. Dictionnaire étymologique et historique des noms de lieux en Alsace, Éditions du Rhin, Strasbourg, 2003.
151. Villoutreix M., Noms de lieux du Limousin , éd. Bonneton, Paris, 1995.
152. Vurpas A. Michel Cl., Noms de lieux de l'Ain , éd. Bonneton, Paris, 1999.
153. Vurpas A. Michel C., Noms de lieux de la Loire et du Rhône , éd. Bonneton, Paris, 1997.
154. Vernes J. , Les Cinq cents millions de la Bégum, éd Livre de Poche , Paris, 2002.
155. Vincent A. , Toponymie de la France » Bruxelles, Librairie Générale, Rue de Namur, 1937.
156. Wydmusch S., La toponymie, un patrimoine à préserver , Errance, Paris, 1998.

ლექსიკონები

1. აბულაძე. ი. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. თბილისი. 1980.
2. ბედომვილი გ. ქართულტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2006.
3. გაბიძაშვილი. ე, მამაცაშვილი. მ, ღამბაშიძე.ა. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი. 2007.
4. განმარტებითი ლექსიკონი" იმედი, თბილისი. 2010.
5. კაკაბაძე ს. „ევსტათი მცხეთელის ცხოვრება“ თბილისი, საისტორიო კრებული, წიგნი III, 1928.
6. სახოკია თ. „ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. თბილისი, „მერანი“, 1979.
7. სულხან–საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., გამომცემლობა მერანი, 1993.
3. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I I, მერიდიანი, 2010.
8. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, მერიდიანი, 2008.
9. ჩუბინაშვილი. ნ., ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.
10. ძოწელიძე. ქ., ზემო იმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.
11. ჯოლია გ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008.

12. Рецкера. Я.И., Французско-русский фразеологический словарь, Москва, 1963.
13. Alain Rey et Sophie Chantreau., Dictionnaire de phraséologie : Dictionnaire d'expressions et locutions, édité par Dictionnaire Le Robert, Paris, , 1989.
14. Chantal Tanet et Tristan Hordé., Dictionnaire des noms de lieux du Périgord , Fanlac, Paris, 2000.
15. Coste.J., Dictionnaire des noms propres , Armand Colin , Paris , 2006.
16. Dauzat.A et Rostaing.Ch., Dictionnaire étymologiques des noms de lieux en France , éd. Bonneton , Paris, 1963.
17. Jean-Marie Cassagne, Mariola Korsak., Dictionnaire des noms de lieux de la Haute Garonne , Sur ouest, France, 2008.
18. Joanne P., Dictionnaire géographique et administratif de la France, éd. Bonneton , Paris, 1890-1905.
19. Lassus F., Taverdet (Gérard), Noms de lieux de Franche-Comté. éd. Bonneton, Paris, 1995.
20. Morlet (Marie-Thérèse)., Dictionnaire étymologique des noms de famille, éd. Bonneton , Paris, 1997.
21. Ogée M., Dictionnaire historique et géographique de la province de Bretagne , Nation Bretonne, Nantes, 1778-1780.
22. Ristelhuber P., L'Alsace ancienne et moderne ou dictionnaire topographique, historique et statistique du Haut et du Bas-Rhin , Strasbourg, Decker , 1865.
23. Robert., Dictionnaire des noms de lieux , Le Robert, Paris, 1992.
24. Tanguy B., Dictionnaire des noms communes, trèves et paroisses des Côtes-d'Armor , Fanlac, Rennes, 1992.

ელექტრონული რესურსი

1. http://fr.wikipedia.org/wiki/Grand_Jojo

2. <http://www.infobretagne.com/vannes.htm>